კვირის პალიტრა

მზე

12 (292) 11-18/I.2006. ფასი 60 თ.

კოლორიტი — „ჩემი მეხუთე ცოლი მზეო დღეს აკადემიკოსის მეუღლეა...“

კანონიერი ქურდები

ბუნების ძალა, ნაყიდი „ავტორიტეტობა“ და... რას აპირებს ეს ნალი

ლექს-სქენის „ნათლული“ — „მიმაჩნია, რომ ეს მამაკაცის სალაპარაკო თემა არ არის...“

განცხადებულია ანუ გასისინებული ავტომანქანა „მეც... მეც... და მეც...“



საუკუნის პროექტი — ყურადღება! იქნებ, გზავნილი თქვენს სახელზეც არის!

ბანმრთელობა — იმუნიტეტი ვირუსების წინააღმდეგ...

ახალი

მაგიდის კალენდარი

აუცილებელი ყველა სანერი მაგიდისთვის

გადაფურცლეთ და დაჭკბით ულამაზესი პეიზაჟებით

ადგილზე მიტანით

☎ 42-43-40

№2 (292)
12 – 18 იანვარი 2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
კამათი იურისტ „მამათა და შვილთა“ ანუ მშობელთა კრება „საიაში“ 3
სახალხო პროექტი
ყურადღებით იყავით – იქნებ, გასული საუკუნის გზავნილი თქვენს სახელზეც არის 4
საფრთხე
ქათმის გრიპი – დაავადება, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ნერვებს გვიშლის 6
თემა
კანონიერი ქურდები 8
სასიძო
ინტერვიუ, რომელიც მხოლოდ ქალწულებმა უნდა წაიკითხონ 12
ეკრანს მიღმა
„აუ, მაგარია!..“ ანუ უხელმძღვანელებს თუ არა დათო გოგიჩაიშვილი „მგეს“ 14
კონფლიქტი
„თუ ნიღბიანები მოგვიცვივდებიან, „სუხოი პაიოკს“ მოვიმარაგებთ...“ 15
კარიერა
ბედის შემობრუნება: შეაშველეთ ხელი – იქნებ, თქვენც სახელგანთქმული და მდიდარი გახდეთ 17
გზავნილები
ღვინით „დაგრეხილი“ კაცები და ლოდინით „გამხმარი“ ქალები ანუ ჩვენ ყველაგე მაგრები ვართ 20
სახე
ბაია ღვალიშვილის უჩვეულო „რომანი“, პალმა თუ ნაძვის ხე და კატა კატოს ბურუსიანი მომავალი... 24
კოლორიტი
ყარაბაღიდან ჩამოყვანილი აქლემი და ხუთი ცოლი ანუ არის თუ არა განქორწინება – მარცხი 26
განწყობილება
გასისინებული ავტომანქანა, მეც... მეც... და მეც 29
მომღერალი
ლექს-სენის ნათლული ბიგ-თიკო 30
რეკორდები 32
ჯანმრთელობა
იმუნიტეტი ვირუსების წინააღმდეგ 34
საკითხავი ქალებისთვის
როგორ მოვუაროთ სახის კანს გამთარში 36
მოდა
ხელმოკლე „მოდნიცებს“ თავად შეუძლიათ, შექმნან მოსდენილი ჩექმა 37

ყურადღებით იყავით – იქნებ, გასული საუკუნის გზავნილი თქვენს სახელზეც არის

„სახალხო პროექტი“, „გზავნილი მომავალში“, „ხიდი XXI საუკუნეში“ – ასე ამკობდნენ 5 წლის წინ, გაზეთ „კვირის პალიტრის“ პროექტს. ამ ინიციატივას ათიათასობით ადამიანი გამოეხმაურა და ფურცელზე გადატანილი საკუთარი გულისნადები, „კვირის პალიტრის“ სკივრით, ასი წლის შემდეგაც კი გაუგზავნა სასურველ ადრესატს.

4

გასისინებული ავტომანქანა, მეც... მეც... და მეც

„მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება“, – წაიმღერა ჯგუფ „ენსის“ ერთ-ერთმა წევრმა...

ისინი ცრუმორწმუნეები არ არიან, მაგრამ იმის კი სჯერათ, რომ თუ ღიმილით შეხვდებიან ახალ წელს, მაშინ მხიარულება დაებედებათ...



29

ყარაბაღიდან ჩამოყვანილი აქლემი და ხუთი ცოლი

„მეორე ვაჟი მესამე ცოლთან მყავს. მერე, კიდევ მყავდა ერთი ცოლი. მერე – მზეო (მზექალა გოგოჭური) და მე დავქორწინდით. ეს იყო 1987 წელს. 5 წელი ვიცხოვრეთ ერთად. მზეო არაჩვეულებრივი ადამიანია, ძალიან კარგი გოგოა, მაგრამ რა ვიცი, მაინც დავშორდით ერთმანეთს...“

26

ლექს-სენის „ნათლული“ ბიგ-თიკო

„სიმღერის ტექსტს მუსიკის ნებისმიერ ჟანრში დიდი დატვირთვა აქვს. ასევეა რეპშიც. საერთოდ, რეპს უფრო სოციალური დატვირთვა აქვს და აქცენტი სწორედ ამ მხარეზე კეთდება. თუმცა, თანამედროვე რეპში უკვე რომანტიკული ტექსტებიც გაჩნდა...“

30

საზღვრებს მიღმა

ელისო ბოლქვაძე: „ევროპა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ჰგავს, სადაც შენი ადგილი უნდა დაიმკვიდრო...“ 38

ვარსკვლავები 40

ჯადოქარი

ჰოლივუდის თოვლის ბაბუა ბრეიდი უაიტი: „მადონას ქალწულობას მეც კი ვერ დავუბრუნებ!“ 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 43

შემოქმედი

ლადო გუდიაშვილი მგზის დახატვას გაურბოდა... 47

წმინდანები

ვინ იყო წმინდა ბასილი დიდი 49

ფალავანი

როგორ დაასრულა დავით ციმაკურიძემ მარცხით დაწყებული ოლიმპიადა ოქროს მედლით 50

კრიმინალი

საახალწლო პერიოდის უბედური შემთხვევები და კრიმინალური დანაშაულები 53

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 54

ფავორიტები

გლატან იბრაგიმოვიჩი: „თხილამურებგზე ერთხელაც არ ვმდგარვარ“ 56

ძველი ჟურნალებიდან

წინამორბედი კოლეგების საახალწლო ხუმრობები 58

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაგე 59

ავტო 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

თქვენი სულიერი ასაკი 63

...და ბოლოს 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

უჩვეულო „რომანი“, პალმაა თუ ნაძვის ხე და კატა კატოს გურუსიანი მომავალი...

„კუჩხი ბედინერში“ რომ გადამიღეს, პატარა ვიყავი, ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, ამიგომ გადაღებებიდან ცოტა რამ მახსოვს. სამაგიეროდ, რეზო ესაძემ რომ დამიძახა „ნეილონის ნაძვის ხეში“ გადასაღებად, უკვე ინსტიტუტი მქონდა დამთავრებული“.

24

ლადო გუდიაშვილი მგზის დახატვას გაურბოდა...



საქორწინო მოგზაურობის პირველი დღე უიღბლო აღმოჩნდა: როგორც კი გაგრაში ჩავიდნენ, ლადომ რაგომღაც ჯიბეზე მოისვა ხელი და... „ჯიბის ოსტატებს“ უკანასკნელი მანეთიც წაელოთ... ის ღამე ბღვის ნაპირზე გაათენეს. კიდევ კარგი, რომ გაგრაში ვერიკო ანჯაფარიძე და ბესო ჟღენტი ისვენებდნენ...

47

ჰოლივუდის თოვლის ბაბუა – ბრეიდი უაიტი: „მადონას ქალწულობას მეც კი ვერ დავუბრუნებ!“

მას „ვარსკვლავთა სანტასაც“ ეძახიან. ზოგიერთს ბრეიდი უაიტის პროფესია მსოფლიოში ყველაზე საინტერესოდ მიაჩნია, ლოს-ანჯელესის მკვიდრი უაიტისათვის კი, რომელიც უკვე მეოთხედი საუკუნეა, საშობაოდ VIP-სასწაულებს ახდენს – ეს მაღალანაზღაურებადი ხელობა ჩვეულებრივ საქმიანობად იქცა.

41

თქეში

– ჩემმა ძმამ მითხრა – ბიძაჩემს კიდევ ერთხელ შევაწუხებ და გივის მთელ ფულს ერთად მოვატანინებო, – მაგრამ მეშინია, ჩემ გამო, კაცები რაიმე შარში არ გაეხვიონ.

– მართალიც ხარ... ვერ ხედავ, კანონიერ ქურდებს როგორ პანტაპუნტით ყრიან ციხეში?!

43

ყამათი იურისტ „მამათა და შვილთა“ ანუ მშობელთა კრება „საიაში“

ორგანულად ვერ ვიტან, როცა ორი ადამიანი ან ადამიანთა ორი ჯგუფი ჩხუბობს, მინდა ჩავერიო და გავაშველო. მაგრამ მახსენდება, რომ პროვოკატორი ვარ და არა მშვიდობის მტრედი. თან იმასაც ვითვალისწინებ — გამშველებელს მეტი ხვდებაო, რომ ამბობენ და იძულებული ვხდები, შორიდან ვუყურო და მაქსიმალური სიამოვნება მივიღო.

„სასიამოვნოს“ კი ამ მხრივ, რა დალევს ჩვენს ქვეყანაში, სადაც დილით პარლამენტარები ჩხუბობენ, შუადღისას — საკრებულოს წევრები, საღამოს — პარლამენტარები და საკრებულოს წევრები, ღამით კი — „მუშათა და მშრომელთა ფრჩხილებიანი პარტიის“ ლიდერი აჯამებს ამ ჩხუბების შედეგებს. მართლაც, საქართველოში ჩხუბობს ყველა: ჩხუბობენ „მარშრუტკების“ მძღოლები — „შენი მადლობა მივუტანო საღამოს შვილებს?!“; ჩხუბობენ ტელეწამყვანებიც და ისეთი ტონით გვიყვირიან, „დიდი ფეხბურთი „მზეზეო“, რომ თუ მარტო ხარ სახლში, ტელევიზორის ჩართვისაც შეგეშინდება; ერთი შეხედვით უწყინარი მზარეულიც კი გვატერორებს სარეკლამო ბლოკებში, ცხვირწინ გვიტრიალებს „მირიქალ-ბლეიდის“ დანებს და გვაშინებს, თუ ახლა ვეღარ გადაიხდი 499 ლარს, ამ ფეხსაცმელივით, ტერფში მოგაჭრი ფეხსო...

ამ ყველაფერს, ასე თუ ისე, შევეჩვიეთ, მაგრამ თუ იურისტებიც წაეკიდებოდნენ ერთმანეთს, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. მერედა, რა იურისტები, რა ბიჭები და გოგოები — ნამდვილი „საიელები“. „საია“ ქართული სიტყვაა და სუსტ არაყს, რახს ნიშნავს, თუმცა ამავე აბრევიატურით იცნობს ყველა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, რომელიც იმდენად სატრამპლინო ორგანიზაციად ითვლება, რომ კომკავშირს არ გაუტყორცნია იმდენი კაცი საბჭოთა ხელისუფლებაში, რამდენიც „საიას“ — პარლამენტსა და კანცელარიაში. იყო დღეს „საიაში“, ნიშნავს იყო ხვალ ხელისუფლებაში.

მაგრამ ხელისუფლებაში მისასვლელად რა დაელოდება არჩევნებს, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ ტარდება. ხოლო თუ პირდაპირ პრეზიდენტობა გინდა, მთლად უარესი — მინიმუმ 5 წელი უნდა იცადო. ამიტომ შეუნთეს ხელისუფლებიდან წასვლის დასაჩქარებელი ცეცხლი ნორჩმა იურისტებმა ყოფილ „საიელებს“ და კრიტიკა კრიტიკაზე დასცხეს, კონსტიტუციაში და კოდექსში ასე არ წერიაო, უკაცრავად პასუხია და, საწევროები გაქვთ გადასახდელიო...

ამიტომ მოხდა „მამათა და შვილთა“ დაპირისპირება და გათავხედებულ „შვილებზე“ საპასუხო იერიში მიიტანეს „მამებმა“: „შიდა ქართლსკი ჰერცოგმა და ამირსპასალარმა სრულიად საქართველოისამ“ ირაკლი ოქრუაშვილმა არც „საიას“ ახლანდელი „პრინცესა ანა“ დაინდო და განაცხადა — ეგ ორგანიზაცია ძლიერი ჩვენ გამო იყო, თორემ ეგენი რისი იურისტები არიან, ორი წიგნი არა აქვთ წაკითხულიო (ზედმეტი კრიტიკა მოგსვლიათ, ირაკლი ბატონო, თორემ რა აუცილებელია იურისტისთვის ორი წიგნის წაკითხვა, როცა სისხლის სამართლის კოდექსი ერთ წიგნადაცაა გამოცემული)...

თავისი სიტყვა არც მეორე ვეტერანმა „საიელმა“ — იმერეთის ექსგუბერნატორმა და შს მინისტრის ექსმოადგილემ დააყოვნა, ეგენი თუ ჭკუით არ იქნებიანო... (ნეტა, რა იგულისხმა?!, არადა, რაც არ უნდა ეგულისხმა, თავისი სიტყვის „ატვეჩაია“. მტრისას, თუ გაბრაზდა, ისეთი სნაიპერია, „პასტას“ ბოთლში აძვრენს“).

მოკლედ, რით დამთავრდება ასეთი მწვავე იურიდიული კონფლიქტი, არავინ იცის. ალბათ, ნაკლებად მოსალოდნელია, მაგათი შიშით პრეზიდენტი თავისთავს შეუვარდეს კაბინეტში ვარდით ხელში, გადადექიო. უფრო, „საიას“ დახურავენ მისი დამფუძნებლები, მაგრამ არც ესაა ტრაგედია. ადგებიან ახლანდელი „საიელები“, ახალ ორგანიზაციას დააფუძნებენ სახელწოდებით „რახი“ (რეფორმატორი ახალგაზრდების ხარისხიანი იურისპრუდენცია) ან „ჭაჭა“ (ჭკვიანი ადამიანების ჭეშმარიტი აკადემია) და იმუშავებენ ძველებურად, ოღონდ ამ ახალი „ტრამპლინით“, თითქმის შეუძლებელი გახდება პარლამენტის ან კანცელარიის ფანჯარაში შეხტომა...

P.S. „საიას“ დამფუძნებელთა კრებაზე:

— ახალგაზრდა იურისტები გვიპირისპირდებიან.

— რას დაგვაკლებენ, ორი წიგნი არა აქვთ წაკითხული. მაინც, რაო, რა გვინდაო?

— საწევროები არ გადაგიხდიათო.

— რა პრობლემაა, დავფარავთ. კიდევ?

— კიდევ, იურისპრუდენციის კანონებს არღვევთო. წიგნში ასე არ წერიაო...

— ერთი ვერ მოვიცალე მაგის წასაკითხად. ვიშოვი ერთი და ვნახოთ, რას ვარღვევთ...

პროვოკატორი

„სახალხო პროექტი“, „გზავნილი მომავალში“, „ხიდი XXI საუკუნეში“ — ასეთი ეპითეტებით ამკობდნენ 5 წლის წინ, გაზეთ „კვირის პალიტრის“ პროექტს. მაშინ ამ ინიციატივას ათიათასობით ადამიანი გამოეხმაურა და ფურცელზე გადატანილი საკუთარი ნააზრევი თუ გულისნადები, „კვირის პალიტრის“ სკივრით, ხუთი, ათი, ოცდახუთი, ორმოცდაათი და ასი წლის შემდეგაც კი გაუგზავნა სასურველ ადრესატს. ახალი წლის დღეებში, სახელმწიფო არქივში დაცული „მომავლის გზავნილების“ პირველი სკივრი გაიხსნა. აღმოჩნდა, რომ ხუთი წლის წინ, ადამიანები წერილებს არა მარტო ახლობლებს, შვილებს, შვილიშვილებს, მომავალ მეუღლეებს სწერდნენ, არამედ მიმართავდნენ მომავალ საქართველოს პრეზიდენტს და თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე ახალგაზრდა და უცოლო პარლამენტარსაც კი. სკივრში დაცულ წერილებს შორის, ზოგადი ხასიათის გზავნილებიც იყო. ჩვენი თანამემამულეები მიმართავდნენ ქართველ ერს, ჩვენს ქვეყანას, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს და ყველაზე მდიდარ ადამიანს საქართველოში. ეს პროექტი ზუსტად საუკუნე გასტანს და ეტაპობრივად, 2010, 2025 და ა.შ. წლებით დათარიღებული გზავნილები გაიხსნება. მანამდე კი, წერილები შეინახება იმ დაწესებულებაში, სადაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიაა დაცული...

ყურადღებით იყავით

— იქნებ, გასული საუკუნის გზავნილი თქვენც გახსოვთ

ემა ტუხიაშვილი

გიორგი თევდორაშვილი, *„კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი:*

— ეს გახლავთ „კვირის პალიტრის“ საუკუნის პროექტი, რომელსაც იმთავითვე, ძალზე ბევრი ადამიანი გამოეხმაურა. იდეის განხორციელებისას, ჩვენ გვერდით იყვნენ ისეთი ადამიანები, როგორებიც გახლავან ბატონები თემურ წიკლაური და გიზო ნიშნიანიძე. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელობისთვის, რომელმაც ეს წერილები დღემდე შემოგვინახა და პროექტის დასრულებამდე ჩვენ გვერდით აპირებს ყოფნას.

თემურ წიკლაური:

— წერილი, რომელიც 2000 წელს, ჩემს შვილს გავუგზავნე, 2010 წლითაა დათარიღებული, ამიტომ მის ადრესატს კიდევ 5 წელი მოუწევს მოცდა. სხვათა შორის, მახსოვს, ამ წერილს რომ ვწერდი, თითქოს აზრებს ვერ ვაწყობდი, ფაქტობრივად, მომავალი საუკუნისთვის უნდა მიმემართა და ძლივს ჩამოვაყალიბე ჩემი სათქმელი...

გიზო ნიშნიანიძე:

— ჩვენი დროის ერთი ხუმრობა მახსენდება: კაცი იჯდა და წერილს წერდა. ვის სწერო? — ჰკითხეს. — საკუთარ თავსო, — მიუგო მან. რა წერია მაგ წერილშიო? — ჩაეკითხნენ ისევ. — არ ვიცი, ჯერ არ მიმიღიაო, — იყო პასუხი... მინდა გითხრათ, რომ სწორედ ახლა ვმუშაობ წიგნზე, რომლის სათაურიც ჯერჯერობით არა მაქვს მოფიქრებული და სადაც ჩემს შთამომავლობას ვუზიარებ იმას, რასაც წლების განმავლობაში განვიცდიდი. სხვათა შორის, სერვანტესს აქვს ნათქვამი „დონ კიხოტზე“: როდესაც ეს წიგნი გამოვა, მე უკვე ცოცხალი აღარ ვიქნებიო. ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს, მაგრამ როდესაც ამ განწყობილებით წერ რაღაცას, გაცილებით გულწრფელი ხარ აზრების გამოხატვისას... დარწმუნებული ვარ, რომ ის სიტყვები, რომლებიც „კვირის პალიტრის“

ეს გახლავთ „კვირის პალიტრის“ საუკუნის პროექტი, რომელსაც იმთავითვე, ძალზე ბევრი ადამიანი გამოეხმაურა

სკივრებში ინახება, ჩვენს შთამომავლობას ბაჯაღლო ოქროდ გამოადგება.

გორა ტყეშელაშვილი, *პროექტის იდეის ავტორი:*

— ამ პროექტით, თითოეულ ადამიანს მივეცით შესაძლებლობა, შთამომავლობისთვის საკუთარი განცდები გადაეცა, მოეთხრო, თუ რას განიცდიდა ის XX და XX საუკუნეების მიჯნაზე. პროექტი იდეაშივე აიტაცა „კვირის პალიტრის“ მაშინდელმა მთავარმა რედაქტორმა, ქალბატონმა ლალი გუნთაიშვილმა და სკივრში საკუთარი, 2100 წლისთვის განკუთვნილი წერილიც მოათავსა. მახსოვს, ამ წერილით ის მიმართავდა გაზეთ „კვირის პალიტრის“ მომავალ მთავარ რედაქტორს — იმას, ვინც ამ გაზეთს 100 წლის შემდეგ უხელმძღვანელებს...

P.S. ყოველ ორშაბათს, „კვირის პალიტრაში“ გზავნილების ადრესატთა სია ქვეყნდება, ასე რომ, გაორმაგებული ყურადღებით დაელოდეთ თქვენს გაზეთს: ვინ იცის — იქნებ, გასული საუკუნის გზავნილი თქვენს სახელზეც არის გამოგზავნილი...

ახლა კი, შემოგთავაზებთ რამდენიმე ბარათს, რომელიც „კვირის პალიტრის“ წლევანდელი სკივრიდან ამოვიღეთ.

ადრესატი: ქართველი ერი

„ქართველო ხალხო!

ვუსურვებ ჩვენს ერს გამრავლებას და ბედნიერებას. უღრუბლო ზეცას. მოთმინებით და სიყვარულით მოვეპყროთ ერთმანეთს. გვქონდეს ღმერთის რწმენა და შიში. აღორძინებულიყოს და გაძლიერებულიყოს ჩვენი პატარა და კოხტა საქართველო.

ქართველო ხალხო! დავეხმაროთ გაჭირვებულთ. მე იმედი მაქვს, რომ ამ სიდუხჭირეს მალე, ბოლო მოეღება და ყველა იქნება ბედნიერი. ვაკუთოთ მხოლოდ სიკეთე. გვიყვარდეს ერთმანეთი და მომავალი თაობა აღვზარდოთ სიყვარულით და სათნოებით. ხელი ჩავკიდოთ ერთმა-

დარწმუნებული ვარ, რომ ის სიტყვები, რომლებიც „კვირის პალიტრის“ სკივრებში ინახება, ჩვენს შთამომავლობას ბაჯაღლო ოქროდ გამოადგება

ნეთს და ვიაროთ ქრისტეს გზით. გვფარავდეს უფალი. ამინ!!!

კეკუა შორენა ნუგზარის ასული“.

ადრესატი: გაზეთ „კვირის პალიტრას“, გამოსაქვეყნებლად

„არც ვიცი, რით დავიწყო, რადგან ცხოვრებამ მე გვერდზე ჩამიარა, თუმცა, ვიმყოფები ცხოვრებაში, მიხარია სიკეთე და მწყინს ავი ამაქვეყნისა. არა აქვს აზრი, ეს ბარათი ისევ ჩემს მისამართზე რომ გავაგზავნო ან

მახსოვს, ამ წერილს რომ ვწერდი, თითქოს აზრებს ვერ ვაწყობდი, ფაქტობრივად, მომავალი საუკუნისთვის უნდა მიმემართა

ვინმე ახლობლის სახელზე, რადგან გულწრფელად არავის ვედარდები. თუმცა ამ ქვეყანაზე არაფერი დამიშავებია, გარემო რატომღაც, მტრულად განწყობილი აღმოჩნდა ჩემთვის. კონვერტზე დაწერილი გვარ-სახელი არ შეესაბამება სინამდვილეს. წლების მანძილზე, დაკვირვების ობიექტად ვარ ქცეული, დედასთან ერთად (ოჯახში მხოლოდ მე და დედა ვართ). დევნისა და მუდმივი ფარული მტრობის გამო, ცხოვრებაში ვერაფერი შევძელი. XXI საუკუნეში კი, ვისურვებდი, საქართველოში აღარავინ იყოს ასერიგად უფლებააყრილი და შეზღუდული, როგორც მე და დედა. როცა ადამიანს უფლებები კი გვაქვს, მაგრამ თავის დაცვა კი არ ძალგვიძს, რადგან გარემო შენი წინააღმდეგია... და უნებლიეთ გაგონდება „სახარებისეული“ სიტყვები: „ჯვარს აცვი ეგე!“ ღმერთმა ინებოს, რომ საქართველომ არა მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობა შეიძინოს, არამედ ზნეობრივიც. ეგოცენტრიკული არსებებით მოზეიმე ქვეყანა ვერასოდეს გახდება ჭეშმარიტად ბედნიერი. სიყალბე სიკეთის მომტანი არასოდეს ყოფილა... ჩემი მაგალითიც კმარა იმის დასადგენად, თუ რა ცოდვის მორევში დგანან ადამიანები და ისინი ბევრნი არიან, ადამიანები, რომლებიც ასე ადვილად და დაუფიქრებლად მიექანებიან უფსკრულისაკენ... რადგან ანონიმურად, ბევრისთვის ნაცნობ ფაქტზე გესაუბრებით, შესაძლოა, გამოქვეყნების შემდგომ, ზოგიერთები გამოგეხმაურონ კიდეც. დაე, მკითხველმა თავად ამოიცნოს ამ ბარათის ავტორის ნამდვილი სახელი და გვარი. დაწვრილებით დაწერას აზრი არა აქვს, რა ხდება ჩემს თავს. მთელი ის დრო, რაც ვარსებობ, ვიბრძვი... მაგრამ ამ ბრძოლას არანაირი აზრი არა აქვს, როცა მარტო ხარ. არ ვიცი, იმ დროისათვის, რომელშიც ვაგზავნი ამ ბარათს, როგორი იქნება ჩემი ცხოვრება, მაგრამ ყველას გისურვებთ სიკეთეს, სიყვარულს და ბედნიერ ცვლილებებს.

7 იანვარი. ქრისტეშობა. 2001 წ.

ნესტან ფარსადანის ას. გარიყული“.

ადრესატი: მიხეილ სააკაშვილი

„თუ მომავლის და რწმენის პროექტია, მინდა, მომავალში მჯეროდეს (და მჯერა კიდეც), რომ საქართველოს პრეზიდენტი 2005 წელს თქვენ იქნებით. მე ძალიან მომწონს თქვენი შემართება და მჯერა, რომ თქვენ ხალხს გამოიყვანთ ჩიხიდან, რომელშიც დღეს იმყოფება. ღმერთმა ქნას, ჩემი რწმენა ასრულდეს. დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული.

თქვენ უცნობი მეგობარი — ლია. 2001 წლის 5 იანვარი

ოტიაშვილი ლია თენგიზის ასული“.

ადრესატი: მომავალი ქართველი

„ხუთი წელი გავიდა ამ ბარათის დაწერიდან. ჩემო უსაყვარლესო შთამომავალო, შენ... ვინც ქართულ მიწაზე იფურჩქნები, ღმერთმა არ ქნას, რომ ჩემი თანამედროვეებივით, ზეზეულად ხმებოდე (მე ახლა ამის განჭვრეტა ნამდვილად არ ძალმიძს, რადგან 5 წელიწადში, ბევრი კარგიცა და



თითოეულ ადამიანს მივეცით შესაძლებლობა, შთამომავლობისთვის საკუთარი განცდები გადაეცა

ცუდიც შეიძლება მოხდეს)... ქართული ხასიათის ძირითადი თვისებაა გამოუსწორებელი ოპტიმიზმი... ამ იმედებით გეხმაურები... მჯერა, რომ მსოფლიო თანამეგობრობაში, რომელიც ჩემი რწმენით, სიმშვიდის ფაზაში შედის, შენც დაიკავებ ღირსეულ ადგილს. ივლი უფლის გზით, მისი კეთილი ნებითა და მრავალჟამიერ დააგუგუნებ „ლილეოსა“ და „შენ ხარ ვენახოს“, დაატკბობ გარე სამყაროს შენი განუმეორებელი ჰანგების ჰარმონიით... კვლავაც აღაშენებ გელათს და სვეტიცხოველს, დაწერ „ვეფხისტყაოსანს“, შექმნი ოქროცურვილ ვაზის ჩუქურთმას, დედა ღვთისას უნატიფეს ნაკვთებს... მჯერა, რომ ქართული მიწის სურნელით, კავკასიონის ფერდობებიდან დაშვებული შმაგი მდინარეების ნაკადულებით, ულამაზესი ოქროს საწმისის სიკაშკაშით გასხივებულ ბაღჩა-ბაღებში მოყვანილი ხილის, ბაღჩეულის გემოვნებით, ღვინის სიკეთით მარადის დატკბები... მინდა მჯეროდეს, რომ ეს ასე იქნება, რადგან საქართველო, მართლაც ჯვარზე გაკრული, გმირი წინაპრების სისხლით მორწყული მიწა, ხარობს და არავის, უფლის გარდა, არ ხელეწიფება ქართველთა აყრა და გადაშენება ამ მიწიდან და თუ უფალმა მართლაც ასე ინება, მაშ ღირსი ვყოფილვართ ამ სასჯელისა და დაე, აღსრულდეს ნება მისი... ჩვენ ხომ აგერ, 20 საუკუნეა ვიმეორებთ — „იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“...

შენ გაგიმარჯოს, ჩემო მომავალო ქართველო... არა შინაარსგამოცლილო, უაზრო ცნებავ, არამედ განსხეულებელო ქართველო გენო, ისეთო, რომელიც ვაჟკაცობის, კეთილშობილების, ყოველგვარ ფიზიკურ და სულიერ სილამაზეს ზიარებულ, უფლის გზაზე მავალ, საუკუნეებში გამოვლილ, დახვეწილი სისხლის მატარებელ მიწაზე მყარად მდგომ არიელს ეკადრება... და თუ კაცობრიობის მომავალს საფრთხე არ ემუქრება, შენ, ჩემო მომავალო ქართველო, უეჭველად უნდა იკეთილო, რადგან უფალი, რომელიც მთელი შენი მრავალსაუკუნოვანი ტანჯული ისტორიის მანძილზე (მიუხედავად შენი უამრავი მანკიერებისა), მაინც გიფარავდა, ახლაც გიპატრონებს, რადგანაც მისი სიკეთე დაუსაბამოა... ხოლო შენ მისი მარადჟამს გწამდა...

ნათელა ბერიანიძე, ვლადიმერის ასული, 1950 წ.“

ყოველ ორშაბათს, „კვირის პალიტრაში“ გზავნილების ადრესატთა სია ქვეყნდება, ასე რომ, გაორმაგებული ყურადღებით დაელოდეთ თქვენს გაზეთს

მეზობელ თურქეთში ფრინველის გრიპით დაავადებულ პაციენტთა რაოდენობა მატულობს. საქართველოში კი, დაავადების პრევენციის მიზნით, არაერთი ღონისძიება ტარდება: გაძლიერებულია კონტროლი სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, ქვეყანაში შემოსულ ყველა სახის ტრანსპორტს უტარდება დეზინფექცია, მოსახლეობას ურიგდება საინფორმაციო ბუკლეტები. და მაინც, ყველას აღელვებს კითხვა — რამდენად არის დაცული ქვეყანა დაავადებისგან?

ქათმის გრიპი - დაავადება, რომელიც ჯერჯერობით მსოფლიო ნერვებს გვიშლის...

ვახამგულ მაღლაკელიძე, *ვეტერინარიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე:*

— საქართველოს საზღვრებზე დღეისათვის თავმოყრილია გერმანული სადეზინფექციო ტექნიკა და სპეცტანსაცმელი. მაქსიმალურად კონტროლდება ყველა სახის ტრანსპორტისა და საზღვარზე გადმოსული თითოეული ადამიანის დეზინფექციის პროცესი.

— საკმარისია, შესაბამისი ხსნარებით მანქანების მხოლოდ საბურავების დამუშავება, როცა შეიძლება, ვირუსი მანქანის ძარაზე ან სახურავზე იყოს?

— შეუძლებელია, ვირუსი მანქანის ძარაზე აღმოჩნდეს, მაშინ, როცა მანქანის დეზინფექცია საბურავებზე ჩატარდება. ძირითადად, ვირუსის გადამტანს მანქანის საბურავები წარმოადგენს და აუცილებელია, დეზინფექცია, პირველ რიგში, მანქანის ამ ნაწილებზე ჩატარდეს.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ეს ქათმის გრიპი, ფრინველთან კონტაქტის გარდა, ადამიანზე ცხოველისგან გადავიდეს, თუ მას დაავადებულ ფრინველთან ჰქონდა კონტაქტი?

— მსგავსი ფაქტი ჯერჯერობით, არსად დაფიქსირებულა და გამორიცხულია, რომ დაავადებული ფრინველისგან ცხოველი დაინფიცირდეს.

— ფრინველის გრიპის ვირუსის ადამიანზე გადაცემის მიზეზად, დღემდე არსებული ჰაერწვეთოვანი გზის გარდა, სხვებიც ხომ არ დაფიქსირებულა?

— დაავადებულ ფრინველთან ადამიანის კონტაქტის გარდა, ვირუსის გადაცემის სხვა გზები არ არსებობს. პრაქტიკულად შეუძლებელია, დამზადებული საკვებისაგან ადამიანის დაავადება. რაც შეეხება დაავადებული ფრინველის დამუშავებას — აუცილებელია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების ზედმიწევნით დაცვა.

— თურქეთის გარდა, ფრინველის გრიპის გავრცელების საშიშროება რომელი ქვეყნებიდან გვემუქრება?

— დღესდღეობით, საქართველოსთვის საშიშროებას წარმოადგენენ: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ჩინეთი, ჰონკონგი და ვიეტნამი. შესაბამისად, ამ ქვეყნებიდან ქათმის პროდუქტის შემოტანა აკრძალულია და ხალხის შემოსვლაც მაქსიმალურად კონტროლდება.

დაავადებულ ფრინველთან ადამიანის კონტაქტის გარდა, ვირუსის გადაცემის სხვა გზები არ არსებობს. პრაქტიკულად შეუძლებელია, დამზადებული საკვებისაგან ადამიანის დაავადება

რა ვითარებაა ჩვენს მეზობელ თურქეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, საიდანაც შესაძლოა, საფრთხე დაგვემუქროს? ამ კითხვაზე სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს მიერ გავრცელებული ცნობები გაგვცემს პასუხს.

ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, თურქეთის საკურორტო ქალაქ კუშადასიში ფრინველის მასობრივი დაღუპვის შემთხვევები დაფიქსირდა. ექსპერტების წინასწარი მონაცემებით, შინაური ფრინველისა და მტრედების დაღუპვა ქათმის გრიპმა გამოიწვია, — იუწყება თურქეთის ტელევიზია.

ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, აიდინის ადმინისტრაციულ ცენტრში, ამავე დასახელების პროვინციაში მდებარე კუშადასიში შინაური ფრინველის ხოცვა დაიწყო. თუ კუშადასიში ფრინველის, H5N1 ვირუსით დაინფიცირება დადასტურდა, ეს იქნება სასიკვდილო ვირუსის გავრცელების პირველი შემთხვევა ქვეყნის საკურორტო რაიონებში, სადაც ყოველწლიურად, 20 მლნ უცხოელი ტურისტი ისვენებს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) 9 იანვარს დაადასტურა, თურქეთში ქათმის გრიპით ადამიანთა დაინფიცირების 14 შემთხვევა. ამ განცხადებით, ჟენევაში ორგანიზაციის პრესმდივანი, ქრისტიან მაკნები გამოვიდა.

ანალოგიური განცხადება გააკეთა თურქეთის ჯანდაცვის მინისტრმა, რადუპ აკდაგმა ქალაქ ვანში, სადაც ახალი წლის პირველ დღეებში, ერთი ოჯახიდან 2 მოზარდი დაიღუპა. 10 იანვარს კი, დადასტურდა ინფიცირების მე-15 შემთხვევა, — იუწყება CNN Turkey: ტელეარხის ინფორმაციით, დაავადებულია ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარე პროვინცია სივაის მცხოვრები.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ

თურქეთში ელოდებიან ანალიზების შედეგებს, რომლებიც რამდენიმე სავარაუდოდ

დაინფიცირებულ ადამიანს აუღეს. თურქეთის ნაციონალურ ინფექციურ ცენტრში მიიჩნევენ, რომ ანალიზების პასუხები ფრინველის გრიპით მათი დაავადების ფაქტს დაადასტურებს.

ამასთან ერთად, ჯანმო-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თურქეთში ჯერ არ მომხდარა ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის შემთხვევა.

„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად დაადასტურა ადამიანის H5N1-ით დასნებოვნების ოთხი შემთხვევა, საიდანაც ორი ლეტალური შედეგით დასრულდა“, — აღნიშნა ჯანმო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, გენელ როდიემ.

თურქეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, დღესდღეობით, ქათმის გრიპის ვირუსის არსებობა 16 პროვინციაშია დადასტურებული, ძირითადად — აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში. სიაში ფიგურირებენ ასევე, სტამბოლი და ანკარა. სპეციალურ ლაბორატორიაში გრძელდება დაახლოებით 100-მდე ადამიანის სისხლის ტესტირება.

14-მილიონიან სტამბოლში, ადგილობრივი გუბერნატორის განკარგულებით, ბაზრებში ქათმის ხორცის გაყიდვა აიკრძალა და ნაწილობრივ, კარანტინი გამოცხადდა. ადრე, ანალოგიური ზომები მიიღეს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში. სტამბოლის სამ რაიონში, სადაც შინაურ ფრინველს ვირუსი H5N1 აღმოაჩნდა, 3-კილომეტრიან ზონაში ფრინველის დახოცვა დაიწყო.

მთლიანად თურქეთში ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, 100 ათასზე მეტი შინაური ფრინველია განადგურებული. შინაურ ფრინველს ყველა იმ რაიონში ხოცავენ, საიდანაც ცენტრალური ხელისუფლება ქათმის გრიპის გამოვლენის შესახებ ინფორმაციას იღებს.

იაპონიაში 77 ადამიანს აღმოაჩნდა ქათმის გრიპი. დაავადებულები საიტამის და იბარაკის პრეფექტურების მკვიდრნი არიან.

როგორც სააგენტო ამერიკული „ასოშეიტედ პრესი“ იუწყება, ამ ადამიანების სისხლში H5N2 ვირუსის შტამი აღმოჩნდა. ეს ვირუსის უფრო სუსტი ნაირსახეობაა, ვიდრე ადამიანისთვის სასიკვდილოდ საშიში H5N1. აღსანიშნავია, რომ იაპონიის ჯანდაცვის სამინისტრო ფრინველის გრიპით 77 ადამიანის დასნებოვნების ინფორმაციას ჯერჯერობით არ ადასტურებს. ოფიციალურად, ქვეყანაში H5N2-ით ადამიანის დაავადების მხოლოდ 1 შემთხვევაა დაფიქსირებული. იაპონიაში სასიკვდილო შემთხვევები არ ყოფილა.

ჩინეთში 11 იანვრამდე, ფრინველის გრიპით 8 ადამიანი დაავადდა, მათ შორის 5 გარდაიცვალა. კიდევ ერთი — 6 წლის ბიჭი ამჟამად, საავადმყოფოში იმყოფება. მას ქათმის გრიპის სიმპტომები აქვს და ექიმები მის

„გვაქვს როგორც პესიმიზმის, ასევე ოპტიმიზმის საფუძველი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქათმის გრიპი არც ისეთი მომაკვდინებელია, როგორიც დღემდე გვეგონა“... — ამბობს კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, არტურ რეინგოლდი

გადასარჩენად იბრძვიან. ჩინეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, გუჯოუს პროვინციაში დაავადების ახალი აფეთქება აღინიშნა. სამინისტროს მონაცემებით, იქ 16 ათასი მწყერი დაიღუპა და ხელისუფლებამ რეგიონში 42 ათასი ფრთა ქათამი გაანადგურა.

როგორც ცნობილია, თურქეთის გარდა, ჩვენს მეზობლად არც ერთ ქვეყანაში არ დაფიქსირებულა ქათმის გრიპით დაავადების ფაქტები. რასაკვირველია, ეს დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს, რასაც ევროსაბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც მოწმობს: მან აკრძალა თურქეთის მოსაზღვრე ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდან საკვები პროდუქტების იმპორტირება. ამავე დროს, ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს ზოგიერთი სპეციალისტის დასკვნები, რომლებიც, ერთი მხრივ, ატიპური პნევმონიის გამო შარშან ატეხილ პანიკას გვახსენებს, მეორე მხრივ კი, უშუალოდ ქათმის გრიპთან დაკავშირებით დამაიმედებელ პროგნოზებს გამოთქვამს. მაგალითად, ინფექციურ დაავადებათა სფეროში მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, კალიფორნიის უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, არტურ რეინგოლდი ამბობს: „მართალია, ჯერჯერობით საბოლოო მონაცემებით ვერ დავიკვეხნით, მაგრამ ყველა საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ 1997 წელს, როცა ჰონკონგში ქათმის გრიპის პირველი შემთხვევები დაფიქსირდა, დაავადებულთა რიცხვი ოფიციალურ მონაცემებზე გაცილებით მეტი იყო. ამას ადასტურებს სისხლის ანალიზის შედეგები, რომლებიც რესპირატორული სენით დაავადებულებს ჩავუტარეთ. ამ ცოტა ხნის წინ კი, ვიეტნამში, იმ ადამიანებს, რომლებსაც დასნებოვნებულ ფრინველებთან ჰქონდათ კონტაქტი, უბრალო გაცივების სიმპტომები აღენიშნებოდათ და ის სერიოზულ ავადმყოფობაში არ გადაზრდილა. ცხადია, დასახელებული მაგალითები საფუძვლიან გადამოწმებას საჭიროებს, მაგრამ გვაქვს როგორც პესიმიზმის, ასევე ოპტიმიზმის საფუძველი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქათმის გრიპი არც ისეთი მომაკვდინებელია, როგორიც დღემდე გვეგონა“... ■

მოამზადებულია სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მასალების მიხედვით



სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რამდენიმე კვირის წინ დაწყებული ბუნტი დღესაც გრძელდება. ამ პრობლემასთან მიმართებაში სხვადასხვა მოსაზრება აქვთ სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამასთან, საინტერესოა, თუ რას აპირებს ის ხალხი, ვინც დღეს შიმშილობს და რა ბედი ელის კრიმინალურ ავტორიტეტებსა და მათ ოჯახებს. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, სახალხო დამცველს მივმართეთ. ასევე აუცილებლად მივიჩნიეთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის მესვეურის აზრის დაფიქსირება, რომელიც ამ სფეროში საქმიანობს. სამწუხაროა, რომ მას არსებულ მდგომარეობაზე, ომბუდსმენის პოზიციისგან მკვეთრად განსხვავებული შეხედულება აქვს.

კანონიერი ქურდები:

ბუნტის ძალა, ნაყიდი "ავტორიტეტობა" და იღუბიური ცხოვრების წესი

მარი ჯაფარიძე
თამარ როსტიაშვილი

სოზარ სუბარი, *სახალხო დამცველი:*

— სადღეისოდ, პენიტენციარულ სისტემაში უამრავი სოციალური პრობლემა არსებობს. როდესაც ოცადგილიან საკანში ორმოც პატიმარს მორიგეობით სძინავს, ბუნებრივია, მათ ხელისუფლების მიმართ პროტესტის გრძნობა უჩნდებათ. სამწუხაროდ, ასეთი სოციალური პრობლემები ციხეებში უკვე დიდი ხანია, დგას. პრობლემის მოსაგვარებლად, სათანადო დაფინანსება არის საჭირო. ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი პენიტენციარული სისტემისთვის სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად უფრო დიდ თანხას გამოყოფს. უკვე რამდენიმე დღეა, პატიმართა ახლობლები საპროტესტო აქციებს მართავენ. ზოგიერთ მათგანს იმდენად უმართებულო მოთხოვნა აქვს, უბრალოდ, კომენტარსაც კი ვერ ვაკეთებ ხოლმე. მაგალითად: რატომ წაართვა ციხის ადმინისტრაციამ პატიმარს მობილური ტელეფონი? რატომ იმყოფება ესა თუ ის პირი უკანონო პატიმრობაში?.. ძალზე ხშირად ვხვდები ამ ხალხს და ვუხსნი, რომ მათი მოთხოვნა უსაფუძვლოა. შეხვედრის დროს მეთანხმებიან, ტელეეკრანიდან კომენტარისას კი, სხვა რაღაცას ლაპარაკობენ.

— პატიმართა უფლებების დამცველნი აცხადებენ, რომ საპყრობილეებში სპეცრაზმელები ტუსაღებს ფიზიკურად უსწორდებიან. რა ინფორმაციას ფლობთ ამის შესახებ?

— ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. დეზინფორმაცია კონკრეტულმა ადამიანებმა, თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით გაავრცელეს. ნაცემია მხოლოდ სამი პატიმარი, რომლებმაც ძველი საპყრობილიდან ახალში გადმოყვანის დროს, სპეცრაზმელებს წინააღმდეგობა გაუწიეს. ლალი აფციაური აცხადებს, ვითომდა, სპეცრაზმელებს პატიმრები ყოველდღიურად ცემა-ტყეპაში ჰყავთ. ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

— თქვენ ამბობთ, რომ პატიმრები სოციალური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით შიმშილობენ. რამდენად რეალურია, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ პროტესტს სხვა საფუძველიც უნდა ჰქონდეს?

— ვერ გეტყვით, რომ 2500-მდე მოშიმშილე პატიმართა მოთხოვნა ხვალ და ზეგ დაკმაყოფილდება, მაგრამ თანდათანობით წინ რომ მივიწევთ, ეს ფაქტია. ვგულისხმობ, ქუთაისში ახალაშენებულ საპყრობილეს, სადაც ბევრად უკეთესი პირობებია, ვიდრე დანარჩენ საპყრობილეებში. ეს საპყრობილე საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. რაც შეეხება სხვა მიზეზებს, ამ საკითხზე ვერაფერს გეტყვით.

— როგორია პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობა? თუ უწევენ მათ სათანადო სამედიცინო მომსახურებას?

— ამჟამად, პატიმრების მდგომარეობა სტაბილურია. ტუსაღების უმრავლესობა შიმშილობას თანდათანობით წყვეტს. არსებობს ინფორმაცია, რომ ზოგი პატიმარი ამბობს — ვშიმშილობო, — და ამ დროს, ჩუმად საკვებს იღებს...

ლალი აფციაური, *არასამთავრობო ორგანიზაციის — „პატიმართა თანამეგობრობა“ — ხელმძღვანელი:*

— საპყრობილეებში ბუნტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ქუთაისის №2 ციხიდან გადაყვანილმა 100-მა პატიმარმა მოითხოვა, რომ მათთან ერთად, კრიმინალური ავტორიტეტებიც გადაეყვანათ. ეს 100 პატიმარი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ მოსყიდული „ქათმები“ და აგენტები იყვნენ, რომლებიც ბუნტის მიზეზად, არა სოციალურ პირობებს, არამედ კანონიერ ქურდებთან განშორებას ასახელებდნენ. ქუთაისში ახალაშენებული საპყრობილე, რომლის პრეზენტაციაც ჩვენმა ხელისუფლებამ პომპეზურად გამართა, სულაც არ არის იდეალური. ახალ საპყრობილეში არ არის გათბობა და წყალი, რემონტი დასამთავრებელია. ქუთაისის ძველ საპყრობილეში დარჩენილ პატიმრებს არ სურდათ ახალ ციხეში გადასვლა და ბუნტი ამიტომ ატეხეს, რის შემდეგაც, სპეცრაზმელები მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ. როდესაც ეს ინფორმაცია მივიღე, ქუთაისში გავემგზავრე. გადავწყვიტე, პატიმრები მომენახულებინა, მაგრამ სამწუხაროდ, დაცვის თანამშრომლებმა არათუ ციხეში შესვლის უფლება, არამედ ეზოში გავლის საშუალებაც კი არ მომცეს, რათა საპყრობილიდან გამოსული ხმები არ გამეგონა.

— სადღეისოდ, საპყრობილეებში რამდენი პატიმარი შიმშილობს?

— საქართველოში სულ 17 საპყრობილეა. მას შემდეგ, რაც ქუთაისის №2 საპყრობილეში მყოფმა პატიმრებმა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს, მათ მხარდაჭერა გამოუცხადეს სხვადასხვა საპყრობილის ტუსაღებმაც. სადღეისოდ, მოშიმშილე პატიმართა რაოდენობა 8 ათასს აღწევს. პატიმრებში, ჯანმრთელობის თვალსაზრისით, უმძიმესი მდგომარეობაა. დამიკავშირდნენ ე.წ. „კრიტიდან“ და მითხრეს, რომ არანაირი სამედიცინო მომსახურება ავადმყოფ პატიმრებს არ უტარდებათ. რამდენიმე დღის წინ გახლდით ქსნის კოლონიაში და ველა-

პარაკე ექიმს, რომელსაც უშუალო შეხება აქვს პატიმრებთან. როცა ვკითხე, როგორია პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობა-მეთქი, მან მიპასუხა — ამჟამად, კოლონიაში 600-ზე მეტი პატიმარი შიმშილობს და მე პასუხს არ ვაგებ იმაზე, თუ რომელიმე მათგანი შიმშილისგან გარდაიცვლება, რადგან ანალგინისა და ციტრამონის გარდა, სხვა სამედიცინო პრეპარატები არ გაგვაჩნიაო... სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სადღეისოდ, საპყრობილეებში კანონიერი ქურდების დევნა მიმდინარეობს.

— რის საფუძველზე აკეთებთ ამ განცხადებას?

—რამდენიმე დღის წინ, მე-7 საპყრობილეში გახლდით. ერთ-ერთ ოთახში ვიჯექი და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმრების შემოსვლას ველოდებოდი. ამ დროს, მომესმა ერთ-ერთი მათგანის — ელგუჯა დიღმელაშვილის განწირული ღრიალი. მისი ხმა ვიცანი და გავემართე იმ მიმართულებით, საიდანაც ხმაური ისმოდა. ჩემი თვალით ვნახე, თუ როგორ სცემდნენ სპეცრაზმის თანამშრომლები ელგუჯა დიღმელაშვილს. ავტეხე განგაში და წივილ-კივილი. საპყრობილის თანამშრომლები ჩემს დამშვიდებას შეეცადნენ. იქვე ვნახე უზომოდ ნაწამები ადამიანები, რომელთაც ტვინის შერყევა და მოტეხილობები აქვთ.

— რით შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ საპყრობილეებში პატიმრებს აწამებენ?

— მიუხედავად ჩვენი არაერთი მოთხოვნისა, კონკრეტული ჩინოვნიკები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის თანამშრომელს საპყრობილეებში არ უშვებენ, რომ მან პატიმართა დაზიანებული სხეულების ამსახველი დოკუმენტური მასალა სააშკარაოზე გამოიტანოს.

— პრეზიდენტმა ღიად განაცხადა, რომ ქვეყანაში ქურდული მენტალიტეტი უნდა აღმოიფხვრას. როგორც თქვენ ამბობთ, საპყრობილეებში კანონიერი ქურდების დევნა მიმდინარეობს. გამოდის, რომ მიღებული ზომები კამპანიური ხასიათის არაა. თქვენი აზრით, რა გაგრძელება ექნება ამ პროცესს?

— ხელისუფლებას თავისივე ქმედებები ბუმერანგივით შემოუბრუნდება. კრიმინალურ მენტალიტეტთან ბრძოლაში ძალისმიერი მეთოდების გამოყენება დაუშვებელია. ნებისმიერ ნორმალურ ადამიანში გაღიზიანებას გამოიწვევს, როდესაც ვინმე, ადამიანს უსამართლოდ აწამებს. ამდენად, მიმაჩნია, რომ ასეთი ქმედებების გაგრძელება ხელისუფლებას კარგს არაფერს მოუტანს.

დღევანდელ მოვლენებს უფრო ღრმად რომ ჩავწვდეთ, უპრიანია, გავიხსენოთ, თუ საიდან მოდის „კანონიერი ქურდის“ ცნება და რამდენად ღრმად აქვს ამ მოვლენას ჩვენში ფესვები გადგმული. თავს ნუ მოვიტყუებთ — ეს ცნება ხომ ისე დამკვიდრდა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, რომ თითოეული ჩვენგანისთვის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.



შეიცვალა კრიმინალური ავტორიტეტების ცხოვრების სტილიც: ისინი ახდენენ თავიანთი ბიზნესის ლეგალიზაციას, ცდილობენ პოლიტიკაში დამკვიდრებას

კანონიერი ქურდის განმარტება ასეთი გახლავთ: ეს არის დამნაშავეთა სამყაროს ელიტარული წარმომადგენელი, რომელსაც დამნაშავეთა იერარქიაში მაღალი მდგომარეობა უჭირავს. კრიმინალური სამყაროს ექსპერტებს დღემდე არ გააჩნიათ პასუხი კითხვაზე, თუ სად და როდის ჩაეყარა საფუძველი ამ ცნებას. ერთნი ამბობენ, რომ კანონიერი ქურდები მასობრივად 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გამოჩნდნენ ასპარეზზე და უმეტესად, ის ადამიანები იყვნენ, ვინც ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს, ჟანდარმთა კარტოთეკებში ირიცხებოდნენ კრიმინალებად, ბოლშევიკური წყობის დამყარების შემდეგ კი ცდილობდნენ, ახალ სახელმწიფოში ძველი კრიმინალური კანონები დაემკვიდრებინათ; სწორედ ამის გამო სარგებლობდნენ ისინი დამნაშავეთა სამყაროში ავტორიტეტით. მეორენი ამტკიცებენ, რომ კანონიერი ქურდის ინსტიტუტი XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს დამკვიდრდა.

ქურდულ სამყაროს საკუთარი დაუწერელი კანონები აქვს და კრიმინალური საზოგადოების „გენერლები“. ამ კანონებს მტკიცედ უნდა იცავდნენ. მათი „კოდექსი“ ძირითადად, ასე გამოიყურება: ქურდს ეკრძალება სახელმწიფოსთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა, მას არ უნდა ჰქონოდა (საბჭოთა პერიოდში) ჩაწერა, პასპორტი; ეკრძალება: მუშაობა, კანონის დამცველებთან კონტაქტი, ცოლ-შვილის ყოლა, ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლის შედეგადაც სისხლი დაიღვრება, ფუფუნების საგნების შეძენა; აუცილებლად უნდა უწევდეს მორალურ და მატერიალურ დახმარებას სხვა ქურდებს; უნდა ასრულებდეს „სხოდკის“ მიერ გამოტანილ განაჩენს.

დამნაშავეთა სამყაროსთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ე.წ. „სხოდკა“ (იგივე „სხადნიაკი“) იღებს. აღნიშნული „კოდექსის“ თანახმად, ახალი წევრების მიღება ხდება როგორც ზონებში, ასევე „სვაბოდაზე“. ამისათვის, ქურდები, რომლებიც ახალი წევრის მიღების ინიციატორად გამოდიან, წინათ, სხვა ქურდებს წერილს („მალიავა“) უგზავნიდნენ, სადაც ასახელებდნენ კანდიდატს და იწვევდნენ „სხოდკაზე“. შეკრებილნი ისმენდნენ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა აზრს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებდნენ გადაწყვეტილებას.

როგორც ძალოვანი სტრუქტურების, ისე დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ახლა, კანონები შეიცვალა და კრიმინალურმა სამყარომ ფეხი აუწყო თანამედროვე ცხოვრებას. მათ შორის გაჩნდნენ ე.წ. „აპელსინჩიკები“ — ეს ის ადამიანები არიან, ვინც ქურდის სახელი ფულით იყიდა. ქართველმა კრიმინალებმა ბოლო 2 წლის მანძილზე, შეამცირეს ასეთთა რიცხვი და ცდილობენ, გაამკაცრონ ახალი ადამიანების მიღების წესი, რადგან მიხვდნენ, რომ ქურდის „წოდებით“ ვაჭრობამ მათ ავტორიტეტს ჩრდილი მიაყენა. შეიცვალა კრიმინალური ავტორიტეტების ცხოვრების სტილიც: ისინი ახდენენ თავიანთი ბიზნესის ლეგალიზაციას, ცდილობენ პოლიტიკაში დამკვიდრებას. მათი დაჭერა ძალზე რთულია, რადგან თავად ქურდები დანაშაულს თითქმის არ სჩადიან, ამდენად, მათ წინააღმდეგ სამხილები არ არსებობს და მათი აყვანა უმეტეს შემთხვევაში, ნარკოტიკებისა და იარაღის „ჩაგდების“ გზით ხდება. ამჟამად, მხოლოდ 2 კანონიერი ქურდი იხდის სასჯელს „პროფილით“ — ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების შექმნისთვის...

XX საუკუნის 80-იან წლებში, ქურდული სამყარო დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს ქვეყანაში და ერთ-

ერთი გამოკითხვის დროს, სკოლის მოსწავლეთა 25%-მა აღნიშნა, რომ სურდა, ქურდი გამოსულიყო... 1985 წელს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებით, ძალოვან სტრუქტურებს ქურდების დაპატიმრება და იზოლირება დაევალათ. იმ პერიოდში, 52 კანონიერი ქურდი დააპატიმრეს, მაგრამ მოსამართლეებმა მათ ძალზე მსუბუქი სასჯელი აკმარეს: 9 ქურდი გაასამართლეს მაწანწალობისთვის, 14 — იარაღის უკანონოდ შენახვისთვის, 19 — ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისა და შენახვისთვის, ხოლო 6 — სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის. არც ერთი მათგანი არ დასჯილა უშუალოდ დანაშაულის ორგანიზებისთვის. მაგრამ დევნის ამ კამპანიამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ქურდების ერთმა ნაწილმა ქვეყანა დატოვა და უცხოეთს მიაშურა. ქურდული სამყაროსთვის მნიშვნელოვან ამ პერიოდზე მოგვითხრობს ყოფილი ძალოვანი, მილიციის პოლკოვნიკი, ამჟამად გაზეთ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი, ბატონი **ვაჟა გავაშელი**:

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ცეკას „კურთხევითა“ და ბრძანებით დაიწყო სააგიტაციო-პროპაგანდისტული შეტევა ქურდებზე. მაშინ, სამინისტროს პრესცენტრის უფროსად ვმუშაობდი და ეს კამპანია მე დამევალა. ვიქექებოდი მათ საქმეებში, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან ცოტა ხანში, თვითონვე გამაჩერეს...

— რისი გაკეთება გევალებოდათ?

— იმისათვის, რომ კრიმინალურ სამყაროს ებრძოლო, საჭიროა, ხალხს შეუქმნა მასზე ნეგატიური აზრი. მე უნდა მომეგროვებინა ქურდებზე კომპრომატები და პრესისა და ტელევიზიის საშუალებით დამენახვებინა საზოგადოებისთვის, რომ ქურდები არ არიან გმირები და რომ ისინი საზოგადოების ხორცმეტები არიან. მაგალითად, კანონიერ ქურდს, ანზორ აღაიანს მოვთხოვეთ ცნობა სამუშაო ადგილიდან. მაშინ, უმეტესობის თვალში, უმუშევრობა სირცხვილად ითვლებოდა. წესით, ქურდს მუშაობა ეკრძალება, მაგრამ ანზორმა მოგვიტანა ცნობა ისეთი ადგილიდან, სადაც მისვლასა და შემოწმებას ფიზიკურად ვერ შეძლებდით, რომ დავრწმუნებულიყავით, ნამდვილად მუშაობდა თუ არა ანზორ აღაიანი, ცნობაში აღნიშნულ გეოლოგიურ ექსპედიციაში... ამ პერიოდში, ერთი სასაცილო და საინტერესო ამბის მომსწრე გავხდი: ანზორი ჩუღურეთის რაიონში ცხოვრობდა. დაბადების დღეს აღნიშნავდა და შინ სტუმრებს ელოდა. მე და ჩემი თანამშრომელი, სამოქალაქო ფორმით, მისი სახლის წინ ვიდექით და ვუთვალთვალებდით, რომ გაგვეგო, ვინ მივიდოდა მასთან სტუმრად. სასაცილო კი ის გახლდათ, რომ ჩვენ ეზოს ვუთვალთვალებდით, ხოლო მასპინძელს თურმე, სახლის უკანა მხარეს, ფანჯარაზე მიუდგამს კიბე და ამ კიბით, მისთვის დაბადების დღის მისალოცად, რაიონების აღმასკომის თავმჯდომარეები და ცეკას განყოფილების გამგეები ადიოდნენ... იმ პერიოდში, ახალი მიღებული მქონდა ბინა და ჯერ კიდევ ურემონტო სახლში ვცხოვრობდი. ერთ დღეს, შინ მომადგა 3 ქურდი და მითხრა — ამ საქმეს მალე გააჩერებენ და ზემოდან გიბრძანებენ, რომ ჩვენ წინააღმდეგ ომს უნდა შეეშვა, ამიტომ გირჩევთ, ახლავე, შენი ნებით დაგვანებო თავი; სულ ერთი თვით, სხვაგან გადაგიყვანთ ოჯახიანად საცხოვრებლად, ხოლო ერთი თვის შემდეგ, შენი გარემონტებული ბინის გასაღებს ჩაგაბარებთო... რა თქმა უნდა, ამ შემოთავაზებაზე არ დავთანხმდი. მაგრამ მათი ნათქვამი გამართლდა და სულ რამდენიმე დღის შემდეგ, მართლა მივიღე ბრძანება, რომ მათ წინააღმდეგ კომპრომატები აღარ შემეგროვებინა. გავიდა ხანი... 1985 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ბრძანება, რომ საქართველოში არსებული ყველა ქურდი უნდა დაეჭირათ. მაშინ, ერთ-ერთ რაიონში მილიციის უფროსად ვმუშაობდი და ბუნებრივია, ამ საქმეში მონაწილეობა მეც უნდა მიმეღო. ვაღიარებ, რომ საკმაოდ ცუდ მეთოდებს მივმართეთ საიმისოდ, რომ ბრძანება შეგვესრულებინა.



...დავემორჩილე. აქ ჩამოსულმა კი, შოკის მომგვრელი ამბავი გავიგე: თურმე, ჩემი ძმა ქურდი გამხდარა

— ცუდ მეთოდებში რას გულისხმობთ?

— ვინაიდან ძალზე ძნელია, რომ ქურდი დანაშაულის ფაქტზე დაიჭირო, იძულებული ვიყავით, მათი დანაშაული „მოგვეწყო“ — ვახდენდით ნარკოტიკული ნივთიერებებისა და იარაღის „ჩაგდებას“... თითქმის ყველა ქურდი დაიჭირეს. როგორც მახსოვს, მხოლოდ რამდენიმე მათგანმა მოახერხა უცხოეთში გაქცევა.

— როგორ ფიქრობთ — რა შეიცვალა დღეს, კანონიერი ქურდების დაუწერელ კანონებში?

— პირადად ვიცნობდი ერთ თერჯოლელ ქურდს, რომელსაც სოსო კუზიანს ეძახდნენ. ეს კაცი ძველი თაობის ქურდების წარმომადგენელი იყო. ცხოვრობდა ერთ პატარა ქოხში. არც ცოლი ჰყავდა, არც მანქანა, არც ფუფუნების საგნები ჰქონდა. ნამდვილი, რაფინირებული ინტელიგენტის შთაბეჭდილებას ტოვებდა. უშვილძირომ, მერე, ერთი გოგონა იშვილა და თან ჰყვებოდა მას... ახლანდელი ქურდები დიდძალი ქონების პატრონები არიან და ცხოვრების საუკეთესო პირობები აქვთ. ისინი მარტო კრიმინალური სამყაროს პრობლემებს კი არ წყვეტენ, არამედ პოლიტიკოსებს შორის გაჩენილ დავებსაც აგვარებენ და თვითონაც აქტიურად ერევიან პოლიტიკაში. ამის უფლება მათ აქვთ და ამაში დიდი წვლილი ჯაბა იოსელიანს მიუძღვის...

— საინტერესოა, შეძლებს თუ არა ახლანდელი ხელისუფლება, ერთი ხელის მოსმით მოსპოს ის ქურდული მენტალიტეტი და კანონები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა და გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე?

— თუ ნამდვილად მოიწადინებენ, აუცილებლად მიაღწევენ. პირველ რიგში აუცილებელია, საზოგადოების აზრი ჩამოაყალიბონ ამასთან დაკავშირებით. როდესაც მოზარდი ხედავს, რომ ქურდი კარგად ცხოვრობს, აქვს სიმდიდრე, ძვირად ღირებული მანქანა და ძალაუფლება, ბუნებრივია, რომ მას მოეწონება ასეთი ცხოვრების წესი და თვითონაც იბრძოლებს საიმისოდ, რომ ადგილი სწორედ მათ შორის დაიმკვიდროს. ჯერ უნდა შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება კანონიერი ქურდების მიმართ და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომ ხელისუფლებამ ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოს...

ყოფილი ძალოვნისგან განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ერთ-ერთი კანონიერი ქურდის ძმა, რომელიც მუდამ გვერდით ედგა თავის ძმას და კარგად არის გათვითცნობიერებული ამ სამყაროს კანონებში.

— რამდენი წლის არის თქვენი ძმა?

— 49-ის.

— რა ასაკში გახდა კანონიერი ქურდი?

— როცა ის 20 წლის გახდა, უკვე ოჯახისგან დამოუკიდებლად ცხოვრობდა, თავსაც ინახავდა და მშობლებსაც. მე მასზე 4 წლით უფროსი ვარ. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა ჯარში წავედი და შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, იმ ქალაქში ვცხოვრობდი. ერთ დღეს, დამირეკა და კატეგორი-

ულად მომთხოვა, რომ შინ დავბრუნებულიყავი. დავემორჩილე. აქ ჩამოსულმა კი, შოკის მომგვრელი ამბავი გავიგე: თურმე, ჩემი ძმა ქურდი გამხდარა. შემეშინდა. ასეთი ადამიანები ბუნებრივი სიკვდილით იშვიათად კვდებიან, მე კი ჩემი ძმა სიცოცხლეს მერჩივნა. ამიტომ, მეც კატეგორიული ტონით ვუთხარი — გვერდიდან არ მოგშორდები, შენთან ერთად ვიქნები დღისით თუ ღამითმეთქი. თავიდან, შემეწინააღმდეგა, მაგრამ მერე, დამყაბულდა. ასე მერჩივნა, რადგან სულ ჩემ თვალწინ იქნებოდა და რაიმე რომ გასჭირვებოდა, იქვე ვიქნებოდი. ასე მოვხვდი კრიმინალებში. ჩემი ცხოვრების მანძილზე, უამრავი რამ მქონდა ნანახი, თავს გადახდენილი თუ მოსმენილი, მაგრამ როდესაც პირველად დავესწარი ქურდულ გარჩევას, ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თითქოს რაღაც, განსაკუთრებით ვაუკაცური დავინახე ამ ადამიანებში, რაღაც სამართლიანი და საჭიროც...

— თქვენს ძმას ოჯახი აქვს?

— დიახ. ჰყავს ცოლი და 2 შვილი.

— ის ახლა პატიმარია?

— დიახ.

— თქვენ როგორ ფიქრობთ — შეძლებს თუ არა სახელმწიფო, ქურდული კანონების მოსპობას?

— მეეჭვება, რომ შეძლოს. ამ მენტალიტეტს ისე მყარად აქვს საზოგადოებაში ფესვები გადგმული, რომ მის ამოძირკვას დიდი დრო, შესაძლოა, მთელი საუკუნეც კი დასჭირდეს. სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ: ხალხის უმეტესი ნაწილი ქურდებს უფრო ენდობა, ვიდრე ხელისუფლებას. არ მეგულება არც ერთი პოლიტიკური პარტია, არც „პოზიცია“ და არც ოპოზიცია, რომელიც ერთი დაძახილით მოაგროვებს იმდენ ხალხს, რამდენსაც ერთი ქურდი მოახერხებს. თქვენ რა გგონიათ — ახლა, როცა პატიმრები შიმშილობდნენ და ადმინისტრაცია მათ ფიზიკურად უსწორდებოდა, ქურდებს ერთი „ქსივა“ რომ გამოეგზავნათ — დახმარება გვჭირდებაო, — იმ აქციებზე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ტარდებოდა, 100 კაცის ნაცვლად, ათასობით ადამიანი მივიდოდა.

— თქვენი ძმაც ნაცემია?

— არ ვიცი. თვითონ ამბობს, რომ არ არის ნაცემი. მისი ნახვის უფლებას მე არ მაძლევენ და რა გავიგო?.. ისე, ამბობენ, რომ თურმე, საშინლად უსწორდებოდნენ ყველას, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა.

— ქურდები რომ არ იყვნენ ციხეში ან ზონაში, რა მოხდება?

— ციხეში სიტუაციას აკონტროლებს ქურდი. მისი სიტყვა ყველასთვის კანონია. ამიტომაა, რომ ადმინისტრაციასაც უადვილდება სიმშვიდის შენარჩუნება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ქურდის წყალობით, ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და ვერ გადააბიჯებს ზღვარს, რომელიც მისთვისაა დაწესებული.

— თქვენს ძმას თუ აქვს სიმდიდრე? მისი ოჯახი კარგად ცხოვრობს?

— ვერ გეტყვით, რომ უზღვავი და უთვალავი ქონება აქვს დაგროვილი, მაგრამ არც ღარიბულად ცხოვრობდა. აქვს ბინა, სადაც ახლა მისი ოჯახი ცხოვრობს და აქვთ იმის საშუალება, რომ ნორმალურად იარსებონ. ჩემმა რძალმა ქმრის მანქანა გაყიდა, რომ ბავშვებისთვის პურის ფული არ მოეკლო.

— თქვენი აზრით, ვინ არიან დღეს ყველაზე გავლენიანი ავტორიტეტები?

— არ ვიცი, ამაზე მე ვერ გიპასუხებთ...

მართალია, ქურდული კანონის მიხედვით, კრიმინალურ ავტორიტეტს წინათ ეკრძალებოდა ოჯახის შექმნა, მაგრამ „კოდექსის“ ეს პუნქტიც, ისევე, როგორც ბევრი სხვა, აღარ მოქმედებს და დღეს, ქურდების უმეტესობას ოჯახი აქვს. საინტერესოა, რამდენად ძნელია ქურდის ცოლობა?.. **ნანას** *უკვე მოზრდილი შვილები ჰყავს, რომლებიც, იმის გამო, რომ ქმარი მუდმივად ციხეშია, თითქმის მარტომ გაზარდა...*

— ქალბატონო ნანა, ამჟამად თქვენი ქმარი პატიმარია?

— დიახ. ის გასამართლებულია და 4 წელი აქვს მისჯილი.

— როდესაც ოჯახს ქმნიდით, იცოდით თუ არა, რომ კრიმინალურ ავტორიტეტს მიჰყვებოდით ცოლად?

— რა თქმა უნდა.

— და მაინც გაჰყევით?

— მინდა გითხრათ, რომ სწორედ ამით მოვიხიბლე და არჩევანი მასზე იმიტომ შევაჩერე, რომ კრიმინალური ავტორიტეტი იყო. ინიციატივა მისგან წამოვიდა. თავიდან, გავურბოდი, მეშინოდა, მაგრამ ძალიან მომწონდა. როგორც კი ის ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა, მაშინვე ყველა ბიჭი ჩამომშორდა. მართალია, მურტალოსავით, ყოველ დილით ვარდებს არ მიგზავნიდა, მაგრამ მის გავლენას ყოველ წუთს ვგრძნობდი. არ მეგულება ქვეყნად ქალი, რომელიც ძლიერ და გავლენიან მამაკაცზე უარს იტყოდა.

— დაქორწინებიდან მის პირველ დაჭერამდე რამდენი ხანი იყო გასული?

— სამი თვე. ჩვენი პირველი შვილი რომ გაჩნდა, ის ციხეში იყო და 2 კვირის ჩვილი მივიყვანე მასთან სანახავად. უნდა გენახათ, როგორ ეფერებოდა. მეორე შვილიც მისი ციხეში ყოფნის დროს გაჩნდა. მხოლოდ მესამე შვილის დაბადებისას იყო თავისუფალი; 6 თვეში, ისევ დაიჭირეს. შვილები მარტომ გავზარდე. ჩემი ქმარი მხოლოდ ფულს გვიგზავნიდა. ბავშვებს მამა უზომოდ უყვართ.

— ახლა, როდესაც პატიმრები შიმშილობდნენ და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არეულობა იყო, ალბათ, ძალიან ნერვიულობდით, არა?

— რა თქმა უნდა. მე ის ისევე მიყვარს, როგორც ქორწინების პირველ დღეებში. არც ტელეფონი ჰქონდა, რომ მისი ამბავი გამეგო. ზონის კართან ვათენებდი და ვაღამებდი. მხოლოდ ახალი წლის შემდეგ შევძელი მისი ნახვა და როდესაც დავინახე, რომ საღ-სალამათი და ჯანმრთელი იყო, დავმშვიდდი.

— თქვენი მეუღლეც შიმშილობდა?

— არ ვიცი. ის ისეთი ადამიანია, რომ არასოდეს მახედებს თავის საქმეში. მუდამ მეუბნებოდა ხოლმე: რაც ქალის საქმე არ არის, იმაში ცხვირს ნუ ჩაყოფო.

— ძნელია, როდესაც მეუღლე მუდამ საფრთხის წინაშე დგას. არასოდეს მიგიციათ მისთვის რჩევა, რომ ამ საქმიანობისთვის თავი დაენებებინა?

— რას მეუბნებით?! მაგას როგორ გავუბედავდი?! როდესაც ის დაჭერილი არ იყო და პოლიცია ეძებდა ხოლმე, ხშირად გვაკითხავდნენ შინ და გვაწიოკებდნენ ძალოვნები; მე და ჩემს შვილებს გვეკითხებოდნენ მის ადგილსამყოფელს. არასოდეს ვიცოდი, სად იყო, სად იმალებოდა. მეტყოდა ხოლმე — იმიტომ არ გეუბნები, სად ვარ, რომ როცა გკითხავენ, სახეზე შეგეტყობა, რომ იცი და არ ეუბნები; რომ არ გეცოდინება, ასე უფრო გულწრფელად უპასუხებო. უყურადღებოდ, ერთი დღითაც კი, არასოდეს მივუტოვებივართ. არ ვიცი, საიდან იგებდა, მაგრამ როგორც კი პოლიციელები წავიდოდნენ, რამდენიმე წუთში ჩვენთან ჩნდებოდა და შეშფოთებით კითხულობდა — ხომ არაფერი უწყენინებიათო?.. ახლა კი, რამდენიმე დღის წინ, ვიღაც კაცები იყვნენ მოსული და ქონება აღგვიწერეს. რა ვიცი, რა უნდათ, ალბათ, ახალი კანონი შევა ძალაში და ქურდის ოჯახს ქონების კონფისკაციას გაუკეთებენ. თუ ეს ყველაფერი ჩამოგვართვეს, ღმერთმა იცის, როგორ და სად უნდა ვიცხოვრო. ძალიან მდიდრულად არ ვცხოვრობთ, მაგრამ ბავშვებს საკუთარი ჭერი მაინც აქვთ. თუმცა, უკვე ამასაც აღარ ვჩივი. ნეტავ, მეც არ დამიჭერდნენ...

როგორ დასრულდება დღევანდელი ჭიდილი სასჯელაღსრულების სისტემის მესვეურებსა და პატიმრებს შორის, რა დგას სინამდვილეში ამ მოვლენების მიღმა, მართლაც გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა ხელისუფლებამ კანონიერი ქურდის ინსტიტუტს თუ ეს მხოლოდ კამპანიაა, — ყველა ამ კითხვაზე მომავალი გაგვცემს პასუხს.

ნეტავ, ვინ არის ეს შავი კაციო? — ალბათ, მარგალიტას ქმარი ტრიფონივით იკითხეთ, როდესაც სურათს დახედეთ. გიპასუხებთ: ვინ არის და ჩვენი „სასიძო“ — ნაბინ სინგჰანია. მართალია, მისი გვარის დაბოლოება ძალზე წააგავს მეგრულს, მაგრამ მეგრელი არ გეგონოთ. ნაბინი წარმოშობით ნეპალელია თუ... ნეპალიელი... მოკლედ, ნეპალიდანაა, მაგრამ — მხოლოდ ნახევრად. „მეორე ნახევრად“ ინდუსია და 22-წლიანი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ინდოეთში, კერძოდ — ქალაქ ბაჰარიში აქვს გატარებული. საკმაოდ მდიდარი და გავლენიანი პოლიტიკოსი მამა ჰყავს...

მოიყვანს თუ არა ქართველ გოგონას ცოლად, რა თანხა უნდა გადაიხადოს გასათხოვარი გოგოს მამამ საიმისოდ, რომ ნაბინმა ის შეირთოს, მამის სურვილს მეტი ძალა აქვს თუ სიყვარულს და საერთოდ, რომელმა ქარმა გადმოაგდო ის საქართველოში, — ყოველივე ამის შესახებ თვითონ ნაბინი გვიამბობს (გვარიდან გამომდინარე, მას სინგჰანსაც ეძახიან).

ინტერვიუ, რომელიც მხოლოდ ქართველებმა უნდა წაიკითხონ ანუ ვინც დიდ მაყუთს გადაიხდის, ნაბინის ყუთი მისია

მარი ჯაფარიძე

— ნაბინ, მოკლედ მოგვიყევი შენი ოჯახის შესახებ.

— ჩემი ოჯახი მიეკუთვნება მაღალ საზოგადოებას. მამაჩემი პოლიტიკოსი გახლავთ, დედა დიასახლისია. მყავს 2 ძმა და 1 და. მე შუათანა შვილი ვარ. მამა, გარდა პოლიტიკისა, დაკავებულია ბიზნესითაც. ჩემი და გათხოვილი გახლავთ და 1 შვილი ჰყავს.

— შორეული ბაჰარიდან საქართველოში როგორ მოხვდი?

— ჩემი მეგობარი სწავლობდა თბილისში, სამედიცინო უნივერსიტეტში და ვინაიდან მამაჩემის სურვილიც ის იყო, რომ უმაღლესი განათლება სხვა ქვეყანაში მიმეღო, გადავწყვიტე, საქართველოში წამოვსულიყავი. როდესაც ჩემს მეგობარს დავუკავშირდი და რჩევა ვკითხე, ღირდა თუ არა აქ ჩამოსვლა, მან ისე ლამაზად აღმიწერა აქაურობა, რომ ბევრი ფიქრი აღარ დამჭირვებია, ავდექი და წამოვედი...

— გამართლდა მეგობრის ნათქვამი?

— დიახ, რა თქმა უნდა. საქართველო მართლაც, ულამაზესი ქვეყანა აღმოჩნდა. უამრავ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და მინდა გითხრათ, რომ მსგავსი სილამაზე და ასეთი თბილი ხალხი არსად მინახავს. თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სამშობლოში... ჩავბარე ტექნიკურ უნივერსიტეტში, ვეუფლები კომპიუტერულ ტექნიკას და სურვილი მაქვს, რამდენიმე კურსის გამოცდა ერთად ჩავაბარო, რომ ვადაზე ადრე დავამთავრო უმაღლესი სასწავლებელი. შევიძინე უამრავი ქართველი მეგობარი. მათ საოცარი გავლენა იქონიეს ჩემზე და შეიძლება ითქვას, რომ ჩემი მსოფლმხედველობა და შინაგანი სამყაროც კი შეცვალეს.

— ყველაზე მეტად რა მოგეწონა საქართველოში?

— *(იცინის)* ღვინო. ყველაზე მეტად აქაური ღვინოები მომეწონა. ასევე აღფრთოვანებული ვარ ხალხის დამოკიდებულებით ჩემ მიმართ. ქართველ მეგობრებთან ერთად, ხშირად მიწევს ქეიფი და უკვე აქაური სუფრის ტრადიციებიც ავითვისე. საქართველოს სადღეგრძელოს მუდამ სიამოვნებით ვსვამ, მაშინაც კი, თუ სუფრასთან არც ერთი ქართველი არ ზის. თუმცა, ასეთი რამ ძალზე იშვიათად ხდება.

— რას იტყვი ქართველ გოგონებზე?

— მომწონს. ძალიან მეგობრულები და უშუალოები არიან. მათთან ნებისმიერ თემაზე შემიძლია საუბარი და თუნდაც რჩევის კითხვა.

— ქართველი გელფრენდიც ხომ არ გყავს?

— არა, არა, გელფრენდი არ მყავს... მყავს მეგობარი, თამუნა, რომელიც ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში მეხმარება ხოლმე.

— მაინტერესებს, როგორ აღნიშნავენ ახალ წელს შენს სამშობლოში?

— როცა პატარები ვიყავით, მთელი ოჯახი ერთად ვიკრიბებოდით ხოლმე, მოდიოდნენ სტუმრებიც და ვმხიარულობდით. როგორც საქართველოში, ჩვენც მაშხალებით ვხვდებოდით ახალ წელს, მერე კი უფროსებთან ერთად ვცეკვავდით. გვაქვს ჩვენი ტრადიციული, საახალწლო კერძები. ვინაიდან ჩემი ოჯახი ვეგეტარიანელია, ჩვენს სუფრაზე ძირითადად, ტკბილეული და ბოსტნეულის კერძები გახლავთ ხოლმე. თუმცა, რაც საქართველოში ჩამოვედი, მე უკვე დავარღვიე ოჯახური ტრადიცია და ხორციან კერძებსაც გეახლებით. ძალიან მიყვარს მწვადი, ხინკალი, „ოსტრი“...

— შენს სამშობლოშიც ასევე სვამენ ღვინოს, ამბობენ სადღეგრძელოებს და განსხვავებულ სასმისებსაც ცლიან?

— არა, ჩემს ქვეყანაში ამდენ ღვინოს ვინ სვამს?! მხოლოდ მოწრუპავენ და ჭიქას დადგამენ. ქართველი კაცი ერთ ქეიფზე რომ დალევს, იმდენ სასმელს ჩვენს ქვეყანაში მთელი ოჯახი ერთი წლის განმავლობაში თუ დახარჯავს.

— ამ ახალ წელს როგორ შეხვდი?

— მეგობრებთან ერთად ვიყავი ქალაქგარეთ რესტორანში და ვიქეიფე. საერთოდ, რაც წამოვიზარდე და დამოუკიდებლად ვცხოვრობ, იმის შემდეგ, სულ გარეთ ვხვდები ახალ წელს.

— როგორია თქვენი, „მშობლიური“ თოვლის ბაბუა?

— ჩვენში ჩვეულებრივი სანტა-კლაუსია და არაფრით განსხვავდება სხვა თოვლის ბაბუებისგან. ახალ წელს, არც ნაძვის ხეს ვრთავთ.

— აქ თავს რით ინახავ? ალბათ, მშობლები გიგზავნიან საჭირო თანხას, ხომ?

— კი, ამ დრომდე, ძირითადად, მშობლების ხარჯზე ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა ვეწევი ტანისამოსის იმპორტს სხვადასხვა ქვეყნიდან. ვიქირავე ფართი და გავხსენი საკუთარი მაღაზია, სადაც საკმაოდ ხარისხიან ტანსაცმელს ძალზე იაფად ვყიდი. ვიცი, რომ ქართველებს მუქი ფერის ტანისამოსი უყვართ. შავ ფერს „ქართულ ფერს“ ვეძახი. მე კი ფერადი ტანისამოსი უფრო მეტი შემომაქვს, რადგან მინდა, რომ ქვეყანაში უფრო მეტი ხალისიანი ფერი იყოს. ჩემი სამშობლო, მთიანი მხარე გახლავთ და იქიდან ევერესტი ერთი ხელის გაწვდენაზეა. მოგეხსენებათ, რომ სწორედ იქ აღმოაჩინეს თოვლის კაცის ვეებერთელა ნაფეხური. ამ ნაფეხურს ეტი ჰქვია. ვინაიდან თოვლის კაცი შიშველია და ტანისამოსი მასაც სჭირდება, გადავწყვიტე, ჩემი მაღაზიისთვისაც „ეტი“ დამერქმია. საქართველოშიც ბევრი რამეა ისეთი, რაც შეიძლება, უცხოეთში გავიტანო. ახლო მომავალში, ვფიქრობ, ღვინის ან სხვა ნაწარმის ექსპორტსაც მოვახდენ.

— როგორც ჩანს, კარგა ხანს აპირებ საქართველოში დარჩენას. ოჯახი არ მოგენატრა?

— შესაძლოა, სტუმრად წავიდე ცოტა ხნით და მშობლები მოვინახულო. მერწ-

მუნეთ, ძალიან მომენატრება აქაურობა და აუცილებლად დავბრუნდები. ჩემებს ისეთი გატაცებითა და აღფრთოვანებით ვუამბობ ხოლმე საქართველოს შესახებ, რომ ამ ბოლო დროს, დედაჩემი უფრო და უფრო შეშფოთებით მეკითხება — შენ მანდ დაქორწინებას ხომ არ აპირებო?

— რატომ ღელავს დედა? ქართველი რძლის წინააღმდეგია?

— არა, მე თუ შემიყვარდება და ქართველ გოგონაზე დაქორწინებას გადავწყვეტ, ჩემი მშობლები რძალს მიიღებენ. თუმცა, მათ ურჩევნიათ, რომ ჩემივე აღმსარებლობის ოჯახის შვილი შევირთო.

— კერძოდ?

— ჩემი ოჯახი ჰინდის მიმდევარია და მკაცრად ვიცავთ ჩვენს ადათ-წესებს.

— თქვენი ღმერთი რვახელიანი ქალის ქანდაკებით გამოისახება, არა?

— დიახ, ასეა. მაგრამ არავინ იცის, სინამდვილეში, როგორია ის. ბევრ ხელს განსაკუთრებული რელიგიური დატვირთვა აქვს...

— მომიყევი შენი ქვეყნის საქორწინო ტრადიციის შესახებ.

— წინათ, ქორწინება მხოლოდ ქალვაჟის ოჯახებს შორის გარიგებით ხდებოდა. გოგო და ბიჭი ხშირად, მხოლოდ უშუალოდ ქორწილის წინ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბოლო დროს კი უკვე შესაძლებელი გახდა, რომ სიყვარულით დაქორწინდე. თუმცა, არსებობს ერთი წესი, რომელსაც გვერდს ვერავინ აუვლის: როცა საკითხი ოჯახის შექმნას ეხება, ამ შემთხვევაში, გოგოს ოჯახი გარკვეულ თანხას უხდის ვაჟის მამას.

— მაინც რა თანხა უნდა გადაიხადოს?

— დაახლოებით 10 ათასი დოლარი. მაგრამ შესაძლოა, ეს თანხა გაცილებით მეტი იყოს — ეს ბიჭის ოჯახზეა დამოკიდებული.



ამ დრომდე, ძირითადად, მშობლების ხარჯზე ეცხოვრობდი, მაგრამ ახლა ვეწევი ტანისამოსის იმპორტს სხვადასხვა ქვეყნიდან...

— რის მიხედვით წესდება თანხა? მაგალითად, რაც უფრო შეუხედავია გოგო, მით მეტი უნდა გადაიხადოს მამამისმა, რომ ცოლად მოიყვანო?

— რა თქმა უნდა, ასეა. ლამაზ გოგოს რად უნდა ბევრი ფულის გადახდა?! თუ გოგო მაღალი ფენის ოჯახიდანაა, შესაძლოა, ნაკლები თანხა გადაახდევინონ, რადგან ბიჭის ოჯახი ამ გარიგებით სარგებელს ნახულობს.

— თუ გოგოს ოჯახს ეს თანხა არ აქვს, გამოდის, გოგო გასათხოვარი დარჩება?

— თუ აღნიშნული თანხა არ აქვს, მაშინ სხვა ბიჭი უნდა მოძებნოს, ვინც ნაკლები თანხის საფასურად დათანხმდება ქორწინებაზე.

— გამოდის, ბიჭების გაჩენა თქვენს ქვეყანაში სარფიანი ბიზნესი ყოფილა...

— *(იცინის)* დიახ, ასეა. როდესაც ჩემი და გავათხოვეთ, მამამ სწორედ ეს თანხა გადაუხადა სიძის მამას, თუმცა მას ეს ტრადიცია მაინცდამაინც არ მოსწონს... ერთი რამ ვიცი: როდესაც დაქორწინებას გადავწყვეტ, აუცილებლად ვკითხავ აზრს მამას.

— თუ გოგო გიყვარს, მაგრამ მამამ სარძლო დაიწუნა, მაშინ როგორ მოიქცევი?

— თუ მამა მეტყვის მიზეზს, რომლის გამოც ის გოგოს იწუნებს და დამარწმუნებს თავისი აზრის სიმართლეში, მე შეყვარებულს დავთმობ და მამას დავუჯერებ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მშობლებს ჩემთვის ცუდი არ უნდათ და ჩემზე მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ.

— თუ არსებობს რაიმე ტრადიცია, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევ?

— დიახ, არსებობს. როდესაც მე დავქორწინდები, არ იარსებებს არანაირი საიმისო მიზეზი, რომ ოჯახი დავანგრიო: მე და ჩემს ცოლს ერთმანეთი რომც აღარ გვიყვარდეს, ორივე ვალდებული ვიქნებით, სიცოცხლის ბოლომდე ერთად ვიცხოვროთ და შვილები გავზარდოთ. ჩვენი ოჯახი არასოდეს დაინგრევა.

— იმ შემთხვევაშიც კი, თუ ღალატს ექნება ადგილი?

— *(ძალიან განერვიულდა)* არა, ამის წარმოდგენაც არ მინდა. იმწუთას, უსიტყვოდ გავისვრი გარეთ. მე მას არასოდეს ვუღალატებ. მთელი ცხოვრება მისი ერთგული ვიქნები და მან რატომ უნდა მიღალატოს?! ამას არ ვაპატიებ!.. მყავდა ახლო ნათესავი, რომელიც ბიძად მეკუთვნოდა. ძალზე მდიდარი იყო. ჰყავდა ქალიშვილი, რომელმაც მოახლის ვაჟი შეიყვარა და მასთან დაწვა. როგორც კი მამამ ეს ამბავი შეიტყო, შვილი სიცოცხლეს გამოასალმა. ქალის სახელის სიწმინდე ჩვენთვის უპირველესია...

— იცი, რა მაინტერესებს?.. ქართველ გოგონაზე დაქორწინება რომ გადაწყვიტო, მამამისმა თუ 10 ათასი დოლარი არ გადაგიხადა, უარს იტყვი მასზე?

— არა, ამ შემთხვევაში, ფულის გადახდა საჭირო არ იქნება, უბრალოდ, მის ოჯახზე უნდა მქონდეს ყველანაირი ინფორმაცია.

— როგორც ვხვდები, შენი რჩეული აუცილებლად ქალწული უნდა იყოს და განათხოვარ ქალზე არც კი იფიქრებ, ხომ?

— რა თქმა უნდა, ასე უნდა იყოს. მისთვის პირველი და უკანასკნელი მამაკაცი მე უნდა ვიყო.

— შეყვარებული თუ გყოლია?

— დიახ, ვიყავი შეყვარებული საკუთარ მასწავლებელზე... როცა მამამ ამის შესახებ შეიტყო, განრისხდა. სწორედ წინა დღეებში მომცა უნივერსიტეტში სწავლის გადასახდელი თანხა. გადავწყვიტე, იმ ფულით შინიდან გავქცეულიყავი და თან ჩემი მასწავლებელიც წამეყვანა. მერე ვიფიქრე, რომ თანხა საკმარისი არ იყო და დედას ვთხოვე... გავიპარეთ და ვიდრე ფული გვეყო, ვიმალებოდით. მერე კი დავბრუნდით. მეტი რა გზა მქონდა?!

— თუ შეიძლება, რაღაც გარეგნული ნიშნით, შენს სამშობლოში გათხოვილი და გასათხოვარი ქალი ერთმანეთისგან განასხვავო?

— დიახ. გათხოვილი ქალი შუაზე გაყოფილი თმის ძირში წითელ ზოლს იკეთებს. თუმცა, ახლა უკვე ძალზე ბაცად ან საერთოდ აღარ იკეთებენ, გასათხოვრად რომ მოგაჩვენონ თავი...

— მაინტერესებს, როდესაც აქაურ ადამიანს გაიცნობ, ის რით ინტერესდება, რას გეკითხება ხოლმე სამშობლოს შესახებ?

— პირველ რიგში, ინდური ფილმების შესახებ მეკითხებიან ხოლმე. აინტერესებთ, ცხოვრებაშიც ასევე სიმღერით ვუხსნით სიყვარულს, როგორც კინოში, თუ — არა. შესაძლოა, ასეთი კითხვები თქვენს მკითხველებსაც გაუჩნდეთ. ამიტომ აქვე განვმარტავ, რომ ჩვენც, თქვენსავით, სადმე ვეპატიჟებით გოგონას და ვეუბნებით, რომ გვიყვარს...

აი, ასეთი „შავგვრემანი“ და საინტერესო „სასიძო“ გვყავს. თუ ვინმეს გულის სიმები შეგერხათ, შეგიძლიათ დამიმესიჯოთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. არჩევანს კი, თვითონ ნაბინი გააკეთებს. გისურვებთ წარმატებებს!

ამ რამდენიმე დღის წინ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა გამოაცხადა, რომ მათმა ხელმძღვანელობამ ტელეკომპანია „მზის“ აქციების 78% შეიძინა, რის შედეგადაც, ზემოთ ხსენებული ტელეკომპანია სარეკლამო ბაზარზე იმაზე დიდ ადგილს დაიკავებს, ვიდრე აქამდე ეკავა. ამ ინფორმაციას მოჰყვა ხმები იმის შესახებ, რომ „რუსთავი 2“-ის გასართობი პროგრამები „მზის“ ეკრანზე გადაინაცვლებს და მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო გადაცემებიც ექნებათ, ძირითადად, მაინც გასართობ არხად იქცევა. ტელეეთერში არ გამოუცხადებიათ, მაგრამ კულუარებში იმაზეც ლაპარაკობენ, რომ მალე, „რუსთავი 2“-ის „შვილობილის“ დირექტორად, „ღამის შოუს“ ავტორი და წამყვანი, დათო გოგიჩაიშვილი დაინიშნება.

დიდხანს ვცდილობდით დათოსთან დაკავშირებას, მაგრამ — ამაოდ. მოგვიანებით დავადგინეთ, რომ ტელეარხის მომავალი დირექტორი ამჟამად შვებულებაშია და დასვენების დღეებს, მეუღლესთან ერთად, პარიზში ატარებს. კომენტარისთვის დათოს გუნდის წევრებს — ნიკა გრიგოლიასა და ალეკო მალხაზიშვილს დავუკავშირდით. საუბრის დროს, ნიკა სამარშრუტო ტაქსიში იჯდა და ბაკურიანში მიემგზავრებოდა, ჩემს შეკითხვებს კი, ჩვეული ხალისით პასუხობდა:

„აუ, მაგარია!..“

ანუ უხელმძღვანელებს თუ არა დათო გოგიჩაიშვილი „მზეს“

ნათია ქივიძე

— როცა „რუსთავის 2“-ის ეთერში ეს ინფორმაცია გამოაცხადეს, მე მაშინაც ბაკურიანში ვიყავი და ეს ცნობა იქ მოვისმინე. სიმართლე გითხრა, დაწვრილებით მაგ საკითხზე მართლა, არაფერი ვიცი, რადგან 16 იანვრამდე, შვებულებაში ვართ და შესაბამისად, სამსახურში არ დავდივარ. ვიდრე შვებულებაში გავიდოდით, არც მაშინ მსმენია მსგავსი რამ ჭორადაც კი.

— ამბობენ, გასართობ გადაცემებს ახალ ტელევიზიაში გადაიტანენო.

— აუ, მაგარია! ეგ ინფორმაციაც მოვისმინე და გამიხარდა. თუ მართლა ასე მოხდება, მართლა, ძალიან მაგარი იქნება.

— იმასაც ამბობენ, ახალი ტელევიზიის დირექტორად დათო გოგიჩაიშვილს ნიშნავენო. ამის შესახებ თუ გსმენია რამე?

— არა, ეგ ინფორმაცია შენგან მესმის პირველად. მაგრამ გასართობი არხის დირექტორად დათოზე უკეთესს ვის

დანიშნავენ?! ჭკვიანური აზრია.

— იქ თუ გადახვალთ, ალბათ, ახალ გადაცემებსაც გააკეთებთ, არა?

— იქ თუ გადავალთ, უფრო მეტი საეთერო დრო გვექნება და მერე ნახე შენ, რამდენ სიახლეს შევთავაზებთ მაყურებელს.

იმის გამო, რომ შვებულებაში არიან, ალეკო ოჯახური იდილიით ტკბება და მთელ თავისუფალ დროს, შვილებთან გართობაში ატარებს. აი, რა გვიპასუხა მან აღნიშნულ თემაზე:

— როგორც ყველამ, მეც ეს ინფორმაცია ტელევიზიით მოვისმინე. მაშინვე დავუკავშირდი დათოს და ვკითხე — იცოდა თუ არა ამის შესახებ რამე. მიპასუხა — ახლა მეც ტელევიზორში მოვისმინე და აქამდე, მსგავსი არაფერი ვიცოდიო. მეორე დღეს, ის პარიზში გაემგზავრა და ამის შესახებ მეტი აღარ გვისაუბრია.

— გასართობ პროგრამებს ამ არხზე გადაიტანენო, — ამბობენ. არც ეს ამბავი იცი?

— თუ არ ვცდები, ეგ ჯერ იდეის დონეზე უნდა იყოს, რადგან გამოაცხადეს — შესაძლებელია, „მზე“ გასართობი არხი გახდესო. ასე რომ, გადავალთ ჩვენ იქ თუ არა, ჯერჯერობით, არ ვიცი.

— ნამდვილად გადახვალთ, რადგან იმასაც ამბობენ — არხის დირექტორად დათო გოგიჩაიშვილს ნიშნავენო.

— შენ ჩემზე კარგად ყოფილხარ ინფორმირებული. ეგ ვინღა გითხრა? ამის

შესახებ მართლა არაფერი ვიცი. თუ მასე მოხდება, ალბათ, კარგი იქნება, მაგრამ რაც არ ვიცი, არ ვიცი... შენგან გავიგე, რომ თურმე, „მზეზე“ გადავდივარ, იმის იქითაც და რომ გოგიჩაიშვილს დირექტორად ნიშნავენ. გმადლობ ინფორმაციის მოწოდებისთვის!. 16 იანვარს რომ მივალთ სამსახურში, ალბათ, მაშინ შევიტყობთ, რა და როგორ იქნება.

■

გასულ წელს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დაარსებიდან 10 წელი აღნიშნა. მაშინ ამ ორგანიზაციის მუშაობა სახელისუფლებო წრეებმა დადებითად შეაფასეს, მაგრამ ცოტა ხანში, რესპუბლიკელები ოპოზიციაში გადაბარგდნენ და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან წამოსული რბილი კრიტიკაც, ხელისუფლების მიმართ მწვავე განცხადებებით შეიცვალა. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის, ზურაბ ბურდულის განცხადებით, ოპოზიციაში წასვლის შემდეგ, თინა ხიდაშელი და მისი მეუღლე, დავით უსუფაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციას სათოფეზე აღარ ეკარებიან, თუმცა რესპუბლიკელების გავლენა ასოციაციის მუშაობაზე უდავოა. მათი არცთუ ისე უსაფუძვლო პრეტენზიების მოსმენით გაღიზიანებული ხელისუფლება კი, დიდი ხანია, თავდასხმის საბაბს ეძებს და იპოვა კიდეც. დღეს, არასამთავრობო ორგანიზაციის წიაღიდან წამოსული მთავრობის წარმომადგენლები ყოფილ მეგობრებს „გრანტიჭამიობასა“ და პრინციპების ღალატში ადანაშაულებენ, ასოციაციის ხელმძღვანელობა, კონტრბრალდებებით გამოდის...

„თუ ნიღბიანები მოცვივდებიან, „სუხოი პაიოკს“ მოვიმარაგებთ...“

„შეიჭამა“ თუ არა 12 მილიონი და ვინ გადაუხადა საწევრო ყოფილ მეგობარ ჩინოსნებს

ხათუნა მაღრაძე

ზურაბ ბურდული, *ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი:*

— ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში 800 წევრია და ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, ადამიანი ორი დღის წინ შემოგვიერთდა თუ ორგანიზაციის დამფუძნებელია — სამართლებრივად, ყველა თანასწორუფლებიანია. მაგრამ ამ ორგანიზაციის რამდენიმე წევრი ხრამში თუ გადაიჩეხა, მთელი ასოციაცია თან ხომ ვერ გადაჰყვება?! სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არანაირი განხეთქილება ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში არ არსებობს. პრეტენზია გამოთქვეს მხოლოდ იმ ადამიანებმა, რომლებმაც ვერ გაუძლეს პოლიტიკურ წნეხს და ხელმძღვანელ პირებთან ქულების დასაწერად, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციის იმიჯის შელახვას შეეცადნენ.

— ყველა „ხრამში გადაჩეხილია“, ვინც ასოციაციის მუშაობითაა უკმაყოფილო? მათი რიცხვი საკმაოდ გაიზარდა...

— იმ ადამიანებზე ვერ ვილაპარაკებ, რომლებმაც ანა დოლიძის გადაყენება მოითხოვეს, რადგან ამ ახალგაზრდებს ჩვენი ასოციაციის შენობასთან ახლოსაც არ ჩაუვლიათ, ისინი ქუჩიდან მოყვანილი ხალხია და თავიანთი გაჭირვება ეყოფათ... რაც შეეხება დანარჩენ პირებს — გია გეწაძე, პაატა ლეჟავა, ირაკლი ოქრუაშვილი, გიორგი პაპუაშვილი, კოტე კუბლაშვილი — დღეს, თავად წარმოადგენენ საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას და საკუთარ თავზე იღებენ იმ კრიტიკას, რომელსაც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით გამოთქვამს. ჩვენ ეს ადამიანები ორგანიზაციაში 5-6 წელია, თვალით არ გვინახავს. უფრო მეტიც: რამდენიმე წლის წინ, საერთო კრებაზე დასასწრებად, ირაკლი ოქრუაშვილს რომ დავუკავშირდით, გაეცინა: რაღა დროს იურისტთა ასოციაციაა, მე თქვენი წევრი კიდევ ვარო?!. დღეს ის ასოციაციის პირველ გულშემატკივრად მოგვევლინა, რეალურად კი, თავად ღალატობს იმ პრინციპებს, რომლებიც ამ ორგანიზაციის დაფუძნების დროს ჰქონდა.

— მისი თქმით, პრინციპებს თქვენ ულალატეთ: ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ 12 მილიონი გააქრო, წევრებს კი, 12 ლარს ედავებაო...

— ეს ჰაერიდან მოტანილი თანხაა. შევარდნაძის დროს, არასამთავრობოები რომ გააქტიურდნენ, მაშინდელმა ხელისუფლებამ „გრანტიჭამიები“ შეგვარქვა, ამით არასამთავრობოების დისკრედიტირება უნდოდა, მაგრამ რა გამოუვიდა?.. ოქრუაშვილის ეს განცხადება იმის პასუხია, რომ ჩვენ სახელმწიფოს, ხალხის ფულის — ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვაში ვადანაშაულებთ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ითხოვს ოფიციალურ მონაცემებს კონკრეტული ფონდებისგან, აკეთებს ანალიზს და ამის შემდეგ, დასკვნას აცნობს საზოგადოებას. სწორედ ამ გზით დავადგინეთ, რომ პრეზიდენტისა და გუბერნატორების ფონდები განიავებულია. სად წავიდა ათიათასობით დოლარი, არავინ იცის. თუ ოქრუაშვილს შეუძლია, ასეთივე მტკიცებულება წარმოადგინოს, მზად ვართ, მოვუსმინოთ.

— თუ მთელი თანხა მიზნობრივად იხარჯება, ასოციაციის წევრებს ხარჯთაღრიცხვას რატომ არ აწვდით?

— ჩვენ არა ვართ ვალდებული, 800 წევრს კარდაკარ ჩამოვუაროთ და ანგარიშები დავურიგოთ. მიუხედავად იმისა, რომ ხალხის ფულთან შეხება არ გვაქვს, მაინც ნებისმიერი მოქალაქის ინტერესს ვაკმაყოფილებთ და ქუჩიდან შემოსულ ცნობისმოყვარე ადამიანსაც კი, დაწვრილებით ვუხსნით, თუ რაში დაიხარჯა თითოეული თეთრი. იმავე ინფორმაციას მიიღებდა ოქრუაშვილი, თუ ოფისში მობრძანებას ინებებდა ან ჩვენი ორგანიზაციის ბუკლეტს გაეცნობოდა, რომელსაც ყოველწლიურად ვბეჭდავთ და სადაც ზუსტად არის გაწერილი წლიური ანგარიშები და აუდიტორული შეფასება.

— მის აქ მოსვლას ტყულად ელოდებით: თავად თქვა — პირდაუბანელ დედაკაცებთან საქმე არ მაქვსო. თქვენი აზრით, თინა ხიდაშელსა და ანა დოლიძეს გულისხმობდა?

— თინა ხიდაშელი, გარდა იმისა, რომ გამგეობის წევრია, სათოფეზე აღარ ეკარება ჩვენს ორგანიზაციას. ის კარგად აცნობიერებს საკუთარ არჩევანს, როგორც ოპოზიციონერი... ოქრუაშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა ვულგარულობით. არა მგონია, ისე დაჩლუნგებოდა გემოვნება, ანა დოლიძეში ნიჭიერი და ლამაზი ქალი ვერ დაენახა. ვფიქრობ, მას პირდაუბანელის

მაგივრად, ჭყინტი უნდა ეთქვა, რომ მათი ასაკისთვის გაესვა ხაზი. ამ ხელისუფლებას ადრე, ახალგაზრდობის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია. როგორც ჩანს, ამ კუთხითაც შეიცვალეს ხედვა. რაც შეხება განათლებას — ზემოთ ხსენებულ ადამიანებს ამ თემაზე საუბრის უფლება არა აქვთ, რადგან დარწმუნებული ვარ, არც ერთ მათგანს არ ახსოვს, ბოლოს, როდის წაიკითხა წიგნი.

— თქვენი აზრით, რატომ გაუჩნდათ ასოციაციის დამფუძნებლებს იმის განცდა, რომ თქვენ არასამთავრობო ორგანიზაციის ფარგლებს გასცდით და „რესპუბლიკელების კანტორად“ გადაიქეცით?

— კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, რომ ამ განცხადებას ხელისუფლებაში მყოფი პირები აკეთებენ. ზუსტად ვიცი — მათ გულებში გაღიზიანების პირველი ნაპერწკალი გაჩნდა მაშინ, როცა კონსტიტუცია გადახიეს და გადაყარეს, ჩვენ კი ეს გავაპროტესტეთ. შემდეგ, იყო თვითმმართველობის იგნორირება, სასამართლოს, როგორც მესამე ხელისუფლების, გაუქმება. არანაკლები სიმახინჯეა, როცა კორუმპირებულ მოსამართლეს აშანტაჟებ, ფიზიკურად უსწორდები და ამით აიძულებ, გადადგეს, ვიდრე ის, რომ მოსამართლემ პატიმრისგან ქრთამი აიღოს. წარმოდგენაც არ შემეძლო, რომ ამის ახსნა გია გეწაძეს, ირაკლი ოქრუაშვილს ან კოტე კუ-

ბლაშვილს დასჭირდებოდათ, ისინი სხვანაირად ფიქრობდნენ, სანამ ჩინოვნიკები გახდებოდნენ. ხელისუფლებაში ყოფნა გარყვნას არ ნიშნავს, მაგრამ თუ პირველად იქ, სადაც უარის თქმაა საჭირო, „არას“ არ იტყვი და წნეხის ქვეშ მოექცევი, შემდეგ, საკუთარი შეცდომებიც ჩაგითრევს და შეგიწირავს. გარდა ამისა, ხელისუფლების გაღიზიანება გამოიწვია ფონდების გაკონტროლებამ, „მეამბოხე მოსამართლეების“ დაცვამ, ციხის უმძიმეს პირობებზე გაკეთებულმა ჩვენმა განცხადებებმა. თუ ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებზე ასოციაციის რეაგირება უადგილო იყო, მაშინ უწოდონ ამას ორგანიზაციის შეცდომა.

— თქვენ ხომ მეგობრები იყავით. არ გირეკავდნენ და არ გარიგებდნენ, ზედმეტად პოლიტიზებული განცხადებებისგან თავი შეიკავეთო?

— ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც ხალხს უნდა — არც ერთი მისხალით მეტს. დარეკვას კი არ იკადრებდნენ. ასეც რომ ყოფილიყო, ჩვენ ჩვენი პრინციპები გვაქვს, ის პრინციპები, რომლებიც თავად დამფუძნებლებმა ჩამოაყალიბეს. მათ დიდი შრომა გასწიეს ორგანიზაციის შექმნაში და ეს არ დაგვიწყებია.

— იქნებ, მაღალჩინოსნებს, განდგომილი მეგობრები „თავისუფლებაზე“ ყოფნისთვის არ „ემეტებით“. მათთან დაპირისპირება სრულიად არ გაშინებთ?..

— ჩვენ სხვების უფლებებს ვიცავთ და საკუთარსაც მოვუხერხებთ რამეს. მაგრამ თუ ნიღბიანები მოცვივდებიან და ალყაში მოგვაქცევენ, „სუხოი პაიოკს“ მოვიმარაგებთ და შენობაში გავმაგრდებით *(იცინის)*... ეს ხუმრობით. რეალურად კი, ჩვენს ანგარიშებში ქექვას ურჩევნიათ, ხალხს ანაბრები დაურიგონ და ბიუჯეტი უფრო გამჭვირვალე გახადონ.

— ანაბრების მოთხოვნაზე ექსკლუზიური უფლება კობა დავითაშვილს აქვს. მას შეიძლება, ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელიც შეუერთდეს: მათ ხომ დავითაშვილმა საწევრო გადაუხადა.

— საწევროების თემის აუღერება მხოლოდ საბაბი იყო. საერთო კრების გადაწყვეტილებით, 125-მა ადამიანმა მიიღო საბოლოო გაფრთხილება: თუ 13 იანვრამდე დავალიანებას არ გადაიხდიან, ასოციაციიდან გაირიცხებიან. ამ სიაში მოხვდნენ ზემოთ ხსენებული პირებიც.

— მათ რომ ხმაური არ აეტეხათ, მინისტრებსა და პარლამენტარებს ასოციაციიდან მაინც გარიცხავდით?

— საერთო კრების გადაწყვეტილება ჩვენთვის კანონია. თანაც, სრულიად გაუგებარია, რა აზრი აქვს ადამიანისთვის იმ ორგანიზაციის წევრობას, სადაც 5 წელი ფეხიც არ შეუდგამს. არქივშიც კი არ იქნება მასალა, რომელიც დაადასტურებს, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში, ამ ადამიანებმა თუნდაც ერთხელ გააკეთეს განცხადება ორგანიზაციის სახელით. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან მათი გვარების დაკავშირება ჩაიფიქრეს კონკრეტულმა ადამიანებმა, რომელთაც სურდათ, დაჰპირისპირებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციას, ოღონდ, ამისთვის დაერქმით არა ხელისუფლების იერიში, არამედ შიდაგანხეთქილება... გული მწყდება, რომ ამ პროცესში ჩემი მეგობრები მონაწილეობენ. იყო დრო, როცა ჩვენთვის ერთად ყოფნის ყოველი წუთი ძალზე ძვირფასი გახლდათ. ამის შემდეგ კი, მათთვის ქუჩაში „გამარჯობის“ თქმაც გაგვიჭირდება. ნდობის აღდგენას ალბათ, ისევ თვითონ უნდა შეეცადონ.

— თქვენს ასოციაციაში, ხელისუფლების წარმომადგენლების გარდა, ოპოზიციონერებიც არიან. ისინი ყოველთვის პირნათლად იხდიან საწევროს და არც საერთო კრებებს აცდენენ?

— გასარიცხთა სიაში 120-ზე მეტი ადამიანია. შეიძლება, მათ შორის, ოპოზიციონერებიც იყვნენ. კონკრეტული გვარები არ მახსენდება. თანაც, ჩვენთან ასოციაციის წევრთა „პოზიციად“ და ოპოზიციად დაყოფა არ ხდება. ქვეყნის პირველ პირებს გონიერება რომ ჰყოფნიდეთ, მადლობა უნდა გადაგვიხადონ ჩატარებული სამუშაოსთვის. ჩვენ მათ სრულყოფილი სახელმწიფოს აშენებაში ვეხმარებით. სანამ ნაცმოძრაობა, რესპუბლიკელები, ჩვენი ორგანიზაცია ერთად იყვნენ და შევარდნაძის ხელისუფლებას ვებრძოდით, ოპოზიციონერისგან მტრის ხატს არავინ ქმნიდა; როცა მათ შეცდომებს შეეხო საქმე, აგრესიას ველარ მალავენ. არადა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობა სწორედ მათ აკისრიათ...

ჩვენი სურვილი იყო, ურთიერთდაპირისპირებული მხარეების პოზიციები დაგვეფიქსირებინა, მაგრამ სამწუხაროდ, მათთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. ლევან ალაფიშვილმა და პაატა ლეჟავამ კომენტარისგან თავი შეიკავეს, გია გეწაძესთან დაკავშირება კი, შეუძლებელი აღმოჩნდა. ამის მიზეზი ჩვენთვის უცნობი დარჩა. შესაძლოა, მიიჩნიეს, რომ მათ მიერ პრესკონფერენციაზე გაჟღერებული არგუმენტები საკმარისი იყო და დამატებით აღარაფერი ჰქონდათ სათქმელი.

■

ბევრი ელოდება ხოლმე რომელიღაც განსაკუთრებულ ორშაბათს, რომ ახალი ცხოვრება დაიწყოს. ზოგი კი, ღმერთს ევედრება, რომ ასეთი ორშაბათი არ დაუდგეს. მაგრამ როგორებიც არ უნდა იყვნენ ადამიანები — კმაყოფილნი თავიანთი ბედით თუ მასზე სასტიკად განაწყენებულნი და ვინც არ უნდა იყვნენ ისინი — აქაურები თუ ოკეანის გაღმა მცხოვრებნი — არავინაა დაზღვეული, რომ ოდესმე, ისეთი დღე არ დაუდგება, როცა იძულებული გახდება ძველის ნანგრევებზე სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყოს...

ბედის შემობრუნება:

შეაშველეთ ხელი – იქნებ, თქვენც სახელგანთქმული და მდიდარი გახდეთ

პარადოქსია, მაგრამ როცა ადამიანს თითქმის არაფერი აბადია, ის ჩვეულებრივ, მთელი ძალით ებღაუჭება ამ „თითქმის არაფერს“. თავის გასამართლებლად კი ამბობს: „სამაგიეროდ, ეს ჩემია, დაუმადლებელი...“ იშვიათად რომ ვინმეს მოეკრიბოს გამბედაობა და უარი ეთქვას გატკეპნილ გზაზე, მაშინაც კი, როცა იმთავითვე ცნობილი, რომ წინ მხოლოდ ჩიხია და მეტი არაფერი. ადამიანს ეშინია, მიატოვოს ცხოვრების ჩვეული გზა. ბევრ ადამიანს ცხოვრების გარკვეულ მომენტში უფიქრია, რომ უკეთეს ხვედრს იმსახურებს, მაგრამ ვერ გაუბედავს, გადაედგა ნაბიჯი გაურკვევლობისკენ. ალბათ ერთი მიზეზის გამო — ძალზე აშკარაა რისკი, რომ წუმპეში აღმოჩნდეს. მაგრამ წარმატებაც ხომ ძალზე შესაძლებელია?! რატომ უნდა მოხვდეს ადამიანი მაინცდამაინც წუმპეში? ხომ შესაძლებელია, ის კარგ კომპანიაში აღმოჩნდეს? თუნდაც, იმ ადამიანთა კომპანიაში, რომლებმაც თავიანთი უბედურება ან „ძველი ბედნიერება“ ახალზე გაცვალეს. დიახ, მათ გაუმართლათ, მაგრამ ასევე შეიძლება, გაგიმართლოთ თქვენც...

უცენტოდ, უქმროდ...

მსოფლიო ტელეგიგანტის — CNN-ის შემქმნელმა, ტედ ტერნერმა უამრავი დრო დაზოგა საჭირო ადგილის ძებნისას: ის ზუსტად იქ დაიბადა, სადაც საჭირო იყო — სარეკლამო ფირმის მფლობელის ოჯახში, რომლის ქონებაც რამდენიმე მილიონ დოლარს აღწევდა. იმისთვის, რომ საყოველთაოდ ცნობილ მედიამაგნატად ქცეულიყო, მას თითქოს აღარაფერი უნდა მოემოქმედა, გარდა იმისა, რომ გაზრდილიყო და მამის ბიზნესი მიეღო მემკვიდრეობით, მაგრამ ტედმა ამ პროგრამის მხოლოდ პირველი პუნქტი დაძლია: ის გაიზარდა. რაც შეეხება მეორე პუნქტს... ლოთობისა და გაცდენებისთვის ის უნივერსიტეტის მეორე კურსიდან გარიცხეს, მამამ უვიცი შვილი თავის სააგენტოში მოაწყო, რათა საკუთარი ხელით გამოეზარდა მისგან „რაიმე ღირებული“, მაგრამ თავისი იმედების ობიექტის ისეთ გონებაშეზღუდულობას წააწყდა, რომ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, თავისი ბიზნესი ნაჩქარევად მიჰყიდა კონკურენტებს. ტერნერმა-უფროსმა ამ გარიგებით მიღებული ფული ოჯახის ყველა წევრს უანდერძა, გარდა ტედისა. მას ერთი ცენტიც არ ერგო მამის მემკვიდრეობიდან. ჰოდა, ერთ მშვენიერ ... უკაცრავად — არამშვენიერ დილას, პრინცმა მათხოვრად გაიღვიძა. სწორედაც რომ გაიღვიძა. მამის გადაწყვეტილებით გაგიჟებულმა, მან შანტაჟით, მოტყუებით, ვალებში ყელამდე ჩაფლულმა, როგორღაც შეძლო, იმ „ბოროტი კონკურენტებისთვის“ ხელიდან გამოეგლიჯა მამამისის კომპანია. 7 წლის შემდეგ, ვალებიც გაისტუმრა ... დღეს, ტედ ტერნერის იმპერიას, უნიკალური კინოარქივი, ორი ტელერახი, ორი კინოკომპანია და კინოთეატრების მთელი ქსელი წარმოადგენს. მამამისს ასეთი მასშტაბები არც კი დასიზმრებია. მთელი ეს კომპანია ფაქტობრივად, ცარიელ ადგილზე ამოიზარდა, და ეს ყველაფერი მოხდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ამ კაცს ბედმა პანლური ამოარტყა...



ტედ ტერნერი — ამ კაცს ბედმა პანლური ამოარტყა...

როგორც ჩანს, ზოგიერთის შთაგონების წყარო სწორედაც რომ მუჯლუგუნებია და არა ფორტუნის ალერსი... ან იქნებ, გადასასინჯია გამართლების არსებული, სტანდარტული შეხედულებები?.. თუ იღბალი, არამი ლუკმის სახით ეძლევა ადამიანს, შავ ხიზილალასთან ერთად, ამას კარგი არაფერი მოჰყვება: მშიერი კუჭისთვის დელიკატესის დიდი დოზა საწამლავს წარმოადგენს. კაცობრიობის ისტორიაში მრავლად მოიძებნება ისეთი მაგალითი, როცა ადამიანი მემკვიდრეობით იღებდა ან სულაც კაზინოში იგებდა დიდ თანხას და მომენტალურად ხარჯავდა მას ათასგვარ სისულელეზე. შემდეგ კი, შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალი აღესრულებოდა... არა! ჭეშმარიტი გამართლება უფრო ხშირად, ის გახლავთ, როცა, კაცმა არ იცის საიდან და ადამიანს „თავს დაატყდება“ უსაზღვრო წარმატება.

სწორედ ასე დაემართა ტედ ტერნერის თანამემამულეს, რომელიც ერთ დროს, ძალზე იღბლიანად გათხოვდა. ჯერ ერთი, ქორწინება დიდ ორმხრივ სიყვარულს ეფუძნებოდა. მეორეც, მისი მეუღლე ოცდაჩვიდმეტნახევარი მილიონი დოლარის მემკვიდრე გახლდათ... მოსიყვარულე ქმარმა ჩანასახშივე მოსპო ქალის სურვილი, საკუთარი კარიერა შეექმნა და ისიც დიასახლისად იქცა. სამი ქალიშვილი გააჩინა. მოწყენილობისგან რატომღაც, რუსული ენა ისწავლა. ასპირანტურაც დაამთავრა და პოლიტოლოგიის მაგისტრის ხარისხიც მიიღო. ასე, შეუმჩნევლად განვლო მისი „ქალური ბედნიერების“ 22-მა წელიწადმა. 23-ე წელს კი, კატასტროფა მოხდა: ძვირფასმა მეუღლემ გაანდო, რომ სხვა ქალი შეუყვარდა და მაშინვე მასთან გაეშურა... დღემდე, თუ შეიტყობს, რომ რომელიმე, მისთვის აუცილებელ მიღებაზე ყოფილი ქმარიცაა მიწვეული, ნებისმიერ ხრიკს მიმართავს, რომ როგორმე თავი აარიდოს წარსულთან შეხვედრას. არადა, მათი ოჯახის დანგრევის დღიდან, უკვე 20 წელი გავიდა...

მაგრამ ჯო ოლბრაიტს ის რომ არ მიეტოვებინა, მსოფლიო ხომ ვერ გაიცნობდა მადლენ ოლბრაიტს. მას თვითონაც რამდენჯერმე წამოუძახებია: „განქორწინება რომ არა!..“ 62 წლის მადლენ ოლბრაიტი — მრავალშვილიანი მარტოხელა დედა ამერიკის შეერთე-



თვითონაც რამდენჯერმე წამოუძახებია: „განქორწინება რომ არა!..

ბული შტატების სახელმწიფო მდივანი გახდა — ეს ყველაზე დიდი თანამდებობაა, რომელიც კი ოდესმე დაუკავებია ქალს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი სახელმწიფო მდივანიც ქალია და არც მისთვის წარმოადგენდა პოლიტიკოსობა ბავშვობის ოცნებას. მისი ბედიც მისთვისვე სრულიად მოულოდნელად შეიცვალა და ამ საქმეშიც მამაკაცის ხელი ერია — მადლენ ოლბრაიტის მამის ხელი...

ბავშვობაში კონდოლიზა რაისი დღე და ღამე ფორტეპიანოს უჯდა და ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ პიანისტი კი არა, თეთრი სახლის ერთ-ერთი წარჩინებული ჩინოსანი გახდებოდა, მაგრამ კოლეჯში, სადაც ის სწავლობდა, ლექციების ციკლს კითხულობდა... მადლენ ოლბრაიტის მამა, ყოფილი ჩეხი დიპლომატი. ის ისე კარგად კითხულობდა, რომ კონდოლიზა რაისს გული გაუცივდა გამების მიმართ და პოლიტიკამ მონუსხა. კოდოლიზა რაისი ყოველთვის ვუნდერკინდად მიაჩნდათ. ის მხოლოდ 15 წლის იყო, როცა დენვერის უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა. 19 წლისამ, ბაკალავრის დიპლომი მიიღო, პარალელურად დაამთავრა მუსიკალური სკოლის ფორტეპიანოს კლასი. 26 წლისამ დაიცვა დისერტაცია სოვეტოლოგიაში და სტენფორდში გაემგზავრა, რათა ახლა უკვე სხვებისთვის ესწავლებინა, კალიფორნიის ამ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში. მოგვიანებით, ის სტენფორდის უნივერსიტეტის რექტორი გახდა...

ახლა ის მთელ მსოფლიოში მოგზაურობს და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას განაგებს. მაგრამ რომ არა მადლენ ოლბრაიტის მამა, იქნებ, კიდეც მოევლო მსოფლიო, ოღონდ ალბათ მხოლოდ საკონცერტო დარბაზებს დასჯერებოდა...

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ წრეებში იმასაც ამბობენ, რომ კონდოლიზა რაისი ნამდვილად არ დაკმაყოფილდება მიღწეულით. ქვეყანაში უკვე დაიწყო მოძრაობა, რომელიც 2008 წლის არჩევნებზე კონდოლიზა რაისის, პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებას მოითხოვს. რესპუბლიკელებმა სასწრაფოდ აიტაცეს ეს იდეა.

თვითონ ქალბატონ რაისს, როგორც ლოიალურ ჩინოვნიკს შეეფერება, ჯერ არ გამოუთქვამს აზრი ამ საკითხზე. მაგრამ უკვე ხშირად იგონებენ მის მიერ ერთ-ერთ ინტერვიუში ნათქვამს: „ჩემმა მშობლებმა სავსებით დამარწმუნეს იმაში, რომ შეიძლება, ვერ ვიყიდო ჰამბურგერი მაღაზია Woolworth`s-ში, მაგრამ აუცილებლად შევძლებ, გავხდე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი“...

ერთი ბოთლი არყის შემყურე ორი ღატაკი მსახიობი

უდავოა — ოკეანისგაღმელებს მსოფლიო არაერთხელ გაუოცებიათ საშინელი დაცემისა და თავბრუდამხვევი აღზევების მაგალითით. მაგრამ ასეთი რამ ხომ ჩვენს მეზობლადაც ხდება, სულ ახლოს — რუსეთში. ბედის „ცვლილების“ „ნომინაციაში“ რუსული „წარმოების ჰიტად“ იქცა ვლადიმირ პუტინის ამბავი, რომელიც გაპრეზიდენტებამდე ნახევარი წლით ადრე, არც კი ოცნებობდა ამაზე. ის მზვერავი იყო და უცებ, სახელმწიფოს კონსტიტუციის გარანტად იქცა. საოცარი მოვლენაა! თუმცა, მხოლოდ ძველი დროისთვის, რომლის კანონები ბევრმა ადამიანმა ამ მოვლენის შეფასების საზომად გამოიყენა. ცვლილებებით გამორჩეულ ეპოქაში კი, თავბრუდამხვევი კარიერა ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენს. ამიტომ მსგავსი რამის თავისუფალ დროს მოფიქრებასა და მით უმეტეს, წინასწარ დაგეგმვას აზრი არა აქვს. თუნდაც იმიტომ, რომ არავინ იცის, შემდგომ ცვლილებათა არც ვადები და არც არსი. მაშ, რა გაკვეთილები შეიძლება მიიღოს ადამიანმა იქიდან, რაც სინამდვილეში ხდება, მაგრამ არავინ იცის — როდის?..

კითხვაზე პასუხის მისაღებად, კერძო მეწარმეობის სფეროს მივმართოთ. ეს შეუდარებლად სარისკო სიამოვნებაა, გაცილებით სარისკო, ვიდრე ხტუნვა-ხტუნვით სამსახურებრივ კიბეზე აღმასვლა. მაგრამ აი, პარადოქსი: ჩვენი წარმატებული ბიზნესმენი მეტია, ვიდრე კარიერისტი. საუბარი არ არის ოლიგარქებზე, რომლებმაც თავიანთი კაპიტალი ისევ და ისევ „გადარეული“ დროის წყალობით დააგროვეს. ყოფილი საბჭოთა კავშირის (ახლო წარსულში — ჩვენი ქვეყნის) საშუალო სტატისტიკური მოქალაქისთვის გასაგებია მხოლოდ ის გამოცდილება, რომელიც მისას ჰგავს. თუ მას რაიმე აღელვებს, ეს უბრალო შეკითხვაა: რატომ შეძლო ვიღაცამ, მე კი ვერ მოვახერხე? — ჩვენ ხომ ერთდროულად დავიწყეთ... ცნობილია კიდევ ერთი გარემოება — რომ ჩვენი საშუალო სტატისტიკური მოქალაქე, როგორც წესი, ერთ დროს, წარმატებული ადამიანი იყო, თანაც, სწორედ იმ პროფესიაში, რომელსაც ყველაზე მეტად შეეხო ქვეყანაში მომხდარი ცვლილებები.

მაგალითისთვის, ისევ რუსეთს მივმართოთ. თეატრის რეჟისორი და მსახიობი — სწორედ ასე მოიხსენიებოდა თავის „ძველ ცხოვრებაში“ პეტერბურგელი ანდრეი ანანოვი. ოციოდე წლის წინ, მას საინტერესო რამ შეემთხვა. მეგობარმა, ასევე მსახიობმა, ის სტუმრად დაპატიჟა. საუბარში მათ ძალზე სწრაფად „შემოეხარჯათ“ ნახევარი ლიტრი არაყი და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ცოტა დალიეს, მაგრამ არც ერთს აღარ ჰქონდა ფული, რომ სასმელი ეყიდა. ოთახში კი მეგობარს უცნაური კონსტრუქციის მაგიდა ედგა: როგორც გაირკვა, ის დამატებით შემოსავალს იუველირობით შოულობდა. თურმე, ეს ხელობა მისთვის მამას უსწავლებია. ანანოვი მიუჯდა ამ უცნაურ მაგიდას, გადახერხა ვერცხლის მავთული, გააკეთა ბეჭედი, იქვე ქუჩის კუთხეში გაასაღა თავისი ნაკეთობა და მეგობართან ერთად ძვირფასი ნადავლით ხელში დაბრუნდა: ორი ბოთლი არყითა და სოსისით... იმ საღამოს, ის იუველირობით დაავადდა. რა თქმა უნდა, ამ ხელობის წყალობით, მას მზად ჰქონდა „სათადარიგო აეროდრომი“, როცა „პერესტროიკა“ დაიწყო და თეატრალური სპექტაკლების დადგმით ნაშოვნი ფულით ოჯახის რჩენა უკვე შეუძლებელი გახდა. მაგრამ მთავარი ეს როდია. იუველირი ანანოვი თვითნასწავლია. მასწავლებლები სად ეძებნა? — ზოგი გარდაიცვალა, ზოგი კი საზღვარგარეთ გაიქცა ჯერ კიდევ მის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე... მან თვითონ დაამზადა ხელსაწყოები, გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა უძველეს ნაკეთობათა ასლებს, თავიდან აღმოაჩინა XV საუკუნის ტექნოლოგიები... მისთვის მუდამ „უფრო საინტერესო იყო სამუზეუმო დონის ნივთების შექმნა, ვიდრე რაღაც მარტივი ნივთებით ფულის იოლად შოვნა.

არც მისთვის წარმოადგენდა პოლიტიკოსობა ბავშვობის ოცნებას. მისი ბედიც მისთვისვე სრულიად მოულოდნელად შეიცვალა

ახლა მისი ნამუშევრები ამშვენებს კაბალიეს, დომინგოს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, მონაკოს პრინცისა და ორი გვირგვინოსნის — ინგლისის და ესპანეთის დედოფლების კერძო კოლექციებს. ანდრეი ანანოვი აღიარებულია ფაბერჟეს კლასის ერთადერთ ოსტატად მსოფლიოში. და აღიარებულია არა ჩვეულებრივ მოკვდავთა მიერ, არამედ ფირმა Cartier-სა და ფირმა Faberge-ს მიერ,

ᲑᲔᲓᲘᲡ „ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ“ „ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲨᲘ“ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ „ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲰᲘᲢᲒᲐᲓ“ ᲘᲥᲪᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

რომელმაც უკვე დიდი ხანია, დაკარგა საგვარეულო ნოუ-ჰაუ და უფლება მისცა მას, თავის ქმნილებებზე ორმაგი დამღა დაესვა: „ფაბერჟე ანანოვისგან“.

ავტობიზნესი — ექსპერიმენტული ფიზიკის სანაცვლოდ

რა თქმა უნდა, ყველა ჰობი არ გამოდგება ცხოვრების ნულიდან დასაწყებად და იშვიათობაა, რომელიმე მათგანმა შთაბეჭდილება მოახდინოს ინგლისის დედოფალზე. მაგრამ ზოგადად, საყვარელი საქმე არა მარტო მოწყენილობის წამლად ქცეულა, არამედ ბევრს დახმარებია იმაში, რომ თავი გადაერჩინა საბედისწერო ცვლილებების შედეგებისგან. ბატონი ანანოვის შემთხვევა საკმაოდ ეგზოტიკურია და ცხადია, სხვაგვარი შემთხვევებიც ხდება. მაგალითად, ალექსანდრე ჩუგუაშვილის (გვარ-სახელი შეცვლილია) ამბავი. ის ტურისტული კომპანია „სოდისის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია.

ბატონი ალექსანდრე ექსპერიმენტული ფიზიკის სპეციალისტია, გამოქვეყნებული აქვს ათობით სამეცნიერო შრომა, ჰქონდა თავისი ლაბორატორია, მერე დაინიშნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, მაგრამ ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა მისი ცხოვრებაც მთლიანად შეცვალა. სახელმწიფო გაღატაკდა, ფუნდამენტური გამოკვლევები აღარ ფინანსდებოდა... შემდეგ მოვლენები თავად ჩუგუაშვილის თქმით, ასე განვითარდა:

— რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩვენი ლაბორატორია კიდევ მუშაობდა. მაგრამ აღჭურვილობა ძველდებოდა, მასალების მარაგი ილეოდა, მუშაობა აზრს კარგავდა და ჩვენთან საფუძვლიანი ცვლილებები მოხდა, თანამშრომელთა ნაწილი საზღვარგარეთ გაემგზავრა, მეორე ნაწილმა ფულის შოვნას მიჰყო ხელი. თუმცა, მათგან ცოტამ თუ მიატოვა მეცნიერება მაშინვე. თავიდან, რა თქმა უნდა, დამატებით სამუშაოს ვეძებდით და ამ ძიებაში ყველამ სტანდარტული გზა გავიარეთ: ვვაჭრობდით სხვადასხვა საქონლით, შემდეგ დავინტერესდით გარიგებებით უძრავი ქონების სფეროში, ვიპოვეთ პარტნიორები და იმ მომენტისთვის, ერთ-ერთი პირველი რეელტორული ფირმა შევქმენით. 1989 წელს კი, იმავე პარტნიორებთან ერთად, რეგისტრაციაში გავატარეთ ტურისტული კომპანია. რატომ შევჩერდით ტურიზმზე?.. ალბათ, ორი მიზეზის გამო. ჩვენი ფირმის ყველა დამფუძნებელი წარსულში, ბევრს მოგზაურობდა — ფეხით, თხილამურებით, ცხენებით, ვაწყობდით ლაშქრობებს მაღალმთიან რაიონებში... ჰოდა, სწორედ ეს ჰობი იქცა ჩვენთვის ბიზნესად. მეორე მიზეზი კი, რომელიც პირველიდან გამომდინარეობდა, ასეთი გახლავთ: ფულის შოვნა მხოლოდ იმისთვის, რომ ფული იშოვო, მაინც მოსაწყენია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს საქმიანობა სასიამოვნო იყოს. ერთ დროს, ფიზიკა, რომელიც ძალიან მიყვარდა და დღესაც მიყვარს, დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. ახლა ტურისტული ბიზნესით ვარ დაკავებული და ამითიც დიდ სიამოვნებას ვიღებ. ვცხოვრობ იმ ქვეყანაში, რომელიც მომწონს, მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომელთა გადალახვაც გამუდმებით მიხდება. სხვათა შორის, სწორედ ამიტომ, არსად წავსულვარ საქართველოდან. ბევრი ჩემი კოლეგისა და მეგობრისგან განსხვავებით, აზრადაც არ მოსვლია მშობლიური ქვეყნიდან გამგზავრება.

„...კიდევ დიდხანს მესიზმრებოდა ავადმყოფები“

ახლა დავუშვათ, რომ ადამიანს, საყვარელი პროფესიის გარდა, არანაირი ჰობი არ აქვს. კიდევ დავუშვათ, რომ ეს ადამიანი, მანამდე, სანამ ქვეყანა დაიქცეოდა, ცხრა წელი, ექიმ-გინეკოლოგად მუშაობდა, ყოველდღე, მრავალ პაციენტს იღებდა, ინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა და ამასთან, არც ღამის მორიგეობებს გაურბოდა კლინიკაში. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ საექიმო საქმიანობისგან ის ნაკლებს სიამოვნებას როდი იღებდა, ვიდრე ჩუგუაშვილი თავისი ფიზიკისგან. როგორი შანსები აქვს ამ ექიმს, გადასხვაფერდეს, იქცეს ვთქვათ, ავტობიზნესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად?.. ალბათ, ძალზე მცირე. მაგრამ ბორის ტატუნაშვილის (გვარ-სახელი შეცვლილია) ცხოვრებაში, რომელიც ამჟამად, ავტომანქანებით მოვაჭრე ერთ-ერთი ფირმის მფლობელია, ზუსტად ასეთი მეტამორფოზა მოხდა. რა თქმა უნდა, ასეთი ცვლილება არც უცაბედი შეიძლებოდა ყოფილიყო და არც უმტკივნეულო... აი, როგორ იხსენებს თვითონ, საკუთარი ცხოვრების ამ რთულ პერიოდს ტატუნაშვილი:

— წარსულში ყველაფერი მახარებდა ცხოვრებაში და სხვას არც არაფერს ვეძებდი. შემდეგ კი, „თავს დაგვატყდა“ ახალი დროება და დაიწყო ღმერთმა უწყის, რა! თითქმის ყველა ჩემი მეგობარი მეწარმედ იქცა და მეც მეძახდა, მაგრამ ძალიან ნელა შევდიოდი ბიზნესში, თითქოს ცალი ფეხით, მეორით კი, ისევ მედიცინას ვეჭიდებოდი. თუმცა, იძულებული გავხდი, ჯერ სტუდენტებისთვის დამენებებინა თავი, შემდეგ — დღის პრაქტიკისთვის. აი, ღამის მორიგეობებს კი ბოლო წუთამდე არ ვთმობდი. არ ვთმობდი, მაგრამ... ერთ დღეს, შემცირებაში მოვყევი... თავიდან, ძალიან განვიცდიდი. მიჭირდა კი არა, ძალიან მიჭირდა, რადგან ექიმი — ექიმია... რა უნდა მექნა? წავედი „საძულველ“ ვაჭრობაში!.. კიდევ დიდხანს მესიზმრებოდა ავადმყოფები, საერთოდ, „საექიმო“ სიზმრები... ახლაც, ხშირად ვიხსენებ საავადმყოფოს კორიდორს, რომელშიც ამაყად მივაბიჯებდი, თეთრ ხალათში გამოწყობილი... მაგრამ, რა თქმა უნდა, წარსულს ვერ დააბრუნებ... რაც შეეხება თვითონ საქმიანობას — ყველაფერი თითქოს თავისით მოხდა. 90-იან წლებში შემომთავაზეს, სათაოში ჩავდგომოდი მანქანებით მოვაჭრე ფირმას. გარკვეულწილად, სწორედ ამ წინადადებამ განაპირობა ჩემი დღევანდელი ცხოვრება. მართლაც რომ, ყველაფერი შემთხვევით მოხდა. მაგრამ მეორე მხრივ, რატომ მომმართეს ამ წინადადებით მაინცდამაინც მე? ალბათ, იმიტომ, რომ იმ დროისთვის, უკვე მოვასწარი, მომეპოვებინა გარკვეული ავტორიტეტი, როგორც მეწარმეს. ბიზნესმენობა საოცრად მომეწონა, მედიცინაში ადამიანმა უნდა დაიცვას მკაცრი ინსტრუქციები და ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ როცა საკუთარი საქმე წამოვიწყე, უცებ ვიგრძენი, რომ ადამიანები ორ ძირითად კატეგორიად იყოფიან: წარმმართველებად და შემსრულებლებად და რომ მე მკვეთრად გამოხატული... წარმმართველი ადამიანი ვარ. არ ვიტყვი, რომ ფული არ მაინტერესებდა — ეს სიცრუე იქნებოდა. რა თქმა უნდა, მაინტერესებდა. მაგრამ მთავარი მაინც იმით გამოწვეული სიამოვნება იყო, რომ თვითონ ვიღებდი გადაწყვეტილებებს, თვითონ მივდიოდი გარკვეულ ავანტიურაზე და უამრავ ფულს ვშოულობდი...

სხვადასხვა პიროვნება, ვისაც ახალი ცხოვრება აუგია ძველის ნანგრევებზე, ირწმუნება, რომ წარმატების საიდუმლო იმაში კი არ არის, რომ ისინი დღე და ღამე ფულის „გამოწურვას“ ახერხებდნენ, არამედ — იმაში, რომ მათ საყვარელი საქმე იპოვეს, დაკარგული, ასევე საყვარელი საქმის სანაცვლოდ.

სულაც არ ვამტკიცებთ, რომ ბედ-იღბლის შესაცვლელად რაიმე ტიპური რეცეპტები არსებობს. რამდენიც ადამიანია, იმდენივეა ვარიანტიც. რამდენიც ქვეყანაა, იმდენივეა გარემოებანი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თითოეული კონკრეტული ადამიანი იძულებულია, დაძაბოს გონება და გამოიგონოს საკუთარი „გადაადგილების საშუალება“ — ახალი ცხოვრების დასაწყებად სხვისი არ გამოდგება. სხვისი წარმატებული გამოცდილება კი... ის მხოლოდ შთაგონების წყაროდ თუ გამოდგება. მიუხედავად ტედ ტერნერის, მადლენ ოლბრაიტის, კონდოლიზა რაისის, ალექსანდრ ჩუგუაშვილის, ბორის ტატუნაშვილისა და სხვა მრავალთა ბედის განსხვავებულობისა, ისინი მაინც ძალზე ჰგვანან ერთმანეთს, მათი ცხოვრება ხომ იმის დასტურია, რომ ადამიანმა წინასწარ არასოდეს იცის, ბედის რომელ გამოცდას გაუძლებს და რომელს — ვერა. ადამიანებისთვის უცნობია საკუთარი შესაძლებლობების ზღვარი, მანამ, სანამ ამ შესაძლებლობებს არ გამოცდიან...

■

ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲛᲐᲘᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ



ღვინო დავლიე, დავთვერი, ცხოვრება გავიხალისე...

ღვინით „დაგრეხილი“ კაცები და ლოდინით „გამხმარი“ ქალები ანუ ჩვენ ყველაზე მაგრები ვართ

ახალი წელი ყველაზე მაგარი დღესასწაულია მათთვის, ვისაც მთელი წლის განმავლობაში სმას უშლიან. ამ დღეებში, დალევა ნებადართულია, ქეიფი — „ლიცენზირებული“, სახლის კარის გაღება კი — გარანტირებული... მხოლოდ იდიოტები არ თვრებიანო, — ამ გამონათქვამს მოიშველიებენ ხოლმე თავის გასამართლებლად ის ადამიანები, ვინც 2-3 ჭიქას „ხარივით სვამს“ და მერე... არაფერი ახსოვს... ნუ გაუწყრებით ნასვამ ადამიანს, რადგან მას თავისი ღმერთი — ბახუსი მფარველობს. ის კი სწორედ მაშინ რისხდება, როცა თაყვანს არ სცემენ.

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ბახუსი გახლავთ ვენახისა და ღვინის ღმერთი, „უბირ ხალხში განდიდებული, თავისებური, მხიარული ღმერთკაცი, უდარდელად წოდებული. მისი საჩუქარი ადამიანს ახალისებს და ცხოვრების სიძნელეებს ავიწყებს“. მას ღმერთთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს თავისი მხიარული ხასიათით, უბრალოებითა და კომიკური ოინებით. დიონისეს მოგზაურობა მექორწილეთა სვლას მოგვაგონებს. ყველგან ნადიმი, სიმღერა და ცეკვაა. ვინც მას უარყოფს, სასტიკად დაისჯება, როგორც დაისაჯა მეფე პენთევსი, რომელიც ბახუსმა ტახად აქცია და საკუთარ დედას დააგლეჯინა... დიონისე მხიარული შეძახილებით დადიოდა და ფლეიტა-დაფ-დაირის გუგუნში ისმოდა შეძახილები: „გამოდი!.. ქარიშხალივით გავიჭრათ ველად... ჩქარა, ქალებო! შესვით, იცეკვეთ და თაყვანი ეცით ბახუსს! და ვაი იმას, ვინც არ ინებებს ამ ჩვენს ფერხულში როკვა-სიმღერას! ვიქცევით ჯიქებად, მგლებად, ლომებად, დავგლეჯთ ჯიუტ თხებს! დედა შვილს დაგლეჯს, მხევალი — მეფეს“... აი, როგორ სჯიდა ბახუსი მათ, ვინც თაყვანს არ სცემდა. ამიტომ, რაღა დაგვრჩენია? მის მოწოდებას უნდა მივყვეთ და... მოვილხინოთ.

მარი ჯაფარიძე

დღევანდელი თემა სადღეგრძელოს გარეშე, ნამდვილად უფერული გამოგვივა, ამიტომ, ჯერ ჩვენი მკითხველის მიერ შემოთავაზებული სადღეგრძელო „მივირთვათ“, მერე კი, „ალავერდი“ მეორე მკითხველთან გადავიდეთ და მის მიერ მოყოლილ ამბავზე ვიხალისოთ...

„მოდი, იმ სიყვარულს გაუმარჯოს,/ იმ მოფერებას და ალერსს,/ გრძნობის მოზღვავებას გაუმარჯოს,/ ცრემლით რომ აგივსებს თვალებს/... მოდი, „გზავნილების“ მკითხველების თამადობით, ყველა იმ ადამიანს გაუმარჯოს, ვინც ცხოვრება ღვინით გაიხალისა...“ — სადღეგრძელო შესვით? გაამოთ! ახლა კი, დაპირებული ამბავი.

„ცოცხალი ვარ, ცოცხალიიიი!“

„დავიწყებ იმით, რომ როდესაც დავლევ, მეორე დღეს, აღარაფერი მახსოვს. მერე მიყვებიან, რა გავაკეთე, ვის რა ვუთხარი, ვის თვალი დავულურჯე და ვინ — მე დამილურჯა. მერე, ერთი კვირა, შინიდან ვერ გავდივარ ხოლმე სირცხვილისგან. ვერა და ვერ მოვიშალე ეს ჩვევა, რომ ძალიან არ დავთვრე... ახლა კი ამბავი, რომელიც ორიოდე თვის წინ შემემთხვა. უნივერსიტეტი იმდენად დიდი ხნის წინ დავამთავრე, რომ ზუსტად აღარც კი მახსოვს, როდის. შესაბამისად, პატარა ბიჭი არც მე ვარ. სტუდენტობის წლებიდან, 6 ბიჭი და 1 გოგო ვმეგობრობთ. თუმცა, უმჯობესი იქნებოდა მეთქვა, რომ 6 მოწიფული მამაკაცი და 1 ქალბატონი. ჰოდა, ერთ-ერთ ჩვენგანს მამა გარდაეცვალა. ასეთი წესი გვაქვს: თუ ჩვენიანს ოჯახის წევრი გარდაეცვლება, კუბოს ჩვენ, დანარჩენები ვყიდულობთ. ამჯერადაც ასე მოვიქეცით და ვინაიდან ეს ჩვენი ძმაკაცის მამა ძალზე დაბალი ტანის კაცი იყო, გამზადებული სასახლე არ გამოგვადგა და „სპეცზაკაზით“ დავამზადებინეთ. ხელოსანმა მეორე დღისთვის დაგვიბარა. წამოსაღებად კი, ოთხნი წავედით, ჩემი მანქანით. შეკვეთა ჯერ არ იყო მზად და მთელი 2 საათი თავისუფალი გვქონდა. ამიტომ, იქვე, სახელოსნოსთან ახლოს, პატარა რესტორანში შევედით და შესანდობარი ვთქვით. კარგად შევთვერით. როგორც იქნა, გაგვახსენდა, რისთვის ვიყავით მისული და მეკუბოეს მივაკითხეთ. როგორც იქნა, კუბო მანქანის სახურავზე დავამაგრეთ და ისევ სუფრასთან დავბრუნდით, რადგან მთელი გრაფინი ღვინო დაგვრჩა დასალევი და ხომ არ მივატოვებდით! გავაჩერეთ ეს კუბოიანი მანქანა რესტორნის ეზოში და გავაგრძელეთ ქეიფი... უკაცრავად — შესანდობრის დალევა. ისე გავერთეთ, რომ როცა გაგვახსენდა, რისთვის ვიყავით მოსულები და საათს დავხედეთ, უკვე ღამის 2 საათი იყო. მე ავტყდი — ოჯახს ამ შუაღამისას ველარ შევაწუხებთ, კუბო ხვალ მივუტანოთ-მეთქი, — და როგორც იქნა, მეგობრები დავიყოლიე. ყველა, სახლებში დავარიგე, ერთის გარდა. ის ჩემთან ღამის გათევაზე დავითანხმე და საკუთარ ოჯახს მივაშურე. მანქანიდან რომ გადმოვედი, მაშინ გამახსენდა, რომ სახურავზე კუბო იყო დამაგრებული და ეზოში ვერაფრით დავტოვებდი. ვინმეს რომ მოეპარა, მერე რა პასუხი გამეცა ძმაკაცებისთვის?! ბევრი ვითათბირეთ მე და ჩემმა მეგობარმა და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ შინ აგვეტანა. კარი ძალიან ფრთხილად გავაღე, რომ ჩემს ცოლს არ გაღვიძებოდა, რაც შეიძლებოდა ფრთხილად შევიტანეთ კუბო და ერთ ოთახში „მოვთავსდით სამივე“. იქ კი მხოლოდ ერთი სავარძელი იდგა და დაძინება შეუძლებელი გახლდათ. ჩემი

მეგობარი სავარძელში ჩამჯდარა, მე კი კუბოში ჩავწოლილვარ (არაფერი მახსოვს, ისიც კი, თუ როგორ ავიტანეთ სასახლე მეხუთე სართულზე). დილით, ჩემი ცოლის კივილმა გამაღვიძა. თვალი რომ გავახილე, კარგა ხანი დამჭირდა გონს მოსასვლელად. ამასობაში, ჩემს მეგობარსაც გაეღვიძა და ისიც გაოცებული იყურებოდა აქეთ-იქით. ცოლის კივილზე მეზობლები მოგროვდნენ და ატყდა ერთი ალიაქოთი... ერთი სიტყვით, ძლივს დავარწმუნე ჩემი მეუღლე, რომ ცოცხალი ვიყავი. მას კი დღემდე უკვირს, როგორ ჩავეტიე ამხელა კაცი იმ პატარა კუბოში. აი, რა იცის სიმთვრალემ... გიზო".

სპაგეტი იტალიური კერძია, მაგრამ მას ქართველი მამაკაცებიც ისეთივე სიამოვნებით მიირთმევენ, როგორითაც იტალიელები. ერთი რამ არის საინტერესო: ნეტავ, სიდედრის ხსენებაზე, იტალიელებსაც ისევე უდგებათ თმა და სპაგეტი ყალყზე, როგორც ჩვენს შემდეგ რესპონდენტს?..

დავიწყებული სიდედრი

„გამარჯობა! დედას გეფიცებით, ამ მესიჯს სრულიად ფხიზელი და სრულ ჭკუაზე მყოფი გწერთ. მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ, რომელიც მთვრალს გადამხდა თავს. იმედია, მხოლოდ საახალწლო მესიჯებით არ შემოიფარგლებით და „საზაფხულო" ამბებსაც მიიღებთ. ისე ძალიან მინდა მოგიყვეთ, რომ უარი არ გაგივათ. მარი, შემპირდი, რომ დამიბეჭდავ. აბა, ვიწყებ... გასულ ზაფხულს, ცოლ-შვილი დასასვენებლად გავუშვი მთელი თვით და შვებით ამოვისუნთქე. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ჩემი ნეტარება: ორი დღის შემდეგ, სიდედრი მომადგა კარს. ჩემს ცოლს დაურეკავს და უთხოვია — ჩემს ჩამოსვლამდე, ყურადღება მიაქციეო, — და მთელი თვით აპირებდა ჩემთან ცხოვრებას. კინაღამ გული წამივიდა, მაგრამ აბა, რას ვიზამდი?! ბედს შევეგუე და დავიწყეთ სიამტკბილობით ცხოვრება. მესამე დღეს, სამუშაო დღე რომ დამთავრდა, მივხვდი, რომ შინ წასვლა არ მინდოდა. რა თქმა უნდა, საამისო მიზეზსაც კარგად ვხვდებოდი. უეცრად, გონება გამინათდა და პირდაპირ ელიავას ბაზრობისკენ ავიღე გეზი. რამდენიმე ქილა იატაკის საღებავი ვიყიდე და ასე, ქილებამოჩრილი მივადექი სახლს. ვახშამი რომ მივირთვი, სიდედრს ვაუწყე, რომ მეორე დღეს, იატაკის შეღებვას ვაპირებდი და რამდენიმე დღე, ორივეს სხვაგან მოგვიწევდა ღამის გათევა. ის თავის სახლში წავიდა, მე კი ვითომ მეგობართან მივდიოდი, სინამდვილეში კი არსადაც არ წავსულვარ და მართალია, საღებავის სუნში, მაგრამ სამაგიეროდ, მარტოს მეძინა სახლში... გავიდა 5-6 დღე და სიდედრმა დამირეკა: უკვე გაშრებოდა ჩვენი იატაკი, დროა, საკუთარ ოჯახში დაბრუნდეო. რამდენიმე დღით ვაპირებდი ამ ამბის გადადებას, მაგრამ მან მკაცრი ტონით მითხრა — ამ საღამოს, ნება იბოძე და შინ მიდი, მეც აუცილებლად მოვალო... ცხელ გულზე, მეგობართან ერთად, კარგად გამოვთვერი. წარმოიდგინეთ, იმდენი დავლიე, რომ სულ დამავიწყდა სიდედრიც და მისი შვილიც... რომ დავთვერი, ქალებში გაგრიალებაც მომინდა, ერთ ძველ ნაშას დავურეკე და შინ წავიყვანე... ასე, საღამოს 7 საათი იქნებოდა, როცა შინ მივედით. რატომღაც, შიმშილმა შემაწუხა და ვინაიდან შინ მეტი არაფერი იყო, იმ ქალს ვთხოვე, სპაგეტი მოემზადებინა ჩემთვის. როგორც იქნა, მივუჯექი მაგიდას და ის იყო, პირველი ლუკმა უნდა ჩამედო პირში, რომ უეცრად, ჩანგალი გამივარდა ხელიდან. ჩანგლის დავარდნამ სტუმარი იცისო, — თქვა ჩემმა სტუმარმა და უცებ გამახსენდა, რომ სადაცაა, ჩემი სიდედრი მოვიდოდა. შიშისგან სპაგეტიც კი „ყალყზე დამიდგა". წამოვხტი, „შუქები" ჩავაქრე, ლოგინი გავშალე და ჩავწექი (მარტო არა, რა თქმა უნდა). თუ სიდედრი მოვიდოდა, კარს არ გავუღებდი, ვითომ შინ არ ვიყავი და წავიდოდა, აბა, რას იზამდა?! ჰოდა, შეშინებული ჩავძვერი ლოგინში. როგორც ჩანს, მალევე ჩამეძინა. კაკუნმა გამომაღვიძა და ნამთვრალევს არც კი გამხსენებია, რომ უცხო ქალი მეწვა გვერდით, ისე გავაღე კარი... ჩემი სიდედრი გახლდათ. უცებ, ქალიც გამახსენდა, მაგრამ უკვე გვიან იყო — თუმცა, საათი მხოლოდ საღამოს 9-ს უჩვენებდა. სიდედრს ვუთხარი — დაღლილი ვარ, ძალიან მეძინებამეთქი, — და ისევ ჩემი ოთახისკენ წავედი. კარი საგულდაგულოდ ჩავრაზე და მთელი ღამე, შიშის კანკალში გავატარე. უთენია გავაპარე სტუმარი შინიდან და მხოლოდ ამის შემდეგ ამოვისუნთქე შვებით... დღემდე არავინ იცის ეს ამბავი. გამიმართლა და გადავრჩი, მაგრამ ნეტავ, იმდენი სასმელი როგორ დავლიე, რომ სიდედრი დამავიწყდა?!."

წინა „გზავნილებში", ერთი ქალბატონის მესიჯი დაიბეჭდა. ვისაც არ წაუკითხავს, მოკლედ მოვუყვები მის შინაარსს: ახალი წლის ღამეს, როდესაც ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, რომანტიკულ გარემოში მარტო შეხვედროდა 2006 წელს, ღამის 2 საათზე, ქმრის მეგობარი ესტუმრა, 2 ქალბატონთან ერთად და ისინი დიასახლისს, მეუღლედ და ცოლისდად გააცნო. ქალმა იეჭვა, რომ სტუმარი ატყუებდა, ისინი სინამდვილეში, მისი ქმრისა და ქმრის მეგობრის ნაშები იყვნენ და კაცებს მათთან ერთად სადღაც „გაძრომა" უნდოდათ. დიასახლისმა ისინი დაათრო, ნაშები გარეთ გაყარა და ქმარსა და მის ძმაკაცს თავი გადაპარსა. დილით, უცოდველი კრავივით აფახულებდა თვალებს და მიამიტად კითხულობდა — ვისი იდეა იყო თავის გადაპარსვაო?.. შემდეგ დაჯდა, მესიჯი გამომიგზავნა და თან, ძალიან აინტერესებდა, როგორი რეაქცია ექნებოდა მის ქმარს, როდესაც „გზავნილებში" მის თავს გადახდენილ ამბავს წაიკითხავდა... შემპირდა, რომ აუცილებლად მომწერდა ამბის გაგრძელებას. როგორც ჩანს, ჩვენი „დალაქი" მესიჯის წერის გუნებაზე ვერ არის, რადგან ამჯერად, მისმა მეუღლემ დაგვიმესიჯა. ვნახოთ, რა მოხდა მათ ოჯახში მას შემდეგ, რაც წინა ხუთშაბათს, „გზა" იყიდეს.

შენც — ლამაზი, მეც — ლამაზი...

„გამარჯობა, მარი. მე ის თავგადაპარსული კაცი ვარ, რომელზეც ჩემმა ცოლმა მოგწერა წინა კვირას. აბსოლუტური სიმართლეა ის, რომ მოუთმენლად ველი ხოლმე ჟურნალის ახალ ნომერს, რომ „გზავნილები" წავიკითხო. მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე, მეც მოგწერდი. ჩემი მეუღლის წყალობით, ახლა აქტიური მკითხველის პოზიციიდან, აქტიური მონაწილის პოზიციაზე გადავინაცვლე. მართლაც, ჩემი მეუღლის ახირება იყო, რომ ახალ წელს მარტონი შევხვედროდით. რა რომანტიკა აუტყდა, არ ვიცი. მე და ჩემმა ძმაკაცმა კი გადავწყვიტეთ, რომ მაგარი დრო გაგვეტარებინა და სწორედ ამიტომ მოვიდა სტუმრად 2 ნაშასთან ერთად. მერე, ვითომ მასთან ოჯახში წავიდოდით, სინამდვილეში კი, სადმე, რესტორანში უნდა გვექეიფა. მოკლედ, ჩვენი ამბავი თავების გადაპარსვით რომ დამთავრდა, უკვე იცით. ხუთშაბათობით ჩემი ცოლი ყიდულობს „გზას" და საღამოობით ვკითხულობ. იმ დღეს, ისე მოხდა, რომ სამსახურში ჩემმა თანამშრომელმა მოიტანა ჟურნალი და გულმა არ მომითმინა, მაშინვე „გზავნილების" კითხვა დავიწყე. ამბავი, რა თქმა უნდა, მეცნო და ლამის გული გამიჩერდა. რამდენჯერმე გადავიკითხე... შინ მისულმა, არც შევიმჩნიე, რომ რაიმე ვიცოდი და აღარც „გზისთვის" მომიკიდია ხელი. არადა, გამოსაჩენ ადგილზე იდო. დავიძინე... არც მეორე დღეს მითქვამს მისთვის რაიმე. ვითომ არც წამიკითხავს. ჩემი ძმაკაცის ცოლს ცალკე უნახავს და გაგიჟებულა. მაშინვე მიხვდა, რომ მის ქმარზე იყო ლაპარაკი, რადგან ალბათ, დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება მეორე ადამიანი, ვინც ახალი წლის ღამეს, თავს გადაიპარსავს... ორივემ მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, შური გვეძია ცოლებზე. შორს აღარ გადაგვიწევია, შობა მოდიოდა და თავშეყრის მიზეზიც გვქონდა. მე და ჩემი მეუღლე სტუმრად წავედით ჩემს მეგობართან. ცოლებმა ერთმანეთი გაიცნეს და პირველსავე წუთებიდან, მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს. დავიწყეთ სმა. თავიდან, ქალები უარობდნენ, მაგრამ 1-2 ჭიქა დავაძალეთ და მერე, აქეთ გვაძალებდნენ. ერთი სიტყვით, ორივე მაგრად დავათვრეთ და რომ გაითიშნენ, თავები გადავპარსეთ... დილ-

ით რომ ადგნენ, გადაირივნენ, მაგრამ მიხვდნენ, რომ თავ-თავიანთი საქციელისთვის დაისაჯნენ: ჩემი ცოლი იმისთვის, რომ ასე მოგვექცა, მისი კი — იმისთვის, რომ ქმარს ეჩხუბა. აბა, ვნახოთ, ახლა თუ მოგწერთ ჩემი „კნეინა“. ახლა მან წაიკითხოს თავისი თავგადასავალი „გზავნილებში“. ვნახოთ, როგორ მოეწონება.

იმედია, ჩვენი ოხუნჯი და სიურპრიზების მოყვარული ცოლ-ქმარი არც შერიგებას გამოგვაპარებს და ან ერთი დამიმესიჯებს, ან — მეორე... ახლა კი — უჩვეულო ამბავი, რომელიც ჰეფიენდით დასრულდა.

ჯერ შური იძიეს, მერე — იქორწინეს

„შარშან, ერთ ჩემს ნაცნობს ცუდი ამბავი შეემთხვა: მეგობარი გოგოს დახმარებით, ვიღაც ბიჭმა გააუპატიურა. თამუნას ეს ამბავი ნათესავებისთვის არ დაუმალავს. გამწარებული ოჯახის წევრები ცდილობდნენ, შური ეძიათ და იმ გოგოს დაუწყეს ძებნა, ვინც ამ საქმეში იყო გარეული. სადაც ის ცხოვრობდა, იმ ბინაში საცხოვრებლად ჩემი ახლობლები გადავიდნენ. ჰოდა, ისინი ახალმოსახლეობას აღნიშნავდნენ. მეც კარგად მოვილხინე და სასმელიც გეახელით. სიმთვრალე არ შევიმჩნიე და კარგა გვიანი იყო, როცა შინ წამოვედი. სადარბაზოდან რომ გამოვედი, ახალგაზრდა ბიჭი შევნიშნე. მომიახლოვდა და მკითხა — თეო ხარო? — დიახ-მეთქი, — დავუქნიე თავი. მერე მიბრძანა — გამომყევიო... მე გამეცინა, რადგან მეგონა, რომ მეხუმრებოდა. ის კი მომიბრუნდა და — მალე, სასაცილოდ არ გექნება საქმეო, — მითხრა, — პირზე ხელი ამაფარა და სულ იოლად მომიტაცა. ალბათ ხვდებით, რომ ეს, ქორწინების მიზნით მოტაცება არ ყოფილა. მე კი ღვინისგან ისე ვიყავი გაბრუებული, რომ ყველაფერი სიზმარი მეგონა... ვიღაცის სახლში მიმიყვანეს, თან, ყველანი ირონიულად მიყურებდნენ. მე ვფიქრობდი, რომ ამ ბიჭებიდან რომელიღაცას ვუყვარდი და მომიტაცა. იქ იყო თამუნას დეიდაშვილი — დიმა, რომელმაც ძალით დამიმორჩილა... იქიდან ჩემი ფეხით წამოვედი, მაგრამ ვიდრე წამოვიდოდი, ვკითხე — ვინ ხარ, ასე რატომ მომექეცი-მეთქი? — შენი ცოდვები დაგავიწყდა? ვინ იფიქრებდა, რომ ქალწული აღმოჩნდებოდიო?!. — დაამატა შემდეგ... 6 თვე ვმკურნალობდი, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვსულიყავი. ყოველ წუთს მაწუხებდა კითხვები — რატომ? რისთვის? ხომ უნდა ყოფილიყო მიზეზი, რის გამოც ასე სასტიკად მომექცნენ!.. იმ ბიჭებიდან არავის ვიცნობდი და არც იმის მერე მინახავს რომელიმე... ერთ მშვენიერ დღეს კი, დაქალთან ერთად, კაფეში შევედი. რამდენიმე წუთის შემდეგ, დაჟინებული მზერა ვიგრძენი. გავიხედე — დიმა იყო. რაღაცნაირი, შიშისა და ზიზღის გრძნობა დამეუფლა. დაფეთებული წამოვხტი, დაქალს ხელი ჩავკიდე და გასასვლელისკენ წავედი. დიმა წინ გადამეღობა. შიშით შევხედე და ველოდი, რომ რაღაც საშინელს მეტყოდა. თურმე, მას და მის მეგობრებს გაუგიათ, რომ ის გოგო, რომელსაც ეძებდნენ, საზღვარგარეთ ყოფილა წასული მაშინ, როცა მე მის მაგივრად გამისწორდნენ. მერე, თურმე, მეძებდა — უნდოდა, ყველაფერი აეხსნა, მაგრამ ვერ მპოულობდა... ერთიანად ავკანკალდი... დიმა ჩამეხუტა — ნუ გეშინიაო, — მითხრა... ის მაწყნარებდა, პატიებას მთხოვდა, მე კი უარეს დღეში ჩავვარდი. ნერვული შეტევა დამემართა და 1 თვე საავადმყოფოში გავატარე. დიმა სულ ჩემ გვერდით ყოფნას ცდილობდა, მე — წინააღმდეგი ვიყავი... მაგრამ ახლა ისეთ რამეს გეტყვით, რომ ძალიან გაგიკვირდებათ: წელს ჯვარი დავიწერეთ... დიახ, ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა... ამით დავამთავრე ჩემი ამბის თხრობა. არ ვიცი, ითამაშა თუ არა ღვინომ რაიმე როლი ამ ამბავში, მაგრამ... (მარი, სახელები მე თვითონ შევცვალე)“.

რისკი კეთილშობილური საქმეა

„შარშან, ბედობას, მე და ჩემი დაქალები სტუმრად დაგვპატიჟეს. რომ მივედით, სულ გოგონები დაგვხვდნენ და ვიფიქრეთ, რომ ვერ მოვილხენდით, მაგრამ მშვენივრად გავატარეთ დრო და კარგადაც დავთვერით. შინ არ გვიშვებდნენ. ჩვენი არ დავიშალეთ და მაინც წამოვედით. ისეთი მთვრალები ვიყავით, რომ ფეხზე ძლივს ვიდექით. სამნი მოვდიოდით. გზაში ვიღაც ბიჭმა მანქანა გაგვიჩერა. ვინაიდან მარტო იჯდა, უშიშრად ჩავსხედით. მე მაშინვე ჩამეძინა. რომ გავიღვიძე, სალონში მარტო ვიჯექი, მანქანა კი, რომელიღაც რესტორნის ეზოში იყო გაჩერებული. გადასვლის შემეშინდა და დალოდება ვარჩიე. ცოტა ხნის შემდეგ, რესტორნიდან ჩემი მეგობრები და ის ბიჭი გამოვიდნენ. მე უკვე გამოფხიზლებული ვიყავი, მათ კი ისევ დაულევიათ და ძლივს ადგამდნენ ნაბიჯებს. ამჯერად, ყველაზე ფხიზელი მე ვიყავი. ამიტომ, იძულებული გავხდი, რომ ჩემი მეგობრების მისამართები მეთქვა და ისინი სახლებში მიგვეყვანა. ბოლოს, დავრჩი მხოლოდ მე, მაგრამ უკვე ღამის 3 საათი იყო და უცხო კაცის მანქანით სახლთან გამოჩენას ვერ ვბედავდი, ამიტომ ვარჩიე, შინ დამერეკა და ოჯახისთვის მეთქვა, რომ მეგობართან ვრჩებოდი. მთელი ღამე, ამ უცხო ბიჭთან ერთად გავათენე მანქანაში. არ გვძინებია, ვლაპარაკობდით. ამის შემდეგ, ჩემი გულის მოსანადირებლად, ძალიან მაგარი რაღაცები გააკეთა... მთავარი კი ის არის, რომ წელსაც, ერთად შევხვდით ბედობას, ოღონდ — აღარ დავმთვრალვარ. მალე დავქორწინდებით... ასე რომ, ხანდახან, დალევას კარგი შედეგიც შეიძლება მოჰყვეს. ნ.ჩ“.

ექიმები სვამენ და მერე ხუმრობენ

„მინდა, ჩემი სტუდენტობის დროინდელი ამბავი მოგიყვეთ. ერთხელ, მე და ჩემმა მეგობრებმა სამედიცინო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში გავიხალისეთ ცხოვრება. ზაფხულის ხვატი იდგა. ჩემი მეგობრები პრაქტიკაზე იყვნენ და ამის გამო, თბილისიდან ვერ მიდიოდნენ. თეკოს ბებიამ რაჭიდან არაყი გამოატანა, მაგრამ შეცდომით, იმ თავდახვრეტილ ბოთლში ჩაუსხამს, რომლითაც თეთრეულს ნამავდა ხოლმე. არყის მთელი „გრადუსი“ აორთქლებულა. ჩვენ კი, საღერღელი გვქონდა აშლილი და დალევა გვინდოდა. აქეთ-იქით ვაწყდებოდით, სასმლის ძებნაში. ალბათ იფიქრებთ, იმისთანა სუფრა გვქონდა, რომ ჩიტის რძეც არ აკლდა და სასმელიღა გვქონდა საშოვნელი, სინამდვილეში, უცხიმო და უმარილო პიურეს მეტი არაფერი გვქონდა. ბოლოს, ერთმა, ჩვენი ჭკუის ადამიანმა ერთი ბოთლი კონიაკი შემოგვწირა და მშიერ კუჭზე გავაჩაღეთ სმა. ერთმა ბოთლმა კონიაკმა ისე დაგვათრო, რომ აღარც კი მახსოვს, ერთი კვადრატული მეტრი ფართის მაგიდაზე 4 დევივით ქალი როგორ ავძვერით... იქ ისე ვიცეკვეთ, რომ არავინ ჩამოვარდნილა და დაშავებულა. მერე კი, თეკოს ბებიის გრადუსგასული არყით ისე ვიწუწავეთ, საერთო საცხოვრებლის დერეფანი ერთიანად მოვრწყეთ. ვინც კი ამ სველ ადგილზე გაიარა, ყველას ფეხი დაუცდა და ბრაგვანი მოადინა. ჩვენ კი, ამაზე გულიანად ვხარხარებდით... აი, ასეთი იყო ჩვენი ზაფხულის პრაქტიკა...“

ახლა კი მოკლე მესიჯებსა და „საჩივრის სვეტს“ გადავხედოთ.

ახლა რაღა მეშველება?

„ეს წელი იქნება ყველაზე მაგარი, იმიტომ, რომ „გზავნილებში“ მესიჯს პირველად ვგზავნი. ჟურნალ „გზის“ ფანი, იასე“.

„ახალ წელს, ჩემი დაბადების დღეა და უკვე მეხუთე წელია, ათენში ვხვდები. 2002 წელს კი, სულ მარტო შევხვდი და მწარედ დამამახსოვრდა, რადგან დედამ ვერ მომილოცა“.

„მარი, გილოცავ ახალ წელს! ბედნიერებასა და მოსიყვარულე „მგზავნელებს“ გისურვებ. რაღა თქმა უნდა, არც ამ წელს გიღალატებთ შენ და „გზავნილებს“ და ისევ გეთანამშრომლებით. მაკა“.

„ცივ ზამთარში, ყველა თბილ მკითხველსა და ჩვენს მხურვალე „გზავნილებს“ გილოცავთ ახალ წელს! ყველაზე კარგები და მაგრები ვართ, ხომ, მარი? მაგარი მარი გვყავს, ჩვენც მაგრები ვართ და მიმბაძველებს მაგრად ვჯობივართ!.. წელს, არც ერთი ღამე სახლში არ გამითენებია. მთელი კახეთი მოვიარე და სასწაულებიც გადამხდა თავს... იმ-

დენი ვსვი, რომ ბოლოს გავითიშე და მეორე დღეს, აღარაფერი მახსოვდა... აუ, არა, ამ ახალ წელს რა დამავიწყებს?! მაკა „ინ კახეთი“.

„ღვინო დავლიე, დავთვერი, ცხოვრება გავიხალისე და... აღმოვჩნდი საწოლში... 2 მამაკაცთან ერთად. აი, ასეთი ხალისი მოაქვს ღვინოს“.

„სიმთვრალეში გამოვლანძღე ადამიანი, რომლისთვისაც ძალიან ძვირფასი ვიყავი. ახლა, აღარც მიმესიჯებს, აღარც მირეკავს... მე კი, 100 მესიჯი მაინც გავუგზავნე და ყველგან პატიებას ვთხოვდი, მაგრამ ვერ გავაგებინე, რომ მაშინ, მთვრალი ვიყავი და იმიტომ მოვიქეცი ასე... მარი, გთხოვ, დამიბეჭდე, ბევრჯერ „გადამაგდე“ უკვე და იქნებ, ამჯერად მაინც გამიმართლოს?!“

„3 იანვარს, ღვინომ დამლია, მერე, მაგრადაც დავბოლდი და ღამის 2 საათზე, ჩემს „პუსიკას“ აცრემლებული ვეხვეწებოდი — გთხოვ, მითხარი, ხომ არ მოვკვდები-მეთქი? თამუ, „თი-ამო...“

„ყველაზე დიდი სისულელე სწორედ მთვრალმა ჩავიდინე: დავკარგე ის გოგონა, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარდა. ის კი, ინგლისში მიდის და ხმასაც აღარ მცემს. უთხარით ნათია მაისურაძეს, რომ მაპატიოს. საბა“.

„მინდა, იმ მესიჯის ავტორს გამოვეხმაურო, რომელიც ბედს უჩიოდა — დედა რომ წაართვა, იმისთვის: ჩემო კარგო, დარწმუნებული ვარ, რომ დედაშენი ზეცაშია და ძალიან ამაყობს იმით, რომ ასეთი კარგი შვილი ჰყავს. მეც დავკარგე ძალიან ძვირფასი ადამიანი, მაგრამ ვგრძნობ, რომ სულ ჩემ გვერდითაა და მიცავს“.

„ახალ წელს, ბიძაშვილებთან შევხვდი, ბოდბეში. დავლიეთ და ტკბილად ვხალისობდით, მაგრამ რად გინდა?! დათვრნენ კაცები და ატეხეს მუშტიკრივი. ერთმანეთს ცხვირ-პირი დაამტვრიეს. აი, ესაა, მაგათი „ცხოვრების ხალისი“. ძველით ახალი წლისთვის, მეც მოვიფიქრებ რამეს, სამაგიეროს... დამაცადეთ, ღვინით „დაგრეხილო“ კაცებო!“

„მარი, სასამართლოში საჩივარი შემაქვს, რადგან მესიჯი არ გამომიქვეყნე, რომელსაც ასე ველოდი... „გავხმი“ ქალი ლოდინით. იმედია, ახლა მაინც გამოაქვეყნებ: როგორ არ მიყვარდა სიმარტოვე,/ შენ კი წახვედი და მიმატოვე.../ ბექა, დროზე დამირეკე, თორემ მერე, ძალიან გვიან იქნება... გვირილა“.

„კახეთის ერთ რაიონში საახალწლო კონცერტი ჩატარდა. მომღერლები რომ წავიდნენ, სცენა დარჩა. 3 იანვარს, ვიქეიფეთ და რაიონის ცენტრში, ამ სცენაზე ვიცეკვეთ კიდეც. აი, რა იცის სიმთვრალემ“.

„მაგობრის დაბადების დღეზე, სადაც ჩემი თაყვანისმცემლებიც იმყოფებოდნენ, დავთვერი და ძალიან ცუდი რამეები ვიძახე ხმამაღლა. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა ორივემ ზურგი მაქცია... ელზა“.

„მაგარი თემაა... ეს ახალი წელი, სულ მთვრალმა გავატარე და იცით, რატომ?.. გათხოვილი ვარ და... სხვა მიყვარს. იქნებ, ღვინომ დამავიწყოს, რომ მთელი ცხოვრება, უსიყვარულოდ უნდა გავატარო... მასაც ვუყვარვარ, მაგრამ... “

„3 დღეა, არ გამოვფხიზლებულვარ. თანაც, იცით, ვისთან ერთად ვსვამდი?.. ჩემს სიცოცხლესთან ერთად!.. ახლაც არა ვარ გონს მოსული. ის კი, ვერა და ვერ დავაბი. ლამის ვუთხრა, რომ მიყვარს. იმ დღეებში, თითქოს შეიცვალა, მაგრამ ახლა, რომ გამოვფხიზლდით, ისე იქცევა, თითქოს არაფერი მომხდარა, თითქოს სხვა მიკოცნიდა ხელებს, სხვა მეფერებოდა თმაზე, სხვა მიხუტებდა გულში...“

„მე და ჩემი რძალი ხშირად ვიხალისებთ ცხოვრებას ღვინის სმით. ამ ახალ წელს, მე და სოფიმ მთელი ღამე გავათენეთ, ღვინოც დავლიეთ და კარგადაც გავერთეთ, ჩვენს საყვარელ, ბუხრის ოთახში. სოფი და თამუნა“.

„2006 წელი არასოდეს დამავიწყდება, რადგან ბატონები მქონდა და ლოგინში ვიწექი. ეკა“.

„მომნატრებიხარ, ისე ძლიერ მომნატრებიხარ.../ მოსძალებიხარ, თვალებს ცრემლად მოსძალებიხარ,/ მომლანდებიხარ, ცხადშიაც კი მომლანდებიხარ,/ შემყვარებიხარ, რა უღმერთოდ შემყვარებიხარ.../ ბაჩო მუკბანიანო, მიყვარხარ და იმედი მაქვს, რომ ოდესმე მაინც გამიგებ. თიკო“.

„ვეძებ ჩემს უსაყვარლეს მეგობარს, მილანა მუზაევას. ის ჩეჩენია, ერთმანეთი პანკისში გავიცანით და განუყრელად ერთად ვიყავით. მის დას ლაურა, დედას კი — ელზა ჰქვია და გროზნოდან არიან. მილანა და მისი ოჯახი ერთი წლის წინ, შვეიცარიაში წავიდნენ და მას შემდეგ, არაფერი ვიცი მათ შესახებ. გამომეხმაურონ ის ადამიანები, ვისაც მათთან რაიმე კავშირი აქვთ. პატივისცემით, დიანა კაციაშვილი“.

„ზვიომ 31 დეკემბერს, პირველი კოცნა მაჩუქა, თავი შემაყვარა და ახლა, უზომოდ მაწვალებს. იცით, მთვრალი რა საყვარელია?.. იმ დღესაც, ნასვამი იყო... გაგვიმარჯოს სამს — სიმთვრალეს, მე და... მას. პატარა“.

„გასულ კვირას, ჩემი ბიძაშვილის ქორწილში, ჩემი დეიდაშვილი რესტორნის დაცვის უფროსს აუშარდა — რატომ ხარ ასეთი მაღალიო?! — და მაგრადაც მოხვდა. შურიკ, როდისღა უნდა ისწავლო ჭკუა?! სადაცაა, 40 წლის გახდები. ნანა, ყვარელი“.

„ეჰ, მარი, რა საწყალი ვარ, იცი?.. ჩემმა უახლოესმა ძმაკაცმა 7 იანვარს, ეს „ჯანდაბური“ ღვინო დალია, დათვრა და სიყვარული ამიხსნა. ახლა რაღა მეშველება?.. მია“.

„ეძღვნება „გზავნილების“ ყველა მუდმივ მკითხველს: იცით, რატომ მიყვარს მე ეს სიცოცხლე?.. თქვენ რომ არსებობთ და მე რომ გიპოვეთ. ანი“.

„საჩხერიდან გიმესიჯებთ. ერთი ჩვეულებრივი, 30 წლის გოგო ვარ. ძალზე შეყვარებული ვიყავი მირიანზე, რომელიც უღირსი აღმოჩნდა. ერთ თბილისელ გოგოზე გამცვალა. 2004 წლის 31 დეკემბერს, ჩემი გაუპატიურება მოინდომა. ჯერ დამათრო, მერე კი, ერთ ძველ სახლში წამიყვანა და ტანისამოსი შემომახია. მაგრამ ქვის ფილას დავავლე ხელი, თავში ჩავარტყი და გავთიშე. ისე გავმწარდი, რომ ციხეში ჩავსვი. ძალიან უყვარს „გზავნილები“ და იჯდეს და იკითხოს — იქნებ, სინდისმა შეწუხოს“.

საჩივრის სვეტი

„ვუჩივი ბიძაშვილს, რომელიც 22 წლის გოგოს, მთელი ძალით მიფრთხობს მთხოვნელებს: საკმარისია, რომ ვინმეს მოვეწონო, — თავისი „შავი სამყაროთი“, როგორც კოშმარი, ისე ატყდება თავს. რა მეშველება?.. ყველას თვალებს უბრიალებს და ახლოს არავის მაკარებს. გმირების ეპოქა კი, დიდი ხანია, უკან დარჩა...“

„მინდა, ჩემს ძმას ვუჩივლო, რადგან ამ ახალ წელს, ძაღლი გამიგდო გარეთ. კარგი, რა, ლააშ! ბიბი ხომ ძალიან პატარაა! მარი, უთხარი, რააა!..“

„ვუჩივი ჩემს შეყვარებულს, რომელსაც უზომოდ ვუყვარვარ, მაგრამ მითხრა, რომ ცოლად ჯერ ვერ მომიყვანს, ჯერ ცოტა ფული უნდა მოაგროვოს, რომ მერე, ბედნიერად ვიცხოვროთ. მე კი უკვე 3 წელია, ლოდინით დავილიე. აკა, მიყვარხარ. ფისო“.

„ვუჩივი ჩემს ძმას, იმედა ხურციძეს. ის მუშაობს და ბევრი ფული აქვს, მე კი არაფერს მჩუქნის. იქნებ, წაიკითხოს და შერცხვეს თავისი საქციელის?.. თამთა, ქუთაისიდან“.

„ვუჩივი მადრიდის „რეალს“, რადგან ამ ბოლო დროს, სულ „გაბანძდა“ და „ბარსას“ ფანები დაგვიგინიან. უკვე შემჯავრდა „რეალის“ თამაშების შემდეგ ქუჩაში გასვლა“.

„ვუჩივი სამტრედიელ ნიკას, რომელიც ძალიან უთქმელი ბიჭია. ნიკუშ, გაახილე ეგ ლამაზი თვალები და უფრო ლამაზ თვალებს დაინახავ. შავტუხა“.

„ვუჩივი დედაჩემს, რადგან კომპიუტერთან სამუშაოდ რომ დაჯდება ხოლმე, იწყებს თამაშს და სამსახური აღარ ახსოვს. თან, მეც ვეღარ ვახერხებ თამაშს“.

„არავის ვუჩივი, ვჩივი საერთოდ! მეც მინდა, მიყვარდეს ვინმე. შეიძლება, თქვათ, პატარა ხარო, მაგრამ სულაც არა... დროზე მოდი, სიყვარულო, თორემ, უშენოდ მოსაწყენია ცხოვრება. თამთა, 17 წლის“.

დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად კი გთავაზობთ: პიკანტური ამბები. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

სახლში, სადაც საქართველოს დამსახურებული არტისტი მარინე თბილელი ცხოვრობდა, ახლა მისი ქალიშვილი, მსახიობი ბაია დვალიშვილია დიასახლისი. როგორც თავად ამბობს, დედისგან განსხვავებით, რომლისთვისაც ყოველი დღე დღესასწაულის ტოლფასი იყო, ბაია უფრო მელანქოლიური ადამიანია. მართალია, ახალი წლის შემობიჯებას ისიც ტრადიციისამებრ, ქართული სუფრით დახვდა, მაგრამ განსაკუთრებული ფაციფუცი წინასაახალწლოდ არ ჰქონია. მაგალითად, ბრჭყვიალა სათამაშოები და გირლანდები მოხდენილად მოარგო ქოთანში მოთავსებულ, მოზრდილ პალმის ხეს, რითაც ნაძვის ხის პრობლემა მარტივად გადაჭრა. საახალწლო განწყობილებისთვის კი, ფილმის — „ნეილონის ნაძვის ხე“ — გადაღებები გაიხსენა და ერთი საინტერესო გატაცების შესახებაც გვიამბო, რომელიც სწორედ ამ დღესასწაულს უკავშირდება.

ბაია დვალიშვილის

უჩვეულო „ტომანი“, პალმაა თუ ნაძვის ხე და კაცა კაცს მოტოსიანი მომავალი...

ემა ტუხიაშვილი

— მას შემდეგ, რაც დედა აღარ არის, ამ სახლში თითქმის არაფერი შეცვლილა. მართალია, დიდი სურვილი მაქვს, რემონტი გავაკეთო და ბინა ჩემებურად გადავაკეთო, მაგრამ ამას სოლიდური თანხა სჭირდება, ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ სურვილს ახლო მომავალშიც არ უწერია ახდენა. სხვათა შორის, დედაჩემს უყვარდა ავეჯის ხშირად გადაადგილება, რაც საოცრად გვახალისებდა და დადებით ემოციებს იწვევდა ჩვენში. საერთოდ, ძალიან ენერგიული და ხალისიანი ადამიანი იყო, კვირა არ გაივლიდა, რომ ჩვენს სახლში თავისი მეგობრები არ შეეკრიბა და რაიმე საკითხზე მსჯელობა არ მოეწყო. მისი მეგობრები კი, იმ დროის ქართული საზოგადოების თვალსაჩინო ადამიანები იყვნენ. ახლაც ხშირად ვიხსენებ ყოველ მათგანს — ელენე ახვლედიანს, პავლე ინგოროყვას, დავით გამრეკელს, სესილია თაყაიშვილს, ვერიკო ანჯაფარიძეს, ვასო გოძიაშვილს და ა.შ. საერთოდ, ხელოვნის ცხოვრება მძიმეა და ტრაგიკული, ამიტომ თითოეულ ამ ადამიანს ჰქონდა აუხდენელი ოცნებები. ბევრმა მათგანმა საკუთარი ბედით დამამახსოვრა თავი.

— თქვენი სახლის კედლები ნახატებითაა დაფარული, მათ შორის, თქვენი და ქალბატონი მარინეს პორტრეტებიცაა...

— ყველა ოთახის ყოველი კედელი სურათებითაა დაფარული და ყველა ნახატი ნაჩუქარია. დედის პორტრეტი მხატვარმა ნათელა იანქოშვილმა შეასრულა და თავად აჩუქა მარინეს. გვაქვს კორნელი სალაძის, ჯიფსონ ხუნდაძის, დიმა ერისთავის, ლადო გუდიაშვილის, პიკო (ზურაბ) ნიჟარაძის ნამუშევრები. უფრო მეტი ნახატი გვქონდა, მაგრამ სწორედ იმ პერიოდში, როდესაც თითქმის მთელ საქართველოს ძალიან უჭირდა, რამდენიმე სურათის გაყიდვა მოგვიხდა...

— ვხედავ, რომ ბევრი ძველი ნივთი გაქვთ. ალბათ, ეს როიალი, ბუფეტი, მაგიდა საუკუნესაც ითვლის?

— როიალი ჩემი მეუღლის საკუთრებაა. მართლაც, კარგი როიალია, გერმანული, XX საუკუნის დასაწყისშია დამზადებული. ბუფეტი და მაგიდა კი დედამ დაახლოებით 30 წლის წინ მოიტანა სახლში, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ძალდატანებით: საქმე ის გახლდათ, რომ ბიცოლაჩემი ახალ ბინაში აპირებდა გადასვლას და ძველი ნივთების გადაყრა დაუპირებია. სწორედ ამ დროს მისულან მასთან სტუმრად დედაჩემი და ჩემი ნათლია, დათიკო ბიბილეიშვილი. დათიკო თურმე, კარგად ერკვეოდა ანტიკვარულ ნივთებში და დედაჩემისთვის მაგიდისა და ბუფეტის სახლში წაღება ურჩევია. რესტავრაციის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საუცხოო ნივთების მფლობელები გავხდით. ეს ანტიკვარული მაგიდა 30 კაცზე იშლება და სწორედ ის მაგიდაა, რომლის გარშემოც დედაჩემის მეგობრები ისხდნენ ხშირად. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ეს ნივთებია ჩვენი ოჯახის სიმდიდრე და კიდევ — წიგნები, რომლებსაც ხშირად ძალით მაკითხებდნენ.

— დედა თავად გირჩევდათ წასაკითხად წიგნს?

— ასეთი მიზანდასახული აღზრდის მეთოდები დედას არასდროს ჰქონია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამდენი დრო არ ჰქონდა. არც მე ვიყავი ცელქი ბავშვი, სულ დატუქსვა და ჭკუის სწავლება რომ დამჭირვებოდა. ვიზრდებოდი ჩემთვის, როგორც ყვავილი ქოთანში... დედას დავყავდი ყველგან, სადაც თვითონ დადიოდა. ამიტომ უამრავ ინფორმაციას ვიღებდი თავისთავად — გასტროლებზე, საგამოფენო დარბაზებში ყოფნისას. წვეულებებზეც კი დავყავდი, რესტორანში, სადაც ხან სკამზე მეძინა, ხან — მაგიდის ქვეშ და ხანაც — დედის კალთაში. საოცრად ენერგიული და ინტერესიანი ქალი იყო, მოვლილი ჰქონდა ყველა ძველი ქუჩა და მუზეუმი. რა ექნა, ბავშვს ვერავის დაუტოვებდა, ამიტომ, როგორც კენგურუ თავის შვილს, ისე დამატარებდა ყველგან თან. რაც შეეხება წიგნების შერჩევას, ამ მხრივ, მამაჩემი *(რეჟისორი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე აკაკი დვალიშვილი. — ავტ.)* უფრო აქტიურობდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ავად ვიყავი, და სახლში მიხდებოდა ყოფნა. უბედურება ის იყო, რომ მამას სულ ავიწყდებოდა ჩემი ასაკი, ამიტომ წიგნებს არასწორად მირჩევდა: განა შეიძლება, ემილ ზოლა ბავშვმა 11-12 წლის ასაკში წაიკითხოს?!

— დედის ნაქონი სამოსით თუ შეავსეთ თქვენი გარდერობი?

— ვერ ვიტყვი, რომ გამორჩეული გარდერობი მაქვს, ვიცვამ ძალიან ჩვეულებრივად. მხოლოდ ერთი ცვლილება შევნიშნე ჩემს გემოვნებაში: წლების წინ თუ უფრო ქალური სტილის სამოსი მომწონდა, ახლა უპირატესობას ჯინსს, სპორტულ სამოსს ვანიჭებ. ალბათ, ქვეცნობიერად, ახალგაზრდობისკენ მივისწრაფვი... არც დედას ჰქონდა განსაკუთრებულად კარგი სამოსი, ჭრელაჭრელა კაბები უყვარდა. თუმცა, მისი ნაქონი ხელთათმანები, ქუდები და სხვა აქსესუარები თეატრში მუშაობის პერიოდში, ძალიან გამომადგა. ჩემი კოლეგები ამის გამო ხუმრობდნენ კიდეც: დვალიშვილს არც მხატვარი სჭირდება და არც კოსტიუმერი — დედამისის ბოხჩას გახსნის და სპექტაკლზე კარგად ჩაცმული იქნებაო.

— დედისეული სამკაულებიდან თუ შემოგრჩათ რამე?

— ყოველთვის მეგონა, რომ დედას კარგი და ძვირად ღირებული სამკაულები ჰქონდა. გავიდა დრო და — ისევ იმ დუხჭირ წლებზე მოგახსენებთ, როცა ძალიან გაგვიჭირდა, — მოვკიდე ხელი ამ სამკაულებს და გასაყიდად წავიღე. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ დედის სამკაულების ნახევარზე მეტი „ნამდვილი“ არ იყო: როგორც ჩანს, იმ დროს ძალიან იოლად ტყუვდებოდა ხალხი. ასე აღმოვაჩინე, რომ სულაც არ გახლდით ისეთი შეძლებული, როგორიც თავი მეგონა...

— თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ რთული პერიოდი, მძიმე წლები. როგორც მივხვდი, ლაპარაკია 90-იან წლებზე, როდესაც საქართველოს მთელი მოსახლეობა მძიმე სოციალურ პირობებში აღმოჩნდა. როგორც ვიცი, სწორედ მაშინ დაიწყეთ თოჯინების კეთება. ალბათ ბავშვობაში, თოჯინები განსაკუთრებით გიყვარდათ, ხომ?

— ვერ ვიტყვი, რომ ბავშვობაში რომელიმე თოჯინა გამორჩეულად მიყვარდა. თუმცა, ერთი დიდი, თაბაშირის თოჯინა მქონდა, რომელიც სხვა რამის გამო დამამახსოვრდა. ძალიან უჭმელი ბავშვი ვიყავი, ამ თოჯი-

ნას კი პირი ოდნავ ღია ჰქონდა და კბილებიც მოუჩანდა. ჯერ, სტომატოლოგი ვარ-მეთქი, — ავიჩემე და კბილები სულ დავაცალე, მერე კი, რასაც მე მაძლევდნენ საჭმელად, სულ ამ თოჯინას ვასხამდი პირში. საცოდავმა თოჯინამ ბოლოს, ლპობა დაიწყო და ისეთი სუნი ჰქონდა, რომ ახლაც მახსოვს. უფროსები მანამ ვერ მიხვდნენ, რა მოუვიდა თოჯინას, სანამ ლპობისგან ფეხი არ მოსძვრა... თოჯინების კეთება კი, მე და ჩემმა მეგობარმა, რუსთაველის თეატრის მსახიობმა, ნინიკო არსენიშვილმა სრულიად შემთხვევით დავიწყეთ. 1992 წელი დგებოდა, წინასაახალწლო პერიოდი იყო, მე და ნინიკო კი, ჩემი სახლის ცივ სამზარეულოში, ქურქებში ჩაცმულები ვისხედით და ვიყინებოდით. ეს ის დრო იყო, როდესაც თბილისში არც ერთი თეატრი არ მუშაობდა. მოულოდნელად, ნინიკომ შემომთავაზა: ჩვენ ასე ჯდომით გავგიჟდებით და ფსიქიატრიულ კლინიკაში მოვხვდებით; შობა-ახალი წელი მოდის, რაღაც გავაკეთოთ და პეროვსკაიაზე გავყიდიოთო. ეს რაღაც, აღმოჩნდა საახალწლო აქსესუარები, ფიგურები, რომლებსაც ნინო ბავშვობაში ცომისგან ამზადებდა. უფრო ზუსტად კი, ფქვილისა და ქვამარილისგან იზილება ძალიან მაგარი ცომი, რომელიც სიმკვრივით თაბაშირს ჰგავს. მართლაც, დავამზადეთ საახალწლო ზარები, თოვლის ბაბუები, მოვთავსეთ ლამაზ-ლამაზ ყუთებში და ანდერსენის ზღაპრის გმირების არ იყოს, მაღაზიების საახალწლო ვიტრინებს მივადექით. დავდიოდით პეროვსკაიაზე და მაღაზიის მფლობელს ვთავაზობდით: ხომ არ ჩაიბარებთ? ჩვენი ხელით არის გაკეთებული-თქო. სხვათა შორის, ძალიან დაგვიწუნეს ჩვენი ნივთები. მხოლოდ ერთმა გამყიდველმა შეგვიბრალა: საწყალი არტისტებიო, — თქვა და დაიტოვა ჩვენი ნაკეთობები, მაგრამ არც ისინი გაიყიდა... მიუხედავად ამისა, ფარ-ხმალი მაინც არ დავყარეთ და თოჯინების კეთება დავიწყეთ, იმდენად დიდი იყო სურვილი, რომ რაღაცის კეთებაში გვეპოვა საკუთარი თავი. მაშინ, თეატრიც ეს იყო ჩვენთვის, საქმეც და გართობაც... სულ მალე, მოვხვდით სოლიდურ გამოფენებზე, სადაც საკმაოდ ბევრი თოჯინა გავყიდეთ. მოგვიანებით, ერთმა ავსტრიელმა კაცმა, ჰანს ალბერტმა დაგვიკვეთა ქართული ზღაპრის გმირების თოჯინები. ფული რომ გამოგვიგზავნა და მის ასაღებად მივედით, მე და ჩემს მეგობარს სიხარულისგან ბანკში კინაღამ გული წაგვივიდა... ჩვენი თოჯინები გამოფენილი იყო ვენის საგამოფენო ცენტრში, მოსკოვში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე...

— დღეს, საკმაოდ ცნობილი სარეკლამო სახე ხართ. საინტერესოა, მართლა თუ გიყვართ ტელეფონით ხანგრძლივად ლაპარაკი?..

— პირველად, 4 წლის წინ, გადამიღეს კლიპში და უნდა ვაღიარო, რომ ისე დამთავრდა გადაღება, ბოლომდე ვერც გავერკვიე, რას ვუკეთებდი რეკლამის. თუმცა, რა გინდა — კი შემოვრჩით მე და დიმა ტატიშვილი ტელეეკრანებს ცოლ-ქმრად... ტელეფონით საუბარი მართლაც, რომ მიყვარს, მაგრამ ამის გამო საქმეები ოჯახში არ მაქვს მიშვებული. რადიოტელეფონი მაქვს, რომლის ყურმილსაც თან დავატარებ. ასე რომ, ლაპარაკ-ლაპარაკში, სადილიც კი მომიმზადებია.

— წელან თქვით — იმ წლებში, თეატრები არ მუშაობდაო. ახლა რამდენად კმაყოფილი ხართ ქართული თეატრალური ცხოვრებით?

— ეს 1992 წელს ეხებოდა. არადა, სწორედ იმ პერიოდიდან დღემდე, „თეატრალურმა სარდაფმა“ საზოგადოების თეატრალური აღზრდის თვალსაზრისით, უდიდესი როლი შეასრულა. მე ამ თეატრში მთელი 8 წელი ვიმუშავე და შემიძლია გითხრათ, რომ ამ ხნის განმავლობაში, „რომანი“ მქონდა მასთან. ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც უძრაობის ხანაში, არ გაჩერებულა ცხოვრება, ხელოვნება. ამ თეატრმა თაობა აღზარდა. ახლა, საკმაოდ ბევრი თეატრი გაიხსნა. ამიტომ მგონია, რომ ქართულ თეატრალურ სივრცეში რაღაც ახალი, განსაკუთრებული უნდა მოხდეს, რომ ახალი ტალღა თეატრალური ცხოვრებისა ისევ აგორდეს.

— ცოტა ხნის წინ, ახალ ქართულ სერიალში გადაგიღეს. იქნებ, ცოტა რამ ამის შესახებაც გვიამბოთ...

— ეს გახლავთ დათო ჯანელიძის 8-სერიიანი ფილმი — „ანტაგენუსი“, რაც წიგნის ჭიას ნიშნავს. შემიძლია გითხრათ, მოქმედება ვითარდება ბიბლიოთეკაში და ფილმის გადაღება ძირითადად, საჯარო ბიბლიოთეკის საცავსა და რარიტეტულ განყოფილებაში მიმდინარეობდა. მე ბიბლიოთეკარის როლს ვასრულებ.

— რამდენიმე დღეა, რაც ახალი წელი დადგა. რა მოგონებებთან ასოცირდება ეს დღესასწაული თქვენთვის?

— შესაძლოა, ცუდ რამეს ვამბობ, მაგრამ არ მიყვარს ახალი წლის დადგომა, სულ ვშფოთავ, რადგან არ ვიცი, რას მომიტანს ახალი წელიწადი. მართალია, ჰოროსკოპების არ მჯერა, მაგრამ როგორც ამბობენ, ძაღლის წელია, მე კი კატა მყავს სახლში. ხომ იცით, ძაღლისა და კატის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. რა ვუყო ახლა ამ კატა კატოს?..

— ნაძვის ხეც ამიტომ არ მორთეთ და მის მაგივრობას პალმა ასრულებს?

— მანამდე, დიდი ალოეს ხე მქონდა და ის სწევდა ყოველ ახალ წელს ნაძვის ხის მაგივრობას. ხომ არის პალმა მარადმწვანე?!.

ყველა ოთახის ყოველი კედელი სურათებითაა დაფარული და ყველა ნახატი ნაჩუქარია (ბაია დვალიშვილის პორტრეტი)

გარდა ამისა, ქრისტეს იერუსალიმში პალმის ტოტებით შეხვდნენ — ესეც თემატური დატვირთვა. ამასთან, პალმა ლამაზიც არის... ისე, დედაჩემი უფრო ენერგიული ადამიანი იყო, მისთვის ყოველი დღე დღესასწაული იყო. მე ამაში არ ვგავარ, უფრო მელანქოლიური მაქვს.

— თქვენ თამაშობთ ფილმებში — „კუჩხი ბედინერი“ და „ნეილონის ნაძვის ხე“, სადაც საახალწლო სიტუაციებია ნაჩვენები. ალბათ ამ დროს, ხშირად იხსენებთ გადაღებების პროცესს...

— „კუჩხი ბედინერში“ რომ გადამიღეს, პატარა ვიყავი, ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, ამიტომ გადაღებებიდან ცოტა რამ მახსოვს. სამაგიეროდ, რეზო ესაძემ რომ დამიძახა „ნეილონის ნაძვის ხეში“ გადასაღებად, უკვე ინსტიტუტი მქონდა დამთავრებული. გადაღებების პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა — ზამთარში დავიწყეთ და აგვისტოში დავამთავრეთ. პაპანაქება სიცხეში, გორის ტრასაზე გვქონდა გადაღებები და ყველას „დუბლიორნკები“ და ჩექმები გვეცვა. გარშემო ყველაფერი ყვაოდა, ბალახი ბიბინებდა, ამიტომ წინ მიდიოდა სამხედრო მანქანა, რომელიც ირგლივ შხამიან ბოლს აფრქვევდა, რათა ყინვის, სიცივისა და თოვლის ასოციაცია შეექმნათ. ბოლი ავტობუსში შემოდიოდა, მოიწამლნენ ედიშერ მაღალაშვილი, რუსლან მიქაბერიძე, მსახიობებს ყელის კატარი დაეწყოთ, ვიხრჩობოდით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ ფილმი კარგი გამოვიდა და ვფიქრობ, ხანგრძლივი სიცოცხლე უწერია, რადგან მსგავსი სიტუაციები საქალაქთაშორისო ავტობუსებში ახლაც იქმნება... ■

...მანამდე, დიდი ალოეს ხე მქონდა და ის სწევდა ყოველ ახალ წელს ნაძვის ხის მაგივრობას



60 წლის გეგე სულხანიშვილი წლებს არ ეპუება და არც მეტი, არც ნაკლები, მეექვსედ დაქორწინებაზეც ფიქრობს. როგორც თვითონ ალიარებს, 5 ცოლი ჰყავდა, თუმცა, ამბობენ — სათვალავი აერია, თორემ სინამდვილეში, 7 ცოლი ჰყავდაო... ამაზე ვერაფერს გეტყვით, მე ჩემი ენაწყლიანი რესპონდენტის მჯერა, მით უმეტეს, რომ ბატონი გეგეც კახელი, თელაველი გახლავთ და ტყუილის თქმა არ უყვარს... თელაველი კოლორიტი არაერთ ცნობილ ადამიანსა და ძველი თაობის კოლორიტებს იცნობს. ამიტომაც, სალაპარაკოც და გასახსენებელიც ბევრი აქვს.

უარაკბალიდან ჩამოუვანილი ქალები და ხუთი ცოლი

ანუ არის თუ არა განქორწინება — მარცხი

ნინო ჯავახიშვილი

— თელავში დავიბადე და გავიზარდე. გიორგი მქვია, მაგრამ რადგან მამაჩემს გეგეს (ისე, მიხეილი ერქვა) ეძახდნენ, მეც ეს სახელი შემომრჩა. დედაჩემი ვაჩნაძის ქალი იყო. მოფერებით გივიკოს მეძახდა. ვერ ვიტანდი ამ სახელს, მაგრამ დედაჩემის ხათრით არაფერს ვამბობდი. ახლაც, თელავში ყველა, გივის მეძახის. 14 წლის ვიყავი, როდესაც თბილისში კალათბურთის სათამაშოდ წამომიყვანეს, ძალიან მაღალი ვიყავი და ამიტომ შემარჩიეს. ასე გავხდი თბილისელი, მაგრამ სულით და გულით მაინც თელაველი ვარ. ძალიან მიყვარს იქაურობა. იქ სულ სხვანაირია ცაც, მიწაც, წყალიც, ჰაერიც და იუმორიც, რა თქმა უნდა. ხშირად მსაყვედურობენ, ძალიან უხეშია თქვენებური იუმორიო. უხეში და მძიმე, ქიზიყურია, თორემ, სუფთა კახური იუმორი ძალიან ხალასია... დედა და მამა კოლორიტები იყვნენ და თელავში ისინი ყველას უყვარდა. მამა ვაჭრობის სფეროში მუშაობდა, დედა — წინდების საქსოვ ფაბრიკაში, ეკონომისტად. ძალიან უყვარდა ხელოვნება, განსაკუთრებით თეატრი და არც ერთ სპექტაკლს არ აკლდებოდა. ერთხელ, თელავში ჩავედი. სახლში არ დამხვდა. მითხრეს — თეატრში წავიდაო. გამიკვირდა — სპექტაკლი არ არის და იქ რატომ წავიდა-მეთქი? ჩავჯექი მანქანაში და მეც თეატრისკენ გავეშურე. იქიდან ისეთი ხმები გამოდიოდა, რომ მანქანამ რყევა დაიწყო: ვიღაცები მძიმე როკს უკრავდნენ. შევედი დარბაზში და რას ვხედავ? მხოლოდ დედაჩემი ზის მშვიდად იმ გამაყრუებელ ხმაურში, თანაც, ხმის გამაძლიერებლებს მისჯდომია და უსმენს... გავცოფდი, მაგრამ რა გავცოფდი!.. გარეთ გადი-მეთქი, — ვანიშნე. იცით, როგორი ვარ? შეიძლება, მოვკლა... დედაჩემი საშუალოზე დაბალი ტანის ქალი იყო: რომ დაინახა, რაოდენ განრისხებული ვიყავი, კიდევ უფრო დაპატარავდა და ჩემს დამშვიდებას შეეცადა — რა იყო, შვილო, ველოდები, მელოდიას როდის დაუკრავენო!.. — რას ამბობ, ქალო, ეს არის ამათი მელოდიაც და ამათი მუსიკაც-მეთქი, — ვუთხარი. ამ ამბავზე კარგა ხანს ხალისობდნენ ჩემი მეგობრები. კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით. ცოლი რომ მოვიყვანე...

— რომელი ცოლი, ბატონო გეგე?..

— *(იცინის)* ძალიან გთხოვ, თავი შეიკავო ასეთი კითხვებისგან, ნუ დამაბნევ, თორემ, ინტერვიუ არ შედგება... 25 წლის ვიყავი, პირველად რომ დავქორწინდი. ერთმა წელმა სულ ქეიფსა და დროს ტარებაში ჩაიარა. გიტარა მქონდა, არლანიც შევიძინე და მოკლედ, ხან ვინ მეპატიჟებოდა სუფრაზე და ხან — ვინ. მეც ხან რას ვიგონებდი, ცოლთან თავის გასამართლებლად, და ხან — რას. დავიღალე ტყუილების თქმით. ერთ დღეს, ცოლმა მითხრა — ამა და ამ სოფლის მაღაზიაში კარგი საკაბეები მიუტანიათ და დაქალებს შევპირდი, რომ მანქანით წაგვიყვანო. როგორია, ამ თხოვნაზე უარის თქმა, მაგრამ ჩემი მოქეიფე, ყარაჩოხელი მეგობრები სამწვადით და ღვინით რამდენიმე მეტრში მელოდებოდნენ და უცებ მოვიფიქრე ტყუილიც — რაღა მაინცდამაინც დღეს მთხოვე, მე და დედა მამის საფლავზე ვაპირებთ წასვლას-მეთქი — ვიცოდი, დედაჩემი სამსახურიდან 6 საათამდე არ დაბრუნდებოდა... ძალიან ეწყინა ჩემს მეუღლეს, უარი რომ ვუთხარი, მაგრამ რაღას მეტყოდა?! ეზოში ვიყავით, ეს რომ ვუთხარი. უეცრად, დედაჩემი არ შემოვიდა?! ცოლმა იმწუთშივე გადაამოწმა ჩემი ინფორმაცია, ჰკითხა — დედა, დღეს მამის საფლავზე მიდიხართო? მის ზურგს უკან ვიდექი, გადავიხარე და დედაჩემს თვალი ჩავუკარი — არ ჩამიშვა-მეთქი. ნებისმიერი ადამიანი მიხვდებოდა, ასე რატომაც გავაკეთე, მაგრამ დედაჩემა უცებ გაჰკრა ხელი ამ ჩემს ცოლს, მომიახლოვდა და შეშფოთებულმა მკითხა — შვილო, რა იყო, რა მოგივიდა, თვალს რად აფახულებო? წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. მას კი უფიქრია — ვაიმე, ჩემს დედისერთა გივიკოს თვალში რაღაც ჩაუვარდაო... თბილისში რუსთაველზე ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდი. დედა სულ იმას ცდილობდა, ჩემთვის საყოფაცხოვრებო პირობები გაეუმჯობესებინა. ერთხელაც მითხრა — იცი, მე და მამაშენმა რა მაგარი საქმე გაგიკეთეთო?.. მამაშენს ალალი მამიდაშვილები ჰყავს — სამი შინაბერა და, რუსთაველზე სამოთახიან ბინაში ცხოვრობენ. უკვე მოველაპარაკეთ, შენ მათთან იცხოვრებ, ყურადღებას მიაქცევ და ბინას შენ დაგიტოვებენო. კარგი აზრი იყო და დავთანხმდი, რას ვიფიქრებდი, დედაჩემი რა სიურპრიზს მიმზადებდა?! მეორე დღეს ჩემი ბარგი-ბარხანით ვესტუმრეთ მამის ნათესავებს. გაუხარდათ — უი, რამხელა გაზრდილა ჩვენი გივიკოო!.. ორნი იყვნენ სახლში. დედამ უფროსი და რომ მოიკითხა, მორიდებით უთხრეს — ცოტა „აურია“ და საავადმყოფოში დავაწვინეთო. საუბრისას ვატყობ, რომ ეს ორნიც მგონი, იქ დასაწვენი არიან... მოკლედ, დედა იმ საღამოსვე წავიდა თელავში, მე კი ჩემთვის განკუთვნილ ოთახში მომათავსეს. დამავიწყდა მეთქვა, რომ ერთ-ერთი მათგანი ლოგინად იყო ჩავარდნილი. დილით მთხოვეს — გივიკო, პურზე ხომ არ გაგვეგზავნებიო? — რას ლაპარაკობთ, მაგისთვის არ ვარ აქმეთქი!? — შევიცხადე. მოკლედ, წავედი და 10 წუთში უკან დავბრუნდი. დავრეკე ზარი. მესმის — რომელი ხარ — გივი ვარ-მეთქი, — ჩვეულებრივად ვუპასუხე. — რომელი გივი? — მიშას გივი, — ვუპასუხე და თან ხმა ამიკანკალდა. მივხვდი, საქმე კარგად ვერ იყო. რომელი მიშასი? — გააგრძელა დაკითხვა, — თელაველი მიშას გივიკო ვარ — რომელი თელავი, რა მიშა, ვიღაცა ხარ, ვიგინდარა და ნაძირალა, წაეთრიე აქედან, თორემ, მილიციას გამოვიძახებო!.. ვფიქრობ — ხომ შეიძლება, ასეთი უცნაური იუმორი ახასიათებთ, სად გავიქცე ასე ჩუსტებით-მეთქი?.. ის კი, მაინც მიყვირის — კარს მოშორდი, თორემ, მილიციას გამოვიძახებო!.. ბოლოს, ისიც კი ვთხოვე — იქნებ, ჭუჭრუტანაში გამოიხედოთ და დარწმუნდებით, ვინც ვარ-მეთქი. აქეთ გაიხედე, იქით გაიხედეო... — კარგა ხანს მატრიალებინა თავი აქეთ-იქით, მაგრამ მაინც ვერ მიცნო. ბოლოს და ბოლოს,

თელავში მკითხეს — გეგე, რა უცნაური ბედის კაცი ხარ, შენი ერთი ყოფილი ცოლი — ლია ახვლედიანი, პროფესორზე გათხოვდა, მეორე — მზეო — აკადემიკოსზე, რა არის, რა ხდებაო?

დის ყვირილზე მეორეს გაეღვიძა — მწოლიარეს და იმან მიშველა: ქალო, რას ამბობ, რას ყვირი, კარი გაუღე, გივიკო ჩვენ არ გავგზავნეთ პურზეო?! გამიღეს კარი და ბოდიშები მიხადეს, მაგრამ რომ დავავლე ხელი ჩემს ჩანთას, თავქუდმოგლეჯილი გამოვვარდი და აბა, კარგად იყავით-მეთქი! — დავემშვიდობე ორივეს. წარმოიდგინეთ, 5 წუთის გასული რა დღეში ჩამაგდეს და რა მოხდებოდა, მაშინ, როდესაც საღამოს დავბრუნდებოდი სახლში ან თელავში რამდენიმე დღით წავიდოდი, — ისინი სახლშიღა შემიშვებდნენ?.. აი, ასეთ დღეში ჩამაგდო დედაჩემმა.

— არაერთ ცნობილ ადამიანთან მეგობრობთ. გიყვართ ხელოვნება. თუმცა არჩეული პროფესიით, ამ სფეროსთან არანაირი კავშირი არ გაქვთ...

— მეშაღე-მევენახე ვარ, მაგრამ ჩემი პროფესიით არასდროს მიმუშავია. ამჟამადაც, ერთ დიდ კომპანიაში დაცვაში ვმუშაობ. რაც შეეხება ჩემს ნაცნობობას — ბუნებით ხელოვანი ვარ — მიყვარს სიმღერა, ცეკვა, თეატრი. მამაჩემი მეგობრობდა აკაკი კვანტალიანთან, ვასო გოძიაშვილთან. მე თელავის თეატრის მსახიობებთან მქონდა ახლო ურთიერთობა და იქ გავიცანი ბევრი ცნობილი ადამიანი. სხვათა შორის, ფილმში — „სიყვარული ყველას უნდა“ — ის ფოტოგრაფი, მე ვარ — ბოლოს სურათს რომ იღებს და ამბობს — ეგრე არ დარჩეთო!. ამ ფილმს ხომ თელავში იღებდნენ. ყველანი ჩემი ძმაკაცები იყვნენ, შემომიჩნდნენ, — ითამაშეო. მთვრალი ვიყავი და გავბედე, თორემ, სცენა და თამაში ბავშვობიდან მაკომპლექსებდა... რამდენიმე წლის წინ, რუსთაველის თეატრმა თელავში „კავკასიური ცარცის წრე“ წარმოადგინა. ყველა დიდ მსახიობს ვიცნობდი, რამაზ ჩხიკვაძის გარდა და მაშინ, მასთან შეხვედრის სურვილიც ამისრულდა. მასთან ერთად სუფრაზე მოვხვდი. რამაზს ვთხოვეთ, ცოტა ხნით თელავში დარჩენილიყო და მართლაც თვითონ, კარლო საკანდელიძე და გურამ საღარაძე 3 დღით დარჩნენ თელავში. ჩვენც მეტი რა გვინდოდა?! 3 დღე ვქეიფობდით. პირობა დამადებინა, თბილისში რომ გამოვყვებოდი და რამდენიმე დღე, მისი სტუმარი ვიქნებოდი. თურმე უნდოდა, რომ გამეცნო მისი სამეგობრო და ისინი გაეოცებინა ჩემით — აი, ნახეთ, პერიფერიებშიც რა კარგი ადამიანები, რა მოქეიფეები და როგორი ვაჟკაცი ხალხი ცხოვრობსო!.. 10-12 კაცს დაურეკა და სთხოვა, მასთან შეკრებილიყვნენ. რა იცოდა, მათგან ნახევარი მაინც თუ მიცნობდა?! სუფრიდან 4-5 კაცი წამოხტა და გადამეხვია... არ გამოუვიდა „ნომერი“ და ეწყინა — კარგი, რა, გეგე, არ გამახარეო!..

— ვისი ნათამადები სუფრა გახსოვთ დღემდე?

— თამადას სმაც უნდა შეეძლოს, სიტყვა-პასუხიც, სიმღერაც, იუმორის ნიჭითაც უნდა იყოს დაჯილდოებული. ასეთი თამადა გახლდათ რევაზ ლაღიძე. ერთ ოჯახში თვითონ შევესწარი, როგორი მსმელი და როგორი თამადა იყო. ვიდრე სუფრას მივუსხდებოდით, მასპინძელს სთხოვა — ერთი, გამასინჯე როგორი ღვინო გაქვს, იქნებ, არც ღირს თამადობაო... დასაჭაშნიკებლად ერთი ლიტრი ღვინო დალია და — ოო, ნამდვილად ღირს თამადობაო! — თქვა. ვიფიქრე, — ალბათ, ბევრს ველარ დალევს-მეთქი, მაგრამ შევცდი. ყველანი გაგვაოცა...

— ბატონო გეგე, თქვენ ჩოხოსანიც ბრძანდებით. რა გრძნობა დაგეუფლათ, პირველად რომ ჩაიცვით ჩოხა?

— ჩოხა რომ ჩავიცვი, იცით, რა მოხდა?.. თითქოს უფრო სხვანაირი, უფრო კარგი გეგე გავხდი, შევიცვალე. ჩოხა-ახალუხი თითქოს გაფრთხილებს — დალიე, მაგრამ არ დათვრე, რომ ან ფეხი არ აგერიოს, ან ენამ არ გაგისწროს და არ შერცხვეო!.. ეს საოცარი შეგრძნებაა. ქართველმა კაცმა ერთხელ მაინც უნდა ჩაიცვას ჩოხა. თუმცა, ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა — დაახლოებით 1.000 ლარი ჯდება.

ჩოხა რომ ჩავიცვი, იცით, რა მოხდა?.. თითქოს უფრო სხვანაირი, უფრო კარგი გეგე გავხდი, შევიცვალე

— ახლა ის ამბავი მომიყევით, ოჯახთან ერთად ზღვაზე რომ წახვედით დასასვენებლად....

— რამდენიმე წელი ისე მოხდა, რომ ცოლ-შვილი ზღვაზე დასასვენებლად ველარ წავიყვანე. ერთ ზაფხულსაც, საფუძვლიანად მოვემზადეთ და ზღვას მივაშურეთ: მე, ცოლმა და ჩემმა ვაჟმა. მაშინ ასე, 10 წლის იქნებოდა. სიმაღლეში მე დამემსგავსა, ძალიან ბოხი ხმაც აქვს. ბიჭვინთაში ვიყავით. დილით, სამივე რომ გამოვეწყვეთ, გამეცინა — ისეთი ჭრელი ტანსაცმელი გვეცვა, თუთიყუშებს ვგავდით. დავიხურეთ შლაპები, გავიკეთეთ სათვალეები და ქვეყანა ჩვენი გვგონია... მთელი პლაჟი ჩვენ გვიყურებდა — ვერ ხვდებოდნენ, რომელი ქვეყნიდან ვიყავით, უცხოელებს ვგავდით. მესიამოვნა კახელ კაცს ხალხის ყურადღება და სიამოვნებისგან მგონი, სიმაღლეში ნახევარი მეტრით მოვიმატე... ჩემს ბიჭს ერთი სული ჰქონდა, ზღვას როდის ნახავდა და წყალში როდის ჩახტებოდა. უეცრად, ყველა გასუსული ჩვენ რომ მოგვჩერებია, იმ სიჩუმეში ისმის ჩემი შვილის ბოხი ხმა, თანაც კახური — თელავური კილოთი, ნათქვამი რამდენიმე სიტყვა... „მამი, ალაზანია, მამი?..“ ვერ წარმოიდგენ, იქ რა მოხდა... ხალხი სიცილით დაწყდა, მე კი რა გამაცინებდა?!

— ბატონ გეგე, ბარემ ისიც მითხარით, სულ რამდენი ცოლი გყავდათ?

— ახლავე გეტყვი: პირველი, ვისთანაც ერთი ვაჟი მყავს, უკრაინელი ქალი იყო, ოღონდ, ხელი არ გვქონდა მოწერილი. კალათბურთს რომ ვთამაშობდი, იქ ხშირად მიწევდა ჩასვლა. ჰოდა, ვერთობოდით ხოლმე... ერთხელაც, რომ ჩავედი, ფეხმძიმედ დამხვდა, უნდა გავაჩინოო, — მითხრა. გავბრაზდი — უჩემოდ რატომ გადაწყვიტე ბავშვის გაჩენა-მეთქი?! — თან ეჭვი შემეპარა — ვაითუ, ჩემი არ არის-მეთქი?! — და ბავშვს გვარი არ მივეცი. მაშინ შეყვარებული მყავდა და არც მინდოდა, ასეთ ამბავში თავის გაყოფა, მაგრამ

რაღას ვიზამდი?! ჩემი პირველი ვაჟი გაჭრილი ვაშლივით მგავს და ახლა უკვე ეჭვი აღარ მეპარება, რომ ნამდვილად მისი მამა ვარ... მერე, კიდევ ერთი მოვიყვანე, ოღონდ, იმდენად ცოტა ხანს ვიყავით ერთად, რომ ხელის მოწერა მასთანაც ვერ მოვასწარი. ხელოვანი ქალი იყო და ხელოვნებას გაჰყვა... მეორე ვაჟი მესამე ცოლთან მყავს. მერე, კიდევ მყავდა ერთი ცოლი. მერე — მზეო (მზექალა გოგოჭური) და მე დავქორწინდით. ეს იყო 1987 წელს. 5 წელი ვიცხოვრეთ ერთად. მზეო არაჩვეულებრივი ადამიანია, ძალიან კარგი გოგოა, მაგრამ რა ვიცი, მაინც დავშორდით ერთმანეთს. 1992 წელს, რუსეთში წავედი, მზეომაც თავს მიხედა და მგონი, კარგადაც მიხედა *(როგორც ცნობილია, ქალბატონი მზეო ამჟამად, ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილის მეუღლეა. — ავტ).*

— ყოფილ ცოლებს ასე კარგად „ათხოვებთ“ ხოლმე?.. ყველა გაგითხოვდათ, არა?

— გასათხოვარია ის, ვინც მზეოს შემდეგ შევირთე — შარშან, მარტში გავიყარეთ და ჯერ ცოტა დრო გავიდა... მის გარდა, ყველა გათხოვდა და ყველას კარგი ბედი ეწია. ეტყობა, ერთი კარგი ამბავი იცით ამათან დაკავშირებით და ამიტომ მეკითხებით *(იცინის)*...

— მაინც მოჰყევით — მკითხველმა ხომ არ იცის!..

— სითამამისთვის, თავიდანვე მოვიბოდიშებ... თელავში მკითხეს — გეგე, რა უცნაური ბედის კაცი ხარ, შენი ერთი ყოფილი ცოლი — ლია ახვლედიანი, პროფესორზე გათხოვდა, მეორე — მზეო — აკადემიკოსზე, რა არის, რა ხდებაო? — იუმორით მეკითხებიან, რა თქმა უნდა. იუმორი ხომ წამში იბადება და უცებვე ვუპასუხე — ხომ არის ადამიანი, ფეხბედნიერი, ხელბედნიერი... მე — ასობედნიერი ვარ-მეთქი!..

— ამიტომაც ხომ არ გაიზარდა თქვენი ცოლობის მსურველთა რიცხვი?..

— ეტყობა, მასეა. არ მეუბნებოდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, ამ ამბავმა რეკლამა გამიკეთა.

— მაინც რატომ იწუნებთ ქალებს, რატომ იცვლიდით ასე ხშირად ცოლებს?

— არავის არაფერს ვუწუნებ, დღესაც ყველასთან ვმეგობრობ. უბრალოდ, წლების მანძილზე სიყვარული კვდება. მე კი არ შემიძლია, მხოლოდ მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გამო ვინმესთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. არა, „ბაბნიკი“ კი არ ვარ, რაღაცნაირად ასე გამოდის ხოლმე. ქალი რომ მომეწონება, მისთვის თვალებში შეხედვასაც კი ვერ ვბედავ, შეიძლება, სხვა რამით — იუმორით, სიმღერით, ჩემი საქციელით შევეცადო მის მოხიბვლას.

— კიდევ აპირებთ დაოჯახებას?

— ვფიქრობ, რომ განქორწინება არ არის მარცხი. ცხოვრება ბრძოლის ველია და ამ ბრძოლიდან ღირსეულად გამოვედი და არა — დამარცხებული... დაგეგმილი არ მაქვს, კვლავ მოვიყვანო თუ არა ცოლი. თუ ვინმე მომეწონება, რატომაც არა?! ჯერჯერობით, 60 წლის ვარ...

— ერთ სურათზე, აქლემზე ამხედრებული, გოგონებთან ერთად ხართ გამოსახული. მითხარით — ეს ჩემი საკუთარი აქლემი იყოო...

— გასული საუკუნის 80-იან წლებში, ყარაბაღში ვიყავი და აქლემი იქიდან წამოვიყვანე — ფოტოგრაფს სურათები რომ გადაეღო დამსვენებლებისთვის აქლემთან ერთად. ეს გოგონები რუსი დამსვენებლები არიან, სურათი კი, ბაკურიანშია გადაღებული. კონკურენტმა ფოტოგრაფებმა ბაკურიანში ჩემს აქლემს მოწამლული პური აჭამეს: განრისხდნენ — ვირებთან ერთად აღარავინ იღებს სურათებსო!..

— თქვენი აზრით, რას ნიშნავს კოლორიტობა? რა თვისებებით გამოირჩეოდნენ თქვენი თაობის კოლორიტები?

— იყო დრო, როდესაც თელავში 20-30 კოლორიტი ცხოვრობდა. დღეს ბევრმა არ იცის, რას ნიშნავს კოლორიტობა. მარინაზე ამბობენ — თბილისის კოლორიტიაო. ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ სიმრუშე და სიგიჟე თუ კოლორიტობაა, მაშინ ბევრი კოლორიტი გვყოლია ქალაქში... კოლორიტი, უზომოდ განათლებული უნდა იყოს ყველა სფეროში, სიკეთეს უნდა თესდეს, იუმორის, სიმღერის ნიჭი უნდა ჰქონდეს, პოეზია, ხელოვნება უნდა უყვარდეს... ბედნიერი ვარ, რომ 60-იანი წლების თბილისში ვცხოვრობდი და მახსოვს ისეთი კოლორიტიები, როგორიც თუნდაც, ნიაზ დიასამიძე იყო. ძალიან უცნაური კაცი იყო, ჩია, გამხდარი. უცნაურად ეცვა ხოლმე და სიარულის მანერით იქცევდა ყველას ყურადღებას. როდესაც გავიცანი, უკვე სვამდა და იუმორის „მარგალიტებს“ ნაკლებად ქმნიდა... არასდროს დამავიწყდება, როგორ შევხვდი პირველად და უკანასკნელად ყველასათვის სათაყვანებელ ჰამლეტ გონაშვილს. რატომღაც მომინდა ამის გახსენება... ანსამბლ „რუსთავს“ გასტროლები ჰქონდა თელავში. ჰამლეტს ლენინგრადიდან სტუმრად ცოლ-ქმარი ჩამოუვიდა. კონცერტის შემდეგ, რა თქმა უნდა, ბანკეტი გაიმართა და კარგად ვიქეიფეთ. ყველანი ბედნიერები ვიყავით, მასთან ერთად რომ მოგვიხდა სუფრაზე ყოფნა. მას მთელი საქართველო ეფერებოდა და მინდოდა, მეც მოვფერებოდი... ღამის 3 საათზე დავიშალეთ. დილით მეგობრებმა გამომიარეს — „პახმელიაზე“ ვართ და წამოდი, ბაზარში რაღაც-რაღაცები ვიყიდოთ, თავს ვუშველოთო. ბაზარში ჰამლეტი რომ დავინახეთ თავის სტუმრებთან ერთად, გაგვიკვირდა: ვიცოდით, რომ ისიც უნდა წასულიყო იმ ღამეს. გაგვიხარდა და მივიპატიჟეთ — ქეიფი გავაგრძელოთ-თქო. იუარა — იმიტომ დავრჩი, რომ დედაჩემი ვნახო, მელოდება, სტუმრებიც თან უნდა წავიყვანოო. როგორ ვეხვეწეთ — დარჩი და მერე, მანქანით წაგიყვანთ-თქო. ვერაფრით დავითანხმეთ. ისე იწევდა სოფლისკენ, ვერაფერი დააკავებდა. წავიდა და სულ რაღაც 5-6 საათში გავიგეთ, რომ დაღუპულა. დღემდე ვნანობთ, რომ გავუშვით. ეს რომ გვცოდნოდა, ხომ გადავკეტავდით მთელ ქალაქს!..

— ასე სევდიანად რომ არ დავამთავროთ საუბარი, მითხარით, ახალ წელს როგორ ხვდებით ხოლმე, რაიმე ტრადიცია ხომ არ გაქვთ — ვთქვათ, აბანოში ხომ არ მიდიხართ?

— არა, რას ამბობთ?! შეიძლება, მთელი წელი ქეიფსა და დროს ტარებაში გავატარო, მაგრამ ახალ წელს, ოჯახში ყოფნა და ერთი ჭიქა ღვინის მირთმევა — დალოცვა მიყვარს, თუ, რა თქმა უნდა, ოჯახი მაქვს იმ პერიოდში... ვულოცავ ყველას შობას, ახალ 2006 წელს და ულევ სიკეთეს ვუსურვებ ქართველებს!

■



ეს გოგონები რუსი დამსვენებლები არიან, სურათი კი, ბაკურიანშია გადაღებული. კონკურენტმა ფოტოგრაფებმა ბაკურიანში ჩემს აქლემს მოწამლული პური აჭამეს

გასისინეშოლი ავდომანჭანა, მეც... მეც... და მეც

„მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება“, — წაიმღერა ჯგუფ „ენსის“ ერთ-ერთმა წევრმა, სოფო მასხულიამ, როცა ვკითხე — რა ასოციაციას იწვევს თქვენში ახალი წელი-მეთქი? როგორც ჯგუფის წევრები ამბობენ, ისინი ცრუმორწმუნეები არ არიან, მაგრამ იმის კი სჯერათ, რომ თუ ღიმილით შეხვდებიან ახალ წელს, მაშინ მხიარულება დაებედებათ. ეკა გაბიტაშვილი და ნათია ნებიერიძე იმაშიც კი გამომიტყდნენ, რომ შარშან, ახალ წელს, ზუსტად 12 საათზე, ფურცელზე დაწერეს სურვილები, ფურცელი დაწვეს, ფერფლი შამპანურით სავსე ჭიქაში ჩაყარეს და დალიეს...

ლიკა ქაჯაია

ეკა:

— ახალი წელი ჩვენში დადებით ემოციებს იწვევს.

სოფო:

— *(მღერის)* „მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება“... ამ დღეს ყველა ოჯახში მხიარულებაა. ყველა იცინის, ირგვლივ ყველაფერი ანათებს.

ნათია:

— ახალ წელს ყოველთვის რაღაც ახალს, საინტერესოს ველოდები. ამ დღესასწაულს ოპტიმისტური განწყობილებით ვხვდები — თუ კარგად გაატარებ ახალ წელს, მაშინ ყველაფერი კარგი დაგებედება.

— ასეთი ოპტიმიზმი ამართლებს?

ეკა:

— მგონი, ამართლებს.

სოფო:

— ამართლებს თუ არა, ეს ფსიქოლოგიური მომენტია. შენ თვითონ უნდა შეიქმნა კარგი განწყობილება და ისე შეხვდე ახალ წელს. ჩვენ ამ დღესასწაულს ყოველთვის ერთად ვხვდებით.

ეკა:

— ახალ წელს, 12 საათზე ყველანი ჩვენ-ჩვენს სახლებში ვხვდებით და მერე ვიკრიბებით ხოლმე.

— თოვლის ბაბუის არსებობის დიდხანს გჯეროდათ?

ნათია:

— მთელი ბავშვობა თოვლის ბაბუას ველოდებოდი.

ეკა:

— სახლში ძალიან დიდი თოვლის ბაბუა გვყავდა. იმ საცოდავს, მე და ჩემმა ძმამ „ბრიტვით“ გავუჭერით მუცელი — გვეგონა, მუცელში საჩუქრები ეწყო *(იცინიან)*.

სოფო:

— ერთხელ, თოვლის ბაბუა (გამოძახებით) მომიყვანეს. მისმა წითელმა სახემ ისე შემაშინა, რომ ტირილი დავიწყე. იმდენი ვიბღავლე, კინაღამ გავსკდი და მამაჩემმაც იქუხა: გაიყვანეთ ეს კაცი აქედანო!

— გული დაგწყდათ თუ არა, როცა გაიგეთ, რომ თოვლის ბაბუის არსებობა კეთილი ზღაპარი იყო და მეტი არაფერი?

ნათია:

— რატომ? მე ახლაც მინდა დავიჯერო და მჯერა კიდეც, რომ თოვლის ბაბუა არსებობს... ახალ წელს თოვლიც უხდება. ძალიან მინდა, რომ ამ დღეებში, თბილისი ულამაზესი იყოს...

ეკა:

— ხომ მორთეს მთელი ქალაქი!

ნათია:

— კი, მაგრამ...

ეკა:

— სხვა თუ არაფერი, სატელევიზიო ანძას შეხედე. თავი პარიზში მგონია: ანძა ისე ბრჭყვიალებს, ეიფელის კოშკს მახსენებს.

— ოჯახებში საახალწლო ტრადიციებს იცავთ?

— ახალ წელს, 12 საათზე სახლში უნდა ვიყო. დედაჩემი მაიძულებს ამ დღესასწაულზე, საზეიმო ფერის სამოსი მეცვას. თუ შავი ტანისამოსი მაცვია, წითელ კაშნეს მაინც მომახვევს ხოლმე.

ნათია:

— ახალ წელს მეც ოჯახში ვხვდები. 12 საათის მერე კი, მე, ეკა და სოფო ერთად ვიკრიბებით ხოლმე.

სოფო:

— მას შემდეგ, რაც ჩემმა შვილმა ფეხი აიდგა, ჩვენი ოჯახის მეკვლე გახდა. მას ცისფერი თვალები აქვს და დედაჩემი მეუბნება: ჭრელთვალებიანი მეკვლე მაინცდამაინც კარგი არ არისო.

ეკა:

— ერთხელ, ჩემი მეკვლე, ნათია იყო, მეორედ — სოფო. ნათიას კარგი ფეხი აქვს. სოფოზე რა მოგახსენოთ *(იცინის)*...

სოფო:

— როდის ვიყავი შენი მეკვლე?

ეკა:

— არ გახსოვს?

სოფო:

— არსად არ წავალ, არავინ დამიძახოს — ცუდი ფეხი გვქონია მე და ჩემს შვილს...

— ცრუმორწმუნეები ხართ?

— ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ დაცდილი მაქვს — თუ ბედობის დღეს კარგად გავატარებ, მთელი წელი კარგად ვიქნები.

ეკა:

— არც მე ვარ ცრუმორწმუნე, მაგრამ შარშან, იცით, რა გავაკეთე?.. ვიღაცამ მასწავლა: ზუსტად 12 საათზე, ფურცელზე უნდა დაწერო სურვილები, მერე — ფურცელი დაწვა, ფერფლი შამპანურით სავსე ჭიქაში ჩაყარო და დალიო. იცით, რა გამწარებული ვწერდი სურვილს?!.

ნათია:

— აუ, მეც! ფერფლი ძლივს გადავყლაპე.

ეკა:

— იმდენი ვიწვალე, მაგრამ არაფერიც არ შემისრულდა. თან, შამპანური ძლივს დავლიე, რადგან არ მიყვარს.

ნათია:

— თანაც, ეს ყველაფერი ბოლო 1 წუთში უნდა მოასწრო. მეც არაფერი

არ შემისრულდა.

— როგორი იყო გასული, 2005 წელი თქვენთვის?

— არა უშავდა რა...

ეკა:

— ნორმალური, მაგრამ დეკემბერი მაქვს ყოველთვის ძალიან თარსი.

სოფო:

— რატომ?

ეკა:

— რაღა რატომ?! შარშან, ია *(დედა. — ავტ.)* ავარიაში მოხვდა, წელს, ხომ იცი, რაც მოხდა?

სოფო:

— უი, ის დეკემბერში მოხდა?

ეკა:

— ჰო... მოკლედ, დეკემბერი რომ მოდის, მთელი ოჯახი ცუდ განწყობილებაზე ვართ ხოლმე.

სოფო:

— იცი, რა უნდა ქნა?.. ის აზრი, რომ დეკემბერი შენთვის თარსი თვეა, გონებიდან უნდა ამოიგდო...

ნათია:

— მეც მაგას არ ვეუბნები?!.

სოფო:

— ჩემთვის ეს წელი ძალიან ცუდი იყო. იმიტომ, რომ ზუსტად 14 იანვარს, მამა გარდამეცვალა. ამას თან დაერთო ოჯახური პრობლემები და ა.შ. იმედია, 2006 წელი ყველასათვის კარგი იქნება.

ეკა:

— ჩემთვის კარგი იყო ის, რომ 2005 წლის თებერვალში, ოპერაში სოლისტად მიმიღეს.

— თქვენი ჯგუფისთვის როგორი წელი იყო?

სოფო:

— ამის რა მოგახსენო?!

ნათია:

— რატომ?! ნორმალური წელი იყო. გვქონდა კონცერტები, მთელი საქართველოს მასშტაბით ვიყავით ტურნეში.

ეკა:

— რა თქმა უნდა, წინა წლები „ენსისთვის“ უფრო წარმატებული იყო, მაგრამ 2005 წელსაც არ ვუჩივით.

— საახალწლო კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდით?

ეკა:

— რესპუბლიკის მოედანზე, ღია ცის ქვეშ კონცერტი გაიმართა. სცენაზე გამოვედით, ვიმღერეთ და ვინაიდან მერე, მთელი ქუჩები გადაკეტილი იყო, სცენიდან ჩამოვხტით და უნივერმაღამდე ფეხით ვიარეთ.

ნათია:

— თან, საკონცერტო ფორმა გვეცვა. თეთრ „შუბებში“გამოწყობილ გოგოებს ხალხი იცი, როგორი დაბნეული გვიყურებდა?!. აქეთ-იქით მთვრალი ხალხი დაბორიალებდა, შუაში კი ჩვენ მივრბოდით...

ეკა:

— ძალიან სასაცილო სცენა იყო, მაგრამ ჩვენ ისე შეგვეშინდა, რომ სიცილისთვის არ გვცხელოდა.

ნათია:

— გალეშილი კაცები სტვენით გვაცილებდნენ, უკან მოგვდევდნენ...

— ვთქვათ, თოვლის ბაბუამ თქვენი დასაჩუქრება გადაწყვიტა. რას სთხოვდით მას?

ნათია:

— მინდა, მომიყვანოს „შეფუთული“ გასისინებული ავტომანქანა და გასაღები ხელში ჩამიგდოს.



აქეთ-იქით მთვრალი ხალხი დაბორიალებდა, შუაში კი ჩვენ მივრბოდით...

ეკა:

— მეც იმავეს ვთხოვდი...

ნათია:

— რატომ მბაძავ?

ეკა:

— რა ვქნა, მეც მინდა და..

სოფო:

— თუ ასეა, მეც მინდა ახალი მანქანა *(იცინიან)*... თუმცა, პირველ რიგში, მთავარია ჯანმრთელობა. საქართველოში ბევრს საოცრად დატანჯული სახე აქვს. მთელი გულით მინდა, რომ ეს წელი ყველასთვის მშვიდობიანი იყოს, რომ ხალხს იმედები არ გაუცრუვდეს და ნაღვლიანი სახეები გაუბრწყინდეს...

ლექს-სენის „ნათლული“ ბიგ-თიკო არც 93 კილოგრამს იწონის და არც მამაკაცური ჩვევებით გამოირჩევა...

მარი ჯაფარიძე

პირველი ქართული რეპი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაიწერა და მას ქალი ასრულებდა. კარგი იქნებოდა, მისი ვინაობა გამოცანად დამეტოვებინა და სწორი პასუხისთვის პრიზი დამეწესებინა, მაგრამ ვიცი, ის პრიზი ისევ მე დამრჩება, რადგან დარწმუნებული ვარ, სწორ პასუხს ვერავისგან მივიღებ. ამიტომ აქვე გეტყვით, რომ პირველი ქართველი რეპერი ქალი გახლდათ ხანუმა... ჰო, ჰო, აბა, გაიხსენეთ, ფილში — „ქეთო და კოტე“ — ქეთოს მზითვი როგორ „გარეპა“, როცა თავად ლევანს გრძელ გრაგნილზე ჩამოწერილ სიას უკითხავდა!... ასე რომ, ეს მუსიკალური მიმდინარეობა ქართველებისთვის ახალი ხილი სულაც არ გახლავთ... სად იყო „დოქტორ დრი“, ემინემი და თუფაქი, როცა ჩვენი ხანუმა რეპავდა და რეპავდა?!.

ამჯერად, XXI საუკუნის რეპერ გოგონასთან — ბიგ-თიკოსთან ინტერვიუს გთავაზობთ (რეპერ ხანუმასთან ინტერვიუც არანაკლებ საინტერესო იქნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, გვიან დავიბადე ან... ის დაიბადა ადრე). ვნახოთ, ვისთან აპირებს ის თავისი სასწორით მისვლას, ჰქონდა თუ არა მძიმე ბავშვობა და არის თუ არა რეპი ქალის საქმე...

— თიკო, სად დაიკარგე?

— არ დავიკარგე, უბრალოდ, ცოტა ხანს, პაუზა მქონდა. ასე ვთქვათ, ბიგ-თიკომ წუთშესვენება აიღო...

— ვისი იდეა იყო, რომ შენთვის ბიგ-თიკო დაერქმიათ?

— „მაესტროში“ ვიყავით 2 თიკო: მე და თიკო სადუნიშვილი. როცა ერთ-ერთს გვეძახდნენ, ორივე ვპასუხობდით. ვინაიდან ტანით მე უფრო დიდი ვარ, ბიგ-თიკო შემარქვეს. ეს სახელი მეც მომეწონა, თითქოს მომიხდა კიდეც და საბოლოოდ შემომრჩა.

— ამბობენ, კონტრაქტში გიწერია, რომ არ უნდა გახდე.

— არა, არა, ასეთი რამ კონტრაქტში არ წერია, მაგრამ ვინაიდან ბიგ-თიკო ვარ, ასეთი უნდა ვიყო. მინდა გითხრა, რომ ჩემი გარეგნობა და წონა აბსოლუტურად მაკმაყოფილებს. მოქნილი ვარ და მშვენიერი პლასტიკაც მაქვს. ამას წინათ, ერთმა „ახალგამოჩეკილმა“ რეპერმა, სალჯიმ ერთ-ერთ ჟურნალში მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ მე თურმე, 93 კილოგრამს ვიწონი. მიმაჩნია, რომ ეს მამაკაცის სალაპარაკო თემა არ არის და მინდა ვუთხრა, რომ დადგება დრო, როდესაც მე სალჯისთან ჩემი სასწორით მივალ და დავუმტკიცებ, რომ 93 კილო ნამდვილად არ ვარ. როცა ჩემი გარეგნობა აღარ დამაკმაყოფილებს, აუცილებლად დავჯდები დიეტაზე და გავხდები.

— რატომ აირჩიე შენს საქმიანობად რეპერობა?

— რომ გითხრა, ბავშვობიდან რეპს ვუსმენდი და ვმღეროდი-მეთქი, მოგატყუებ. ბევრ ფესტივალზე გამოვსულვარ და ჯაზიც მიმღერია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ჩემზე დიდი გავლენა იქონია ჩემმა მეგობარმა, ლექსენმა: როგორც რეპერი, პირველად მან აღმომაჩინა. თავის სიმღერაში პატარა ადგილი გამარეპინა და როცა მომისმინა, მითხრა, რომ ჩემგან კარგი რეპერი დადგებოდა. ჩემმა პროდიუსერმაც ასე გადაწყვიტა, რადგან რეპში გოგონების ნაკლებობა იყო და ეს იქნებოდა რაღაც სიახლე, რომელიც ხალხს მოეწონებოდა.

— რეპერ გოგონას ჩაცმულობაც შესაფერისი უნდა ჰქონდეს, ქალური აქსესუარები ნაკლებად უნდა გამოიყენოს და უპირატესობა ჯინსს, „ჩჩებსა“ და კუპს მიანიჭოს. ჩაცმულობის ეს სტილი მოგწონს თუ იძულებული ხარ, რომ ასეთი ტანისამოსით იარო?

— ვინც დიდი ხანია მიცნობს, იცის, რომ ყოველთვის სპორტულ სტილს ვანიჭებდი



უპირატესობას. ამ სამოსში თავს ძალზე კომფორტულად ვგრძნობ. კაბას ვიცვამ მაშინ, როდესაც ეკლესიაში მივდივარ... საზოგადოებაში გავრცელებული აზრის მიხედვით, რეპერს აუცილებლად მძიმე ბავშვობა უნდა ჰქონდეს, მამა — ლოთი, დედა კი — ნარკომანი. მძიმე ბავშვობა არ მქონია, მაგრამ მიმაჩნია, რომ მშვენივრად ვრეპავ და ჩემი ადგილი სწორედ აქ არის.

— რეპმა ხელი ხომ არ შეუწყო იმას, რომ შენში მამაკაცურ ჩვევებს ეჩინა თავი?

— მამაკაცური ჩვევები საერთოდ არა მაქვს და არაფრით განვსხვავდები სხვა გოგონებისგან. ძალიან ნაზი და ქალური ვარ.

— როდესაც იწერება ტექსტი რეპისთვის, უნდა დაიცვას თუ არა ავტორმა რაიმე პრინციპი?

— სიმღერის ტექსტს მუსიკის ნებისმიერ ჟანრში დიდი დატვირთვა აქვს. ასევეა რეპშიც. საერთოდ, რეპს უფრო სოციალური დატვირთვა აქვს და აქცენტი სწორედ ამ მხარეზე კეთდება. თუმცა, თანამედროვე რეპში უკვე რომანტიკული ტექსტებიც გაჩნდა. ძირითადად კი, სიმღერის შინაარსი მაინც იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ემოციას იწვევს შენში მუსიკა, რომლისთვისაც ტექსტი უნდა დაწერო.

— თანამედროვე ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი რეპს უსმენს და უპირატესობას სწორედ ამ მიმდინარეობას ანიჭებს. რატომ? ნუთუ, ის „ჩაკრულობზე“ ან „წინწყაროზე“ უფრო სასიამოვნო მოსასმენია?..

— ყველანაირ მუსიკას თავისი მსმენელი ჰყავს. ალბათ, ეს იმიტომ ხდება, რომ რეპი უფრო რიტმულია და მასზე ცეკვაც შესაძლებელია. ალბათ, ძალიან სუბიექტური ვიქნები, თუ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდები...

— ლექს-სენმა „მაესტრო“ დატოვა და კარიერა დამოუკიდებლად განაგრძო. შენც ხომ არ აპირებ, რომ მეგობარს მიჰბაძო?

— მინდა გითხრათ, რომ „მაესტრომ“ ყველაზე დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ მე დღეს ბიგ-თიკო ვარ. ამიტომ, არ ვაპირებ, დავარღვიო კონტრაქტი მათთან და წამოვიდე. ამ ეტაპზე, საკუთით მაკმაყოფილებს ის პირობები, რომლებიც „მაესტროში“ მაქვს.

— მაგრამ კარგა ხანია, რაც ახალი სიმღერა არ ჩაგიწერია. რატომ? რას ფიქრობს შენი პროდიუსერი?

— ახლა ვმუშაობ ახალ სიმღერაზე. ეს რადიკალურად განსხვავებულია იმისგან, რასაც აქამდე ვაკეთებდი. აქვს სოციალური დატვირთვა, ამიტომ ცოტა მძიმე იქნება. გარეპვის სტილი შევცვალე და ვფიქრობ, ურიგო მოსასმენი არ იქნება. ცოტა მოგვიანებით, ალბათ, კლიპსაც გადავიღებთ.

— გასათხოვარი რომ ხარ, ვიცით... მოგვიყევი პირად ცხოვრებაზე ის, რაც არ ვიცით...

— *(იცინის)* გაუთხოვარი ვარ, გა-უთ-ხო-ვა-რიიიი... ისე, ჩემ გარშემო მყოფ ხალხს უფრო აწუხებს ეს პრობლემა, ვიდრე მე. ძალიან ხშირად მეკითხებიან — როდის უნდა გათხოვდე?.. არ თხოვდები?.. შეყვარებულიც არ გყავსო?.. ჩვენ საქართველო-

ში ვცხოვრობთ და ხომ იცით, ჩვენს ქვეყანაში 24 წლის გოგო აუცილებლად გათხოვილი უნდა იყოს. თუ არა და, ყველას ებადება კითხვა — რატომ?.. ვპასუხობ: იმიტომ, რომ ჯერჯერობით, ჩემს ცხოვრებაში არავინ გამოჩნდა ისეთი, ვისაც ცოლად გავყვებოდი. არსებობს ადამიანი, რომლის მიმართაც გულგრილი არ ვარ, მაგრამ საქმეს წინა პლანზე ვაყენებ და არ ვჩქარობ.

— ფიქრობ, რომ გათხოვება შენს კარიერას ხელს შეუშლის?

— ერთი რამ ზუსტად ვიცი: ჩემ გვერდით აუცილებლად ისეთი ადამიანი იქნება, რომლისთვისაც ჩემი რეპერობა პრობლემას არ შექმნის და არც სიმღერას დამიშლის. მაგრამ როდესაც ოჯახს ქმნი, თავისთავად რაღაც-რაღაცები მეორეხარისხოვანი ხდება და პირველ ადგილს ოჯახი იკავებს ხოლმე. მე კი ჯერ იმდენი რამ მაქვს გასაკეთებელი, რომ ოჯახზე ფიქრი ნაადრევად მიმაჩნია.

— ალბათ, ჯერ არა ხარ ყურებამდე შეყვარებული, თორემ, ასე „საქმიანად“ არ ილაპარაკებდი... რა მაგის პასუხია და იქნებ, რაიმე საინტერესო ამბები გაიხსენო.

— კარგად მახსოვს, ერთხელ, კონცერტის შემდეგ, სპორტის სასახლიდან გამოვდიოდი. ხალხი შემომეხვია გარს, ავტოგრაფს მთხოვდნენ. მათ შორის ყოფილა ერთი შუახნის — ასე, 55 წლის ქალბატონი, რომელიც ასევე ცდილობდა ჩემი ავტოგრაფის მოპოვებას. მე ის არ შემინიშნავს და ვინაიდან ჩემი ყურადღება ვერ მიიქცია, ხელოვნურ ნაწნავში მწვდა, რომელიც თავზე მქონდა დამაგრებული. დაცვა ჩაერია და სცადა მისი მოშორება. უამრავი ბოდიში მოვუხადე ამ ქალბატონს ამის გამო... რატომღაც ხალხს ეგონა, რომ მე და ლექსოს გვქონდა ჯგუფი, რომლის სახელწოდება იყო „ლექს-სენი“. ერთხელ, ახალგაზრდა ბიჭმა მითხრა, რომ ჯგუფ „ლექს-სენთან“ სურათი ჰქონდა გადაღებული. ძალიან ვიხალისე ამის გამო.

— პროფესიით ვინ ხარ?

— ეკონომისტი. ახლა კი, მერაბ დონაძესთან კლასიკურ ვოკალს ვეუფლები. მგონია, რომ კლასიკური მუსიკალური განათლება სასიკეთოდ იმოქმედებს ჩემს შემოქმედებით ზრდაზე...

■

ყველაზე პაღლეები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები...

GUINNESS WORLD RECORDS 2006

ყველაზე მჩატე ტყუპი სამეული

ისინი აშშ-ის ქალაქ შარლოტვილში, 1998 წლის 30 ნოემბერს, კოფების ოჯახში დაიბადნენ. პეიტონი 585 გ-ს იწონიდა, ჯექსონი — 420-ს, ხოლო ბლეიკი — 380-ს. მიუხედავად ამისა, ბავშვები დაღუპვასაც გადაურჩნენ, ტანიც კარგად აიყარეს და ჯანმრთელობასაც არ უჩივიან.

საპატარძლოს უხუცესი ხელისმომკიდე

ბრიტანელმა ფლოსი ბენეტმა (ფოტოზე — მარცხნივ) ეს მისია 97 წლისა და 181 დღის ასაკში იტვირთა, ასევე ბრიტანელების — ლეონარდ და ედნა პეტჩების ჯვრისწერისას, რომელიც 1999 წლის 6 თებერვალს გაიმართა. რაც შეეხება მსოფლიოში უხუცეს საპატარძლოს — ეს გახლდათ ავსტრალიელი მინი მუნრო, რომელიც 102 წლის ასაკში, 83 წლის დადი რეიდს გაჰყვა ცოლად. ქორწინება 1991 წლის 31 მაისს, ავსტრალიის ქალაქ პოინტ კლერში გაფორმდა.

უხუცესი მონარქი

ტაუფა ახაუ ტუპოუ IV (დაიბადა 1918 წლის 4 ივლისს), ტონგას სამეფოს მართავს 1965 წლიდან — იმ დღიდან, როცა დედამისი — დედოფალი სალოტე ტუპოუ III გარდაიცვალა. ტუპოუ IV, გარდა იმისა, რომ დღევანდელ მმართველ გვირგვინოსანთა შორის უხუცესია, ის აგრეთვე, ყველაზე მძიმეწონიანი მონარქია. 1976 წელს, ტაუფა ახაუ 209,5 კგ-ს, 1985 წელს — 139,7 კგ-ს, 1993 წლის დასაწყისში კი — 127 კგ-ს იწონიდა. 1998 წელს, ფიტნესის წყალობით, მან კიდევ დაიკლო წონაში, თუმცა, რამდენი — ამის შესახებ ბოლო ცნობები არ ქვეყნდება.

სამეფო ოჯახის უხუცესი წევრი

პრინცესა ელისის, გლოსტერის ჰერცოგინიას (ქალიშვილობაში — ლედი ელის კრისტაბელ მონტეგიუ დუგლას სკოტი, 1901-2004 წწ.) რეკორდი 2003 წლის 20 სექტემბერს დაფიქსირდა, როცა ის 101 წლისა და 69 დღის გახდა. ჰერცოგინიამ კიდევ, მომდევნო — 2004 წლის 29 ოქტომბრამდე იცოცხლა.

უხუცესი მონაზონი

ეროვნებით ფრანგი, და ჟიული (ქალიშვილობაში — ოგიუსტინ ტეისიე) 1869 წლის 2 იანვარს, ქალაქ ფლორენზაკში დაიბადა და 112 წლისა და 66 დღის ასაკში, 1981 წლის 9 მარტს, ქალაქ ნიმში გარდაიცვალა.

ყველაზე ცოცხლობის ისტორიაში ყველაზე მაღალი

მამაკაცი

ამერიკელი რობერტ პერშინგ უოდლოუ (1918-1940 წწ.) ყოფილა. უკანასკნელი აზომვისას — 1940 წლის 27 ივნისს, მისი სიმაღლე 2,72 მ-ს აღწევდა. მისი გაბარიტები, ჰიპოფიზის მიერ სიმაღლის ჰორმონის ჭარბად გამომუშავების შედეგი გახლდათ.

ქალი

1982 წლის 13 თებერვალს გარდაცვლილი, ჩინელი ძენ ძინლანუს სიმაღლე 2,48 მ-ს აღწევდა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხუნნანის პროვინციაში, კომუნაში — „ნათელი მთვარე“ — მცხოვრები ქალი თურმე, სკოლიოზის უმძიმესი ფორმით იყო დაავადებული და წელში გასწორება უჭირდა.

ყველაზე ცოცხლობის ისტორიაში ყველაზე ცანმორჩილი

მამაკაცი

ინდოელი გულ მოხამედი (1957-1997) გახლდათ, რომლის სიმაღლე მხოლოდ 57 სმ-ს შეადგენდა.

ქალი

ჰოლანდიელი პაულინა მუსტერსი 1876 წლის 26 თებერვალს, ქალაქ ოსენდრეხტში, 30 სმ სიგრძის დაიბადა. როცა „პრინცესა პაულინას“ მეტსახელით ცნობილი ეს ქალბატონი 1895 წელს, ნიუ-იორკის ერთ-ერთ საავადმყოფოში პნევმონიისგან გარდაიცვალა, მისი სიმაღლე სულ 61 სმ-ს აღწევდა.

შემინული აივანი	კომპოზიტორი ... ხრენნიკოვი	ყურძნის ჩირი	ან, ბან, ..., დონ, ენ	რეგიონი საქართველოში	დუმბაძე — „მე ვხედავ მზეს“ პერსონაჟი	თვა ბი
უ უ ა ვ ს ნ ი ი ლ ი ბ ლ ა ბ ი ვ ს ნ ი ე ლ ი ი ბ ს ლ ი ნ						
მინა	მძარცველი, ბანდის წევრი	ხის მოგრძო სინი ხილი-სათვის	ტბა აშშ-ში	ჯერ შრომა, ... ხტომა	ქანი: წყალში წარმოქმნის ცომისებრ მასას	მთათა სისტემა „...-შანი“

ყველაზე შორს „ხელის“ ველოსიპედით

სამეფოს სამხედრო-საჰაერო ძალებში სამსახურის დროს მომხდარი საავტომობილო ავარიის შედეგად, 2000 წელს, ბრიტანელი დევიდ ეიბრუტატი ნაწილობრივ პარალიზებული დარჩა. 2002 წლის 10 მაისს, ლონდონის ხიდიდან — ტაუერ-ბრიჯ — ის გაემგზავრა სამოგზაუროდ ველოსიპედით, რომელიც ხელებით იმართება. დევიდმა მთელი ბრიტანეთის სანაპირო ზოლი — სულ 5421,34 კმ გაიარა და 5 აგვისტოს, კვლავ ტაუერ-ბრიჯზე დაბრუნდა.



ყველაზე მასობრივი აერობიკა

ასეთი ვარჯიში 2002 წლის 23 ნოემბერს გაიმართა. ტაილანდში, ქალაქ სანამლუანგის პრამანეს სამეფო მოედანზე 61 წთ-ის მანძილზე, 46824 ადამიანი ასრულებდა აერობიკის ილეთებს. რაც შეეხება სხვადასხვა სპორტულ დარბაზში შეკრებილ ადამიანთა რაოდენობით რეკორდულ მაჩვენებელს — ის 2003 წლის 27 სექტემბერს, ყაზახეთში დაფიქსირდა: მონაწილეთა საერთო რაოდენობამ 4845098 კაცს მიაღწია.



ყველაზე შორს

ავტომანქანით

შვეიცარიელმა ემილ და ლილიან შმიდტებმა 1984 წლის 16 ოქტომბერს აიღეს სტარტი და საკუთარი Toyota Land Cruiser-ით 150-მდე ქვეყანა — სულ 587000 კმ გაიარეს.

ტრაქტორით

ეს რეკორდი 2004 წლის 12 ივნისიდან 5 ივლისამდე, რუსმა ვასილი ხაცკევიჩმა დაამყარა: ის ტრაქტორით მშობლიური ნოვოსიბირსკიდან გავიდა, 5512 კმ გაიარა და შინ დაბრუნდა.

სპეიტბორდით

ეს რეკორდი კი, თანაც — ორგზის, ამერიკელ ჯეკ სმიტს ეკუთვნის. 1976 წლის ივლისსა და 1984 წლის ივლისში, „ფიცარზე“ შემდგარმა, მან 4830 კმ — მანძილი ორეგონის შტატის ქალაქ ლიბანონსა და ვირჯინიის შტატის ქალაქ უილიამსბურგს შორის დაფარა.

ყველაზე სწრაფად ავტომობილიამფიბიით

ამ უჩვეულო სატრანსპორტო საშუალებით ლა-მანში გადაცურა ბრიტანელმა რიჩარდ ბრენსონმა. მან 2004 წლის 14 ივნისს, ბრიტანეთის ქალაქ დუვრში აიღო სტარტი და საფრანგეთის ქალაქ კალემდე 1 სთ-ში, 40 წთ-სა და 6 წმ-ში მიაღწია. ამფიბიით, რომელსაც „გიბს აკუადე“ ჰქვია, ჩვეულებრივი ავტომანქანების მსგავსად, ქალაქის ქუჩებში მოძრაობაც ნებადართულია.

| | | |

იმუნიტეტი ვირუსების წინააღმდეგ

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

თქვენ გვერდით ვიღაცამ დაახველა, თქვენ კი პასუხად, მაშინვე აცემინებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი ხანია, გესაჭიროებათ „იმუნიტეტის დამცავი“ კულინარიული აქცია.

ჩვენ გამუდმებით გვიტევენ ვირუსები და ბაქტერიები. „აგრესორებთან“ გამკლავებაში იმუნური სისტემა გვეხმარება. მისი მუშაობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რას და როგორ ვჭამთ. პროდუქტების უმრავლესობა შეიცავს სასარგებლო ნივთიერებებს, რომლებიც იმუნიტეტის გასაძლიერებლადაა აუცილებელი. მათი მოქმედების ეფექტი და მექანიზმი განსხვავებულია, ამიტომ ისინი ავსებენ, მაგრამ არ ცვლიან ერთმანეთს. მხოლოდ ერთი ელემენტის უკმარისობამაც კი შეიძლება, დიდი არეულობა გამოიწვიოს ორგანიზმის რთულ, დამცავ სისტემაში.

აბა, თქვი „ა“

დავიწყოთ A ვიტამინით — რადგან, ის ერთ-ერთი უმთავრესია: ასტიმულირებს უჯრედთა ზრდას, მონაწილეობს ლეიკოციტების წარმოქმნაში, ხელს უწყობს ეპითელიუმისა და ლორწოვანი გარსის ჯანსაღ მდგომარეობაში შენარჩუნებას — იგია პირველი ბარიერი მავნე „დამპყრობელთა“ წინააღმდეგ. გარდა ამისა, A ვიტამინი ანტიოქსიდანტია და ეს კიდევ ერთი დადებითი მახასიათებელია. მისი ყველა წყარო მხოლოდ ცხოველური წარმოშობისაა: A ვიტამინი ბევრია რძეში (განსაკუთრებით, ზაფხულში), ნაღებში, ნაღების კარაქში, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით იგი თევზის ქონშია. თუ მას ვერ იტანთ, მაშინ მიირთვით ღვიძლი (ძროხის, ქათმის), ცხიმიანი თევზი და კვერცხი.

ხილი, ბოსტნეული და მწვანილი შეიცავს A პროვიტამინს (ბეტა-კაროტინს). იგი ორგანიზმში შეიძლება გარდაიქმნას A ვიტამინად, თუკი ცხიმთან (არაჟანთან, ზეთთან) ერთად მივიღებთ. მაგრამ კაროტინი თავადაც აძლიერებს იმუნიტეტს. ამიტომ სპეციალისტები გვირჩევენ, საკმაო რაოდენობით მივიღოთ „ცხოველური“ A ვიტამინიც და „მცენარეული“ ბეტა-კაროტინიც, აგრეთვე — მათი მონათესავე კაროტინოიდების მთელი წყებაც — მათი რიცხვი უკვე რამდენიმე ასეულს აღწევს. ამ ნივთიერებათა წყაროებს, მწვანე, ნარინჯისფერი და ყვითელი ხილ-ბოსტნეული წარმოადგენს: სტაფილო, გოგრა, ბულგარული წიწაკა, ისპანახი, მანგო, ხურმა. ბევრია კაროტინი ოხრახუშში, კამაში. დღიური ნორმაა 15-30 მგ (ორი დიდი სტაფილო). რაც შეეხება ვიტამინურ კომპლექსებს — თანამედროვე პრეპარატები შეიცავს A ვიტამინსაც და ბეტა-კაროტინსაც.



C და E

C ვიტამინი გაცივებასთან ყველაზე პოპულარულ მებრძოლადაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებს დღემდე არ აქვთ საერთო აზრი მის ეფექტურობაზე, მრავალრიცხოვანი გამოკვლევა ადასტურებს, რომ ეს ვიტამინი მონაწილეობს ორგანიზმში ინტერფერონის წარმოქმნაში, წარმოადგენს ანტიოქსიდანტს და თანაც, აქტიურად იცავს დაშლისაგან სხვა ვიტამინებს (მათ შორის, A-ს და E-ს).

ნუ დაელოდებით, როდის დაგეწყებათ ყურებში ხმაური ან ცხვირიდან სისხლდენა. სრულიად ჯანმრთელმა ადამიანმაც კი ზამთარში უნდა სვას ლიმონიანი ან ასკილიანი ჩაი, ხოლო დილაობით მიირთვას ფორთოხლის ან კომბოსტოს წვენი.

შეიძლება, წესად გაიხადოთ, ყოველდღიურად თითო ფორთოხლის ან კივის მიღება, რაციონში დიდი რაოდენობით ისპანახის ან ყვავილოვანი კომბოსტოს ჩართვა. თერმულად რაც უფრო ცოტა ხნით დაამუშავებთ პროდუქტებს, მით უკეთესი: C ვიტამინი ძალზე „ჭირვეულია“ და ცუდად „ინახება“ მზა კერძებში. ვიტამინის დანაკარგი მინიმუმამდე რომ დავიყვანოთ, მოხარშულ ხილს (მურაბას, ჯემს), ზამთრისათვის გაყინული უნდა ვამჯობინოთ. C ვიტამინის შემცველობის მიხედვით, „ჩემპიონებია“: ქაცვი, შავი მოცხარი და მწვანე ბულგარული წიწაკა. ვიტამინის ხანგრძლივად შენარჩუნების თვალსაზრისით კი, ყველას სჯობს კარტოფილი, კომბოსტოს მწნილი და გრეიპფრუტი.

თუთია გრიპის წინააღმდეგ

კიდევ ერთი უებარი საშუალება იმუნიტეტის დასაცავად, თუთია გახლავთ. C ვიტამინის მსგავსად, მის მიღებასაც გრიპის პირველი ნიშნების გაჩენისთანავე გვირჩევენ. თუთიით მდიდარია ზღვის პროდუქტები, განსაკუთრებით — ლოკოკინები. მი-ირთვით ზღვის ნობათი კვირაში ორჯერ მაინც და ეს ორგანიზმის დამცავ ძალებს საჭირო დონეზე შეგინარჩუნებთ. ბევრი თუთიაა ძროხის ხორცსა და ღვიძლში. მათ კი, ვისაც ხორცი არ უყვარს, ყოველდღიურად, მზესუმზირა, გოგრის თესლი, კაკალი, ბარდეული, ლობიო უნდა მიირთვან.

როგორ ებრძვიან ბაქტერიები ვირუსებს

არსებობს სპეციალური დანიშნულების, იოგურტის მსგავსი პროდუქტები, რომელიც ძალზე სასარგებლოა ორგანიზმისთვის. იგი აწესრიგებს საჭმლის მონელებას, რის გარეშეც კუჭ-ნაწლავში არც ერთი ვიტამინი არ აითვისება. ამასთან, იოგურტი თავადაც წარმატებით აძლიერებს იმუნიტეტს, ინტერფერონის გაძლიერებული წარმოქმნის გზით. ამერიკელებმა გამოთვალეს, რომ თუ ყოველდღიურად, 200-300 გ იოგურტს მივიღებთ, ავად გახდომის შესაძლებლობა ორჯერ მცირდება!

სულ სხვა საქმეა კვების ამ პროდუქტის ისეთი სახეობები, რომელთა შესაფუთზე აღნიშნულია, რომ მას ლამის „მარადიული“ შენახვის ვადა აქვს. ასეთ პროდუქტებს ჯანსაღ კვებასთან არაფერი აქვს საერთო. კარგი იოგურტი შეიცავს ცოცხალ რძემჟავა ბაქტერიებს, რომლებიც დიდხანს არ ინახება. თანაც, საღებავები, სტაბილიზატორები და არომატიზატორები მართლია, მას სავაჭრო სახეს აძლევს, მაგრამ დადებით თვისებებს უკარგავს.

ასე რომ, რაც ნაკლებია დანამატი და რაც უფრო ხანმოკლეა მისი შენახვის ვადა, მით უფრო სასარგებლოა პროდუქტი. ამ მხრივ კი, უცხოეთში პოპულარულ იოგურტს არაფრით ჩამოუვარდება ჩვენებური მაწონი, რომელიც ასევე მდიდარია რძემჟავა ბაქტერიებით და რომლის მიღებასაც ყოველდღიურად გირჩევთ.

„არომატული“ ჯანმრთელობა

ნივრის უნიკალურობა მხოლოდ მის სუნში როდია. ერთი კბილი ნიორი რამდენიმე ათეულ ბიოლოგიურად აქტიურ კომპონენტს შეიცავს. მათ შორისაა ფიტონციდები — აქროლადი ნივთიერებები, რომელიც დამსახურე-

ბულადაა ცნობილი ვირუსების, ბაქტერიების, სოკოების „უნივერსალურ მკვლელად“. გარდა ამისა, ნიორი ააქტიურებს იმუნური უჯრედების გამომუშავებას და ამით თავისი წვლილი შეაქვს მიკროსკოპული აგრესორებისგან ორგანიზმის დაცვაში.

„კარგი ტონის“ წესები არ გვაძლევს საშუალებას, ყოველთვის და ყველგან მივირთვათ ნიორი. მაგრამ შინ ყოფნისას, ყოველდღიურად შეგიძლიათ მიიღოთ ორი კბილი ნიორი. შეიძლება ის წამალივით გადაყლაპოთ. ანდა პროცესს შემოქმედებითად მიუდგეთ: მოამზადოთ ნივრის ზეთი, დაუმატოთ იგი სალათებში, ტომატ-პასტაში. ნივრის შეცვლა ნაწილობრივ შეუძლია პირშუხასა და მწვანე ხახვს. ■

მშრალი თვალისათვის

„მშრალი თვალის“ სინდრომის განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს: დაუბალანსებელი კვება, განსაკუთრებით — მკაცრი დიეტები, — ასეთია ამერიკელ მეცნიერთა დასკვნა. როგორც ჩანს, ყველაფერი რაციონში ცხიმოვანი მჟავების თანაფარდობას უკავშირდება. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ კაკალსა და თევზში შემავალი მჟავა — ომეგა-3, სასარგებლოა თვალისთვის. მისი „კოლეგა“ — ომეგა-6 კი (იგი საკონდიტრო ცხიმებსა და ხორცში შედის), პირიქით, ხელს უწყობს ამ სინდრომის გამწვავებას, რომელიც სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მხოლოდ აშშ-ში 8 მილიონამდე ადამიანს (ძირითადად, ქალებს) აწუხებს.

მოკლედ

● თუ გსურთ, ჭკვიანი შვილი გყავდეთ, ორსულობისას მიირთვით ცხიმიანი თევზი და მოერიდეთ ისეთ ადგილებს, სადაც ჰაერში ტყვიის მაღალი კონცენტრაციაა;

● მწვანე ჩაიში აღმოჩნდა ნივთიერება EGCG, რომელიც ათეროსკლეროზის განვითარებას უშლის ხელს;

● ფლავონოიდები, რომლებიც შავ შოკოლადში შედის, ეფექტურია დიარეის დროს;

● სრულფასოვანი საუზმე ყოველდღიურად ზრდის იმუნიტეტს და აქვეითებს გაცივების რისკს;

● ბრონეულის წვენის მძლავრი ანტიოქსიდანტები ხელს უწყობს სიმსივნური უჯრედების განადგურებას და აფერხებს სიმსივნის ზრდას. ■



მწარე წიწაკა — საძილე საშუალებების ნაცვლად

კუნძულ ტასმანიის უნივერსიტეტის მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მას, ვინც სისტემატურად ჭამს მწარე წიწაკას — ღრმად სძინავს და დილით, უკეთ გამოძინებული დგება. ნახევარი წლის განმავლობაში, სპეციალისტები იკვლევდნენ წიწაკის ზემოქმედებას ადამიანთა ჯანმრთელობასა და თვითშეგრძნებაზე. ექსპერიმენტის ის მონაწილეები, რომელთა რაციონშიც შეიტანეს წიწაკა, აღნიშნავდნენ, რომ უფრო იოლად იძინებდნენ და დილით თავს მხნედ და კარგად გამოძინებულად გრძნობდნენ. ჯანსაღმა ძილმა კი, თავის მხრივ, დადებ-

ითი ზემოქმედება იქონია გულისა და სისხლძარღვების მდგომარეობაზე. გარდა ამისა, მეცნიერებმა მოხალისეთა ამ ჯგუფში დააფიქსირეს სისხლში გლუკოზის დონის ზომიერი დაქვეითება. ■

ყავა კანაცეკა



ბოლო გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ყავას ორგანიზმისთვის მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე ზიანი. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ „შავი წვენი“ ამშვიდებს ადამიანს სტრესის დროს, ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას კუნთებში და ენერგიის გამომუშავებას. კოფეინი ასტიმულირებს ტვინის სუნთქვის ცენტრს და ხელს უწყობს ფილტვის ბუშტუკების — ალვეოლების გაფართოებას. იაპონელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ფინჯანი ყავის რეგულარული მიღება თითქმის ორჯერ ამცირებს ღვიძლის კიბოს განვითარების რისკს. ნეშვილის (აშშ) ვანდერბილტის უნივერსიტეტის მეცნიერთა მონაცემებით კი, ყავა შეიცავს დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტებს, რომლებიც იცავს ადამიანს გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან. ■

გამამხნევებელი შხაპი და ჩაი-ბალზამი ზამთრის ძილქუშისგან დაგიცავთ

ზამთარში, ბევრს აწუხებს დაღლილობა, ცუდი თვითშეგრძნება, ძილქუში; დილით გაღვიძება გიჭირთ, მთელი დღე, თვლემთ, თავი გტკივათ და ხშირად, დაბალი არტერიული წნევაც აღგენიშნებათ. არადა, ამის ერთ-ერთი საუკეთესო წამალი ხელის გაწვდენაზეა! ოღონდ, ეგ არის — მის გამოცდას ვერ ბედავთ... მხედველობაში გვაქვს ცივი შხაპი, რომელიც მხნეობას შეგმატებთ და საუკეთესო გუნება-განწყობილების გარანტად მოგვევლინებათ. ცხადია, პირველად, გაგიჭირდებათ, მაგრამ თუ საკუთარ თავს მოერევით, უეჭველად კმაყოფილი დარჩებით. თუ ყოველ დილით, ამ აგრესიულ პროცედურას ჩაიტარებთ, მთელი წელი არაფერი შეგაწუხებთ. აქვე დავძენთ, რომ უმჯობესია, გრილი წყლით დაიწყოთ და შემდეგ, თანდათან დაუკლოთ ტემპერატურას. იმ შემთხვევაში, თუ ცივი შხაპის მიღებას მაინც ვერ გაბედავთ, ზამთრის ძილქუშისგან თავდასაცავად, კიდევ ერთ საშუალებას გიკარნახებთ: შემოდგომიდან მოყოლებული, გაზაფხულამდე, მატონიზებელი ჩაი-ბალზამი მიირთვით: შავი ჩაის 50-გრამიან შეკვრაში 1 ჩ/კ ვალერიანის ფესვები ჩაყარეთ და ჩვეულებრივი წესით დააყენეთ. ■

როგორ მოვუაროთ სახის კანს ზამთარში

სახის კანი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სიცივის მიმართ. კანის ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე საშუალოდ, განთავსებულია 17-დან 23-მდე რეცეპტორი, რომელიც სიცივეს შეიგრძნობს. ამავე ფართობზე, სათბოს აღმქმელი მხოლოდ 3 რეცეპტორია(!). სიცივეში, სახის კანის სისხლძარღვები ვიწროვდება, რის გამოც, ძნელდება მათი სისხლით მომარაგება. ბუნებრივია, რომ ასეთ დროს, აღარც სახის კანის კვება ხდება, ამიტომ ის შრება, იქერცლება და ჭკნობას იწყებს...

თამუნა კვინიკაძე



ზამთარი შედარებით ღარიბია ხილბოსტნეულით. ამიტომ წელიწადის ამ დროს, აუცილებელია კანის დამატებითი კვება, მისი დაცვა ქარისა და თოვლისაგან. ზამთარში, უშუალოდ გარეთ გასვლის წინ, არ დაიბანოთ პირი და არ წაისვათ კრემი: რაც არ უნდა ცხიმიანი იყოს კანი, ის მაინც შეიცავს 25%-მდე წყალს. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ სიცივეში სველი ან თუნდაც, ოდნავ ნოტიო სახით გარეთ სიარული კანს კარგს არაფერს უქადის. ზამთარში პირის დაბანასაც კი თავისებურად უნდა მიუდგეთ: საღამოს მოიმზადეთ მსუბუქი ჩაის ნაყენი, რომელსაც დილით, პირის დაბანისას გამოიყენებთ. შეიძლება, საერთოდ უარი თქვათ პირის დაბანაზე: გაიწმინდეთ სახე კოსმეტიკური რძით (თუ არ გაქვთ, შეგიძლიათ, იხმაროთ ჩვეულებრივი რძე) ან თხევადი კრემით.

ზამთარში ნორმალური და მშრალი კანი (განსხვავებით ცხიმიანისაგან) კიდევ უფრო შრება. თუნდაც, დღის განმავლობაში გარეთ გასვლა არ მოგიხდეთ, სახის კანი დღეში ორჯერ მაინც უნდა დაიტენიანოთ. კარგ ეფექტს იძლევა სუფთა კანზე მაწვნის ნიღბის დადება. ასევე შესანიშნავია სახის გაწმენდა ფორთოხლის ნაჭრით.

● საღამოსთვის კარგი იქნება, თუ ყინულის ნატეხით მატონიზებელი მასაჟის გაკეთებას შეძლებთ. ეს პროცედურა ეხმარება კანს, ტემპერატურის ცვლილებისადმი შეგუების გამომუშავებაში.

● ტუჩის თხელი და ნაზი კანი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სიცივისა და ქარის მიმართ. მათ, ვისაც ტუჩებზე კანი ხშირად უსკდება, ვურჩევთ, გამოიყენონ A ვიტამინის ზეთოვანი ხსნარი.

● თუ სიცივისგან ხშირად გიწითლდებათ ცხვირი, ასე მოიქეცით: ცოტაოდენ წყალში ჩაყარეთ 1 ს/კ მარილი, აადუღეთ და მიღებული ხსნარი პერიოდულად წაისვით ცხვირზე.

● სიცივეში სახის კანი კარგავს ელასტიკურობას, იქერცლება. იმისთვის, რომ კანს ელასტიკურობა დაუბრუნოთ, აიღეთ ერთი კვერცხის გული, შეურიეთ 1 ს/კ არაჟანი; მიღებული მასა დილით, პირის დაბანამდე, თხელ ფენად წაისვით სახეზე; 10 წუთის შემდეგ, ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ამ პროცედურის ეფექტურობა გაცილებით მაღალი იქნება, თუ დაბანამდე, ცხელ წყალში დასველებული ბამბის ტამპონით კანში შეიზელთ საჭმელი სოდისა და ბორაქსის ნარევს, დაბანის შემდეგ კი, მკვებავ კრემს გადაისვამთ.

● ძალიან მშრალი კანი კარგად უნდა გააჯეროთ ცხიმებით. ამისთვის აიღეთ 25 გ ზეითუნის, სიმინდის ან ნუშის ზეთი, შეურიეთ ამავე რაოდენობის აბუსალათინის ზეთი და შეათბეთ; მიღებულ ნაზავში დაასველეთ დოლბანდი და დაიფინეთ სახესა და ყელზე; 20 წუთის შემდეგ, კანში ლიმონის რამდენიმე წვეთი თითების მსუბუქად დარტყმით შეიზილეთ; 15 წუთის შემდეგ კი, სახე ცივი წყლით ჩამოიბანეთ.

ახლა კი დროა, გავეცნოთ ზამთრისთვის განკუთვნილ კოსმეტიკურ ნიღბებს. მანამდე აღვნიშნავთ, რომ მათთვის, ვისაც სახეზე სისხლძარღვები აქვს გაგანიერებული, თაფლის გამოყენება არ შეიძლება.

მშრალი კანისთვის:

● ნახევარი კვერცხის გული, ნებისმიერი მცენარეული ზეთი (1 ჩ/კ) და ამდენივე სიმინდის ფქვილი;

● წვრილად დაჭერით კომბოსტო, ხარშეთ რძეში, ვიდრე ფაფად არ იქცევა და მიღებული მასა 20 წთ-ით წაისვით სუფთა სახეზე.

ცხიმიანი კანისთვის:

● 1 ს/კ ხაჭო, ამდენივე მაწონი ერთმანეთში შეურიეთ;

● 20 გ საფუარი ათქვიფეთ ლიმონის წვენში, დაახლოებით არაჟნის კონსისტენციამდე;

● კომბოსტოს ფოთლები გაატარეთ ხორცის საკეპ მანქანაში, მიღებულ მასას შეურიეთ ერთი კვერცხის კარგად ათქვეფილი ცილა;

● ერთი კვერცხის ცილას შეათქვიფეთ 1 ს/კ მოშუშული ვაშლის ფაფა.

საერთოდ, ვაშლის ნიღაბი შეგიძლიათ გამოიყენოთ მთელი წლის განმავლობაში, როგორც ცხიმიანი, ასევე მშრალი კანისთვის. ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ მშრალი კანისთვის ზემოთ აღწერილ მასას უნდა დაუმატოთ 1 ს/კ მცენარეული ზეთი ან ერთი ამპულა A ვიტამინი.

● ცხიმიან კანზე შესანიშნავად მოქმედებს გრეიპფრუტის ლოსიონი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: აიღეთ ერთი ცალი გრეიპფრუტი, გაწურეთ და მიღებულ წვენს დაუმატეთ 5 წვეთი ქაფურის სპირტი.

ნორმალური კანისთვის:

● ერთი კვერცხის გულს შეათქვიფეთ 1 ს/კ გლიცერინი;

● 1 ს/კ თაფლს შეურიეთ 10 წვეთი ლიმონის წვენი.

ნებისმიერი ჩვენ მიერ შემოთავაზებული ნიღაბი სახეზე უნდა გაიჩეროთ 15-20 წთ-ს. შემდეგ პირი უნდა დაიბანოთ ჯერ თბილი, შემდეგ კი ცივი წყლით. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
822-009-099
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

ხელმოკლე „მოდნიცებს“ თავად შეუძლიათ, შექმნან მოხდენილი ჩექმა



პირადად მე, ჩემს ვაჟს არასოდეს ვაცმევ შიგნიდან დათბილულ ფეხსაცმელს

რა ფერის ფეხსაცმელია მოდაში, რით გამოირჩევა წლევანდელი სეზონის მოდური ჩექმა, როგორ დავამზადოთ საშინაო პირობებში ძველისგან ახალი და ზოგიერთ სხვა რჩევას ჩვენი თხოვნით, გიზიარებთ ფეხსაცმლის ცნობილი დიზაინერი თათა ვარდანაშვილი

ეკა მინდაძე

— თათა, როგორი ფეხსაცმელია დღეს მოდაში?

— ძალიან აქტუალურია ე.წ. ბოტის ტიპის ჩექმა, ყოველგვარი ელვაშესაკრავის გარეშე. გარდა ამისა, მოდაშია ნახევარჩექმაც და მუხლისთავს აცდენილიც.

— ყველაზე მოდური ფერი დღეს ფეხსაცმლისთვის რომელია?

— ყავისფერი და ამ ფერთან შეხამებული ყველა ფერი — მუქი ლურჯი, „ჭუჭყიანი“ ცისფერი, შაბიამნისფერი და იასამნისფერი.

— ალბათ, სამოსიც იმავე ფერების უნდა შევარჩიოთ, ხომ?

— რა თქმა უნდა. ყველაზე მეტად მოდაშია ყავისფერი ტანსაცმელი. პირადად მე, ყავისფერი არ მიყვარს, ამიტომ, ვცდილობ, ჩავიცვა ამ ფერის შესაფერისი — მაგალითად, მწვანე ან სალათისფერი.

— რა მასალის ძირებია მოდაში?

— ძალიან აქტუალურია ე.წ. პლატფორმა. მიუხედავად იმისა, რომ უხერხული სასიარულოა, თუ შარშან მარტო უკან ვამაღლებდი ქუსლს, წელს წინაც ვუკეთებ შემაღლებას. რაც შეეხება ელეგანტურ ფეხსაცმელს — მოდაშია სწორი, მაღალქუსლიანი ჩექმა, მოკლე, მომრგვალებული ცხვირით. ვფიქრობ, რაც უფრო მაღალქუსლიანია ფეხსაცმელი, მით უფრო მოდურია. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაბალქუსლიანი ჩექმა მოდაში არ არის.

— უფრო მეტად რა სიმაღლის ქუსლია მოდაში?

— სხვათა შორის, წინა წლების მსგავსად, აქტუალურია, როგორც მაღალქუსლიანი, ისე დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი. ოღონდ, მაღალი ქუსლი აუცილებლად უნდა აღემატებოდეს 11 სანტიმეტრს, დაბალი ქუსლი კი, 1 სანტიმეტრს არ უნდა ასცდეს.

— შენ თვითონ, სულ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი გაცვია. რატომ?

— მე არა მარტო გარეთ, შინაც ქუსლიანი ფეხსაცმლით დავდივარ. ოჯახში თუ ქუსლის კაკუნი ისმის, ყველა ხვდება, რომ მე სახლში ვარ... ალბათ იმიტომ, რომ ვფიქრობ, ქალი ქუსლზე უნდა იდგეს: ჩემი აზრით, იმისათვის, რომ ქალი ლამაზად გამოიყურებოდეს, უნდა ჩაიცვას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. სხვათა შორის, ქუსლზე სიარული სისხლის მიმოქცევასაც უწყობს ხელს.

— უფრო ხშირად, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს გიკვეთენ თუ დაბალქუსლიანს?

— ჩემი თაობის და ჩემზე უფროსების 90%, მაღალქუსლიანს იკერავს. თინეიჯერები კი, უფრო მეტად — დაბალქუსლიანს. ყოფილა შემთხვევა, რომ დედას მოუყვანია ქალიშვილი და ჩემთვის უთხოვია, მისი „ქუსლებზე დაყენება“.

რაც შეეხება ელეგანტურ ფეხსაცმელს — მოდაშია სწორი, მაღალქუსლიანი ჩექმა, მოკლე, მომრგვალებული ცხვირით

— ფეხსაცმელი რა მასალისგან უნდა იყოს შეკერილი?

— ძალიან აქტუალურია გველის ტყავი, გარდა ამისა, მოდაშია ბეწვი, განსაკუთრებით — „კარაკულით“ გაწყობილი ჩექმა.

— რა სიახლეა მამაკაცის ფეხსაცმელის დიზაინში?

— მამაკაცის ფეხსაცმელის ცხვირიც საგრძნობლად დამოკლდა და დამრგვალდა. მოდაშია „ურანტო“ ფეხსაცმელი. ჩემი ვარაუდით, ამ წლიდან, აქტუალური იქნება „ინსპექტორები“. რაც შეეხება ფერს — ქალის ფეხსაცმლის მსგავსად, მოდურია ყავისფერი. აქტუალურია აგრეთვე მუქი ღვინისფერიც.



ყველას გირჩევთ, რომ ჩაიცვათ ისეთი ფეხსაცმელი, რომლის სარჩულიც ნატურალური ტყავისგანაა შეკერილი

— ახლა, უშუალოდ რჩევებზე გადავიდეთ.

— ყველას გირჩევთ, რომ ჩაიცვათ ისეთი ფეხსაცმელი, რომლის სარჩულიც ნატურალური ტყავისგანაა შეკერილი. დასაშვებია კურდღლის ბეწვიც, ოღონდ — მარტო ძირზე. არასოდეს ჩაიცვათ ხელოვნური ბეწვით დათბილული ფეხსაცმელი. თბილი ფეხსაცმელი მხოლოდ ზამთრის კურორტებისთვის შეინახეთ. თბილისში კი ასეთი ფეხსაცმლის ჩაცმა სულაც არ არის საჭირო. პირადად მე, ჩემს ვაჟს არასოდეს ვაცმევ შიგნიდან დათბილულ ფეხსაცმელს. სხვათა შორის, შიგნიდან ბეწვიანს სჯობია, გარედან დათბილული ბეწვით გაწყობილი ჩექმა ჩაიცვათ. მანდილოსნებო, თუ მსუქანი ფეხი გაქვთ, გირჩევთ, ჩაიცვათ მუხლისთავს აცდენილი, სწორი, მაღალქუსლიანი ჩექმა, რათა კუნთი დაიფაროს. **გამხდარი** ფეხისთვის საუკეთესოა ჩაჩაჩული — ე.ი. გამაშის ტიპის ჩექმა. თუ ახალი ფეხსაცმლის ყიდვის საშუალება არ გაქვთ, გული არ გაიტეხოთ — მიბრძანდით მაღაზიაში, შეიძინეთ ხელოვნური ბეწვი, გაჭერით შუაზე, გააკეთეთ საყელო და ამოიცვით ძველ ფეხსაცმელზე. ამგვარად, შეგიძლიათ, ძველი ფეხსაცმლის დეფექტი დამალოთ, სხვადასხვა სახის ბეწვით ან გობელენის მსგავსი ქსოვილისგან შეკერილი გამაშით.

— ვიცი, რომ ბავშვებისთვის განკუთვნილ ფეხსაცმელზე აქტიურად მუშაობ.

— კი და ამით ბედნიერი ვარ. სხვათა შორის, მათთვის მუშაობა უფრო საპასუხისმგებლოა, ვიდრე დიდებისთვის... თითქმის ყველა პატარას, განსაკუთრებით გოგონებს, სურთ, მოზრდილის მსგავსი ფეხსაცმლის ჩაცმა. ამიტომ მინდა, ყველა დედას ვთხოვო — აუხდინეთ შვილებს ეს სურვილი და შეუკერეთ თქვენი მსგავსი ფეხსაცმელი!..

■

ის ღმერთქალივით უკრავს — დაახლოებით ასეთ შეფასებას აძლევს ინგლისური პრესა ქართველი პიანისტის, ელისო ბოლქვაძის შემოქმედებას. ახალგაზრდა ნიჭიერი ქალბატონი უკვე წლებია, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ფრანგ, ასევე ამერიკელ და ავსტრიელ მუსიკის მოყვარულთა ფართო წრეში. საქართველოში ჩამოსვლას ის მხოლოდ წელიწადში ორჯერ ახერხებს. ოჯახთან, მეგობრებთან ურთიერთობის გარდა, ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს უსმენს და კლასიკური მუსიკის საერთაშორისო სამყაროსკენ მიმავალ გზას უკვალავს...

ელისო ბოლქვაძე:

ევრიპა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ჰგავს, რაღაც შორი აღმოსავლეთ...

ემა ტუხიაშვილი

— ჩემი პირველი კონტაქტი ინსტრუმენტთან, სიმღერით დაიწყო. საკმაოდ პატარა ვიყავი, როდესაც უკვე დამოუკიდებლად ვაწყობდი ნანი ბრეგვაძის და ბუბა კიკაბიძის მიერ შესრულებული სიმღერების მელოდიებს. ჩემი ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩვენი ოჯახის ახლობელს, ნუგზარ ხოფერიას, რომელიც თავადაც ფლეიტისტი გახლდათ და ოპერაში მუშაობდა. მისი რჩევით, მშობლებმა მუსიკალურ ათწლედში მიმიყვანეს...

— პიანისტის პროფესია ძალზე დიდ შრომას მოითხოვს, ასე არ არის?

— შრომა ნებისმიერი პროფესიისთვის აუცილებელი პირობაა. ალბათ ვერც ერთ პროფესიას ვერ დაგისახელებთ, სადაც პროფესიონალიზმს უშრომლად შეიძლება მიაღწიო. გეტყვით, რომ ბავშვობაში, გაცილებით მეტ დროს ვუთმობდი მეცადინეობას, მუშაობას საკუთარ თავზე. ახლაც, ყოველი კონცერტის წინ, სერიოზულ მომზადებას გავდივარ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ინსტრუმენტთან დღე-ღამეში 10-12 საათს ვატარებ. თუმცა, არც იმ ადამიანების მჯერა, ვინც ამბობს: ცოტას ვმეცადინეობ და მაინც კარგად ვუკრავო. რა თქმა უნდა, ნიჭი მუსიკაშიც სასწაულებს ახდენს, მაგრამ დაუღალავი შრომა მაინც აუცილებელია.

— გამიგონია, პიანისტისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ფიზიკური მონაცემებიც — მაგალითად, კარგად განვითარებული ხელის მტევანი. ასეა?

— მუსიკოსები ამას ხელის დაყენებას ვეძახით. თუმცა, ჩემი ხელის დაყენებაზე არავის უზრუნია, ის, ასე ვთქვათ, თავისით მოერგო ფორტეპიანოს კლავიატურას. რა თქმა უნდა, პიანისტის ხელს განვითარება შემდეგაც სჭირდება. სხვათა შორის, თბილისში ბევრი პროფესიონალი მუსიკოსია, ვისაც ბავშვებთან მუშაობისას, ამ თვალსაზრისით, სასურველი შედეგის მიღწევა შეუძლია.

— თქვენ, როგორც მუსიკოსის პირველ წარმატებად რას მიიჩნევთ?

— 7 წლის ვიყავი, როდესაც ფილარმონიის მცირე დარბაზში, ჯემალ გოკიელთან ერთად, ბეთჰოვენის პირველი კონცერტი შევასრულე. ხოლო პირველი სოლო კონცერტი 12 წლის ასაკში, კონსერვატორიაში გავმართე, სადაც შუბერტის ექსპრომტები შევასრულე. ვფიქრობ, რომ ჩემი ასაკისთვის ეს სერიოზული განაცხადი იყო.

— მართალია, თქვენი მუსიკალური კარიერა საქართველოში დაიწყო, მაგრამ ახლა, შემოქმედებითად უცხოეთში იხარჯებით...

— საქართველოდან როცა წავედი, მაშინ აქ საკმაოდ რთული პერიოდი იყო, ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობაში გარდატეხა ხდებოდა. მოვემზადე მარგარიტა ლონგის კონკურსისთვის, რომელიც პარიზში იმართებოდა. სამუშაოდ იქ დარჩენა ნამდვილად არ მქონდა განზრახული. როგორც კი ჩავედი პარიზში, იმდენი საინტერესო შემოთავაზება მივიღე, რომ ნათელი იყო, იქ დარჩენა, ჩემი, როგორც მუსიკოსის განვითარებას, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს. ამის საშუალება კი საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობდა. გამიმართლა იმაშიც, რომ საფრანგეთში გავიცანი ცნობილი მუსიკოსი, ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი მიშელ სონი. ჩაბმული ვარ მის უნიკალურ პროექტში, რომელსაც „SOS ტალანტები“ ეწოდება. ეს გახლავთ მიშელ სონის საერთაშორისო ფონდი, რომელიც ეხმარება ახალგაზრდა ნიჭიერ პიანისტებს, ყოველთვიურად სტიპენდიას აძლევს მათ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოდან ამ ფონდისკენ მიმავალი გზა მე გავჭერი. სონისთან ვაკავშირებ ქართველ პიანისტებს, ის კი მართავს ფესტივალებს, სადაც საშუალებას აძლევს მათ, გამოვიდნენ, დაუკრან, თავი გამოიჩინონ — მოკლედ, ხელსაყრელ ნიადაგს ამზადებს მათი ნიჭის განვითარებისთვის.

— როგორც ვიცი, რამდენიმე ქართველი პიანისტი ამ ფონდის სტიპენდიანტია...

— მიშელ სონის სტიპენდია სამმა ქართველმა გოგონამ მოიპოვა. ესენი გახლავან: დები — ნათია და თამუნა ბერაიები და თამუნა გოგავა. მინდა აღვნიშნო, რომ თამუნა ბერაიამ პიანისტთა საერთაშორისო ფესტივალზე პირველი ადგილი დაიკავა, წარმატებით დაუკრა საფრანგეთში. ცოტა ხანში გაემგზავრება ნორმანდიაში, სადაც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო მუსიკალურ ფორუმში. მოგვიანებით, იგეგმება გასტროლები ბელგრადში და რამდენიმე საინტერესო ტურნე. იმასაც გეტყვით, რომ დღეისათვის, მიშელ სონის საერთაშორისო ფონდს მხოლოდ 9 სტიპენდიანტი ჰყავს და აქედან 3 — ქართველია.

— მართალია, გარკვეული პერიოდი, ავსტრიაშიც ცხოვრობდით და მოღვაწეობდით, მაგრამ ძირითად დროს, მაინც საფრანგეთში ატარებთ. როგორ მიგიღია ქართველი პიანისტი ფრანგულმა მუსიკალურმა სამყარომ?

დედა მომენატრა ძალიან და საახალწლოდ მასთან ჩამოვედი

— ფრანგული მუსიკალური სამყარო საკმაოდ დიდია, უყვარს ნიჭიერი ხალხი და იღებს ყველას, ვისაც შესწევს რაღაცის უნარი. ევროპაში არ არსებობს ერთადერთობისა და განუმეორებლობის სინდრომი, იქ თავმოყრილია მრავალი ერისა და კულტურის წარმომადგენელი. ევროპა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ჰგავს, სადაც შენი ადგილი უნდა იპოვო — ანუ უნდა დაიმკვიდრო ადგილი მუსიკალურ გალაქტიკაში. როგორც გითხარით, ჩემი წარდგენა პუბლიკის წინაშე მარგარიტა ლონგის კონკურსზე მოხდა. შემდეგ იყო ტელევიზიით გამოსვლა. მქონდა გამოსვლები პარიზის ყველა ცნობილ დარბაზში, ცნობილ ორკესტრებთან ერთად. ასე შევიძინე ჩემი პუბლიკა, რომელიც დღემდე მომყვება. ჩემი ბოლო შემოქმედებითი წარმატება გახლდათ პოლინიაკების პრიზი, რომელიც ჟან ჟაკ პოლინიაკმა გადმომცა. ასე რომ, ფრანგებმა, რომ იტყვიან, ჩამიხუტეს... იმავეს თქმა შემიძლია ავსტრიელებსა და ინგლისელებზე. ამერიკაში კი, შტატი არ დარჩენილა, სადაც არ დამიკრავს...

— და ყოველი ასეთი გამოსვლა მუსიკალური კრიტიკოსების ყურადღების ობიექტს წარმოადგენს, არა?

— მსოფლიოში მართლაც, ბევრი კარგი კრიტიკოსია, ვინც კლასიკურ მუსიკაზე წერს. საკმაოდ ძლიერია ფრანგული, ამერიკული და ინგლისური კრიტიკა. როგორც გითხარით, ამ ქვეყნებში ბევრი პიანისტი მოღვაწეობს, დიდია კონკურენცია, ამიტომაც იმასაც კი ენიჭება მნიშვნელობა, თუ ვინ დაწერს შენ შესახებ. ძალიან მინდა, რომ მუსიკალურმა კრიტიკამ საქართველოშიც მოიკიდოს ფეხი, უნდა გაჩნდეს ისეთი საინტერესო მუსიკალური ტელეარხიც, როგორიცაა „მეცო“. დემოკრატია ხომ ადამიანების კულტურულ განვითარებასაც გულისხმობს?!.

— თუმცა, კრიტიკოსების დაბადებას ალბათ, წინ უნდა უსწრებდეს საზოგადოებაში კლასიკურ მუსიკაზე მოთხოვნილების ზრდა...

— ნუ დაველოდებით იმას, რომ ვიღაც მოვა და ჩვენ მაგივრად გააკეთებს რაღაცას. რაც შეიძლება მეტი და მეტი, კლასიკური მუსიკის კონცერტი უნდა შევთავაზოთ ქართულ საზოგადოებას. რა თქმა უნდა, ერთბაშად ყველაფერი არ ხდება. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რა მძიმე ყოფაში იყო ჩვენი ქვეყანა ცოტა ხნის წინ. ხომ გაგიგონიათ — როცა ქვემეხები ქუხს, მუსიკა დუმსო... საფრანგეთში კი, კლასიკური მუსიკის კონცერტი საკმაოდ ხშირად იმართება. მათი ხშირი სტუმარი და ინიციატორი, საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლე, მადამ შირაკი გახლავთ. პუბლიკა საკმაოდ მაღალი დონისაა, კონცერტებს ძირითადად, ელიტური საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებიან. მაგალითად, რამდენიმე საკონცერტო დარბაზს უშუალოდ საფრანგეთის კულტურის სამინისტრო აფინანსებს და თემატურ ჟურნალ-გაზეთების გამოცემასაც უზრუნველყოფს. კლასიკური მუსიკის კონცერტი კერძო ინიციატივითაც ხშირად ეწყობა. მაგალითად, შეიკრიბება ორკესტრი ვთქვათ, ვერსალში, მიიწვევენ იორდანიის დედოფალს და შედგება შესანიშნავი საღამო.

— ალბათ, ასეთ დროს, თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, პუბლიკის რეაქციაა, ხომ?

— მუსიკოსისთვის პუბლიკა საკმაოდ საინტერესო სუბიექტია. ცდილობ, მასთან რაღაც ფარული ძაფები გააბა და კონცერტის მსვლელობისას, თქვენი ტანდემი შედგეს. თუ მიზანი მიღწეულია, ამას დარბაზში გამეფებული სიჩუმით ხვდები... თუმცა, ადვილი შესაძლებელია, რომ დარბაზში სუბიექტური პუბლიკაც დაგხვდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონცერტი მცირე დარბაზში იმართება და ყველა ბილეთი გაყიდულია. სხვათა შორის, ცივილიზებულ ქვეყნებში კონცერტისთვის პუბლიკასაც ამზადებენ. ძლიერი პიარი და რეკლამა, მსმენელს შემსრულებლის მიმართ დადებითად განაწყობს.



გამიმართლა იმაშიც, რომ საფრანგეთში ბევრი ცნობილი მუსიკოსი, ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი მიშელ სონი

— დღეს, საზღვარგარეთ ბევრი ქართველი მუსიკოსი მუშაობს. სამწუხაროდ, მათი მიგრაციის პროცესი გრძელდება. ხშირად ხვდებით ხოლმე თქვენს ქართველ კოლეგებს უცხოეთში?

— სამწუხაროდ, მიგრაციის პროცესი, როგორც თქვენ აღნიშნეთ, მომავალშიც გაგრძელდება. რაც შეეხება შეხვედრებს ქართველ მუსიკოსებთან, ჩვენ ყველას ისეთი დატვირთული სამუშაო გრაფიკი გვაქვს, რომ ეს იშვიათად ხდება, მხოლოდ გასტროლების დროს თუ შემხვედრია ლექსო თორაძე... გასულ ზაფხულს კი, სრულიად შემთხვევით, პარიზის ერთ-ერთ ქუჩაზე, პარლამენტის წევრს გიგი წერეთელს შევხვდი, თავის შვილთან ერთად სეირნობდა. მე და გიგი ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს და მისი ნახვა ძალიან გამიხარდა.

— საინტერესოა, რა არის თქვენი ძირითადი მიზანი, რისკენ ისწრაფვით?

— იმ ოლიმპზე ასვლას, რასაც ცხოვრებაში მიზნად ვისახავ, ჯერ კიდევ ბევრი დრო და შრომა სჭირდება. მქონდა ბედნიერება, დამეკრა პარიზში ელისეს მინდვრებზე. ახლა კი მინდა, დავუკრა ისეთ გიგანტ დირიჟორთან ერთად, როგორიც ოზავა გახლავთ, პარიზის მთავარ ორკესტრთან ერთად...

— ჩვენში თითქოს აუცილებლად მიიჩნევენ, რომ ყველა ბავშვმა მიიღოს საშუალო მუსიკალური განათლება, რაც ზოგჯერ, იძულებით ხასიათს ატარებს. როგორც პროფესიონალი პიანისტი, მიიჩნევთ, რომ მსგავსი მიდგომა გამართლებულია?

— როგორც მუსიკოსს, მუსიკის გარეშე ადამიანის ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია. მგონია, რომ ბავშვისგან, რომელსაც რაღაც ფორმით მაინც აქვს შეხება მუსიკასთან (ფორტეპიანო იქნება ეს, ვიოლინო თუ სხვა მუსიკალური ინსტრუმენტი), შეუძლებელია, ცუდი ადამიანი გამოვიდეს... ვფიქრობ, რომ კლასიკური მუსიკა უფრო სახალხო უნდა გახდეს, უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი. ეს ხელს შეუწყობს ადამიანების სულიერების ამაღლებას და მიბრუნებას იმ სამყაროსკენ, რომელსაც მუსიკალურ სამყაროს ვუწოდებთ. მაგრამ სასურველი შედეგის მისაღწევად აუცილებელია მშობლის სწორი მიდგომა, როდესაც საქმე ბავშვის მუსიკალურ აღზრდას ეხება. სტიმულის გამომუშავებაზე პედაგოგმაც უნდა იზრუნოს. სამწუხაროდ, ისეთ პედაგოგებსაც ვიცნობ, ვინც მეცადინეობისას, ბავშვებს ხელებზე ურტყამენ, რის შემდეგაც ბავშვებს მუსიკის მიმართა აგრესია უჩნდებათ. არ არის აუცილებელი ყველა ბავშვს შევასწავლოთ სოლფეჯიო, ვაწერინოთ კარნახი მუსიკაში. მთავარია, მივცეთ ზოგადი ცოდნა და შევაყვაროთ კლასიკური მუსიკა.

— თქვენი ახლანდელი ჩამოსვლა რაიმე საქმიან მიზანსაც ხომ არ უკავშირდებოდა?

— არა. დედა მომენატრა ძალიან და საახალწლოდ მასთან ჩამოვედი. 2 იანვარს, მეგობრებისა და ნათესავების გარემოცვაში, ჩემი დაბადების დღეც აღვნიშნე. მოვუსმინე მიშელ სონის სტიპენდიანტებს, რადგან მაინტერესებს, როგორ ვითარდება მათი მუსიკალური შესაძლებლობები. ნინო ბურჯანაძის ინიციატივით, ქუთაისში გახლდით, სადაც ასევე მოვუსმინე ახალგაზრდა პიანისტებს.

— რას წაიღებთ ამჯერად საქართველოდან?

— ამჯერად, ჩემი ქვეყნიდან დადებითი და იმედით სავსე ემოციები მიმყვება. ბევრი ადამიანი ახლა უფრო გამოცოცხლებული და უკეთეს ხასიათზე დამხვდა, ვიდრე წინა ჩამოსვლისას. რა თქმა უნდა, ერთდროულად ყველა ვერ დააღწევს გაჭირვებას თავს. უნდა შევიგნოთ, რომ დრო შეიცვალა, ცხოვრებაში ორიენტირება ისე იოლი აღარ არის, როგორც წინათ, ამიტომ უნდა შეეცადო, დროში „ჩაეწერო“... ■



კიმ მესინჯერმა შვილი მამისგან სასამართლოში დაიცვა

ჰოლივუდის ვარსკვლავმა სასამართლო პროცესი მოიგო და ამის შედეგად, 9 წლის ქალიშვილზე — აილენდ ელისზე მეურვეობის უფლება განიმტკიცა. ლოს-ანჯელესის სასამართლომ გოგონას მამის, კიმ ბესინჯერის ყოფილი მეუღლის, მსახიობ ალეკ ბოლდუინის სარჩელი არ დააკმაყოფილა. ბოლდუინმა 2005 წლის შემოდგომაზე პოლიციას მიმართა და საკუთარ უფლებათა გაზრდა მოითხოვა. სკანდალი მას შემდეგ აგორდა, რაც კიმმა ალეკს მის კუთვნილ დროს — უქმე დღეს, აილენდთან შეხვედრის უფლება არ მისცა. კიმმა და ალეკმა ერთად 10 წელი იცხოვრეს. 2001 წელს, მათი განქორწინების შემდეგ, აილენდი დედასთან დარჩა. მამა-შვილის ურთიერთობას განსაკუთრებული წერილობითი შეთანხმება არეგულირებს. დოკუმენტში მკაცრადაა განსაზღვრული მათი შეხვედრების დრო, ადგილი და სატელეფონო საუბრებიც კი. კიმის სიფრთხილე, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს, მამა-შვილის ურთიერთობა შეზღუდოს, გასაგებია: ჰოლივუდში ბოლდუინმა გამოუსწორებელი სკანდალისტის სახელი მოიპოვა, უკანსკნელ ხანებში კი, განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევა. იმ დღეს, როდესაც კიმმა შვილთან არ შეუშვა, ალეკმა მის სახლში შეჭრა სცდა. შემდეგ კი, პოლიცია გამოიძახა. ერთ-ერთი ჟურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში ალეკ ბოლდუინმა აღიარა, რომ „წესრიგის მანიით“ იტანჯება. მაგალითად, თვითმფრინავზე რომ აგვიანდებოდეს, სახლიდან ისე ვერ გავა, თუ ყვავილის ქოთნები სიმეტრიულად არ განალაგა. სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შესაძლოა, ბოლდუინის ამ უცნაურმა თვისებებმაც იმოქმედა. ასეა თუ ისე, ალეკს ამ ვერდიქტის გასაჩივრების უფლება აქვს. ასე რომ, მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა!.. ■

ტომ კრუზი ედიდეს და ამავე დროს, ყველაზე გამაღიზიანებელ მსახიობად აღიარეს

„სამყაროთა ომებისა“ და „უკანასკნელი სამურაის“ ვარსკვლავი, ყველა დროის უდიდეს მსახიობად აღიარეს, მაგრამ ამავე დროს, მაყურებელმა კრუზი იმ მსახიობთა სიის სათავეშიც დაასახელა, ვინც ხალხს ყველაზე მეტად აღიზიანებს. ეს გამოკითხვა ჟურნალმა — Empire 10 ათას მკითხველს შორის ჩაატარა. სიაში კინოს სხვა ვარსკვლავებიც მოხვდნენ, მათ შორის:



რობერტ დე ნირო, ჰარისონ ფორდი და მერილინ მონრო. კეიტ უინსლეტმა და კევინ სპეისიმ მაყურებლის უსაყვარლეს მსახიობთა „ტიტული“ მოიპოვეს.

კრიტიკოსთა აზრით, ის ფაქტი, რომ ტომ კრუზი ყველაზე გამაღიზიანებელ მსახიობად დასახელდა, მისმა „აქტიურობამ“ გამოიწვია: კრუზი მთელი წლის განმავლობაში, ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. „სამყაროთა ომების“ სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობდა. კეიტ ჰოლმსზე დაინიშნა და პრესას განუცხადა, რომ ისინი ბავშვს ელიან. ტომ კრუზი არც საკუთარი საიენტოლოგიური შეხედულებების პროპაგანდას ივიწყებდა.

„ყველაზე გამაღიზიანებელი მსახიობის“ სახელისთვის „ბრძოლაში“, ტომ კრუზმა, ჯენიფერ ლოპესი, ჯულია რობერტსი, ადამ სენდლერი და ჯიმ კერი „დაამარცხა“. ჟურნალის მკითხველებმა საუკეთესო რეჟისორად სტივენ სპილბერგი დაასახელეს, რომელმაც ტიტულისათვის ბრძოლაში პიტერ ჯექსონი დაჯაბნა. ■

სტივენ სპილბერგის თილმის — „მიუნხენი“ გაქირავების პირველი კვირის შემოსავალმა 8,3 მლნ დოლარს გადააჭარმა

სტივენ სპილბერგის ახლი სურათის — „მიუნხენი“ გაქირავების პირველი კვირის შემოსავალმა ამერიკაში 8,3 მლნ დოლარი შეადგინა. სტუდია Universal Pictures-ის შექმნილი სურათის ბიუჯეტი 70 მლნ დოლარია. ავტორები ამ ხარჯის ამოღებას 2006 წლის მაისისთვის ვარაუდობენ. სპილბერგის ახალი ფილმი სხვადასხვა კინორეიტინგში V-X ადგილებს იკავებს. „მიუნხენის“ კომერციული შედეგი საკულტო ფილმის — „ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი“ — გაქირავების მე-6 კვირის შედეგს უტოლდება. ექსპერტთა ვარაუდით, სპილბერგის ახალი ფილმი მრავალი პრესტიჟული პრემიით დაჯილდოვდება და „ოსკარის“ ნომინაციაზეც იქნება წარდგენილი.

ისრაელის ზოგიერთ ოფიციალურ წარმომადგენელს და ორგანიზაცია „შავი სექტემბრის“ ერთადერთ ცოცხალ ტერორისტს, მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადაზე ებრაელი სპორტსმენების მკვლელობის სპილბერგისეული ვერსია კატეგორიულად არ მოეწონათ. სურათი 1972 წლის ოლიმპიადაზე მომხდარი ტრაგიკული ინციდენტის გამო, ისრაელის მიერ განხორციელებული შურისძიების აქტის ამბავს გადმოგვცემს. როგორც ცნობილია, მაშინ პალესტინური დაჯგუფება „შავი სექტემბრის“ წევრებმა 11 ებრაელი სპორტსმენი დახვრიტეს. ფილმში ისრაელის დაზვერვის აგენტი (მსახიობი ერიკ ბანა) ამ აქციის მონაწილეებს მთელ მსოფლიოში დაეძებს. სცენარს საფუძვლად დაედო ჯორჯ ჯონასის წიგნი „შურისძიება“. სურათი რეალურ მოვლენებს ასახავს და მისი მომზადებისთვის ავტორებმა მრავალი წყარო გამოიყენეს. ■

მეთ დეიმონმა სიტყვა არ გატეხა

35 წლის ჰოლივუდელმა ვარსკვლავმა მეთ დეიმონმა („ნიჭიერი მისტერ რიპლი“, „ბორნის იდენტიფიკაცია“) სიტყვა არ გატეხა და თავისი შეყვარებული — 29 წლის ლუსიან ბაროსო ცოლად შეირთო. საიდუმლო საქორწინო ცერემონია ნიუ-იორკის გასართობ-კულტურულ ცენტრში — „ფორუმ-ჰოლი“ გაიმართა. როგორც ზეიმის მრავალრიცხოვანი სტუმარი ამბობს, ჯვრისწერამ წყნარ, კამერულ ვითარებაში ჩაიარა. პატარძალს კლასიკური, თეთრი კაბა ემოსა, სიძე კი შავ სმოკინგში იყო გამოწყობილი. მკითხველს შევახსენებთ, რომ მეთმა ლუსიან ბაროსო 2003 წელს, მაიამის კლუბ „კრობარში“ გაიცნო, სადაც ლუსიანი ოფიციანტად მუშაობდა. მეთი და ლუსი 2 წლის განმავლობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. 2005 წლის სექტემბერში კი, როდესაც ლუსიანი დაორსულდა, დაინიშნენ. ამერიკული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ ბაროსო სამი თვის ორსულია. დეიმონისთვის ეს პირველი ქორწინებაა, ლუსიანს კი ზურგს უმაგრებს მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება, რომლის შესახებაც პრესასთან კონტაქტის დროს, დუმილს ამჯობინებს. მისი წარსულიდან ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ერთ-ერთი რომანის შემდეგ, ქალიშვილი ალექსი შეეძინა, რომელიც ახლა 6 წლისაა. ■

კატრინ დენევი — წლის ქალი

ცნობილი ფრანგი კინოვარსკვლავის წოდებებს, ჯილდოებსა და ტიტულებს კიდევ ერთი საპატიო წოდება დაემატა. მსოფლიო კულტურის განვითარებაში გაწეული ღვაწლისთვის, კატრინ დენევს „წლის ქალის“ ტიტული მიენიჭა. აი, უკვე 40 წელია, რაც კატრინ დენევი ეკრანზე ქალური მომხიბვლელობის სიმბოლოდ იქცა, რასაც იგი უნივერსალურ იარაღად იყენებს. 62 წლის მსახიობი დღესაც ბევრს მუშაობს, კინოფესტივალების ჟიურის ხელმძღვანელობს, ქველმოქმედებას ეწევა. მის ერთ კოცნაში ფრანგები 2 მლნ ევროს უკანმოუხედავად იხდიან. 2005 წელს, რუსეთის კინოფესტივალზე — „სიყვარულის ხატება“ — კატრინ დენევის ჩასვლა კი, მის ორგანიზატორებს 45.000 დოლარი დაუჯდათ.

რაინდები, კომანდორები, ოფიცრები...

65 წლის მომღერალი ტომ ჯონსი იმ ბრიტანელთა სიას ჩაუდგა სათავეში, რომელთაც საახალწლოდ, რაინდის წოდება ებოძათ. ტომ ჯონსთან ერთად, ეს პატივი ერგოთ: დრამატურგ არნოლდ უესკერს და ჯაზმენ ჯონი დენკუორტს. რადიო BBC-ს ყოფილ ხელმძღვანელს, ლიზ ფორგანს კი, ქალბატონის წოდება მიენიჭა. ტრადიციულად, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის რაინდის (KBE – Knight of British Empire) გარდა, ახალი წლის წინ, შედარებით დაბალი რანგის ჯილდოებიც გაიცემა. ცნობილ ტელეწამყვანს ბრიუს ფორსაიტს ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კომანდორის წოდება მიენიჭა. მსახიობები რობი კოლტრეინი, სანჯეევ ბხასკარი და იმელდა სტონტონი კი ამიერიდან, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის ოფიცრები არიან. ჯონ ბარაკლოუმ და პოპულარული მუსიკალური ტრიოს — Beverley Sisters — წევრებმა, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის წევრობის წოდება მიიღეს. ■

ჰოლივუდის ოიდლის ბაბუა — ბრეიდი უაიტი: მადონას ქალწულობას მეც კი ვერ დავუბრუნებ!

„ვარსკვლავთა სანგას“, ნამდვილი წვერ-ულვაში ამშვენებს, რომელიც რამდენიმე მილიონ დოლარადაა დაზღვეული

მას სურვილებსა და სანუკვარ ოცნებებს თავად ელიზაბეტ ტეილორი, ჯეკ ნიკოლსონი, სილვესტერ სტალონე, შერი და სხვა სუპერვარსკვლავები უზიარებენ. ვინ არის ბრეიდი უაიტი — ფსიქოანალიტიკოსი? არა, ის ჰოლივუდის სანტა-კლაუსია!

მას „ვარსკვლავთა სანტასაც“ ეძახიან. ზოგიერთს ბრეიდი უაიტის პროფესია მსოფლიოში ყველაზე საინტერესოდ მიაჩნია, ლოს-ანჯელესის მკვიდრი უაიტისათვის კი, რომელიც უკვე მეოთხედი საუკუნეა, საშობაოდ VIP-სასწაულებს ახდენს — ეს მაღალანაზღაურებადი ხელობა ჩვეულებრივ საქმიანობად იქცა. მისი ერთი სამუშაო საღამოს გასამრჯელო საშუალოდ, 85.000 დოლარს შეადგენს და ამ თანხას იმაში უხდიან, რომ კინოსა და შოუბიზნესის ვარსკვლავთა სურვილებს ისმენს და მათ საჩუქრებს საქველმოქმედო მისამართებზე არიგებს. 59 წლის მსახიობი სანტაკლაუსობას ძალზე მნიშვნელოვან პერსონებს უწევს.

მას წვეულებებსა და წყნარ, ოჯახურ ზეიმებზე ეპატიჟებიან. შობის ჯადოქრის მიპატიჟება ნებისმიერ ცნობილ პიროვნებას დედამიწის ნებისმიერ წერტილში შეუძლია. ამისთვის 1 თვით ადრე, მასთან, ტელეფონით დაკავშირება და ჰონორარის გადახდის გარანტია კმარა. უაიტი კალიფორნიაში ძველისძველი წითელი „მერსედესით“ მოძრაობს, რადგან თბილ კლიმატურ სარტყელში მდებარე ჰოლივუდში ირმებშებმული მარხილით მგზავრობა, უბრალოდ, შეუძლებელია. ქვეყნის სხვა კუთხეებსა და უცხო ქვეყნებში, სადაც ვარსკვლავები საშობაო სასწაულს ელიან, მას თვითმფრინავი — პირველი კლასის სალონით — უფასოდ ჩაიყვანს. ეს სანტას პრივილეგიაა.

მადონას სურვილმა — დაიბრუნოს ქალწულობა — სანგა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. „რაიმე უფრო მატერიალური მთხოვე“, — შეეეედრა უაიტი „მატერიალურ გოგონას“

თავის მობრძანებას ხალხს სანტა კლასიკური „ჰოუ-ჰოუ-ჰოუს“ (სანტა-კლაუსის ტრადიციული მისალმება) შეძახილით ამცნობს. თეთრარშიაშემოვლებული წითელი ქურქი კეთილ, მხიარულ სანტას, ღიპზე ძლივს ეკვრება. „ყოველი საშობაო სეზონის დასრულების შემდგომ, დიეტაზე გადასვლა მიხდება, რადგან დღესასწაულზე უამრავი ნამცხვრის მირთმევა მიწევს“, — გულახდილად ამბობს ბრეიდი უაიტი.

მხიარულ ვარსკვლავებს და მათ ცუღლუტ შვილებს უშიშრად შეუძლიათ, სანტა-კლაუსს წვერი მოჰქაჩონ — მისი წვერი, ბაკენბარდები და ულვაშები ნამდვილია! 1991 წელს, ბრეიდი უაიტი, პირველი იყო, ვინც საკუთარი თმის საფარი ექვსნიშნაციფრიანი თანხით დაზღვია. სანტა-კლაუსის სამოსი ბრეიდიმ პირველად, 1972 წელს მოირგო, რათა ბინის ქირის გადასახდელი ფული ეშოვა. სანტას კოსტიუმში გამოწყობილი დამწყები მსახიობი მყიდველს ლოს-ანჯელესის სუპერმარკეტის კართან ხვდებოდა. ადგილობრივმა გაზეთმა მას „კალიფორნიის საუკეთესო სანტა-კლაუსი“ უწოდა. „წლების მანძილზე, როლებზე ვნადირობდი და აი, მოულოდნელად, ჩემი ცხოვრების მთავარი როლი მივიღე. მაშინ, ერთმა მეგობარმა მირჩია: წვერი მოიზარდე და ის მილიონებს მოგიტანსო. იმ დღეს, წვერის საპარსი სანაგვეში მოვისროლე და არც შევმცდარვარ“, — იხსენებს უაიტი.

საკუთარი გმირის რეკლამირებას ბრეიდიმ თავად მოჰკიდა ხელი. სარეკლამო რგოლებს იღებდა, პლაკატებისა და კალენდრებისთვის პოზირებდა. ძვირად ღირებული ფირმების საქონელს რეკლამას უკეთებდა. 1973 წლის დამდეგს, უაიტმა ცნობილი საიუველირო ფირმის VIP-საღამოზე მიწვევა მიიღო, სადაც „ვარსკვლავთა სანტას“ სახელით პირველად მოიხსენიეს. უკვე მომდევნო, 1974 წელს, ბრეიდი უაიტი ცნობილი ადამიანების საშობაო ზეიმის სტუმარი გახდა.

უწვეულო ხელობის 33-წლიანი სტაჟის მქონე მსახიობმა ერთი რამ კარგად უწყის: ეკრანისა და შოუბიზნესის ვარსკვლავები უბრალო მოკვდავთაგან არაფრით განსხვავდებიან! ყოველ შემთხვევაში, სანტასგან საშობაო სურვილების ასრულებას და საჩუქრებს სხვებივით ელიან, იმ განსხვავებით, რომ მათი მოთხოვნები ძირითადად, არატრადიციული და უჩვეულოა.

მაგალითად, მადონამ უაიტს ქალწულობის დაბრუნება სთხოვა... „იქნებ, ოდნავ უფრო იოლი

შერმ სანგას, სამობაოდ „ოსკარი“ მეუკვეთა. 1987 წელს, ფილმში — „მთვარით მონუსხულნი“ — ნათამაშები როლისათვის ნომინაციაში — „ქალის საუკეთესო როლი“, სანუკვარი ჯილდო მართლაც, მიილო

რაიმე გეთხოვათ! ასეთი სასწაულის მოხდენა მეც კი არ ძალმიძს“, — შეევედრა „ვარსკვლავთა სანტა“ მადონას. საბედნიეროდ, ცნობილი სექსუალური პროვოკატორი მადონა გამონაკლისი აღმოჩნდა. უაიტის ვარსკვლავური კლიენტურა მისგან ძირითადად, კინოპრემიებს და დიდ როლებს ითხოვს. თავის დროზე, შერმა და ჯოდი ფოსტერმა ბრეიდის, „ოსკარი“ სთხოვეს და ჰოი, საოცრებავ — სანუკვარი ქანდაკებები მართლაც, მიიღეს: შერმა ფილმისათვის — „მთვარით მონუსხულნი“ (1987), ჯოდი ფოსტერმა კი — „კრავთა დუმილში“ (1991) ნათამაშები როლისათვის. სილვესტერ სტალონემ, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, ბრეიდის თავისი სანუკვარი ოცნება გაანდო: როგორც აღმოჩნდა, მხარბეჭიანი, მაგრამ არცთუ ისე მაღალი (178 სმ) კინოვარსკვლავი დღემდე, სიმაღლეში გაზრდას ნატრობს. „ვარსკვლავთა სანტა“, რომლის სიმაღლე 193 სმ-ს აღწევს, არ დაბნეულა: რადგან ეს ამბავი ამერიკული კინოკადემიის საშობაო წვეულებაზე ხდებოდა, მაშინვე რეპორტიორთა გუნდი მოიხმო და მათ სტალონესთან ერთად სურათის გადაღება სთხოვა, პოზირებისას კი, მუხლებში მოიხარა და ფოტოზე სტალონეს სიმაღლის გამოჩნდა. ამ „სასწაულისათვის“ სანტამ სილვესტერ სტალონესგან გულითადი მადლობა დაიმსახურა.

ჯონ ტრავოლტამ უაიტი საშობაოდ, ოჯახში მიიწვია. მსახიობის მეუღლემ, კელი პრესტონმა თოვლის ბაბუა, ბავშვების გასახარად, ადგილობრივ სკოლაში მიიყვანა...

ახალი წლის დადგომამდე, თავის სანუკვარ სურვილებს ბრეიდი უაიტს, ჯეკ ნიკოლსონი, ჩარლზ ბრონსონი, რენე რუსო, ბობ დილანი უზიარებენ. მის დანახვაზე, ჰოლივუდის ლეგენდად ქცეულმა ელიზაბეტ ტეილორმა წამოიძახა — პატარაობაში სწორედ ასეთ სანტა-კლაუსზე ვოცნებობდიო!.. სანტა-კლაუსის როლში ბრეიდი აწ გარდაცვლილ რომის პაპს, იოანე-პავლე მეორესაც კი შეხვდა, როდესაც პონტიფიკოსი 1986 წელს, ლოს-ანჯელესს ეწვია. 1992 წელს, ბარბრა ბუში ვარსკვლავებითა და ზოლებით დამშვენებულმა სანტა-კლაუსის კოსტიუმმა აღფრთოვანებული დატოვა. უნდა ითქვას, რომ ბრეიდის არსენალში სანტას რამდენიმე კოსტიუმი აქვს: კლასიკური — წითელი ხავერდის კოსტიუმი; ირლანდიური სანტა-კლაუსისთვის შეკერილი, მწვანე ხავერდის კოსტიუმი; ვერცხლისფერი — კოსმოსური სანტა; ტროპიკული პერანგი და ბალახებისგან შეკერილი ქვედაბოლო — ჰავაიური სანტა და ახალგაზრდული, მეტალის დეტალებით დამშვენებული ტყავის კოსტიუმი — მოტო-სანტა.

ჯოდი ფოსტერმა საშობაო სურვილად, მსოფლიო დიდების მოპოვება ჩაუთქვა. ფილმში — „კრავთა დუმილი“ — მთავარი როლი ითამაშა და დღეს, სუპერვარსკვლავად ითვლება („ოსკარი“, 1991 წ)

„ჩემი ცხოვრება და როლი ძალიან მომწონს. ჩემი სამუშაო მხოლოდ ვარსკვლავებთან ურთიერთობით როდი შემოიფარგლება: მათი დავალებით საქველმოქმედო ფონდებს, ავადმყოფ ბავშვებს გადავცემ საჩუქრებს. ჩემი საქციელის დიდი ნაწილი ბრეიდი უაიტისგან კი არა, სანტა-კლაუსისგან მოდის. სან-ფრანცისკოსა და ნიუ-იორკში შეიძლება, შიშველმა იარო და ყურადღება არავინ მოგაქციოს, მაგრამ როგორც კი სანტას კოსტიუმში გამოწყობილი, ქუჩაში გავდივარ, როგორც ძვირად ღირებული ავტომობილების, ისე სატვირთო მანქანების მძღოლები ჩერდებიან და მეუბნებიან: „ბედნიერ შობას გისურვებ, სანტა!“

■

უკვე ერთი წელია, რაც სამოდელო აკადემია — „არტ ფეშენი“ გაიხსნა, სადაც ახალგაზრდა გოგონებსა და ვაჟებს, სამოდელო ხელოვნების გარდა, უამრავ სხვა საგანსაც ასწავლიან. აკადემიის პრეზიდენტი, სხვადასხვა შოუს ავტორი მეგი ჟყოიძე გახლავთ, რომელიც დაწვრილებით გვიამბობს აკადემიის შესახებ:

სამოდელო აკადემია „არტ ფეშენი“

— ეს არის მოდისა და ხელოვნების აკადემია „არტ ფეშენი“, რომელიც 2005 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს. ჩვენთან მოდა და ხელოვნება ერთადაა წარმოდგენილი — არიან როგორც მოდელები, ასევე პანტომიმის მსახიობები, მოცეკვავეები და მსახიობები. აკადემიაში 10 საგანი ისწავლება. ეს არის: ქართული, ლათინურ-ამერიკული და აზიური ცეკვები, პლასტიკა, პანტომიმა, მსახიობის ოსტატობა, მეტყველება, დეფილე, ფოტომოდელირება და აერობიკა. ჩვენს აკადემიაში სწავლა ერთი წელია სავალდებულო. ერთი წლის შემდეგ, ჩატარდება კასტინგი, სადაც ჟიური შეაფასებს ყველა მოსწავლეს ერთად და მხოლოდ შემდეგ განისაზღვრება განხრა — ვთქვათ, რომელიმე გოგონა შეიძლება, ძალიან ლამაზი იყოს, მაგრამ ის მოდელად დაიწუნონ, სამაგიეროდ, მისგან კარგი მსახიობი ან მოცეკვავე დადგეს. მერე, როცა სპეციალურ განხრას მიიღებენ, სასწავლებლად კიდევ ერთი სავალდებულო წელია, რის შემდეგაც, ისინი დიპლომს მიიღებენ. ერთი წლის შემდეგ კი, სერტიფიკატებს გავცემთ და ჩვენს მოსწავლეებს შეუძლიათ, რომ ჩვენთან სწავლა აღარ განაგრძონ, თუმცა, თუ ისინი ჩვენთან ორი წელი ისწავლიან და დიპლომსაც აიღებენ, მაშინ მათ ჩვენთან სამუშაოდ დარჩენაც შეეძლებათ.

— რა ასაკის გოგონებს იღებთ თქვენთან სასწავლებლად?

— 5-დან 25 წლამდე — გოგონებსაც და ბიჭებსაც. მართალია, ამ ეტაპზე, სულ რამდენიმე ბიჭი გვყავს, მაგრამ მსურველები ალბათ, კიდევ გამოჩნდებიან. სწავლა მიმდინარეობს კვირაში სამი დღე, დღეში ორი საათი, სრული დატვირთვით.

— ჩვენებებში თუ მონაწილეობთ ხოლმე?

— რა თქმა უნდა. გვყავს მოდელები, რომლებიც ერთი წლის ასათვისებელს ექვს თვეში სწავლობენ. ასეთი მოდელები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ჩვენებაში. ჯერ არ გვქონია, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ კლიპებში გადასაღებადაც მივიღოთ მიწვევები. ასეთ შემთხვევაში, დამკვეთი თავად აირჩევს გოგონებს. მოგეხსენებათ, რომ მე ძალზე ხშირად, გარკვეულ შოუპროგრამებს ვაკეთებ, სადაც ჩვენი მოსწავლეები აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას, არა მხოლოდ როგორც მოდელები, არამედ როგორც მსახიობები, მოცეკვავეები და ა.შ.

— როგორც ვიცი, სულ ახლახან, თქვენმა აკადემიამ საზღვარგარეთიდან მიიღო მიწვევა.

— დიახ, ნამდვილად ასეა. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება ერთ-ერთ ამერიკელ დიზაინერთან. შედგება თუ არა ეს ვიზიტი, ჯერ არ ვიცით, მაგრამ გვაქვს კიდევ ერთი მიწვევა — 6 თვეში, კანადაში გავემგზავრებით, სადაც ჩვენი მასპინძელი, ქალბატონი ალა ვაგნერი იქნება. იქ მცხოვრებთათვის ერთ მთლიან შოუპროგრამას გავმართავთ.

— რამდენად ხელმისაწვდომია თქვენს აკადემიაში სწავლა?

— ნამდვილად ხელმისაწვდომია: თვეში 50 ლარი ღირს. ვისაც ჩვენთან მოსვლა სურს, მათ ვაცნობებ, რომ ჩვენი მისამართია: კარგარეთელის ქუჩა, №7, ტელეფონის ნომერი: 96-24-29.

R

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-1)



ახალგაზრდა ქორწილი ლანა მესხი საავადმყოფოდან ზედმეტი პრინციპულობისთვის დათხოვნის შემდეგ, კოლეგის, გიზო ვაშაკიძის ინიციატივით, კერძო ფარმაცევტულ ფირმაში იწყებს მუშაობას. ფირმას გიზოს მეგობარი — გიგი გიგაური უდგას სათავეში. მას სურს, ლანას ბებიის, ცნობილი სახალხო მკურნალის რეცეპტებით დამზადებული წამლები გამოუშვას. ლანა სოფელში ბებიის სანახავად მიდის.

მანამდე, მის ცხოვრებაში სრულიად მოულოდნელად, ახალგაზრდა ბიზნესმენი — ლევან ქართველიშვილი გამოჩნდება. ლევანი ქვრივია (მისი ახალგაზრდა მეუღლე მძარცველებს შემოჰკვდომიათ) და 6 წლის ქალიშვილი ჰყავს. ლევანი გერმანიაში სტაჟირებაზე მიდის და ლანას ცხოვრებიდან დროებით ქრება.

სოფელში ჩასულ ლანას ბებია — ქეთო გამოუტყდება — ჩემი საქმის გამგრძელებლად მეგულებიო. ის შვილიშვილს დამხმარედ, ჭკუასუსტ ყმაწვილს — იონას შესთავაზებს, რომელიც სამკურნალო ბალახებში კარგად ერკვევა.

სოფელში ლანას მოულოდნელად, გიზო მიადგება კარზე, მაგრამ ვერც ლანას და ვერც ბებიამისს გივის წინადადებაზე ვერ დაითანხმებს. ამავე დროს, მას გერმანიიდან ლევანი დაურეკავს და გააფრთხილებს — გივი გიგაურს არაფერში ენდო, ძალიან ბნელი კაციაო... ლანა თბილისში ბრუნდება. სამსახურში მისული, მას თინიკო გაუზიარებს თავის ეჭვს, რომ გიგაური ნარკოტიკებით ვაჭრობას მისდევს... კაფეში საჭორაოდ წასული გოგონები თინიკოს ძველ ნაცნობს, ლაშას შეხვდებიან, რომელიც კარგა ხანია, საზღვარგარეთ იყო წასული. წყვილი ლანას შინ მიაცილებს. მეორე დღეს, თინიკო შინ ესტუმრება ლანას და მოუყვება, რომ გივის საცავში მართლაც, ნახა საეჭვო წამლის ყუთები და უფროსსა და გიზოს შორის მომხდარ ჩხუბზეც უამბობს, რომელსაც შემთხვევით შეესწრო. დაქალების საუბრის დროს, ლანას ისევ ურეკავს ლევანი და სთხოვს, თინიკოს დაალაპარაკოს.

ლანა არ უმხელს მეგობარს, თუ ვინ ეძახის ტელეფონთან...

თინიკო სამზარეულოში მალევე შემობრუნდა, სკამზე მოწყვეტით დაჯდა და ლანას თვალი თვალში ბრაზიანად გაუყარა.

— რა იყო? — მშვიდად ჰკითხა მას ლანამ.

— კიდეც რომ მეკითხება!.. — თავი დანანებით გადააქნია თინიკომ. — გოგო, ასეთი გველი მაინც რამ გაგაჩინა? არ შეგეძლო, წესიერად აგეხსნა, ვინ რეკავდა?.. კაცის ხმა რომ გავიგონე, კინაღამ ყურმილი გამივარდა ხელიდან.

— რა იყო? კაცის ხმის გაგონება თუ ასე გაფრთხობს, სხვა რამე რაღას გიზამს? — მთლად ანგლობის ხასიათზე დადგა ლანა.

— ის „სხვა რამე“ მგონი, ჩემზე არანაკლებ უნდა გენატრებოდეს!.. მაგრამ შორსაა ის კაცი და რა ქნას?!. ფოსტით ხომ ვერ გამოგიგზავნის...

— კარგი, კარგი!.. — ორივე ხელი ასწია ლანამ. — ვაღიარებ, უშნოდ ვიხუმრე... ისე კი, ლევანს შენთან ლაპარაკი ნამდვილად უნდოდა.

— ვიცი და ველაპარაკე კიდეც. — ოდნავ მოლბა თინიკო. — მაგრამ კონკრეტულად რაზე, ჯერ არ გეტყვი... ცოტა ხანს უნდა გაწრუწუნო.

— შეგიძლია, საერთოდაც არ მითხრა. — იხტიბარი აღარ გაიტეხა ლანამ. — ჭკვიანურს მაინც არაფერს გეტყოდა.

— მასე გეგონოს! შენმა... თუმცა რატომ მხოლოდ შენმა, — თვალები ეშმაკურად მოწკურა თინიკომ. — ჩვენმა ლევანიკომ საჭირო ინფორმაციაც მომაწოდა და ჭკუაც საგულდაგულოდ დამარიგა.

— არსად დაგეკარგოს.

— ვინ? ლევანი თუ მისი დარიგება?

— ორივე.

— კარგი, მოვრჩეთ სისულელეებს! — უცბად დასერიოზულდა თინიკო. — რას მეუბნებოდი, წეღან, სოდ-ი რა არისო?..

— არ გინდა რა!.. — გააწყვეტინა ლანამ, — ვერ ხვდები, რომ სულ ტყუილად ვიჭყლეტთ ტვინებს!.. ჩვენ არც პოლიციაში დამრეკავები ვართ და არც სოდ-ში.

— ვითომ, რატომაო?

— იმიტომაო, ჩემო კარგო, რომ ჩვენც გივის თანამშრომლები ვართ და რა იცი, რა შარში გავეხვიოთ. თანაც, ხომ შეიძლება, გივიმ უკვე მართლაც, ყველა კვალი წაშალა... მიდი, მერე და უმტიკცე, ასეო და ისეო...

— აი, აქ კი ძალიან ცდები, ჩემო კარგო! — თვალები ეშმაკურად აენთო თინიკოს. — დავუმტკიცებ და მერე როგორ! — საკუთარ მობილურს წამოავლო ხელი და რამდენიმე ღილაკს სწრაფად გადაურბინა. — მოდი, ერთი რა გაჩვენო!

— რა უნდა მაჩვენო? — ფეხზე უკმაყოფილო სახით წამოდგა ლანა. — რაღა ახლა მოგინდა მობილურით თამაში?

— რა დროს თამაშია? — იწყინა თინიკომ. — შენ ამ კადრებს დააკვირდი!.. გივის „ბუნკერში“ ყველა კუთხეკუნჭული მაქვს გადაღებული...

— რაო?!. — მაშინვე დაქალთან გაჩნდა ლანა და მობილური ტელეფონის ეკრანზე, ერთმანეთის მიყოლებით, სწრაფად ჩავლილ კადრებს დააკვირდა: ცოტა ნელა, რამე ხომ უნდა გავარჩიო!

— ყველაფერს დეტალურად გაჩვენებ, ოღონდ, ჯერ მთავარი კადრები უნდა მოვძებნო — ღილაკით მანიპულირებას განაგრძობდა თინიკო. — აი, ესეც გიგაურისეული „ანალგინი“, — როგორც იქნა, ღილაკიდან ხელი აიღო მან და ლანამაც ეკრანზე წამლისაბებიანი ფირფიტა გარკვევით დაინახა — მეორე კადრში ფირფიტა გადმობრუნებული იყო და მას „ზურგზე“ საერთოდ არაფერი ეწერა.

— აბა, ერთი თავიდან მაჩვენე ყველაფერი! — შეფიქრიანდა ლანა.

— არის, უფროსო! — კვლავ მობილურის ღილაკს დააცხრა თინიკო და ეკრანზე ისევ კადრი კადრს მიჰყვა.

— მოიცა! — უეცრად ხელში სწვდა მას ლანა. — ეს რაღაა?

— მეგონა, ისევ ვერ შეამჩნევდი, — გახალისდა თინიკო. — ეს, ჩემო ლამაზო, გიგაურის მაგიდის უჯრის შიგთავსია. ანუ რეზინის „ჟგუტი“ და ერთჯერადი შპრიცები...

— გამოდის, რომ...

— დიახ, დიახ... გამოდის, რომ ჩვენი ძვირფასი შეფი მარტო სხვას კი არ წამლავს, თავსაც იწამლავს. თუმცა, თვითონ, ალბათ, რამე „ტრუხა“ წამალზე მაინც არ შეჯდებოდა. შეიძლება, სულაც „სუფთას“ იკეთებს ბიჭი...

— რა არის, იცი? — დაქალს მოსცილდა და სკამზე მოწყვეტით დაჯდა შეფიქრიანებული ლანა. — მე მგონი, ეს უკვე მართლა სერიოზული კომპრომატია.

— სერიოზულია თუ არა, ჯერ არ ვიცით, მაგრამ ამ მობილურს კი, ნამდვილად თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ...

თინიკო უკვე წასასვლელად ემზადებოდა, როცა მის ხელჩანთაში საგულდაგულოდ შენახული მობილური ტელეფონი აწკრიალდა. ზარის ხმაზე ქალიშვილი ისე შეხტა, რომ ხელჩანთა კინაღამ ხელიდან გაუვარდა. ზარი გამეორდა. თინიკო სკამზე დაჯდა და ხელჩანთა მერეღა გახსნა.

— არა, რა!.. სანამ ეს მობილური გულს საბოლოოდ გამიხეთქავს, ჯობს, თავიდან მოვიშორო. სახლში მივალ თუ არა, მაშინვე გავთიშავ და სადმე, ყველაზე ბნელ კუთხეში მივაგდებ.

— მერე, უმობილუროდ როგორ გაძლებ? — შეწუხდა ლანა.

— სხვაც მაქვს. შარშან, მამაჩემმა დაბადების დღეზე მაჩუქა... მართალია, ასეთი „ფეშენებელური“ ვერ არის... — აპარატი ხელში შეათამაშა, თან, თავი დანანებით გადააქნია თინიკომ. — მაგრამ რას ვიზამთ?.. ვაიმე!.. — სახე გაუნათდა მას უცბად. — ლაშა მირეკავს!

— ვაშა! თინიკოს ურეკავს ლაშა!..

— მოიცა! — ხელის აწევით გააჩუმა ლანა თინიკომ და შემდეგ, ყურმილში ჩასძახა: — ჰო, ლაშა, გისმენ!.. რა მიშავს, კარგად... დღეს?.. როგორ არ შემიძლია?!. ახლა?.. ახლა ლანასთან ვარ... გუშინ რომ გოგო გაგაცანი, იმასთან... კარგი, ნახევარ საათში დაბლა ჩამოვალ და კორპუსის წინ დაგელოდები...

— შენც კარგი ვინმე ხარ... — როგორც კი თინიკო ლაშას დაემშვიდობა, მაშინვე ეცა მას ლანა. — კორპუსის წინ რომ არ დადგე „გამოჭერაზე“, გეთხოვა და ბარემ აქ ამოგაკითხავდა.

— რა ვიცი, აბა... — მხრები აიჩეჩა სახეალანძულმა თინიკომ. — უცბად ვეღარ მოვტვინე.

— უცბად კი არა, რაც ეს ლაშა გამოჩნდა, მგონი, საერთოდაც აღარ ატანტვინს ძალას...

— ყველამ თავის ტვინს მოუაროს! — ხმაში გაღიზიანება დაეტყო თინიკოს.

— მოიცა, მოიცა! — ეშმაკურად ახედ-დახედა მას ლანამ. — ასე რატომ გაწითლდი?

— გავწითლდი არა, კიდევ ის... — მეგობარს თვალი ვეღარ გაუსწორა თინიკომ.

— ყურებიც კი წითელი გაქვს, — თავისას არ იშლიდა ლანა. — არ მითხრა ახლა, ის ბიჭი ისევ შემიყვარდაო...

— ნუ სულელობ, რა!.. ნეტავ, როდის მიყვარდა?

— ახლა?..

— ჯერ არ ვიცი, — აპარატი ისევ გულმოდგინედ დააბინავა თინიკომ და მაშინვე ფეხზე წამოდგა.

— სად გარბიხარ? — გაუკვირდა ლანას. — ლაშამ ხომ გასაგებად გითხრა, ნახევარ საათში გამოგივლიო.

— ჰო, მაგრამ... — ისევ ყურებამდე გაწითლდა თინიკო.

— არავითარი „მაგრამ“! — სკამზე თითქმის ძალით დასვა ის ლანამ. — ნახევარ საათს, კიდევ ათ წუთს დაუმატებ და დაბლა მერეღა ჩახვალ, გასაგებია?

— არაფერიც არ არის გასაგები! — იფეთქა თინიკომ. — არ მესმის, ადამიანს მთელი ათი წუთი რატომ უნდა ვაცდევინო! მართლა შეყვარებულთან პაემანზე ხომ არ ჩავდივარ!..

— ისე, შენც მართალი ხარ, — დაეთანხმა ლანა. — ცოლშვილიან კაცთან რომანის გაბმა დიდად სარისკო საქმეა.

— ეგ დასკვნა საკუთარი მწარე გამოცდილების საფუძველზე ხომ არ გამოიტანე?.. — კბენაზე კბენითვე უპასუხა თინიკომ.

— თუნდაც... — წარბიც არ შეუხრია ლანას. — თანაც, თუ არ გახსოვს, შეგახსენებ, რომ ჩემს შემთხვევაში, „საქმეში“ მხოლოდ შვილი ფიგურირებს...

— აი, ლაშას კი არც ცოლი ჰყავს და არც შვილი! — ამაყად გამოუცხადა მას თინიკომ.

— როგორ?.. — გაუკვირდა ლანას. — აბა, ის ამერიკელი ქალი და ბავშვი ვინღაა?

— ის ამერიკელი ქალი, — აზრის დასრულება აღარ აცალა ლანას თინიკომ, — ლაშას გელფრენდი იყო, ბავშვი კი — გელფრენდის შვილი, რომლის გაკეთება-გაჩენაშიც ლაშას საერთოდ არანაირი მონაწილეობა არ მიუღია.

— ეს ყველაფერი როდისღა გაიგე?

— წუხელ. შენ რომ დაგშორდით, ლაშამ მერეღა მიამბო.

— რა კარგია! — სიხარულით კინაღამ ტაში შემოჰკრა ლანამ, მაგრამ მალევე მოიღუშა: — და ამ ყველაფერს მიმალავდი?!

— გიმალავდი კი არა, კიდევ ის... — დამნაშავე ბავშვივით მოიბუზა თინიკო. — უბრალოდ, გივიმ და მისმა ნარკოტიკებმა ისეთ ინტერესში ჩამაგდო, რომ ლაშას ამბავი საერთოდ აღარ გამხსენებია.

— გაგიჟდი, გოგო?!. ბედი კარზე მოგდგომია და შენ კიდევ იდიოტ გივის და მის ნარკოტიკებს დასდევ?! გიგაურიც ჭირს წაუღია და მისი შავბნელი საქმეებიც! ჩაჰკიდეთ ხელი ერთმანეთს შენ და ლაშამ, წადით ამერიკაში და იცხოვრეთ ბედნიერად!..

— ვერ მოგართვი, ქალბატონო! — ბავშვივით დაეჭყანა მეგობარს თინიკო. — ეგრე ადვილად ვერ მომიშორებ! შენ გგონია, „ვფასობ“, როცა ვამბობ, თბილისის გარდა, ვერსად ვიცხოვრებ-მეთქი?

— მე არაფერიც არ მგონია, მაგრამ ლაშამ რომ ამერიკაში წაყოლა გთხოვოს?.. მართლა, ჯერ ცოლობა არ უთხოვია? — დაინტერესდა უცბად ლანა.

— ჯერ არა, მაგრამ რომც მთხოვოს, მაინც არსად წავალთ, რადგან

ლაშამ საქართველოში დაბრუნება უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა და დღე-დღეზე, სამსახურსაც დაიწყებს. ასე რომ, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ერთად ვიქნებით. ხოლო თუ ჭკუით მოიქცევი, შეიძლება, ჩემს მეჯვარეობასაც გამოჰკრა ხელი...

— იცი, რომ ჯერ არავის მეჯვარე არ ვყოფილვარ?.. — დანანებით წამოიძახა ლანამ.

— კარგი ერთი! — გაუკვირდა თინიკოს. — რატომ?

— რატომ და ადრე, სკოლა სულ ახალი დამთავრებული რომ მქონდა, ერთმა ჩემმა თანაკლასელმა გოგომ მთხოვა მეჯვარეობა და უარი ვუთხარი...

— გაგიუდი, გოგო?! — გააწყვეტინა თინიკომ. — მეჯვარედ წაყოლაზე უარის თქმა რომ არ შეიძლება, არ იცოდი?

— ვიცოდი, მაგრამ იმ გოგოსთან იმდენად არაფერი მაკავშირებდა, რომ მაინც უარი ვუთხარი და ეტყობა, ღმერთმა დამსაჯა.

— არა უშავს, მაშინდელ ცოდვას ახლა, ჩემი დახმარებით, გამოისყიდი... და საერთოდ, მე რომ არ გყავდე, რა გეშველებოდა?!. — მხიარულად გადაიკისკისა თინიკომ და ფეხზე მკვირცხლად წამოხტა. — ახლა კი, მართლა წავედი, თორემ, სანამ მე ფეხით დაბლა ჩავაღწევ, ლაშას შენი კორპუსის წინ ყურყუტი მოუწევს...

— რა გაეწყობა, — ფეხზე წამოდგა ლანაც, — უნდა გაგიშვა, თორემ ვატყობ, რომ ლაშას ზარის შემდეგ, შენი გონება სულ სხვაგან ქრის...

— მართლა... — კიდევ ერთხელ მიუბრუნდა კართან მისული თინიკო ლანას. — გივის ამბავი ლაშასთვისაც ხომ არ მომეყოლა?.. რაც არ უნდა იყოს, იურისტია და იქნებ, რამე სახეირო გვირჩიოს...

— არ გეწყინოს, მაგრამ... — სათქმელი აღარ დაასრულა ლანამ.

— რა არ უნდა მეწყინოს?.. მიდი, თქვი, ერთი, რას გულისხმობ? — ჩაეძია თინიკო.

— იმის კითხვა მინდოდა, ბოლომდე თუ ენდობი-მეთქი?.. — როგორც იქნა, ამოღერღა ლანამ.

— ვის, გოგო, ლაშას? — ხმას აუწია თინიკომ. — საკუთარ თავზე მეტადაც კი ვენდობი!.. თანაც, როგორც თავად ამიხსნა, ძაან მაგარ თანამდებობაზეც უნდა „მოჯდეს“...

— საინტერესოა, რა დამსახურებისთვის?

— ჯერ ერთი, მართლა კარგი და გამოცდილი ადვოკატია. მეორე და მთავარი კი, მაინც ისაა, რომ თურმე, „ზემოთ“, ლამის ყველა, მაგის ძმაკაცი და ახლობელი ყოფილა...

— ნუ, ახლა... თუ ასეა... — თავი ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოდ გადაქნია ლანამ.

— რა გიკვირს?.. ჩვენში როდის არ ჭრიდა დაქალძმაკაცობა?.. სასწაული რომ მოხდეს და რამე სერიოზულ თანამდებობაზე დაგვნიშნონ, ჩვენც ხომ იმას ვეცდებოდით, რომ გარშემო ერთგული ადამიანები ანუ ნათესავები და მეგობრები შემოგვეკრიბა...

— შენი არ ვიცი და პირადად მე, ნათესავებსა და მეგობრებს კი არა, საქმის მცოდნე, ჭკვიან ადამიანებს შემოვიკრებდი, — მაინც არ დაიხია უკან ლანამ.

— ჰოდა, ამიტომაც არა ხარ სერიოზულ თანამდებობაზე და არც მომავალში „გეჯღანება“ რამე მსგავსი... — საბოლოოდ გადაუწურა იმედი ლანას სადარბაზოში გასულმა თინიკომ.

მეორე დღეს, ლანას დილაადრიან გაეღვიძა. ლოგინში კარგა ხანს იტრიალა, მაგრამ ძილის შებრუნება მაინც ვეღარაფრით შეძლო.

„გუშინ, ყველამ ჩემთვის რომ მოიცალა, ბალიშს თავი ძლივს ავაგლიჯე. დღეს კი, როცა ხელს საერთოდ არავინ მიშლის, აბა, თუ დამეძინოს?!.“ — ლოგინიდან ბურტყუნით წამოდგა ლანა. მაგრამ ამ სიტყვების დასრულება და კარზე ზარის დარეკვა ერთი აღმოჩნდა. „მგონი, ისევ დაიწყო“... — გაიფიქრა მან, ხალათი შემოიცვა, ჰოლში გავიდა, საჭვრეტელში გაიხედა და თინიკო დაინახა.

ლანამ საკეტები ერთმანეთის მიყოლებით გადაატრიალა და კარი გამოაღო. თინიკო კარის ასე სწრაფად გაღებას არ ელოდა და ხმაურზე ზარის ღილაკთან ხელმეორედ მიტანილი ხელი ჰაერში გაუშეშდა:

— რა იყო, გოგო, კართან ხომ არ მდარაჯობდი? — ჰკითხა მან ლანას.

— ერთი ამას უყურე!.. — იწყინა ლანამ. — მეორე დილაა, ძილს მიფრთხობს და თან, ვალსაც აქეთ მადებს?!.

— ცხოვრება არც ისე ხანგრძლივია, საყვარელო, რომ მისი დიდი ნაწილი ძილში გაატარო! — ბოდიშის მოხდის ნაცვლად მეგობრის დამოძღვრა დაიწყო თინიკომ.

— დიდი ხანია, რაც ესოდენ ბრძნულ აზრზე ბრძანდები თუ გუშინდელი პაემნის შემდეგ გაგიცხოველდა ცხოვრების არსის შეგრძნება?.. — აღარც ლანა დარჩა მას ვალში.

— გუშინდელს შემდეგ რაც გამიცხოველდა, იმაზე სადარბაზოში ნამდვილად ვერ ვილაპარაკებ...

— მაშინ, სხვა რაღა გზა მაქვს — უნდა შემოგიშვა, — როგორც იქნა, განზე გადგა ლანა.

— დედაშენი სახლშია? — ჰოლში შესვლისთანავე, ქურდულად მიმოიხედა თინიკომ.

— შენ რა, დედაჩემი მართლა ბუა ხომ არ გგონია? — გაღიზიანდა ლანა. — შეგიძლია დამშვიდდე: ჯერ არ მოსულა, — დაუმატა მან შემდეგ.

— კარგი, ჰო, ნუ აიფხორე! — უკან მაინც არ დაიხია თინიკომ. — უბრალოდ, დედაშენის ძალიან მერიდება: რას იფიქრებს, ეს გოგო რას შემოგვეჩვიაო?!.

— ისე, ეგ კითხვა მეც გამიჩნდა. საინტერესოა, ახლა რაღა მოხდა, რომ ისევ დილაადრიან გამომეცხადე?

— ყავა დამალევინე და გეტყვი!

— მაშინ, სამზარეულოში წამობრძანდი...

სამზარეულოს სკამზე შინაურულად მოკალათებულმა თინიკომ ყავის რამდენიმე ყლუპი მოსვა და ლანას სხივჩამდგარი თვალები შეანათა.

— ისეთი გაცისკროვნებული სახე გაქვს, თითქოს მილიონი მოგეგოს ანდა სულაც, ქუჩაში გეპოვოს, — წაჰკბინა ლანამ მეგობარს.

— ღმერთმა დასწყევლოს, რაც ქვეყანაზე მილიონებია! რად მინდა, რა თავში ვიხლი?!. — ხმაში პათეტიკა გამოურია თინიკომ.

— მაშ, რას იხლი თავში?

— თავში — არაფერს, გულში კი — დიდ სიყვარულსა და სიხარულს!

— კარგი ერთი!.. — გაუკვირდა ლანას. — საამისო კი, მოხდა რამე?

— აბა, რა! გუშინ ლაშამ ცოლობა მთხოვა! — საზეიმოდ გამოუცხადა მეგობარს თინიკომ.

— მართლა?! — სახე გაუნათდა ლანას და მაშინვე თინიკოს გადაეხვია: — გილოცავ! ძალიან, ძალიან მიხარია!

— მეც, — უმალ დაეთანხმა თინიკო. — იცი, რომ წუხელ, წვეთი არ მძინებია?.. რაზე აღარ ვიფიქრე.

— ვიცი, მე შენი ფიქრები! უკვე ყველაფერი დაგეგმილ-დახარისხებული გექნება!..

— აბა, რა! — კმაყოფილი სახით დაეთანხმა თინიკო. — შენ წარმოიდგინე, ისიც ზუსტად ვიცი, როგორი საქორწინო კაბა მეცმევა და უკვე ლაშასაც შევუთანხმე.

— კიდევ რა შეუთანხმე ლაშას?.. — ჩაეძია ლანა.

— კიდევ რაც შევუთანხმე, ეს უკვე მარტო ჩემი და ლაშას საქმეა, ძვირფასო! — სკამის საზურგეზე არხეინად გადაწვა თინიკო.

— ელაპარაკე ახლა ამას! — შუბლი შეიკრა ლანამ. — მე გივის ამბავს ვგულისხმობ. გუშინ თავად არ იკლავდი თავს — ლაშას აზრს ვკითხავო?

— ა-ა, მაგას გულისხმობ?.. — როგორც იქნა, მიუხვდა მეგობარს თინიკო. — ვკითხე, მაგრამ იმანაც შენსავით მოცდა მირჩია.

— აი, ხომ ხედავ, გამოცდილი იურისტიც კი ჩემს აზრზეა. მობილურით გადაღებულ კადრებზე რაღა გითხრა?.. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მტკიცებულებად გამოდგება თუ არაო?

— რა არის, იცი, ჩემო კარგო?.. — თვალები ეშმაკურად მოწკურა თინიკომ. — ლაშასთან მობილურის ამბავი საერთოდ არ მიხსენებია.

— როგორ?!. — გაუკვირდა ლანას. — აკი, ლაშას საკუთარ თავზე მეტად

ვენდობიო?.. ყოველ შემთხვევაში, გუშინ სწორედ ასე მითხარი.

— კი, ნამდვილად ასე გითხარი. მაგრამ, ის ხომ არ მითქვამს, საკუთარი თავივით ვენდობი-მეთქი!.. — სიცილი წასკდა თინიკოს.

— ბრალი იმის, ვინც ბოლომდე არ გიცნობს! — თავი უკმაყოფილოდ გადაიქნია შეფიქრიანებულმა ლანამ. — როგორც ჩანს, გივის ამბავი ბოლომდე არც ჩემთვის გითქვამს. მეც რაღაც დამიმალე, ხომ?..

— სწორად მიმიხვდი — შენც დაგიმალე!..

— ხუმრობ თუ მართლა?

— რა მეხუმრება?! განა, შენი საყვარელი სიტყვები არ არის — „ხეზე ასვლა“ არავის უნდა ასწავლოო?.. ჰოდა, მეც, შენ და ლაშა „ხესთან“ კი მიგიყვანეთ, მაგრამ „ასვლაზე“ — ბოდიში!.. სხვათა შორის, მე შენთვის არც ის მითქვამს, გუშინ ლევანს რაზე ველაპარაკე.

— მაგას უშენოდაც მივხვდი: ჩემზე...

— არა მარტო შენზე, გივიზეც... ლევანს ძალიან არ მოსწონს, გიგაურთან რომ მუშაობ, მაგრამ ჯერ თავს უფლებას ვერ ვაძლევ, სამსახურის მიტოვება მოვთხოვოო...

— კიდევ კარგი, თავადვე ხვდება, ამის მოთხოვნის უფლება რომ არა აქვს.

— სხვათა შორის, არც ლაშას აწყობს გივისთან ჩემი მუშაობა.

— მაშინ, ისღა დაგვრჩენია, განცხადებები დავწეროთ, სახლებში დავსხდეთ და ვნახოთ, ეს ვაჟბატონები რით და როგორ გვარჩენენ...

— რა-რა, და ჩვენი რჩენა არც ერთს გაუჭირდება და არც მეორეს, მაგრამ მე გივისგან ასე მარტივად მაინც ვერ წამოვალ... — უხალისოდ ჩაილაპარაკა თინიკომ.

— რატომ? ვეღარ ელევი?.. — გაჰკენწლა ლანამ.

— შენ ხუმრობ და იცი, რომ გივის ჩემი ოჯახის ვალი აქვს?

— საიდან უნდა ვიცოდე?.. არ მითხრა ახლა, გიგაური ჩვენი ოჯახის ახლობელიაო.

— გივი — არა, მაგრამ გივის ცოლი და დედაჩემი ახალგაზრდობაში მართლა „გადაბმული“ დაქალები იყვნენ...

— მერე?

— მერე, ჯერ დედაჩემი გათხოვდა, შემდეგ თინა დეიდა გადაეყარა გივის და ჩვენი ოჯახების გზებიც მალევე გაიყო... არადა, მანამდე, დედაჩემმა სახელიც კი, თინა დეიდას სიყვარულით დამარქვა... წლები ისე გავიდა, რომ მათი ამბავი საერთოდ აღარ გაგვიგია. ამ წელიწად-ნახევრის წინ კი, დედაჩემს თინა დეიდა შემთხვევით შეხვდა ქუჩაში, საშინლად გამხდარი, გაუბედურებული და ჩამოძონძილი ყოფილა: გივიმ რაღაც ბიზნესი წამოიწყო, არ გაუმართლა, რაც მებადა, ყველაფერი გავყიდე, ციხიდან როგორმე რომ გამომეხსნა და ახლა, მშიერ-მწყურვალები ვყრივართოო... დედას თინა დეიდა იმდენად შეეცოდა, რომ მამაჩემს შეუჩნდა — იქნებ, რამით დავეხმაროთო. იმხანად, მამაჩემმა მშობლების დანატოვარი სახლი გაყიდა სოლოლაკში და აღებული ფულის, რაიმე ბიზნესში ჩადებას აპირებდა. აქეთ დედაჩემი შეუჩნდა, იქით — გივი: ერთობლივი ფარმაცევტული ფირმა გავხსნათო და...

— კარგი, რა, აღარ გააგრძელო! — გაღიზიანდა ლანა. — შენმა მშობლებმა გივის ფული როგორ ანდვეს?

— ანდვეს და რა ვქნა?! — ამოიოხრა თინიკომ. — მერე, მამაჩემს მოულოდნელად, ინფარქტმა დაარტყა და სანამ მთელი ოჯახი ვადექით თავზე, გივიმ ფირმა საკუთარ სახელზე გაიფორმა და თავიც დაგვიკრა...

— აბა, რას იზამდა?!

— მაგრამ არაკაცობა ბოლომდე მაინც არ შერჩა: საქმეში ბიძაჩემი ჩაერია და გივიმაც თითი მოკაკვა...

— ბიძაშენი პოლიციელია?

— არა, კანონიერი ქურდი... მოსკოვში ცხოვრობს... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ბიძაჩემის დავალებით, აქაურმა ქურდებმა გივი „სტანოკზე“ შეაგდეს და იმანაც ფულის ნახევარი მაშინვე დააბრუნა. დანარჩენს კი, ნაწილ-ნაწილ დაგიბრუნებთო, — შეგვპირდა. მართლაც, ყოველთვე, პატიოსნად მოჰქონდა ფული. ერთხელაც, რომ მოვიდა, სახლში მარტო მე დავხვდი. სად მუშაობ? — მკითხა. — ჯერჯერობით, არსად-მეთქი. — არ გინდა ჩემს ფირმაში დაგაწყებინო მუშაობა? საქმე ცოტა გექნება, ხელფასი — ნორმალური. — ჯერ ჩემებს ვკითხავ-მეთქი... არ ვიცი, ღამით ჩემმა მშობლებმა რაზე ილაპარაკეს, მაგრამ მეორე დილით, ჩემმა ძმამ გივის ფირმაში თვითონ მიმიყვანა. საღამოს შინ დაბრუნებულს კი, მამაჩემმა თვალი ძლივს გამისწორა: პირობას გაძლევ, როგორც კი ჩვენს ფულს ამოვიღებთ, გიგაურისგან მაშინვე წამოგიყვანთო...

— მეორე დღეა, ისეთ ამბებს მიყვები, რომ გაოცებისგან პირი ვეღარ მომიკუმია... — წამოიძახა უცბად ლანამ. — არ მიკვირდა, გივისთან რა აჩერებს-მეთქი?!

— ვერ ხედავ, რომ ვეღარ ვჩერდები?! იმიტომაც მინდოდა, ციხეში დროზე ჩაეყუდებინათ და ყველას დაგვესვენა, — ბოღმიანად ჩაილაპარაკა თინიკომ.

— კიდევ რამდენი აქვს თქვენთვის გადასახდელი?

— სამი ათასი დოლარი... ჩემმა ძმამ ერთი-ორჯერ კი მითხრა — თუ ძალიან მოგბეზრდა მაგ დამპალთან მუშაობა, ბიძაჩემს კიდევ ერთხელ შევაწუხებ და გივის მთელ ფულს ერთად მოვატანინებო, — მაგრამ მეშინია, ჩემ გამო, კაცები რაიმე შარში არ გაეხვიონ.

— მართალიც ხარ... ვერ ხედავ, კანონიერ ქურდებს როგორ პანტაპუნტით ყრიან ციხეში?!

— ჰო, მაგრამ ბიძაჩემს მოსკოვში რას მისწვდებიან?! ისე, აქ რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, გივი იმდენს იჩალიჩებდა, მარტო ბიძაჩემს კი არა, მამაჩემს და ჩემს ძმასაც ციხეში ამოაყოფინებდა თავს, მაგრამ მოსკოვი შორსაა... თანაც, შიშსაც დიდი თვალები აქვს... აი, ამიტომაც არ მიცილებს გვერდიდან ბატონი გივი...

— შენი ამბავი გასაგებია, მაგრამ ნეტავ, მე რატომ არ მაგდებს? — დაინტერესდა ლანა.

— ალბათ, ბებიაშენის ექიმბაშობის ხათრით... ხომ იცი, ბებიაშენის სახელი მაგისთვის შეიძლება, ის „ვივესკა“ გახდეს, რომლის მიღმაც, ნებისმიერ შავბნელ ბიზნესს უფრო ადვილად დაატრიალებს... მაგრამ, მოდი, რა, მოვეშვათ გიგაურზე ლაპარაკს. მეტი აღარ შემიძლია... თანაც, ლაშამ დამარწმუნა — მაგას პოლიცია უკვე ისედაც „კუდზე“ ეყოლება და დღეს თუ არა — ხვალ, უთქვენოდაც გასკვანჩავენო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ლადო გუდიაშვილი მზის დახატვას გაურბოდა...

თამუნა კვინიკაძე

ლადო გუდიაშვილის მშობლები მთიელები იყვნენ: მამა — დუშეთიდან, დედა — ფასანაურიდან. დავითს ელისაბედი ცხენით მოუტაცებია. ერთხანს, დუშეთში უცხოვრიათ, შემდეგ კი თბილისში გადმოსულან საცხოვრებლად და ბინაც ძველ უბანში, ჩუღურეთის მახლობლად, რიყის ქუჩაზე დაუდვიათ.

დავითის ოჯახი არ მონაწილეობდა ჩუღურეთის ბოჰემურ ცხოვრებაში. ისინი განცალკევებით ცხოვრობდნენ და მთელ თავისუფალ დროს, ორი ვაჟის — ვახტანგისა და ლადოს აღზრდას ანდომებდნენ. ოჯახში იღებდნენ ჟურნალ-გაზეთებს, ჰქონდათ მუსიკალური ინსტრუმენტები, მართავდნენ საოჯახო კონცერტებს. ბავშვობის წლების გახსენება ლადო გუდიაშვილს დადებით ემოციებს ჰგვრიდა. „ჩემმა ბავშვობამ, — იგონებდა მხატვარი, — ძველი თბილისის უბანში გაიარა. ეს იყო ძალზე ღარიბული, მაგრამ უაღრესად თავისებური, უაღრესად კოლორიტული უბანი“.

მხატვრობისადმი ინტერესს ბავშვობიდანვე ამჟღავნებდა. ხატავდა ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ამის დრო და შესაძლებლობა ჰქონდა: ქვაფენილზე, ფიცარზე, ქაღალდზე, კედელზე...

მიუხედავად ასეთი ინტერესისა, ელისაბედმა შვილის მუსიკოსად აღზრდა განიზრახა და კერძო მასწავლებელიც გამოუძებნა. მთელი წელიწადი სწავლობდა ლადო ვიოლინოზე დაკვრას, ჩასწვდა მუსიკის საიდუმლოებას, მაგრამ როგორც კი ვიოლინოზე დაკვრას დაიწყებდა, გულის არეში საშინელ სპაზმებს გრძნობდა. „კარის ექიმმაც“ არ დააყოვნა და „განაჩენი“ გამოუტანა — ვიოლინო სამუდამოდ განიდევნა ლადოს ოთახიდან.

იმ პერიოდში, გუდიაშვილების მეზობლად გერმანელი მხატვარი, ზომერი ცხოვრობდა. ის ხშირად დადიოდა დავითის ოჯახში. მასპინძელს გაესაუბრებოდა, ჭიქა ღვინოს გადაჰკრავდა და გამხიარულებული, ბრუნდებოდა საკუთარ ბინაში.

ერთ-ერთი ვიზიტის დროს, ელისაბედმა გერმანელ მხატვარს ლადოს ჩანახატები დაუწყო წინ. ზომერმა გამოცდილი თვალი შეავლო ნახატებს, ნორჩი მხატვრის ნამუშევრებში ინდივიდუალური ხელწერა და სიახლისადმი ლტოლვა აღმოაჩინა და აღფრთოვანებულმა, პათეტიკური ტონით წამოიძახა: — „ამ ბიჭუნასგან ნამდვილი მხატვარი, დიდი მხატვარი დადგება!“

ზომერის „ვერდიქტი“ ოჯახმა ურყევ ჭეშმარიტებად აღიქვა.

1910 წლის აგვისტოში, ლადო თბილისის სამხატვრო სასწავლებელში ჩაირიცხა. მან ეს სასწავლებელი წარმატებით, პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა, მაგრამ ფიქრობდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა სასწავლი, უნდა ეშრომა, რათა ნამდვილ, დიდ ხელოვნებას ზიარებოდა. გადაწყვიტა, დაოსტატების მიზნით, პარიზს სწვეოდა. ახალგაზრდა მხატვარმა ამ ჩანაფიქრის განხორციელება შეძლო — 1919 წელს, დავით კაკაბაძესთან ერთად, საფრანგეთს გაემგზავრა.

მათ თვე-ნახევარი იცხოვრეს რომში. ამ ხნის განმავლობაში, მოიარეს სახელგანთქმული მუზეუმები. რომიდან პარიზში მატარებლით გაემგზავრნენ. ყოველ გაჩერებაზე ჩადიოდნენ სადგურში, ათვალიერებდნენ ბუნებას. ლადო ღამითაც არ ღალატობდა ამ ჩვევას, მაგრამ ერთ-ერთი ასეთი ჩასვლა კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა — ვაგზლის მოედნის დათვალიერებით გატაცებული ლადოს თვალწინ ვაგონებმა გაირბინა... მან ძლივს მოასწრო ბოლო ვაგონის საფეხურზე შეხტომა, მაგრამ... ვაგონის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ბევრი აბრახუნა, მაგრამ ამაოდ — მომავალ სადგურამდე კიბეზე მგზავრობა მოუხდა. ცივი ღამე იყო, ორთქლმავლის ჭვარტლი სახესა და ხელებზე სქელ ფენად ედებოდა ლადოს... გამურული დაბრუნდა კუპეში. შეშინებულმა დავითმა ძლივს იცნო მეგობარი...

ლადო პარიზში ყოფნის პერიოდში, წუთსაც კი არ ჩერდებოდა უსაქმოდ. მონაწილეობდა პარიზულ სანახაობებში. ერთხელ მან საკარნავალო კოსტიუმი შეიკერა. თმა გადაიპარსა, თავზე თბილისიდან წაღებული წითელი ბაღდადი მოიხვია, განიერფარფლებიანი ქუდი დაიხურა და კოვბოების საზეიმო მსვლელობას შეუერთდა... ზეიმის შემდეგ, კაფე „როტონდაში“ შეიარა ყავის დასალევად. კაფეში მეგობარ მწერლებს შეხვდა, საუბარი გააბეს. გაცხარებულ საუბარში გართულს, არც კი უგრძნია, ხელზე ბორკილები როგორ დაადეს!.. მეგობრებმა საქმის ვითარება იკითხეს.

— ამერიკელი პოლიციელი ვარ, დიდი ხანია, ამ ყაჩაღს დავეძებ და ძლივს ვიპოვე, — თქვა უცნობმა, თან ჯიბიდან ლადოს ორეულის სურათი ამოიღო.

საქმეში ჩაერივნენ ამერიკელი მხატვრები, რომლებმაც დიდი გაჭირვებით დაარწმუნეს თანამემამულე, რომ მის წინ ყაჩაღი კი არა, ქართველი მხატვარი იდგა.

1920 წელს, „საშემოდგომო სალონში“ მოეწყო გუდიაშვილის ნამუშევრების გამოფენა. გამოფენამ წარმატებით ჩაიარა — ორი სურათი გამოფენის პირველსავე დღეებში გაიყიდა, ერთ-ერთი მათგანი — „კინტოების ქეიფი“ — ცნობილმა ესპანელმა მხატვარმა იგნასიო სულოაგამ შეიძინა. გამოფენის მდივანმა ლადოს სთხოვა, სურათი შეეფასებინა. სიხარულისგან მხატვარმა ცრემლის „ბურთი“ ძლივს გადაყლაპა და აკანკალებული ხმით მდივანს უთხრა: — „მუსიე, რას ბრძანებთ? მაესტრომ ჩემი სურათი მოიწონა და რომელ ფასზეა ლაპარაკი?! ყველა საჩუქრად მიმირთმევია, თუკი ჩემი სურათები მას სიამოვნებას ანიჭებს“...

მეორე დღეს, ესპანელი მხატვარი თავად ეწვია ლადოს სახელოსნოში. კარგა ხანს ათვალიერა სურათები, რამდენიმე აარჩია. — ამ ნახატებს თუ შეელევითო? — ჰკითხა. როდესაც მხატვრისგან თანხმობა მიიღო, გაიღიმა და ჯიბიდან ფრანკების ორი დასტა

ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი და გაგიანა კაკაბაძე

ტა ამოიღო და თქვა: „მარტოოდენ კარგი სიტყვებით რომ შეიძლებოდეს ცხოვრება, რაღა გვიჭირდა? მე ბევრი რამ გამომიცდია და ყველაფრის ფასი ვიცი. თქვენ ახლა ფული გჭირდებათ, აიღეთ და უკეთესი სურათები დაგვიხატეთ...“

მიუხედავად დიდი წარმატებებისა, ლადოსთვის პარიზში ყოფნა უკვე გაუსაძლისი ხდებოდა. მშობლიური მიწის ყივილი ძლიერი იყო. „საქართველოსკენ, რაც შეიძლება მალე!“ — აი, ერთადერთი ფიქრი, რომელიც სამშობლოს მოწყვეტილ მხატვარს ასულდგმულებდა.

ლადომ სამშობლოში დასაბრუნებლად

სამშობლოში დაბრუნებისთანავე მოწყობილ ვერნისაჟზე ლადომ ერთი მოხდენილი ქალიშვილი შენიშნა

თადარიგი ადრიანად დაიჭირა, ბარგი მოამზადა და მარსელში გაგზავნა, ბილეთიც წინასწარ შეუკვეთა. წამოსვლის წინ, პარიზში ნაცნობ-მეგობრებს აცრემლებული გამოემშვიდობა. სახელოსნოში დაბრუნებულს, კართან ნაცნობი მამაკაცი დახვდა — პარიზული გალერეის მეპატრონე როზენბერგი. ის ხელმოკლე, მაგრამ ნიჭიერი მხატვრებისგან ჩალის ფასად ყიდულობდა სურათებს, ჯერ საკუთარ გალერეაში გამოფენდა და შემდეგ — მამასისხლად ყიდდა...

ლადოსთან სტუმრად მოსული როზენბერგი არწმუნებდა: „თქვენ მიდიხართ სწორედ იმ დროს, როცა იწყება თქვენი აღიარება. თუ არ გადაიფიქრებთ, იცოდეთ, ეს იქნება დიდი შეცდომა... თუ გინდათ, რომ ამაღლდეთ, დარჩით“. ამ შეხვედრას ლადო მოგვიანებით ასე იხსენებდა: „მე ავღელდი. ამ სიტყვებს მეუბნებოდა კაცი, რომელმაც თავის დროზე მეცენატობა გაუწია პიკასოს, დერენს, მატისს, მან გაუხსნა გზა ბევრ მხატვარს“.

მაგრამ გუდიაშვილის გადაწყვეტილება მტკიცე იყო. ჩაჯდა ფრანგულ გემში და საქართველოსკენ გამოცურა. საათობით იდგა გემბანზე და ელოდებოდა ქართული მიწის გამოჩენას...

„მახსოვს, — იგონებდა ლადო, — როგორი სიხარული ვიგრძენი, როცა საქართველოს სანაპირო დავინახე. მზით განათებული შემომხვდა აჭარის მწვანე მთები... ხუთი წლის წინ მასთან განშორების სევდა და ტკივილი ახლა ისეთი სიხარულით მეცვლებოდა, რომ სუნთქვა შემეკრა... ალბათ ამქვეყნად არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე სამშობლოში დაბრუნებისა. წარმოუდგენელი განცდა დამეუფლა, როცა მშობლიურ მიწაზე დავადგი ფეხი“.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე მოწყობილ ვერნისაჟზე ლადომ ერთი მოხდენილი ქალიშვილი შენიშნა, რომელმაც მისი ყურადღება მიიქცია. შემდგომში, ის თითქმის ყოველდღე მოდიოდა გამოფენაზე და საათობით შესცქეროდა ტილოებს. წასვლისას უეჭველად მივიდოდა ლადოსთან და თავაზიანად გამოეთხოვებოდა... ხშირმა შეხვედრამ მხატვარსა და ქალიშვილს შორის მეგობრობის იდუმალი ძაფი გააბა.



ნიკო ფიროსმანი
და ანრი რუსო

გოგონა, ნინო მგელაძე აღმოჩნდა. ის რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდიაში სწავლობდა. გამოფენამ მტკიცედ დაამეგობრა 30 წლის ლადო და 16 წლის ქალიშვილი. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ერთხელ, ლადომ შესთავაზა — თუ მეწვევით სახელოსნოში, თქვენს პორტრეტს დავხატავო. მართლაც, 1930 წლის თებერვალში, პაემანი შედგა. ქალიშვილი ლადოს ეწვია. ერთ თვესაც არ გაევლო იმ სტუმრობიდან, ლადომ მეგობრული ვახშამი გამართა და შინ მიიწვია: მიხეილ ჭიაურელი, ვერიკო ანჯაფარიძე, ნატო ვაჩნაძე, ნიკოლოზ შენგელაია, ტიციანი, პაოლო და სხვები. სტუმართა შორის, ნინოც იყო. სუფრას ნიკოლოზ შენგელაია თამადობდა. ნიკოლოზმა პირველი სასმისით ლადო და ნინო ერთად ადღეგრძელა, ბედნიერი ცხოვრება უსურვა. ნინომ დაირცხვინა, იუხერხულა, მე რა შუაში ვარო?! — იკითხა.

— ასეთი შეკვეთა მაქვს მასპინძლისგან, — უპასუხა თამადამ. სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე, ლადოსა და ნინოსკენ გააპარეს თვალი. მათ წინ ორი ერთნაირი ფინჯანი იდო. ყველა მიხვდა ლადოს ჩანაფიქრს...

ახალშეუღლებულებმა გადაწყვიტეს, შვებულება გაგრაში გაეტარებინათ. ჯერ ბათუმს ეწვივნენ, იქიდან კი, გემით გაგრისკენ აიღეს გეზი. მაგრამ საქორწინო მოგზაურობის პირველი დღე უიღბლო აღმოჩნდა: როგორც კი გაგრაში ჩავიდნენ, ლადომ რატომღაც ჯიბეზე მოისვა ხელი და... „ჯიბის ოსტატებს“ უკანასკნელი მანეთიც წაეღოთ... ის ღამე ზღვის ნაპირზე გაათენეს. კიდევ კარგი, რომ გაგრაში ვერიკო ანჯაფარიძე და ბესო ჟღენტი ისვენებდნენ — მეგობრებმა გაჭირვებისგან იხსნეს ცოლ-ქმარი.

ქორწინების შემდეგ, ნინო ლადო გუდიაშვილის შემოქმედების პირველი კრიტიკოსი გახდა — როგორც კი სურათი დაიბადებოდა, პირველი, ვისაც უფლება ჰქონდა, ენახა იგი და გამოეთქვა აზრი, ნინო გუდიაშვილი გახლდათ.

...ომი ახალი დამთავრებული იყო, ლადო ახალგაზრდა მხატვრებთან ერთად, ბიჭვინთას ეწვია. საღამო ხანი იყო, ეკლესიის შესასვლელთან ლადო ახალგაზრდა მეგობარს ესაუბრებოდა. მათ უცნობი წყვილი მიუახლოვდა. მისალმების შემდეგ, ფრანგ ცოლ-ქმარს ლადომ ეკლესია დაათვალიერებინა.

მოდელიანი კაფე „როტონდაში“

გაკვირვებული ფრანგები აღტაცებას ვერ ფარავდნენ... გამოთხოვებისას, მამაკაცმა ლადოს ჰკითხა: „საფრანგეთში ერთი ქართველი მხატვარი ცხოვრობდა, გვარად გუდიაშვილი. კარგი მხატვარი ყოფილა. მისი ტილოები მინახავს კერძო კოლექციებში. ცოცხალი აღარ არისო, — მითხრეს და ხომ არ გაგიგიათ, რით დაიღუპა?“ ლადომ უცხოელს გაუღიმა და უთხრა — განა, ყველა ნათქვამი დაიჯერება?! ის მხატვარი — გუდიაშვილი მე გახლავართო...

ხელოვანს მიაჩნდა, რომ ყველაზე მეტი რამ მონუმენტური ფრესკული მხატვრობიდან ისწავლა. ჰქონდა უნარი ცხოვრების საიდუმლოების გახსნისა და ტილოზე გადმოცემისა. დასვენების დროს, შრომა ენატრებოდა. თოვლი არასოდეს დაუხატავს, რადგან ცივია... მზის დახატვასაც გაურბოდა, რადგან, მიაჩნდა, რომ მზე თვითონ ნახატში უნდა იგრძნობოდეს... მართლაც, მხატვრის ტილოებზე მოციმციმე მზის სხივები, წლის ნებისმიერ დროს ათბობს ადამიანებს... ■

ვინ იყო წმინდა ბასილი დიდი

14 იანვარს, მართლმადიდებელი ეკლესია კესარია-კაპადოკიის მღვდელმთავარს — წმინდა ბასილი დიდს იხსენიებს, რომელიც, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველთან და წმინდა იოანე ოქროპირთან ერთად, მსოფლიო ეკლესიის უდიდეს მასწავლებლად ითვლება. სწორედ წმინდა ბასილი დიდის სახელთანაა დაკავშირებული საღმრთო ლიტურგიის (წირვის) ერთ-ერთი სახე, რომელიც ბასილი დიდის ლიტურგიის სახელწოდებითაა ცნობილი და წელიწადში 10-ჯერ აღესრულება.

მორენა მერკვილაძე

წმინდა ბასილი საქართველოში ძველთაგანვე უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა. სწორედ ბასილი დიდისადმი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად უწოდებდნენ ჩვენი წინაპრები ჩიჩილაკს მოფერებით „ბასილის წვერებს“, რომელსაც საგანგებოდ ამზადებდნენ ახალი წლისთვის, თხილის ხისგან. აცხობდნენ კაცის მოყვანილობის კვერებს — „ბასილის კვერებს“, წმინდა ბასილი დიდს კი, წლის ბედნიერად წარმართვას შესთხოვდნენ.

ვინ იყო წმინდა ბასილი დიდი?

მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთივსულიერი მოძღვარი, ბასილი დიდი დაიბადა დახლოებით 330 წელს, კაპადოკიის ქალაქ კესარიაში. იგი პატიოსანი, მართლმორწმუნე მშობლების შვილი იყო, რომლებიც სიმდიდრით, კეთილშობილებითა და საღმრთო მოშურნეობით იყვნენ ცნობილნი. დედამისი — ემილია, ქრისტეს სჯულისთვის მოწამის შვილიშვილი იყო, მამა კი — ბასილი-უფროსი, ნეოკესარიელი ადვოკატი და რიტორიკის ცნობილი მასწავლებელი.

წმინდა ბასილმა სიყრმე მამაპაპისეულ მამულში გაატარა. პირველდაწყებითი განათლება მამის ხელმძღვანელობით მიიღო, შემდეგ კი კაპადოკიის კესარიაში საუკეთესო მასწავლებელთან განაგრძო სწავლა. კესარიიდან კონსტანტინოპოლში წავიდა და რიტორიკის სწავლას მიჰყო ხელი, შემდეგ კი ათენში ჩავიდა, ფილოსოფიის შესასწავლად, სადაც გრიგოლ ღვთისმეტყველს დაუმეგობრდა. 357 წელს, ბასილი დიდი კვლავ მშობლიურ კესარიაში დაბრუნდა და რიტორიკის მასწავლებელი და ცნობილი ადვოკატი გახდა. ამ დროს ბასილი 25 წლის იყო.

ბასილს მალე, მამა გარდაეცვალა, დედამ კი, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მიატოვა კესარია და თავის საგვარეულო მამულში — მდინარე ირისის ნაპირას, რამდენიმე ქალწულთან ერთად განმარტოვდა, რათა ასკეტური ღვაწლი ეტვირთა. ბასილი ქრისტიანულად მოინათლა და მალე, კესარიის ეპისკოპოსის, დიანის კურთხევით, მედავითნედ იქნა დადგენილი.

ის მონაზვნური ცხოვრების წესით დაინტერესდა და ბერმონაზვნური ცხოვრების გასაცნობად, ეგვიპტეში, სირიასა და პალესტინაში იმოგზაურა, სადაც ღვაწლმოსილი



წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი
წმ. ბასილი დიდი
წმ. იოანე ოქროპირი

მოსაგრეები მოინახულა. კაპადოკიაში დაბრუნების შემდეგ, წმინდა ბასილმა მთელი თავისი ქონება მოწყალებად გასცა. თვითონ კი სამოღვაწეოდ, მდინარე ირისის ნაპირზე დაემკვიდრა (დედის — ემილიას საცხოვრისის მოპირდაპირე მხარეს) და ძმათა საცხოვრისი დააარსა. იქვე მიიწვია ათენიდან გრიგოლ ღვთისმეტყველიც.

ამქვეყნიურ ცხოვრებას განრიდებული წმინდა მამები ძირითად დროს „წმინდა წერილის“ შესწავლას და მისი განმარტებების გაცნობას უთმობდნენ. ამავდროულად, მძიმე ფიზიკურ შრომას ეწეოდნენ და უსაზღვრო თავშეკავებით გამოირჩეოდნენ: სენაკებში ცეცხლს არ ანთებდნენ და საზრდელიც ძალზე მწირი ჰქონდათ.

ბასილთან მრავალი კაპადოკიელი და პონტოელი ქრისტიანი მიდიოდა სამოღვაწეოდ. ამიტომ, მან დედათა და მამათა მონასტერი დააარსა, რომლებიც მისივე შედგენილი ტიპიკონით (წეს-განგებით) ხელმძღვანელობდნენ.

იმპერატორ კონსტანტინეს მეფობის ჟამს (337-361), გავრცელდა არიოზის ცრუსწავლება. ეკლესიის სიწმინდის დასაცავად, ბასილის სამსახურიც გახდა საჭირო, ამიტომ წმინდა მამა კესარიაში დაბრუნდა. მალე ის მღვდლად აკურთხეს და ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა, რამაც ევსები კესარიელი (რომელმაც მღვდელად აკურთხა ბასილი) შურით აღავსო და შევიწროება დაუწყო. მის დასაცავად, ბერები გამოვიდნენ, მაგრამ საეკლესიო განხეთქილების თავიდან ასაცილებლად, ღირსი მამა კვლავ უდაბნოში დაბრუნდა და იქ განაგრძო მოღვაწეობა. თუმცა მალე, კვლავ კესარიაში მოუხდა დაბრუნება, რადგან არიანელი იმპერატორის — ვალენტის ტახტზე ასვლის შემდეგ (364 წ), მართლმადიდებლები სასტიკად იდევნებოდნენ.

ღირსი მამა დაუღალავად იბრძოდა მართლმადიდებლური სარწმუნოების დასაცავად. მალე ევსები კესარიელი გარდაიცვალა და კესარია-კაპადოკიის მღვდელმთავრად ბასილი დიდი დაადგინეს. იგი დაუცხრომლად მოღვაწეობდა, რამაც მის მიმართ არიანელთა სიძულვილი კიდევ უფრო გააძლიერა. იმპერატორმა ვალენტმა, ბასილისთან პრეფექტი მოდესტი გაგზავნა და ნეტარ მამას ქონების ჩამორთმევით, წამებითა და სიკვდილით დაემუქრა. მაგრამ ღირსი მამა მუქარას არ შეუშინდა — მან იმპერატორს პრეფექტის პირით შეუთვალა, რომ უფლისთვის სიკვდილი მისთვის წყალობა იქნებოდა, რადგან ამ გზით, ღმერთთან დაემკვიდრებოდა, რისკენაც ისწრაფოდა.

ნეტარი მამის სიმტკიცემ და შეურყეველმა რწმენამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმპერატორზე და მან, უარით გაისტუმრა არიანელები, რომლებიც ეპისკოპოსის გადასახლებას მოითხოვდნენ.

წმინდა ბასილი ყოველთვის მკაცრად ადევნებდა თვალყურს საეკლესიო კანონების დაცვას. მისი მღვდელმთავრობის პერიოდში სამღვდელოებაში უღირსი ვერ გაერეოდა. მისი მიბაძვით, სამღვდელოების წარმომადგენლებიც კეთილმსახური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. წმინდა ბასილი მთელ თავის სახსრებს და ეკლესიის შემოსავალს ღარიბ-ღატაკებს ახმარდა.

წმინდა მამას მრავალი სნეულება აწუხებდა, რასაც მკაცრი და თავშეკავებული ცხოვრება, სამწყსოზე ზრუნვა და მოწინააღმდეგეებთან განუწყვეტელი ბრძოლაც ემატებოდა, ამ ყველაფერმა ბასილი დიდს სასიცოცხლო ძალები გამოაცალა და 49 წლის ასაკში აღესრულა. ეს მოხდა 379 წლის პირველ იანვარს (ძველი სტილით), ამიტომაც არის დაწესებული წმინდა მღვდელმთავრის ხსენება ამ დღეს.

წმინდა ბასილი დიდი მრავალი ქადაგების ავტორია. მანვე შეადგინა საღმრთო ლიტურგიის ტიპიკონი, აგრეთვე საუბრები „ექუსთა დღეთათვის“; ისაიას წინასწარმეტყველების 16 თავის და „ფსალმუნთა“ განმარტებები; მონაზვნური ცხოვრების წესების კრებული — „ასკეტიკონი“ და სხვა.

■

როგორ დაასრულა დავით ციმაკურიძემ მარცხით დაწყებული ოლიმპიადა ოქროს მედლით

მოჭიდავე, რომელიც სმაში ტოლს არ უდებდა ცნობილ თამადებს

საქართველოს ბევრი გამოჩენილი მოჭიდავე ჰყოლია, რომელთა შორის, დავით ციმაკურიძე უდავოდ ერთ-ერთი გამორჩეულია. ამის დასტურად ის ფაქტი გამოდგება, რომ ბატონი დავითი პირველი ქართველი გახლდათ, ვინც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და თავისუფალი სტილით მოჭიდავე საბჭოთა სპორტსმენებს შორისაც პირველმა მოიგო ოლიმპიური ოქრო. გარდა ამისა, ციმაკურიძე ზედიზედ შვიდჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ასეთი შედეგისთვის კი, „თავისუფლებს" შორის არც ერთ ქართველს არ მიუღწევია. მის ნიჭს საქართველოს ფარგლებს გარეთაც რომ აფასებენ, ამას ციმაკურიძისთვის დაღესტნის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებაც მოწმობს. აქვე გეტყვით, რომ ოლიმპიური ჩემპიონის მამაც მოჭიდავე იყო, რომლის თაობაზე ბატონმა დავითმა ჩვენი საუბრის დასაწყისშივე მოგვითხრო.

გიორგი ლანჩავა

მიშიკო მაჩაბელი

— მამაჩემი — მიხეილ ციმაკურიძე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, როდესაც კოლია ქვარიანმა ჭიდაობაში ჩააბა. მაშინ, რიონისპირა ქალაქის ცირკში ხშირად ტარდებოდა შეჯიბრება სპორტის ამ სახეობაში და ერთხელ, ბატონმა კოლიამ არენაზე მამაჩემიც გამოიყვანა. ბაბუაჩემს ვიღაცამ ამბავი მიუტანა, რომ მისი შვილი გიმნაზიაში კი არ დადიოდა, არამედ ცირკში ჭიდაობდა. მან არ დაიზარა და ობჩიდან, რომელიც ქუთაისიდან 18 კილომეტრითაა დაშორებული, სიმართლის დასადგენად, ცხენით ჩავიდა. ადგილზე მისულმა, მართლაც, დაინახა, რომ მისი შვილი ერთ-ერთ ათლეტს ეჭიდავებოდა. მამაჩემი ასპარეზობას რომ მორჩა, ბაბუამ ის არენის კიდესთან მიიხმო, სილა გააწნა და ყურიც აუწია. თან დაამატა: ჭიდაობას გიკრძალავ, აღარ გაბედო ციმაკურიძეების გვარის შერცხვენაო!.. იმ დროს, ცირკში ქუთაისის გუბერნატორი იმყოფებოდა, გვარად მაჩაბელი, რომელიც ამ სცენას შეესწრო და დაინტერესდა, რაში იყო საქმე. როდესაც მამამ შექმნილი ვითარება აუხსნა, გუბერნატორმა უთხრა: მანამდე, ვიდრე მამაშენი დაინახავს, რომ ნამდვილი მოჭიდავე ხარ და შენი გვარით ასპარეზობის ნებას დაგრთავს, შეგიძლია, ფსევდონიმად ჩემი გვარი აიღო. იქიდან მოყოლებული, მამაჩემი მიშიკო მაჩაბლის ფსევდონიმით გადიოდა არენაზე და კარიერა ისე დაასრულა, რომ ბევრმა არც იცოდა, მისი ნამდვილი გვარი ციმაკურიძე თუ გახლდათ. რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ კოლია ქვარიანს — ის, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, სადაც ასევე აგრძელებდა ჭიდაობას და ვინაიდან გამორჩეული ღონის პატრონი იყო, რამდენიმე ფილმშიც გადაიღეს. სამწუხაროდ, საკმაოდ ხანში შესულ ქვარიანს ქუჩაში რამდენიმე ახალგაზრდასთან ჩხუბი მოუხდა და ის ამ ჩხუბს შეეწირა.

ბავშვობიდან მეტსახელად ამურის მეძახიან. სწორედ ჩემს პატივსაცემად ჰქვია ერთ-ერთ საჭიდაო ილეთს „ამურის ტრიალი"

ტანვარჯიშისთვის დამძიმებული

— სანამ ჭიდაობაში ვარჯიშს, დავიწყებდი, ტანვარჯიშს მივდევდი და პირველთანრიგოსნის ნორმატივიც შევასრულე. სპორტის ოსტატის წოდების მიღებისთვის ვემზადებოდი, მაგრამ ასაკთან ერთად, წონაც მომემატა, 70 კილოგრამს მივაღწიე, რაც ვარჯიშში ხელს მიშლიდა. ერთხელ, ტრიალს რომ ვასრულებდი, ღერძიდან ჩამოვვარდი. საბედნიეროდ, არ დავშავებულვარ. გარკვეული დროის შემდეგ, იგივე გამეორდა და ჩემმა მწვრთნელმა, არჩილ ბაქრაძემ მითხრა: დავით, ხომ ხედავ, წონაში იმატებ და ეს მხოლოდ დასაწყისია. ჯობს, მამაშენის გზას გაჰყვე და ჭიდაობას მოჰკიდო ხელი. ნახავ, რა არის მაყურებელი, თაყვანისმცემელი ბევრი გეყოლება. რაც შეეხება ტანვარჯიშს, საქართველოში იგი ნაკლებად პოპულარულიაო. 15 წლის ვიყავი, როდესაც პირველად მივედი საჭიდაო დარბაზში და მწვრთნელ პეტრე იორდანიშვილთან შევუდექი ვარჯიშს. ტანვარჯიშთან განშორება მაინც მიჭირდა და ხანდახან შევირბენდი ხოლმე არჩილ ბაქრაძესთთან, რომელსაც ვეტყოდი: ჭიდაობის მწვრთნელი ავად გახდა და ცოტას წავივარჯიშებმეთქი. მართალია, მას ერთი საათის წინ ნანახი ჰყავდა სრულიად ჯანმრთელი იორდანიშვილი, მაგრამ ჩემს ტყუილზე თვალს ხუჭავდა და ვარჯიშის ნებას მრთავდა. რაც შეეხება ბატონ პეტრეს — ის ჭიდაობაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ პო-

ლიტექნიკური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, ინჟინრობას, მწვრთნელობა არჩია და საქართველოში ჭაბუკ მოჭიდავეთა პირველ სექციას ჩაუდგა სათავეში. ის მეცადინეობას ისე წარმართავდა, რომ წვრთნის ორი საათი ოც წუთად მეჩვენებოდა. იორდანიშვილი ოჯახთან ერთად, დარბაზის გვერდით მდებარე ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა. ეს საჭიდაო არენა მის სახელთან იმდენად იყო ასოცირებული, რომ იორდანიშვილის სიცოცხლეშივე, დარბაზს „პეტრეს ცირკი" შეარქვეს. სწორედ იქ აღიზარდა არაერთი ცნობილი ქართველი ფალავანი. თბილისში ახალი დარბაზები რომ აშენდა, „პეტრეს ცირკს" მოკრივეებისთვის გადაცემას უპირებდნენ, მაგრამ მოჭიდავეებმა არ დათმეს და საკმაოდ დიდი დავის შედეგად, დარბაზს სტატუსი შეუნარჩუნეს.

მოჭიდავე და ძალოსანი

— ჭიდაობის პარალელურად, გოლდშტეინთან კრივში ვვარჯიშობდი, ასევე მივდევდი ცურვასა და ძალოსნობას. ერთი სიტყვით, მრავალმხრივი სპორტსმენი ვიყავი, ხოლო ძალოსნობაში იმდენად კარგი შედეგი მქონდა, რომ მწვრთნელებმა შემომთავაზეს, სპორტის ამ სახეობას გავყოლოდი. საქართველოში კარგ მოჭიდავეებს რა გამოლევს, ძალოსნები კი ცოტა გვყავსო, — მეუბნებოდნენ. მახსოვს, ლენინგრადში საქართველოს მოჭიდავეთა და ძალოსანთა ნაკრები ერთ-ერთ საკავშირო ტურნირზე გამოდიოდა. თავისუფალ ჭიდაობაში საშუალო წონაში პირველი ადგილი დავიკავე და ვინაიდან ჩვენი მძიმეწონოსანი ძალოსანი ავად გახდა, მისმა მწვრთნელმა, ულენტმა მთხოვა, ამ სპორტსმენის მაგივრად გამოვსულიყავი. შეთავაზებაზე უარი არ მითქვამს და ტურნირზე ძალოსნობაში ბრინჯაოს მედალი მოვიგე. სხვათა შორის, ჩემი თაობის მოჭიდავეებისთვის სპორტის სხვა სახეობაში პარალელურად ვარჯიში უცხო არ გახლდათ. მაგალითად, იოჰანეს კოტკასი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო ურაროს ტყორცნაში, ხოლო სერგეი პრეობრაჟენსკიმ ნიჩბოსნობაში მიაღწია იმავე წარმატებას.

„ამურის ტრიალი" და მსაჯისგან დაჩაგრული ჩიხლაძე

— ყველა ბავშვის მსგავსად, დედაჩემს სულ ვეკითხებოდი, თუ საიდან გავჩნდი. მას არ აუხსნია, რომ ჯერ ცხრა თვე, მუცლით მატარა და შემდეგ დავიბადე. უბრალოდ, მითხრა: წვიმა წამოვიდა და სიყვარულის ანგელოზები — ამურები დაფრინავდნენო, ერთ-ერთი ამოვირჩიე, რომელიც შენ აღმოჩნდი და ამური დაგარქვიო. ამის გამო, ბავშვობიდან მეტსახელად ამურის მეძახიან. სწორედ ჩემს პატივსაცემად ჰქვია ერთ-ერთ საჭიდაო ილეთს „ამურის ტრიალი", რადგან ის პირველად მე გამოვიყენე. მისი არსი ის გახლდათ, რომ ჩოქბჯენში, ფეხით ვაკეთებდი ბრუნს და მეტოქეს „ხიდზე" ვაყენებდი, რის შემდეგაც, ამ უკანასკნელს ხალიჩაზე ან ბეჭებს დავადებინებდი, ან მინიმუმ ორ ქულას ავართმევდი, რაც ჭიდაობაში ცოტას როდი ნიშნავს. ამ ილეთით, ვარჯიშზე ჩემზე უფრო მძიმე წონის ათლეტები წამიქცევია, მხოლოდ შალვა ჩიხლაძეს ვერ ვუხერხებდი ვერაფერს. შალვა კლასიკური სტილით მოჭიდავე იყო და ამიტომ, „ამურის ტრიალისგან" თავის დაცვა უჭირდა, მაგრამ ფიზიკურად იმდენად ძლიერი გახლდათ, რომ ადგილიდან ვერ ვძრავდი. ის უნიკალურ მოჭიდავეთა რიგს მიეკუთვნებოდა, რადგან საბჭოთა კავშირის ჩემპიონი პირველად, 1936 წელს გახდა, მეოთხედ კი — 1950 წელს. 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიადის წინ, ჩიხლაძე 44 წლის გახლდათ, მაგრამ



ჭიდაობის პარალელურად, კრივში ვვარჯიშობდი, ასევე მივდევდი ცურვასა და ძალოსნობას

საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა გუნდში მაინც შეიყვანეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შალვას ბავშვობაში, დაუშავდა მარცხენა ხელი, რომელსაც ბოლომდე ვერ შლიდა, მაგრამ ამის მიუხედავად, საჭიდაო ხალიჩაზე ტოლს არავის უდებდა. ჰელსინკში ის ფინელ კელპო გრენდალს შეხვდა, რომელსაც აშკარად სჯობდა, მაგრამ მსაჯმა ორთაბრძოლა 6-ჯერ გააჩერა, თითქოს იმის გამო, რომ ქართველი არასწორად აკეთებდა ილეთს და მეტოქეს ახრჩობდა. საბოლოოდ, გამარჯვება ფინელს მიანიჭეს, ხოლო ჩიხლაძე ვერცხლის მედალს დასჯერდა.

გამარჯვება „ყურში ჩურჩულით"

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონი პირველად, 1945 წელს გავხდი. მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი ჩემთვის 1950 წლის ასპარეზობა გახლდათ, როდესაც ზედიზედ მეხუთედ დავიცავი ტიტული. მაშინ შეჯიბრება ტულაში ტარდებოდა და როცა პირველი ორთაბრძოლა მოვიგე, ცხელი შხაპი მივიღე, რადგან წინასწარი ინფორმაციით, საღამომდე, ხალიჩაზე აღარ უნდა გამოვსულიყავი. მაგრამ მოულოდნელად, 15-20 წუთში ისევ საჭიდაოდ მიხმეს და ვინაიდან წყლისგან მოთენთილი ვიყავი, რის გამოც ხელები არ მემორჩილებოდა, სერგეი პრეობრაჟენსკისთან ორთაბრძოლისას დავმარცხდი. გადამწყვეტი შეხვედრის წინ, რომელიც როსტოველ ლიოვა ხანტემირიანთან უნდა ჩამეტარებინა, 5 საჯარიმო ქულა დამიგროვდა, პრეობრაჟენსკის — ოთხი. ხანტემირიანს სუფთად თუ ვერ მოვუგებდი, ჩემპიონი პრეობრაჟენსკი გახდებოდა, როსტოველს კი, ვერცხლის მედალი შეხვდებოდა. სხვათა შორის, ორივე მათგანი, პირველ-მეორე ადგილს უკვე წინასწარ ინაწილებდა. ჭიდაობის დაწყებამდე, ხანტემირიანთან მივედი და ვუთხარი — მეშვიდე წუთზე, ლეიბზე ბეჭებით გაგაკრავ-მეთქი... ჩემმა სიტყვებმა ის საკმაოდ გააღიზიანა, მაგრამ მეტოქეს კიდევ გავუმეორე, რომ სუფთად დავამარცხებდი. მართლაც, ორთაბრძოლის პირველი წამიდანვე, ხანტემირიანს ორივე ხელი დავუჭირე და ექვსი წუთის განმავლობაში მან თავი ვერაფრით დამაღწია. მეშვიდე წუთზე, მისი ჩოქბჯენში გადაყვანა შევძელი, რის შემდეგაც, „ხიდზე" დავაყენე და ყურში ჩავჩურჩულე: ხომ გითხარი, მეშვიდე წუთზე ბეჭებით გაგაკრავ-მეთქი. ამის თქმა იყო და ხანტემირიანს ორივე ბეჭი ლეიბზე დავადებინე... მსაჯებმა სუფთა გამარჯვება მომანიჭეს და ქვეყნის ჩემპიონი მეხუთედ გავხდი. სხვათა შორის, ლიოვას პირველად, 1942 წელს შევხვდი. მაშინ, ფოთის ნავსადგურში შემოვიდა გემი — „პარიზის კომუნა" და გადაწყვიტეს, მეზღვაურებისთვის ჭიდაობა ეჩვენებინათ. ხალიჩა პირდაპირ გემბანზე გაშალეს. შერკინება ორი წუთის დაწყებული იყო, როცა ხანტემირიანმა „ხიდზე" დამაყენა. ის 18 წუთის მანძილზე ცდილობდა, ბეჭებით ხალიჩაზე გავეკარი, მაგრამ — არაფერი გამოუვიდა. ამის შემხედვარე, ყველა მეზღვაური მე მქომაგობდა.

პირველი „ქართული" ოლიმპიური ოქრო

— 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადისთვის მოჭიდავეთა ნაკრების დაკომპლექტების დროს, საშუალო წონაში კონკურენტი არ მყავდა. იმ დროისთვის, უკვე საბჭოთა კავშირის შვიდგზის ჩემპიონი ვიყავი და გუნდის მწვრთნელებს ოქროს მედლის რეალურ კანდიდატად მივაჩნდი. მაგრამ პირველი ორთაბრძოლა ქულებით წავაგე შვედ ბენგტ ლინდბლადთან, რომელიც აშკარად გამირბოდა, მაგრამ მსაჯებმა რატომღაც, გამარჯვება მას მიანიჭეს. ჩემპიონობის მოპოვების შანსი რომ შემენარჩუნებინა, მომდევნო ორი მეტოქე — ამერიკელი დან ჰოჯი და ეგვიპტელი მოჰამედ ჰუსეინი სუფთად უნდა დამემარცხებინა. ლინდბლადთან წაგების შემდეგ, ჩემთან გასახდელში შემოვიდა არსენ მეკოკიშვილი, რომელიც შეეცადა, დავემშვიდებინე. ვუთხარი: არსენ, ცუდ გუნებაზე ნუ ხარ. მე ჩემპიონი გავხდები, ოღონდ, რამდენიმე მეტოქე ბეჭებზე უნდა დავაწვინო-

მეთქი. თავის დროზე, ჰოჯი, რეკორდსმენი გახლდათ ამერიკელებს შორის, რადგან ზედიზედ თითქმის ასი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული. ის ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი იყო და პირველსავე წუთებიდან შემომიტია, რამაც შედეგი მოუტანა — 4:1-ს მამარცხებდა. მაგრამ ერთ-ერთ ეპიზოდში, ჩოქბჯენში რომ ვიმყოფებოდი, ჯერ ხელში ხელის ჩავლების საშუალება მომცა, შემდეგ — ფეხის „ჩახვევის," რითაც კარგად ვისარგებლე და ამერიკელი მაშინვე ქვეშ მოვიქციე. ინგლისელმა არბიტრმა უმალვე ჩასტვინა და მანიშნა, მეტოქისთვის ხელი გამეშვა, რაც არ გავაკეთე და ჰოჯმა სახეში დამარტყა. მისთვის დარტყმითვე რომ მეპასუხა, შეიძლება, ჩემთვის სუფთა გამარჯვება არ ჩაეთვალათ. ამიტომ ვიეშმაკე და დავიხარე — ვითომ გახარებულს, საკუთარი ხელისთვის უნდა მეკოცნა ამის მაგივრად კი ამერიკელს ცხვირპირი დავუჭყლიტე. აქვე გეტყვით, რომ ილეთი, რომლითაც ჰოჯი დავამარცხე, მანამდე, შეჯიბრებისას არასოდეს გამომიყენებია, რადგან იგი ვარჯიშზეც კი არ გამომდიოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში, გამიმართლა. სხვათა შორის, 4 წლის შემდეგ, მელბურნის ოლიმპიადაზე ამერიკელმა ვერცხლის მედალი აიღო და ამან ისე გააბრაზა, რომ ჭიდაობას თავი დაანება. მერე კრივს მიჰყო ხელი და ამერიკის ჩემპიონობის გარდა, „ოქროს ხელთათმანის" ტურნირი მოიგო, რისთვისაც პრიზის სახით, 100.000 დოლარი გადასცეს. ეგვიპტელ ჰუსეინს ასევე სუფთად მოვუგე, ხოლო უნგრელ გურიჩს — ქულებით და ფინალში ირანელ გოლამ რეზა ტახტის შევხვდი, რომელმაც ერთი წლით ადრე, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიგო. ირანელი ყველაზე ძლიერი მოჭიდავე იყო, რომელიც ოდესმე შემხვედრია და ვიცოდი, რომ მისი წაქცევა დიდ სირთულეს წარმოადგენდა. ტახტი რამით უნდა გამეკვირვებინა და როგორც კი ორთაბრძოლა დაიწყო, მაშინვე მკლავში ვწვდი — ვითომ ცაციათი მარჯვენა ფეხში სარმა უნდა გამომედო. ამით ძალიან გავრისკე, რადგან ირანელს შეეძლო, თავისუფალი ხელით ჩემი ფეხი დაეჭირა და წავექცეე, მაგრამ მან თავი დაიცვა, რითაც კარგად ვისარგებლე და ორი ქულა ავართვი. ამის შემდეგ ჭიდაობა ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა და ორჯერ, — „ამურის ტრიალიც" ჩავუტარე, მაგრამ ფიზიკურად იმდენად კარგად იყო მომზადებული, ბეჭები ვერ დავადებინე. საბოლოოდ, ქულებით გავიმარჯვე და პირველი ქართველი გავხდი, რომელმაც ოლიმპიური ოქრო მოიგო. ასევე პირველი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე საბჭოთა სპორტსმენებს შორის, ვისაც ასეთი წარმატება ხვდა წილად. რაც შეეხება ტახტის, მან შემდგომში, ორჯერ მოიგო ოლიმპიადა და სამჯერ — მსოფლიო ჩემპიონატი. ის პოპულარობით ირანის ყოფილ შაჰს — მოჰამედ რეზა ფეჰლევსაც კი სჯაბნიდა და ორივე მათგანი ერთად სადმე რომ გამოჩნდებოდა, ხალხი გაიძახოდა — „ტახტი, ტახტი!" — რაც შაჰს საკმაოდ აღიზიანებდა.

ათი ბოთლი ღვინის დამლევი

— სანამ აქტიური სპორტსმენი ვიყავი, ღვინოს ზომიერად ვსვამდი, ხოლო არაყს საერთოდ არ ვეკარებოდი. არ დავმალავ და გეტყვით, რომ ნასვამს ავტომანქანაც მიტარებია, მაგრამ მოძრაობის წესები არ დამირღვევია. სასმელს ყოველთვის კარგად ვიტანდი და ჭიდაობისთვის თავი დანებებული მქონდა, როცა მე, გივი კარტოზიამ, სიმონიკა სხირტლაძემ, კუკური ჟღენტმა და რეზო ლაღიძემ 10-10 ბოთლი ღვინო დავლიეთ. შეიძლება, არ დაიჯეროთ, რომ ლაღიძე 12 ბოთლ შამპანურს სვამდა, თან ისე, რომ სასმელს „გაზის" გასვლას არ აცლიდა. მისგან განსხვავებით, მე „გაზგასული" შამპანური მიყვარდა და 8 ბოთლიც დამილევია. ამის გამო, კუკური ჟღენტი დამცინოდა კიდეც — შამპანურს კი არა, კომპოტს სვამო... მიუხედავად იმისა, რომ 80 წლის ვარ, ქეიფის დროს, ორი ბოთლი ღვინის დალევა ახლაც შემიძლია. საერთოდ, მოჭიდავეებს შორის ყველაზე ცნობილი მსმელი, სანდრო კანდელაკი იყო. ერთხელ, მის თანასოფლელს ხარები ურმიანად ტალახში ჩაჰფლობია და ამ ამბავს სანდრო შესწრებია. ცნობილ ფალავანს უთქვამს — ოღონდ ღვინო დამალევინეთ და ამათი ამოყვანა ჩემზე იყოსო. მართლაც, მიუტანიათ ღვინო კანდელაკისთვის, რომელსაც ფუთიანი ჭურჭელი დაუცლია და წამოუძახია — აგაშენა ღმერთმა, ახლა კარგად ვარო. ამის შემდეგ, სანდროს, დაპირებისამებრ, ხარები ურმიანად ტალახიდან ამოუყვანია...

როგორ დაემუქრა მილიციელი ჯარტოზიას

— ჩემთვის ჭიდაობაში იდეალი, გივი კარტოზია გახლდათ, რომელიც შესანიშნავი სპორტსმენი და ადამიანი იყო. მეგობრებს ყოველთვის ეხმარებოდა და ბევრი ახალგაზრდა, რომელიც „ქუჩისკენ იყურებოდა", ჭიდაობაში ჩააბა. შემდეგ, ისინი საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორები გახდნენ. ერთხელ კარტოზიას, რომელიც ნასვამი იყო, მილიციელთან შელაპარაკება მოუვიდა და მას ხელიც კი დაარტყა. თავის მხრივ, სამართალდამცავიც მთვრალი აღმოჩნდა და გივის ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი დაუმიზნა. კიდევ კარგი, ამ დროს, ავტომანქანით გავიარე და ეს რომ დავინახე, მაშინვე მილიციელს ხელში ვწვდი. მას კარტოზია ვერ უცნია და რომ ვუთხარი ოლიმპიურ და სამგზის მსოფლიო ჩემპიონს უღერებდა იარაღს — მაშინვე გამოფხიზლდა. ბოლოს და ბოლოს, ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა.

ნიჭიერი ჯაცის ტრაგიკული აღსასრული

— ვლადიმერ რუბაშვილს უდიდესი სპორტული მონაცემები ჰქონდა. ის ძალზე ახალგაზრდა იყო, როდესაც მსოფლიო

ჩემპიონობა და რომის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი მოიგო. დარწმუნებული ვარ, რუბაშვილი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი რამდენჯერმე გახდებოდა, ნაადრევად რომ არ დაღუპულიყო. რუბაშვილს ძალიან უყვარდა ავტომანქანა, რის გამოც, სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა. შოთა ლომიძესთან ვიყავით დაპატიჟებული, როდესაც მან ერთ-ერთი ჩვენი მეგობრის ავტომობილი უკითხავად წაიყვანა, რათა ქალაქში გაესეირნა. ვოვა გამოცდილი მძღოლი არ გახლდათ, მან ავტოავარია მოახდინა, რომელსაც თავადაც შეეწირა და სხვა მანქანაში მსხდომი 3 ადამიანიც იმსხვერპლა. თავის დროზე, რუბაშვილთან ჭიდაობამ ერთი თბილისელი ათლეტი იმსხვერპლა: ვოვამ მას ილეთი ჩაუტარა და უნებლიეთ, კისრის მალა გაუტეხა...

„პიროვნების კულტს" შეწირული მეკოკიშვილი

— 1956 წელს, მელბურნის ოლიმპიური თამაშების წინ, არსენ მეკოკიშვილი მძიმე წონაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის, საბჭოთა კავშირის ნაკრების უპირობო ლიდერი გახლდათ. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში, ნიკიტა ხრუშჩოვმა ბრძოლა გამოუცხადა სტალინის „პიროვნების კულტს" და მისი მოღვაწეობა დაგმო. მაშინ, ქვეყნის ნაკრებში „პოლიტხელად" (*პოლიტიკურ ხელმძღვანელად. — ავტ.*) რუსი ძალოსანი ვორობიოვი დანიშნეს, რომელმაც სტალინი მოჭიდავეთა თვალწინ გალანძღა. ამის გაგონებაზე მეკოკიშვილმა მას უთხრა — შე წვინტლიანო, ვის ლანძღავო?! — და ისეთი დაარტყა, რომ კიბეზე დააგორა... ტაშკენტში მედიცინის მეცნიერებათა სანატორიუმში, სადაც შეკრებას გავდიოდით, ლენინის ძეგლი იდგა, რომელსაც გაბრაზებულმა არსენმა ღამით მუშტის დარტყმით თავი მოამტვრია. ნაკრების ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ ეს მეკოკიშვილის ჩადენილი იყო და იგი ავსტრალიაში აღარ წაიყვანეს. არადა მისმა შემცვლელმა ოლიმპიადაზე მე-7 ადგილი დაიკავა, როდესაც არსენი ოქროს მედლის მოგების რეალური კანდიდატი გახლდათ. ■

დეტროიტის სალონი: 700 ავტომობილი, 29 პრემიერა

8 იანვარს, აშშ-ის ამ ქალაქში უკვე ტრადიციული საერთაშორისო ავტოსალონი — NAIAS (North American International Auto Shou) — მეთვრამეტედ გაიხსნა. თუმცა, 14 იანვრამდე, მასზე წარმოდგენილი მოდელები ფართო საზოგადოებისთვის მიუწვდომელი იქნება და მას მხოლოდ სპეციალისტები და მასმედიის წარმომადგენლები გაეცნობიან.

წლეულს, ექსპოზიცია 300 ათას კვმ ფართობს იკავებს. მისი დარბაზების დასამშვენებლად, 68 ათასი კვმ სახალიჩე ქსოვილი დაიხარჯა, რაც 750 საფეხბურთო მოედნის ფართს უდრის. ტერიტორიის მოწყობაში 1500-მდე მუშა-მოსამსახურე მონაწილეობდა, სტენდებს 1750 ადამიანი გაუწევს მომსახურებას, ხოლო დაცვას 450 პოლიციელი უზრუნველყოფს. სალონზე 63 ქვეყნის წარმომადგენელი 7000-მდე ჟურნალისტი იმუშავებს.

ექსპოზიციაზე 700-მდე ავტომანქანა იქნება წარმოდგენილი, მათ შორის, სერიული მოდელების 19, ხოლო კონცეპტუალური მოდელების 10 პრემიერა შედგება; მას 7 ჩრდილოამერიკული პრემიერაც დაემატება. ■

Jeep Compass

ეს ყველგანმავალი, რომლის პრემიერაც ამჟამად მიმდინარე, დეტროიტის სალონზე შედგება, უკვე წლის შუა პერიოდისთვის, ევროპის ავტობაზარზეც გამოჩნდება. სპეციალისტთა ვარაუდით, ეს მანქანა ჯიპის სამოდელო რიგში ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი იქნება და თავის ძირითად კონკურენტებს — Toyota RAV4-სა და Mitsubishi Outlander-ს დაჯაბნის.

Compass იმავე პლატფორმაზეა აგებული, რომელზეც ახალი Dodge Caliber. ეს ორი მანქანა ტექნიკური თვალსაზრისითაც თითქმის იდენტურია: ორივეს აწარმოებენ, როგორც მონო, ასევე სრულამძრავიანი ვერსიით; ორივე აღჭურვილია 172 ცხ.ძ. სიმძლავრის 2,4 ლ-იანი ბენზინის ძრავათი. ოღონდ, ევროპაში დიზელის აგრეგატით აღჭურვილი Jeep Compass გაიყიდება, რომელსაც 150 ცხ.ძ. სიმძლავრე ექნება.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ახალი ყველგანმავალი ერთდროულად რამდენიმე თავის კონკურენტს ჰგავს, რომელსაც იაპონიასა და კორეაში აწარმოებენ: მაგალითად, უკანა დგარის ფორმით, ის Toyota RAV4-ს მოგაგონებთ, სილუეტით კი — ახალ Hyundai Santa Fe-ს. ამავე დროს, მას შენარჩუნებული აქვს Jeep-ის მარკის საკვანძო ელემენტები; რადიატორის ცხაურის 7 ვერტიკალური სექცია, მომრგვალო ფორმის მაშუქები, „ვაჟკაცური“ წინა ბამპერი. ■

Aston Martin

ბრიტანულმა კომპანიამ დეტროიტში კონცეპტუალური მოდელი — Aston Martin Rapide — წარმოადგინა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს იმ 4-კარიანი მოდელის პროტოტიპია, რომელიც შეიძლება, უახლოეს 2-3 წელიწადში, სერიულ წარმოებაში მოხვდეს.

Rapide-ის საფუძველს წარმოადგენს პლატფორმა, რომელზეც აგებულია მოდელები — DB9 და Vantage. ოღონდ, კონცეპტი მათზე 30 სმ-ით გრძელი და რამდენადმე მაღალიცაა. ამგვარად, მასში მგზავრები უფრო კომფორტულად იგრძნობენ თავს. სტილის სფეროში საინტერესო სიახლეებად სპეციალისტები მიიჩნევენ კარებს, რომლებსაც არა აქვს ფანჯრის ჩარჩოები და გამჭვირვალე სახურავს, რომელიც წინა საქარე მინიდან იწყება და უკანა კარის ჩარჩოსთან მთავრდება. სალონში გამოყენებულია ძვირად ღირებული ტყავი და ხე, ხოლო უკანა სავარძლებზე მოკალათებული მგზავრებისთვის თხევადკრისტალური მონიტორებია განკუთვნილი.

კონცეპტი ძრავას, სერიულ მოდელებს დაესესხა. ეს გახლავთ 12-ცილინდრიანი ფორსირებული აგრეგატი, რომელიც 480 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. ექსპერიმენტულ მანქანაზე კერამიკული სამუხრუჭე დისკებია დაყენებული. არაა გამორიცხული, რომ ეს ოპცია მალე, სერიულ მოდელებზეც გაჩნდეს.

P.S. დეტროიტში წარმოდგენილ საუკეთესო მოდელებს „გზის“ მომდევნო ნომრებში წარმოგიდგენთ. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეთრა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ჩუმკუზბა არის მთა აფხაზეთში.

2. ჩიშლა უღელტეხილია სვანეთის ქედზე.

3. „დუგლუგი“ და „კონდახი“ სინონიმებია.

4. ლაგვანი დიდი ქვევრია, ლაგვინი — პირფართო დოქი.

5. თოკს, რომლითაც ცხენს ფეხებს უბორკავენ, დუშაყი ჰქვია.



6. უილიამ სიდნი პორტერი, ო'ჰენრის ნამდვილი სახელი და გვარია.

7. სემუელ ელ ჯექსონი პირველად კინოში 44 წლის ასაკში გადაიღეს.

8. „ნევესტა კაკ საპიორ, აშიბაეტსა ადინ რაზ!“ — ამბობენ რუსი ქალები.

9. ნაღვერდალში გამომცხვარ უსაფუვრო და უმარილო პურს გომიჯი ჰქვია.

10. ორნელა მუტის იტალიაში ყველაზე მომხიბვლელი ბებიის ტიტული მიანიჭეს.

11. ხო ში მინს ყოველთვის, უბრალო გლეხივით ეცვა. ხალხი მას ბიძია ხოს ეძახდა.

12. პირველი ქართული ხმოვანი ფილმი — „არსენა“, მიხეილ ჭიაურელმა 1937 წელს გადაიღო.

13. „ცივი დო, ცივი რე, ცივი მი, ცივი ფა, ცივი სოლ, ცივი ლა, თბილი სი“, — ღიღინებს დათო ევგენიძე.

14. კოლიზეუმის გახსნასთან დაკავშირებით გამართული გლადიატორთა ბრძოლები ასი დღე გრძელდებოდა.

15. 30-იან წლებში, ევა ბრაუნმა ორჯერ სცადა თავის მოკვლა. ამ ფაქტს მესამე რაიხში საგულდაგულოდ მალავდნენ.

16. „როდესაც ხელისუფლების სათავეში ქამელეონია, ფერს მისი გარემოცვა იცვლის“, — ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი.

17. უპოპულარულესი საბავშვო სიმღერის — „გალუბოი ვაგონ“ — ავტორს, რუსეთის სახალხო არტისტსა და კომპოზიტორს, ვლადიმირ შაინსკის 41 წლით უმცროსი ცოლი და ორი შვილი ჰყავს.

18. „მე რევოლუციონერი მეფე ვარ. რევოლუციური ჰიმნის შექმნაში ვიღებდი მონაწილეობას. ოღონდ, იმის მეშინია, სხვა ჰიმნების შექმნაში არ მომიწიოს მონაწილეობის მიღებამ“, — ამბობს ირაკლი ჩარკვიანი.

19. ბერლინში ჩატარებული, 1936 წლის ოლიმპიადა პირველი იყო, რომელიც ტელევიზიით გადაიცა. ოლიმპიური

გამოუტანა. ყველაზე მძიმე სასჯელი კოკოჩაშვილმა მიიღო: მას 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. კინწურაშვილს — 5 წლით, ონიანს — 6 წლით, ხოლო ტაბატაძეს — 7 წლით პატიმრობა შეუფარდეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. განაჩენით უკმაყოფილო მსჯავრდებულებმა საჩივრით მიმართეს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას, მაგრამ მათი პოზიცია არც ამჯერად იქნა გაზიარებული. პალატამ განაჩენი სამართლიანად მიიჩნია და იგი ძალაში დატოვა.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

ქმარს „მაკაროვიდან“ გასროლით მძინარე ცოლი შემოაკვდა.

ეს საქმე რაიონულმა სასამართლომ განიხილა. განსასჯელი, 45 წლის თ. თუთბერიძე, ცოლის მკვლელობის გამო წარდგა სასამართლოს წინაშე. მაგრამ ჩადენილი დანაშაულისთვის მას მხოლოდ პირობითი სასჯელი შეუფარდეს. ეს იმით აიხსნება, რომ თუთბერიძემ მეუღლე საკუთარი იარაღიდან გასროლით სრულიად შემთხვევით მოკლა. ფაქტი 2 იანვარს, ბედობის დღეს მოხდა.

„...იარაღი, რომელიც ოფიციალურად იყო ჩემზე რეგისტრირებული, იმ საღამოს ჩემი საწოლის ლეიბის ქვეშ ამოვდე. ჩემი მეუღლე თავს შეუძლოდ გრძნობდა, დაღლილი ვარ, თავი მტკივა და წავალ, ცოტა ხნით დავწვებიო, — მითხრა. შინ მარტონი ვიყავით. ახალი წლის დღეები იყო და ბავშვები ჩემი ძმის ოჯახში იყვნენ სტუმრად. მოგვიანებით, იქ წასვლას ჩვენც ვაპირებდით. ამის შემდეგ, კარგა ხანს, ტელევიზორს ვუყურებდი. უცებ გამახსენდა, რომ იარაღი ლეიბის ქვეშ ამოვდე. ჩვეულებრივ, მას კარადის უჯრაში ვინახავდი ხოლმე. ვიფიქრე, გამოვიღებ და თავის ადგილზე დავდებ-მეთქი და სწორედ ამ მიზნით შევედი საძინებელში...“ — აღნიშნა ჩვენების მიცემისას განსასჯელმა.

მისივე ჩვენების მიხედვით, მან იარაღი ლეიბის ქვეშიდან გამოაცურა, მაგრამ სწორედ ამ დროს, შემთხვევით, ხელი გამოჰკრა სასხლეტს. იარაღი ტყვიებით იყო დატენილი, ლულა კი იმ მომენტში — თუთბერიძის მძინარე მეუღლისკენ მიმართული. გასროლა ერთხელ მოხდა. ტყვია ე. თუთბერიძეს გულმკერდის არეში მოხვდა, რის შედეგადაც, ის ადგილზე გარდაიცვალა. დაბნეულმა და თავზარდაცემულმა ქმარმა, პირველ რიგში, ახლობლის ოჯახში დარეკა და მათ დახმარება სთხოვა. ცოლის სიკვდილში ის უკვე დარწმუნებული იყო. თ. თუთბერიძე, რომელიც თავადაც პოლიციის თანამშრომელი გახლდათ, მეორე დღეს, საკუთარი ნებით გამოცხადდა სამართალდამცველებთან და მომხდარის შესახებ აცნობა მათ. მისი თქმით, შემთხვევის დროს, ის ნასვამი არ ყოფილა. *„საერთოდ, ძალიან ცოტას და იშვიათად ვსვამ, რადგან 8 წლის წინ, ინფარქტი გადავიტანე და მას შემდეგ, ექიმებმა სასმელი მკაცრად ამიკრძალეს. ახალ წელს, 12 საათზე, ნახევარი ჭიქა შამპანური დავლიე, ეს იყო და ეს“,* — თქვა განსასჯელმა პროცესზე.

თუთბერიძე იმავე დღეს დააკავეს. გამოძიების შემდეგ, გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლელობაში წაუყენეს ბრალი. საქმის მასალებში მკვლელობის სხვა ვერსია არც ფიქსირდებოდა. მოწმეების — ოჯახის ახლობლების თქმით, ცოლ-ქმარს ერთმანეთთან ძალზე კარგი ურთიერთობა ჰქონდა და მათი ჩხუბის ან კონფლიქტის შესახებ არასდროს სმენიათ. იგივე დაადასტურეს თუთბერიძეების არასრულწლოვანმა შვილებმაც. თუმცა, სასამართლო პროცესზე გაურკვევლობა მაინც შეიქმნა. ეჭვი დაბადა პათანატომის ცნობამ, რომელიც მან გვამის ბალზამირების შემდეგ გასცა. ცნობაში ეწერა დიაგნოზი — „უეცარი სიკვდილი“. სასამართლო პროცესზე დასაკითხად გამოძახებული პათანატომის თქმით, ბალზამირება მან გვამს ისე გაუკეთა, რომ არ დაუთვალიერებია იგი და აქედან გამომდინარე, არც ცეცხლნასროლი ჭრილობა შეუნიშნავს. *„როცა ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი? — ჭირისუფალმა მიპასუხა — უცებ გარდაიცვალაო. მე იქ არც სისხლი შემიმჩნევია“,* — განაცხადა მან. თავად განსასჯელის თქმით, იმ დროს ის სახლში არ იმყოფებოდა და პათანატომს არ შეხვედრია. *„ეს საკითხი ოჯახის ახლობლებმა მოაგვარეს, როგორც ჩანს, თავი შეიკავეს, მისთვის მომხდარის შესახებ ეთქვათ და ისიც არ ჩაეძია“,* — ახსნა თუთბერიძემ. სასამართლომ მისი ჩვენება დამაჯერებლად ჩათვალა, ამას გარდა, განზრახ დანაშაულის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება არ მოიპოვებოდა და განსასჯელი სწორედ იმ მუხლით ცნეს დამნაშავედ, რომელიც მას გამოძიებამ წაუყენა.

ოჯახურ კონფლიქტს ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვერპლა

ქმარმა ცოლი და სიდედრი მძიმედ დაჭრა, ცოლისძმა კი, სიცოცხლეს გამოასალმა.

ახალი წლის დღეებში, ოჯახურ კონფლიქტს კიდევ ერთი ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე შეეწირა. ის სიძის მიერ მოქნეულ დანას ემსხვერპლა. ეს უბედურება იმის შედეგად მოხდა, რომ ცოლ-ქმრის უთანხმოების გარკვევისას, მან დის მხარე დაიჭირა. დანაშაული 31 წლის ნ. ბაირამოვმა შურისძიების მოტივით ჩაიდინა. საქმის მასალების მიხედვით, იმ დროს ის მთვრალი იყო. 2004 წლის 30 დეკემბერს მას ცოლთან მორიგი ჩხუბი მოუხდა. კამათის შემდეგ, თ. ბაირამოვამ თავის ნივთებს ხელი დაავლო და დედასთან გადავიდა საცხოვრებლად. ეს პირველი მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა, მაგრამ ამჯერად ნ. ბაირამოვი განსაკუთრებით გაღიზიანდა. საღამოს ცოლი შინ რომ არ დახვდა, გაბრაზებული, სიდედრის ოჯახში, დანით შეიარაღებული მივარდა.

„ბოლო დროს, ჩემი ქალიშვილის იმ სახლში გაჩერება აუტანელი გახდა. ქმარი გამუდმებით ეჩხუბებოდა. ავადმყოფურად ეჭვიანობდა მასზე და ათას ჭორს უგონებდა. თითქოს, საყვარლები დაჰყავდა სახლში, ვიდრე ქმარი შინ არ იყო ან თავად დადიოდა მათთან. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ჩემი ქალიშვილი სავაჭროდ დადიოდა ლილოს ბაზრობაზე. ცდილობდა ოჯახში ცოტა ფული შეეტანა. იმის ნაცვლად, რომ ქმარს მისი ასეთი საქციელი და შრომა დაეფასებინა, სმა და

ეჭვიანობა დაიწყო. ყოველდღე სვამდა, შემდეგ კი, გალეშილი მთვრალი, ცოლს მოსვენებას არ აძლევდა. ვერ ეგუებოდა იმას, რომ ჩემს ქალიშვილს თავისი ფული ჰქონდა, ყოველდღე გადიოდა სახლიდან და ხალხთან ურთიერთობდა“, — აღნიშნა დაზარალებულმა.

დანით შეიარაღებულ ნ. ბაირამოვს პირველად, სიდედრი შეეფეთა. მან არც დააყოვნა, ისე მოუქნია ხანში შესულ ქალს დანა და ბეჭის არეში მძიმე დაზიანება მიაყენა მას. დაჭრილმა ქალმა მისი შეჩერება ვერ შეძლო და გამხეცებული ბაირამოვი ახლა სამზარეულოში შევარდა. სამზარეულოს მისი ცოლი აფარებდა თავს. შეშინებულ ქალს ქმარმა ჯერ ცემა დაუწყო, ხოლო შემდეგ, დანა ჩაარტყა მას გულმკერდის არეში. ამ დროს, შინ დაბრუნდა ცოლის ძმა, მ. მაგამედოვი. ეზოში შესვლისთანავე მოესმა ყვირილი და ვინაიდან ოჯახიდან დის წამოსვლის შესახებაც იცოდა, მიხვდა, რომ მათ სიძე „ესტუმრათ“. ამიტომაც, სახლში შესვლამდე, ეზოში მდებარე ფარდულში შეიარა, იქიდან სამზარეულოს დანა გამოიტანა და ასე, შეიარაღებული შევიდა შინ. დაჭრილი დედა რომ დაინახა, ყვირილი მორთო და სამზარეულოსკენ გაიქცა. ბაირამოვმა გაიგო მისი მოსვლა, ამიტომ ცოლს თავი დაანება და კართან აიტუზა. ოთახში შესულ მაგამედოვს მან ზურგში ზედიზედ ორჯერ ჩაარტყა ძლიერად დანა. მოულოდნელად, დაჭრილ მაგამედოვს თავისი დანა ხელიდან გაუვარდა და იატაკზე უგონოდ დავარდა. მან სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე დაზიანება მიიღო, რის შედეგადაც, ადგილზევე გარდაიცვალა. ოჯახიდან ყვირილის ხმა მეზობლებმაც გაიგონეს. ჭიშკართან მოახლოებული ხალხი რომ შენიშნა, ბაირამოვი უკანა ეზოდან გაიქცა და მიიმალა. ამის გამო მეზობლებს, დამნაშავე შემთხვევის ადგილზე აღარ დახვდათ. რაც შეეხება დაჭრილ დედა-შვილს, მათ, დროული სამედიცინო დახმარების შედეგად, სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

6. ბაირამოვი პოლიციამ მეორე დღეს დააკავა. თავდაპირველად, მან ჩადენილი დანაშაული აღიარა და გამოძიებას დეტალური ჩვენებაც მისცა. მაგრამ მოგვიანებით ყველაფერი უარყო. სასამართლო პროცესზე განსასჯელი და მისი ადვოკატი (სახაზინო) წარდგენილ ბრალდებაში გამართლებას მოითხოვდნენ. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და სასჯელის ზომად, 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ყაჩაღები ტაქსის მძღოლებს ხელჯეტებით სცემდნენ

დაზარალებულების თქმით, დანაშაულებში სლავური გარეგნობის ქალიც მონაწილეობდა არაერთგზის ყაჩაღობისა და ძარცვის ბრალდებით გაასამართლეს თბილისელები — გ. მელაძე და მ. არჩემაშვილი, რომელთაც ჩადენილი დანაშაულებისთვის 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თუმცა, საქმის მასალების მიხედვით, დამნაშავეთა ჯგუფი, რომელმაც თბილისში 2005 წლის იანვარში, ზედიზედ რამდენიმე ძარცვა და ყაჩაღობა ჩაიდინა, მხოლოდ ამ ორი პირით არ შემოიფარგლებოდა. მელაძესა და არჩემაშვილთან ერთად, დანაშაულებში, გამოძიების მასალებში არსებული ჩვენებების მიხედვით, ვინმე დათო და სლავური გარეგნობის ახალგაზრდა ქალიც მონაწილეობდნენ. ახალი წლის პერიოდში, ამ ჯგუფმა ზედიზედ ორი ტაქსის — „მერსედესისა“ და „ოპელ-კადეტის“ — მძღოლები დააყაჩაღა, ერთ მათგანს 5.000 ლარის, ხოლო მეორეს — 2.000 ლარის ოდენობით მატერიალური ზარალი მიაყენეს. გარდა ამისა, დაზარალებულებმა სხეულის მძიმე დაზიანებებიც მიიღეს.

„მერსედესის“ მარკის კერძო ტაქსი ჯგუფის წევრებმა თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე საღამოს გააჩერეს. ავტომანქანას შუახნის კაცი — ი. მოსულიშვილი მართავდა. მას თავდაპირველად, მელაძე და სლავი ქალი ჩაუსხდნენ და აგრარული უნივერსიტეტისკენ წაყვანა სთხოვეს. წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები, რომ უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მათ ჯგუფის დანარჩენი წევრებიც დახვდებოდნენ და დაგეგმილი დანაშაულის ჩადენაში დაეხმარებოდნენ. მანქანა მათ მძღოლს ნაკლებად შესამჩნევ ადგილზე გააჩერებინეს, რის შემდეგაც მოსთხოვეს, მანქანიდან გადასულიყო. მძღოლი მათ შეეწინააღმდეგა. როცა შეატყვეს, რომ ის ნებაყოფლობით ავტომანქანიდან არ გადავიდოდა, მარტო მუქარას არ დასჯერდნენ და ძალადობას მიმართეს. მოსულიშვილი ჯერ ხელკეტებით სცემეს, შემდეგ, ძალით გადაათრიეს მანქანიდან, ქამრითა და თოკით გაუკოჭეს ხელები, პირში ცხვირსახოცი ჩასჩარეს და ასე დატოვეს შემთხვევის ადგილზე. მას შემდეგ, რაც მას ჯიბეებიდან მობილური ტელეფონი, ფული და საბუთები ამოაცალეს, ყველანი ერთად მანქანაში ჩასხდნენ და დიდი სისწრაფით გაურკვეველი მიმართულებით წავიდნენ. როგორც შემდეგ გაირკვა, გატაცებული ავტომანქანა მათ სულ 200 დოლარად მიჰყიდეს წყალტუბოს რაიონში მცხოვრებ ნაცნობს.

მეორე დანაშაული ჯგუფმა რამდენიმე დღეში ჩაიდინა. მისი სამიზნე ამჯერად, თბილისში მოძრავი კერძო ტაქსი „ოპელ-კადეტი“ აღმოჩნდა. მანქანა მათ მეტროს სადგურ „ნაძალადევის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გააჩერეს. დაახლოებით ღამის 12 საათი იქნებოდა. მოტყუებით მიიყვანეს ის თემქის დასახლებაში, ერთ-ერთ ბნელ ქუჩასთან და მაშინვე, მანქანიდან გადასვლა მოსთხოვეს. მათ ამჯერადაც მიმართეს მუქარასა და ძალადობას. მძღოლი — დ. გედენიძე მათ სასტიკად სცემეს, გაძარცვეს და ხელფეხგაკოჭილი დატოვეს შემთხვევის ადგილზე. მანქანის საჭეს მელაძე მიუჯდა და არჩემაშვილთან ერთად, გეზი დასავლეთ საქართველოსკენ აიღო. რაც შეეხება დათოსა და სლავ ქალს — ისინი თბილისში დატოვეს. ზესტაფონის გზაზე მელაძემ საჭე ვერ დაიმორჩილა და მანქანა ამოტრიალდა. სწორედ ამ დროს დააკავეს ისინი პოლიციის თანამშრომლებმა.

დაკავებულებმა საქმის სასამართლო განხილვისას, მთლიანად აღიარეს წარდგენილი ბრალი და აღნიშნეს, რომ გულწრფელად ინანიებდნენ ჩადენილ დანაშაულს.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

ჩირაღდნის ხელიდან ხელში გადაცემის ცერემონიაც მაშინ ჩატარდა პირველად.

20. „შესაძლოა, მთელი ცხოვრება იჯდე და ბესტსელერებს ქმნიდე, მაგრამ შეიძლება, ერთხელაც დაჯდე და „მობი დიკი“ დაწერო“, — ამბობს ამერიკელი მწერალი სტივენ კინგი.

21. მადამ ტიუსოს მუზეუმში არასოდეს იყენებენ პარიკებს. ცვილის ფიგურების შექმნისას, ყოველთვის ადამიანის ნატურალურ თმას ხმარობენ.

22. „რანა ია უშოლ ს პოსტა, სკოლკო ეშჩო ნე სდელანნავა“, — ამბობდა მაქსიმ გალკინი ბორის ელცინის პროდირებისას, — „ა გლავნოე, ჩევო ია უშოლ?!“

23. სტალინის ბრძანებით, ციხეებში ქურდული სამყაროს წინააღმდეგ წარმოებულ ფარულ ბრძოლას, რომლის დროსაც, ქურდებს უბრალოდ „აფუჭებდნენ“, ხალხმა „სუჩაია ვაინა“ უწოდა. ქურდულ სამყაროს მაინც ვერაფერი მოუხერხეს. ამ ამბების შემდეგ, შავმა სამყარომ კიდევ უფრო მეტად აიმაღლა ავტორიტეტი.

24. სიტყვა „მავზოლეუმი“ სპარსეთის სატრაპის, მავსოლის სახელიდან მომდინარეობს, რომელმაც საკუთარ განსასვენებლად, ქალაქ ჰალიკარნუსში მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი, თოთხმეტსართულიანი სახლის სიმაღლის ნაგებობა ააგო. მშენებლობის დასრულებას თავად მავსოლი ვერ მოესწრო. მავზოლეუმი მისმა დამ და იმავდროულად ცოლმა, არტემისიამ დაასრულა, რომელსაც ისე უყვარდა ქმარი, რომ მისი დამწვარი გვამის ფერფლს ღვინოში ურევდა და ისე სვამდა. მავსოლის გარდაცვალების შემდეგ, არტემისიამ ორი წელიწადიღა იცოცხლა. P.S. მავზოლეუმი მოგვიანებით, მიწისძვრამ დაანგრია. ჰალიკარნუსის ადგილზე კი დღეს, თურქეთის ქალაქი ბადრუმი მდებარეობს.

25. მეცხრე სიმფონიის პრემიერის დროს, ბეთჰოვენს აღარაფერი ესმოდა. იგი მუსიკოსებს შორის იჯდა იმ იმედით, რომ რაიმეს მაინც გაიგონებდა. სიმფონიის დასასრულს, ერთ-ერთი მუსიკოსი ბეთჰოვენს დარბაზისაკენ ატრიალებდა, რათა კომპოზიტორს დაენახა, როგორ უკრავდა ტაშს მსმენელი.

ზლატან იბრაგიმოვიჩი: თხილამურებზე ერთხელაც არ ვმდგარვარ



ტურინის „იუვენტუსის“ 24 წლის ფორვარდი, ზლატან იბრაგიმოვიჩი 2005 წლის შვედეთის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. ორიოდე დღის წინ, სერია A-ს ერთ-ერთმა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა ინტერვიუში სწორედ თავის იტალიურ კარიერაზე ისაუბრა, რომელიც უკვე მეორე წელია, გრძელდება.

— ამბობენ, რომ სერია A-ში ლეგიონერებს მეორე წელს უფრო უჭირთ, ვიდრე პირველ სეზონში. იზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას?

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია. პრინციპში, სერია A-ში თამაში ადვილი არასოდესაა, ამიტომ უაზრობად მიაჩნია სეზონების ამგვარად დაყოფა. მთავარია, შენი გუნდი იგებდეს, ხოლო შენ მისთვის სარგებლობის მოტანა შეგეძლოს. მით უმეტეს, როცა ლაპარაკია ისეთ დიდ კლუბზე, როგორიც „იუვენტუსია“.

— მიმდინარე სეზონში თქვენს ანგარიშზე ათზე მეტი საგოლე გადაცემაა. ასისტენტის როლში ყოფნა მოგწონთ?

— მეჩვენება, რომ „იუვენტუსში“ ერთი წლის განმავლობაში უფრო მეტი მივიღე, ვიდრე „აიაქსში“ სამი წლის მანძილზე ასპარეზობისას. შეიძლება საქმე ტაქტიკაშიცაა: 4-3-3 სქემაში, რომლითაც ადრე მიწევდა თამაში, მანევრისთვის უფრო ნაკლები სივრცე მქონდა. ფაბიო კაპელო კი, ამისთვის უფრო მეტ შესაძლებლობას მაძლევს, რისი წყალობითაც პარტნიორებსაც ვამარაგებ საგოლე პასებით.

— რა გავლენა მოახდინა თქვენზე კაპელომ?

— გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ კაპელო უდიდესი მწვრთნელია. მოხარული ვარ, იმ მოთამაშეთა სიის სათავეში რომ აღმოვჩნდი, რომელთა შორისაც „რომადან“ „იუვეში“ გადმოსვლის შემდეგ, კაპელო არჩევანს აკეთებდა. ამ სპეციალისტის დიდი მადლიერი ვარ. მან საუკეთესო თვისებები გამომავლენინა. კაპელოს ხელში გავიზარდე როგორც ფეხბურთელი და როგორც ადამიანი.

— შეიძლება ასეცაა, მაგრამ ვერც იმას უარყოფთ, რომ კაპელო მოედანზე გამოჩენილი უდისციპლინობისა და ეგოიზმისთვის არცთუ ისე იშვიათად გაკრიტიკებთ.

— არც უარვყოფ, რა აზრი აქვს? საკუთარ ჩვევებს ხომ ვერაფერს მოუხერხებ. ის ვარ, რაც ვარ, მიუხედავად იმისა, მოვწონვარ თუ არა ვინმეს. რა თქმა უნდა, საკუთარი ემოციების კონტროლს ვცდილობ, მაგრამ ეს ყოველთვის როდი გამომდის.

— „იუვენტუსის“ საიდუმლოება რაში მდგომარეობს?

— ერთსულოვნებაში, ურთიერთგაგებაში. თუ ტრავმის გამო რომელიმე ფეხბურთელი მწყობრიდან გამოდის — მას აუცილებლად სხვა ცვლის, თანაც ეს შედეგზე არ აისახება.

— მიუხედავად ამისა, ვიეირას ტრავმა გუნდისთვის მაინც დიდი დარტყმა იყო...

— მე ის არ მითქვამს, წამყვანი ფეხბურთელის ტრავმა უკვალოდ ჩაივლის მეთქი. მხედველობაში მხოლოდ ის მქონდა, რომ ლიდერის გარეშე დანარჩენი ფეხბურთელები ერთ მუშტად იკვრებიან და ტრავმირებული მოთამაშის სამუშაოსაც თავად ითავსებენ. რა თქმა უნდა, ამისთვის მეტი ძალისხმევაა საჭირო, მაგრამ გამარჯვებებს მაინც ვაღწევთ. რაც შეეხება ვიეირას, ის „იუვენტუსის“ შესანიშნავ შენაძენად იქცა. მას საერთაშორისო არენაზე მიღებული უდიდესი გამოცდილება აქვს, გარდა ამისა, პატრიკი მთელი 9 წლის მანძილზე „არსენალის“ ღირსებას იცავდა. ვიეირამ მსოფლიო ჩემპიონატზეც გაიმარჯვა. ამის შემდეგ, გასაკვირი უნდა იყოს ის, რომ ასეთმა ფეხბურთელმა გუნდი გააძლიერა? აი, ჩემპიონთა ლიგაში კი, ფრანგს წარმატებისთვის ჯერაც არ მიუღწევია. თუმცა, ევროარენაზე გამარჯვება თითოეული ჩვენგანის ოცნებაა, ასე რომ, ამ ტიტულისთვის ყველა ერთად, თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ.

— როგორ ფიქრობთ, დამსახურებულად მიიღო რონალდინიმ „ოქროს ბურთი“?

— მან პრიზი დაიმსახურა. იგი არაჩვეულებრივი მოთამაშეა, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. ნამდვილად მიხარია, ჯილდო მას რომ გადაეცა და სულაც არ მშურს მისი. „ოქროს ბურთის“ დაუფლება ჩემთვის თვითმიზანი არ არის, იგი რაღაც ბონუსივითაა. თუ ოდესმე მას მეც დავეუფლები, ნამდვილად კარგი იქნება, თუ არა და, ამასაც მშვიდად გადავიტან.

— ამ სეზონში უფრო ცოტა გოლი გაგაქვთ, ვიდრე წინაში...

— არ ვიცი, შესაძლებელია, ხანდახან ფორტუნა ზურგს გვაქცევს. სამაგიეროდ, არაერთი საგოლე გადაცემა განვახორციელე და საერთო ჯამში, უფრო კარგად ვთამაშობ, ვიდრე გასულ სეზონში. ჩემს საგოლე პასებს ისეთივე ფასეულობა აქვს, როგორიც გოლებს. შესაბამისად, გუნდისთვის სარგებლობა მომაქვს.

— მთელი იტალია მარკო ვან ბასტენს გადარეთ. ხომ არ გაღიზიანებთ ის, რომ იგი ძველი ეპოქის ლეგენდაა?

— არავითარ შემთხვევაში. ვან ბასტენი უდიდესი ფორვარდია, ნამდვილი სუპერვარსკვლავი. შესანიშნავი იქნება, თუ ამ ლეგენდას თამაშის ხარისხით მართლაც მივუახლოვდები. ერთხელ ფაბიო კაპელომ თავისთან მიხმო და „მფრინავი ჰოლანდიელის“ გოლები მაჩვენა. დიდი სიამოვნება მივიღე, ბევრი სიახლეც შევნიშნე. კაპელო ვან ბასტენთან მუშაობდა, მის თამაშს კარგად იცნობდა. ამიტომაც შემთხვევითი სულაც არ იყო ის, რომ დონ ფაბიომ ჰოლანდიელისაგან ზოგიერთი ნიუანსის გადაღება მირჩია.

— კიდევ რა გასწავლათ მწვრთნელმა?

— წონაში მომატება მთხოვა. ადრე 82 კგ-ს ვიწონიდი, ამჟამად 95 კგ ვარ. კუნთების მასა მცველებთან ძალისმიერი ორთაბრძოლისას მეხმარება, ადრე ტრენაჟორების დარბაზში ამდენი არასოდეს მივარჯიშია. თუმცა მოძრაობის სისწრაფე და რეაქტიულობა არ დამიკარგავს. ასე რომ, ოპონენტებისთვის კიდევ უფრო უხერხულ მეტოქედ ვიქეცი.

— იტალიის ჩემპიონატში „იუვენტუსი“ უდავო ფავორიტია, მა-

გრამ ჩემპიონთა ლიგაში მას უფრო უჭირს. რას ფიქრობთ მომავალ მეტოქეზე — გერმანულ „ვერდერზე“?

— გერმანულ კლუბებთან ყოველთვის რთულია თამაში. ისინი უკან არასოდეს იხევენ, თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ დიდი ანგარიშით აგებენ. მიუხედავად ამისა, იმედი გვაქვს, რომ „ვერდერის“ ბარიერს გადავლახავთ და შემდეგ, სხვა კონკურენტებსაც ჩამოვიცილებთ გზიდან.

— რისი იმედი უნდა ჰქონდეს. შვედეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე?

— თავდაპირველად, ქვეჯგუფიდან გასვლისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ალბათ, მთავარი მეტოქე ინგლისის ნაკრები იქნება, რომელსაც ერიქსონი უდგას სათავეში. თუმცა ჩვენც ძალიან კვალიფიციური მწვრთნელი გვყავს. ამიტომ, თავის მოსაწყლება საჭირო არ არის. შემდეგ კი ისევე უნდა ვიმოქმედოთ, როგორც გასულ ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთის ნაკრები მოქმედებდა. ამ გუნდისგან განსაკუთრებულს არავინ არაფერს ელოდა, მაგრამ ბერძნები ევროპის ჩემპიონები გახდნენ. ისე კი, თუ ობიექტურები ვიქნებით, გერმანიაში ფინალამდე მისვლის იმედი არ უნდა გვქონდეს. აღარაფერს ვიტყვი უკვე საბოლოო გამარჯვებაზე.

— მთავარ ფავორიტად ვის მიიჩნევთ?

— რა თქმა უნდა, ბრაზილიის ნაკრებს, რომელიც მართლაც ფანტასტიკური გუნდია. მხოლოდ მათი ფეხბურთელების სახელების ჩამოთვლით თავბრუ დაეხვევა კაცს. მათ უკან კი, არგენტინა, იტალია, ჰოლანდია, საფრანგეთი დგანან. არ უნდა დავივიწყოთ გერმანიაც, რომელიც ტურნირის მასპინძელია. ვინ იცის, იქნებ, სხვა რომელიმე გუნდიც „გამოხტეს“. თუმცა „გუნდ-სიურპრიზს“ ამ მონსტრებთან ბრძოლა ძალიან გაუჭირდება.

— რომელმა გუნდებმა გაგაკვირვეს შესარჩევ ტურნირზე?

— ტრინიდადი და ტობაგომ, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. აი, ამას ნამდვილად არ მოველოდი. მათთან თამაში საინტერესო იქნება *(შვედეთის ნაკრები ქვეჯგუფში პარაგვაის, ინგლისისა და ტრინიდადი და ტობაგოს გუნდებთან მოხვდა. — რედ.)* ნეგატიური თვალსაზრისით კი, თურქეთისა და კამერუნის ნაკრებებმა გამაკვირვეს, მათ ხომ გერმანიაში გასამგზავრებელი საგზურები ვერ მოიპოვეს.

— იტალიაში დღესაც ლაპარაკობენ „სკუადრა აძურას“ კარში, ევროპის ჩემპიონატზე თქვენ მიერ გატანილი არაჩვეულებრივი გოლის შესახებ. როგორ გამოგდით ასეთი შედევრები?

— ყველაფერი სპონტანურად ხდება. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, „რომასთან“ შეხვედრაში ისეთი გოლი გავიტანე, რომ მერე საკუთარ თავს ვუთხარი: „მამა მია, ეს რა ჩავიდინე!“ პატარა შედევრი გამომივიდა, თუმცა ამისათვის წინასწარ არ ვემზადებოდი. უბრალოდ, ძალიან მიყვარს იმპროვიზება.

— იტალიური ფეხბურთი უხეშად ითვლება. ეს გარემოება აპენინზე გადასვლისას ხომ არ გაშინებდათ?

— ჩემი შეშინება არც ისე იოლია. თქვენ რომ გენახათ, როგორ უბანში ვიზრდებოდი, უმალვე მიხვდებოდით, თუ რატომ გეუბნებით ამას. ჩემ გარშემო იმდენი კუნთმაგარი ბიჭი ტრიალებდა, რომ თავდაცვა ძალაუნებურად ვისწავლე. სწორედ ამიტომ, დიდ პატივს ვცემ აღმოსავლურ ორთაბრძოლებს და არა ვთქვათ, სპორტის ზამთრის სახეობებს, რომლებიც შვედეთში ასე პოპულარულია.

— მაგრამ თხილამურებით სრიალი მაინც ხომ იცით?

— ღმერთო ჩემო, ეს არც კი მიცდია!.. და არც ვაპირებ ოდესმე ამის გაკეთებას. ზამთრის სპორტის სახეობები საჩემო ნამდვილად არ არის.

— ასე რომ, მომავალ ზამთრის ოლიმპიადას, რომელიც ტურინში გაიმართება, თვალს არ მიადევნებთ?

— რატომაც არა? ზოგიერთ შეჯიბრებას ტელევიზორში ვუყურებ. მარტო ფეხბურთი კი არ მიყვარს, სხვა დისციპლინებიც მიტაცებს. თუმცა, ზამთრის ოლიმპიადას მაინც ზაფხულისას ვამჯობინებ. ■

ანა სიცოცხლით ტკბება

მაშინ, როდესაც მარტინა ჰინგისი კორტზე დაბრუნდა, ხოლო მონიკა სელესი სერიოზულად ფიქრობს სპორტული კარიერის განახლებას, ანა კურნიკოვა ბოჰემური ცხოვრებით ერთობა. მოგზაურობა, კონცერტები, საზეიმო მიღებები, მაღაზიებში სიარული... როგორც თავად რუსი ლამაზმანი ამბობს, მას ჩოგნის კვლავ ხელში აღების პერსპექტივა სულაც არ აღაფრთოვანებს. რა საჭიროა ეს, თუ პრესის ყურადღების ცენტრში ყოფნა მას ისედაც გარანტირებული აქვს? ამჟამად ჟურნალ-გაზეთების გვერდებზე მოხვდა სურათები, რომლებზეც ანა კურნიკოვა კარიბის ზღვის სანაპიროზე ყოფნის დროსაა გადაღებული. ყოფილი ჩოგბურთელი ენრიკე იგლესიასთან ერთად სწორედ იქ შეხვდა ახალ წელს. ■

ოლიმპიური სიმღერა „პეკინი-2008“-სთვის

მომავალი ოლიმპიური თამაშების, „პეკინი-2008“-ის საორგანიზაციო კომიტეტმა ოლიმპიადის ჰიმნის შექმნაზე კონკურსი გამოაცხადა. — „ამ ღონისძიების მიზანი ის არის, რომ შეირჩეს საუკეთესო სიმღერა, რომელიც პეკინის ოლიმპიადას ყველაზე მეტად მიესადაგება. მისი დევიზი უნდა იყოს — „ერთი სამყარო — ერთი ოცნება“, — ნათქვამია საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებებში. ნებისმიერ ქვეყანას უფლება ეძლევა, ჟიურის წარუდგინოს სიმღერა, რომელშიც 2008 წლის ოლიმპიადის მთავარი იდეა — ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად ღონისძიების ჩატარება — იქნება ასახული. ■

წინათ ასე ყოფილა სახალხო ხუმრობები

როგორი სტატიები იწერება დღეს ჟურნალ-გაზეთების საახალწლო ნომრებში, ყველასთვის ცნობილია. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება იმის გარკვევა, თუ როგორ ულოცავდა ამ დღეს მკითხველებს ჩვენი პრესა ათწლეულების წინ. ამ მიზნით, თავის დროზე პოპულარული ჟურნალების — „ნიანგისა“ და „დროშის“ ძველი ნომრები გადავფურცლეთ...

დღეს, ხელისუფალნი ხშირად გვახარებენ — ქვეყანაში კორუფციის დონე საგრძნობლად შემცირდაო, — მავანნი კი იმას ამტკიცებენ, რომ კორუფცია საქართველოში დღეს ისე ყვავის, როგორც არასოდეს. როგორც ჩანს, ეს პრობლემა ათწლეულების წინაც აწუხებდა ქვეყანას. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ***1973 წლის „ნიანგის“*** *საახალწლო ნომერში ვერც ეს პატარა ფელეტონი მოხვდებოდა:*

„ახალი წელი ჰა, ჰა, კარების შეგლეჯვას აპირებდა წარსულაძის ოჯახში. ცოლ-ქმარი ნელ-თბილ რადიატორს ეფიცხებოდნენ.

— გახსოვს, ვარა, შარშან ამ დროს, იმ საწყობის გამგემ რომ მოგვილოცა და ის რომ მოიტანა?

— მახსოვს, აბა არ მახსოვს? რვაასმანეთიანი სპარსული ბეჭედი...

დუმილი.

— გახსოვს, პეტიკო, შარშან ამ დროს შენმა მთავარმა ბუღალტერმა ექვსასმანეთიანი „სეიკო“ მოგიტანა?

— მახსოვს, აბა არ მახსოვს? ჩემმა ექსპედიტორმა რომ ხუთასმანეთიანი ქურქი მოგართვა, გახსოვს?

— მახსოვს, აბა არ მახსოვს? მერე შენ სანაძლეოზე წითელ ხიდზე რომ დაწვი.

— გახსოვს, ვარა, შარშან ამ დროს, ჩემმა ტექნოლოგმა 200-მანეთიანი ლარნაკი რომ მოგიტანა, შენ კარებშივე გაგიტყდა, იმან გულისტკენაც არ გვაცალა და სხვა, უფრო ძვირფასი ლარნაკი მოარბენინა იმ ღამესვე?

— გახსოვს, პეტუშა, ახალ წელს, გამთენია, შენი თანამშრომლებით, კიკეთში რომ ავედით ხაშზე, ყველა რომ იძახდა — „რა ხელმა ააგო, რა ნიჭმა ააგო!“

— მახსოვს, შე ქალო, აბა არ მახსოვს? რა ძველი ამბავი ეგ არის!

„მახსოვს“ — „აბა არ მახსოვს“... დიდხანს ისმოდა იმ ღამეს. ახალი წელი ქრთამისა და ძღვენის გარეშე შედიოდა წარსულაძის ოჯახში“.

ახალი წლის შეხვედრა ტრადიციული ქართული სუფრით ცოტა ძვირი სიამოვნებაა. ალბათ დღესაც, ბევრი ვარლამი ცხოვრობს ჩვენს საზოგადოებაში... ალბათ, მიხვდით — იმ ვარლამზე მოგახსენებთ, ცოლმა ბაზარში საახალწლოდ ინდაურის საყიდლად რომ გაუშვა... განსხვავება მხოლოდ ერთია — დღეს, ინდაური 11 მანეთი აღარ ღირს...

1974 წლის „ნიანგის“ *ნომერში ვკითხულობთ:*

„—ვარლამ!

ჩემი ცოლი როცა სრულ სახელს მეძახის, ბოლოში მკვეთრად ჩამოქნილი ძახილის ნიშნით, ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარ კარგად მოფიქრებული, აგრესიული თავდასხმის სტრატეგიული გეგმის განხორციელებას იწყებს.

— ყველა ნორმალურ ოჯახს საახალწლო სუფრაზე ინდაური აქვს, არა?

— რა თქმა უნდა, ძვირფასო.

— მე შენი ძვირფასო არ ვარ! ჩვენ გვაქვს ინდაური?

— აა... არა!

— გამაგიჟებს ეს ადამიანი, ვინ ხარ კაცო, შენ?

— შენი ქმარი, — შევახსენე მე. — ისე, შენ როგორ იცი? უფულოდ აძლევენ ბაზარში ინდაურს, ძვირფასო?! — უკაცრავად, ძვირფას ინდაურს?

— აი, თერთმეტი მანეთი და 10 წუთში, ან მამალ ინდაურს გააჩენ, ან 1975 წელს არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა.

თვალის დახამხამებაში ნაუცბათევად წამოსხმული პალტოთი და თავზე ჩამოფხატული ქუდით ქუჩაში აღმოვჩნდი.

გაგიგიათ, რომ ინდაური 11 მანეთი ღირდეს?.. თანაც საახალწლო ინდაური?

ბაზარში, რაღა თქმა უნდა, ეს ამბავი დაკლულ ინდაურებსაც კი სიცილად არ ეყოთ, ცოცხლები კი ისე გაიფხორნენ, რომ მათ აქა-იქ გადარჩენილი კომბინატორის მეტი ვერავინ იყიდდა.

სახლში ერთი მომხრჩვალი მამლაყინწათი დავბრუნდი — შენ... ვის იგდებ მასხრად?! — ცოლს სიტყვები ყელში გაეჩხირა.

მე და მამალი უკვე "SOS"-ის ყივილს ვაპირებდით, რომ ტელეფონი აწკრიალდა. როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე ვეცი ყურმილს.

— რომელი ხარ, ვარლამი? (ჩემი სიდედრი რეკავდა... ესღა მაკლდა!..) ვიცი შენი მარიფათის ამბავი! გამოდი და გოჭი და ინდაური წაიღე. გაკეთებულია, მხოლოდ შეწვა უნდა. ბავშვს აკოცე!

ვინ თქვა, რომ სიდედრი...

გაუმარჯოს ყველა სიდედრს და საახალწლო ინდაურს“.

თურმე საახალწლოდ ნანახი სიზმრებიც სხვანაირად ცხადდება. მაგალითად: თუ საახალწლოდ სიზმარში პოლიციელი (წინათ — მილიციელი) ნახე, ახალ წელს მეკვლედ სიდედრი გესტუმრება, ხოლო თუ სიზმარში სიდედრი ნახე, შინ პოლიციელი მოგაკითხავს.

მოგეხსენებათ, საახალწლო ტრადიციები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. ***1984 წლის „ნიანგში“*** *ჟურნალისტი ზაზა ქინქლაძე მკითხველს საახალწლო კალეიდოსკოპს სთავაზობს, სადაც ვითხულობთ:*

„მოდით გადავხედოთ საახალწლო წეს-ჩვეულებებს. ვფიქრობ, აქაც შეიძლება საინტერესო სიახლეების შემოთავაზება. ასე, მაგალითად, ავიღოთ **ეთიოპია**. იქ დღესასწაულის წინა ღამით სავალდებულოა მდინარეში ბანაობა, რათა წლის ყოველი ბოროტებისა და უიღბლობისაგან გაიწმინდონ. მოგეხსენებათ, მტკვარი ის მდინარე არ არის, რომელშიც იანვარში ბანაობა გამოგვადგება. ასე რომ, ეს ჩვენ არ გამოგვაგდება.

გვინეა — იქ ახალი წლის პირველ დღეს მიღებულია ქუჩებში სპილოების ტარება, ხალხი მღერის და ცეკვავს! ვინაიდან თბილისში ერთი სპილოა და ისიც ზოოპარკში, ესეც შეუძლებელია ჩვენთვის.

ფრანგეთის საახალწლო წეს-ჩვეულებები ძალიან ჰგავს ჩვენსას. იქაც ჰყავთ თოვლის პაპა — იგივე პერ ნოელი, რომელიც საჩუქარით ავსებს ბავშვების ფეხსაცმელებს. ჩვენ არაფერი გვაქვს ამის საწინააღდეგო, მაგრამ რატომ ბავშვის ფეხსაცმელი? — არა სჯობს, კაცის ფეხსაცმელი იყოს და თანაც ორივე?

რაც შეეხება **დანიას,** იქ მართლაც მისაბაძი წესრიგია. ქიმიკოსებმა შექმნეს პრეპარატი, რომელსაც სუნი არ აქვს ცელსიუსის 0 გრადუსამდე, მაგრამ ოთახის ტემპერატურაზე საშინლად ყარს. ამ ფხვნილს ახალი წლის წინ, ნაძვის ტყეებს აფრქვევენ. პოლიციას ისღა დარჩენია დაელოდოს იმ მოქალაქეთა მეზობლების საჩივარს, რომელთაც ნაძვის ხის მოპარვა იკადრეს. ეს, რა თქმა უნდა,

მეტად ეფექტური საშუალებაა ტყის დასაცავად“...

ისე, ამ წესს ჩვენი გარემოს დაცვის სამინისტროც თუ გაითვალისწინებს, ურიგო არ იქნება. ბევრ ბრაკონიერსაც დაიჭერენ, მომჩივანი მეზობლების დახმარებით. „ითანამშრომლე პოლიციასთან!“ — ეს მოწოდება ხომ, დღეს ქართველი სამართლადამცველების მთავარ ლოზუნგად იქცა...

„დღეს უნდა მოვასწროთ, თორემ საცაა, დაიწყება ახალი წელი...“ — *ვკითხულობთ* ***1966 წლის „დროშის“*** *ფურცლებზე.* — ხელთ ვეებერთელა სია გვიჭირავს და გზაზე ვდგავართ — უნდა ვესაუბროთ ჩვენს სასიქადულო ადამიანებს, მივულოცოთ, დღეგრძელობა ვუსურვოთ. შევიტყოთ, როგორ ხვდებიან ახალ წელს და აი, ვისგან დავიწყოთ. ვსხდებით მანქანაში — საით?

იპოლიტე ხვიჩია

ვიფიქრეთ — ამ სასიამოვნო და სასიხარულო დღეს, იპოლიტე ხვიჩიაზე უფრო მხიარულ კაცს სად ვიპოვითო?! თეატრისკენ გავეშურეთ, ერთი ფეხით გაესწრო — საყიდლებზე წავიდაო, — გვითხრეს. იპოლიტე საკონდიტროში აღმოვაჩინეთ.

— შენი ჭირიმე, 100 გ მოხალული ნუში მინდა, თამადას დავპირდი.

— ნუში? არა გვაქვს, აფთიაქში მიბრძანდით!

— ვიყავი, ლამაზო, იქიდან აქ გამომგზავნეს.

ვასო გოძიაშვილი სავარძელში იჯდა და ფიქრში წასული ათვალიერებდა რაღაც ესკიზებს. ვკითხე, რას ჩასცქეროდა ასეთი ინტერესით.

— ეს ჩემი არქივია, აგე, შეხედეთ, ჩემი მეფე ერეკლე, რიჩარდი, ლუარსაბი, ავეტიკა, მოკლედ მე და ჩემი გმირები სულ აქ ვართ. მომენატრა მათთან გასაუბრება. როგორ ხვდები ახალ წელს?.. ფიქრად მაქვს ამ ძველებს ახლები მივუმატო, ჩემი გმირების არმია უფრო მეტად გავზარდო“...

„ნიანგი“ თავის ერთგულ მკითხველებს კი ასეთ რჩევას აძლევს: „თუ არ ექნება ატესტაცია გავლილი, თოვლის პაპას კარი არ გაუღოთ“, — და შეახსენებს, რომ იტალიელებს ერთი საყურადღებო ჩვეულება აქვთ: „სანამ ახალი წელი კარს შემოაღებდეს, ყველა ძველმანს გარეთ ყრიან.

ურიგო არ იქნება, თუ ჩვენც დავამკვიდრებთ ანალოგიურ წეს-ჩვეულებას, ოღონდ, მატერიალური ნაგვით კი არ უნდა დავანაგვიანოთ ქუჩა, არამედ „სულიერი ნაგავი“ გავუძახოთ გარეთ. ცხადია, ვისაც რა შემოგვრჩა: უმადურობა, ეგოიზმი, სიყალბე, ანგარება, შური და სიხარბე, ორპირობა და სხვა ათასი ოხრობა და ტიელობა.

აბა, თქვენ იცით!..

კეთილმოსურნე“.

საახალწლო ფრაზები

• ახალმა წელმა თქვა: ზოგიერთები ყველაფერს მე მთხოვენ, საკუთარ თავს კი — არაფერსო.

• ძველმა წელმა უთხრა ახალს, წარსულს ვბარდები, მაგრამ მომავლის მსახურად ვრჩებიო!

• მარტოხელა კაცმა თქვა: საკუთარ სახლში მეკვლეც მე ვარ, მახარობელიც, მასპინძელიც და სტუმარიცო.

• ძველმა წელმა უთხრა ახალს: სად ხარ? სულს ვლევ შენს მოლოდინშიო.

ახალი წელი ერთადერთი რამ არის, რასაც არც მოსვლა აგვიანდება და არც წასვლა.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს წელი ჩვენი ქვეყნისთვის! მე კი ალმანზორ თავაძის სიტყვებით დაგემშვიდობებით:

„დაე, მომავალი წლიდან, ვძლიოთ ტაში და ტუში

და ვიყოთ უფრო წმინდა, ვიდრე ვიყავით გუშინ!..“

მოამზადა თამუნა კვინიკაძემ

ვასო გოძიაშვილი

ტესტი მრუდიციაზე

1. რა ჰქვია ფიჭიან თაფლს:



ა) ხავიწი;
ბ) კიპრუჭი;
გ) წიპწა.

2. მსოფლიო მასშტაბით წერა-კითხვის უცოდინარი ქალების რაოდენობა წერა-კითხვის უცოდინარ მამაკაცებზე:

ა) 2-ჯერ მეტია;
ბ) ტოლია;
გ) 2-ჯერ ნაკლებია.

3. „დამერწმუნეთ, მე სულაც არ მივეკუთვნები მაქსიმ გორკის თაყვანისმცემელთა რიგს“, — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?



ა) მაქსიმ გორკის;
ბ) ლენინს;
გ) ესენინს.

4. რომელი წლიდან ითვლება იაპონელი ახალგაზრდა ზრდასრულ ადამიანად, რომელსაც ალკოჰოლის მიღებისა და არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს:



ა) 18 წლიდან;
ბ) 20 წლიდან;
გ) 16 წლიდან.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დეტროიტის სალონი: 700 ავტომობილი, 29 პრემიერა

8 იანვარს, აშშ-ის ამ ქალაქში უკვე ტრადიციული საერთაშორისო ავტოსალონი — NAIAS (North American International Auto Shou) — მეთვრამეტედ გაიხსნა. თუმცა, 14 იანვრამდე, მასზე წარმოდგენილი მოდელები ფართო საზოგადოებისთვის მიუწვდომელი იქნება და მას მხოლოდ სპეციალისტები და მასმედიის წარმომადგენლები გაეცნობიან.

წლეულს, ექსპოზიცია 300 ათას კვმ ფართობს იკავებს. მისი დარბაზების დასამშვენებლად, 68 ათასი კვმ სახალიჩე ქსოვილი დაიხარჯა, რაც 750 საფეხბურთო მოედნის ფართს უდრის. ტერიტორიის მოწყობაში 1500-მდე მუშა-მოსამსახურე მონაწილეობდა, სტენდებს 1750 ადამიანი გაუწევს მომსახურებას, ხოლო დაცვას 450 პოლიციელი უზრუნველყოფს. სალონზე 63 ქვეყნის წარმომადგენელი 7000-მდე ჟურნალისტი იმუშავებს.

ექსპოზიციაზე 700-მდე ავტომანქანა იქნება წარმოდგენილი, მათ შორის, სერიული მოდელების 19, ხოლო კონცეპტუალური მოდელების 10 პრემიერა შედგება; მას 7 ჩრდილოამერიკული პრემიერაც დაემატება. ■

Jeep Compass

ეს ყველგანმავალი, რომლის პრემიერაც ამჟამად მიმდინარე, დეტროიტის სალონზე შედგება, უკვე წლის შუა პერიოდისთვის, ევროპის ავტობაზარზეც გამოჩნდება. სპეციალისტთა ვარაუდით, ეს მანქანა ჯიპის სამოდელო რიგში ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი იქნება და თავის ძირითად კონკურენტებს — Toyota RAV4-სა და Mitsubishi Outlander-ს დაჯაბნის.

Compass იმავე პლატფორმაზეა აგებული, რომელზეც ახალი Dodge Caliber. ეს ორი მანქანა ტექნიკური თვალსაზრისითაც თითქმის იდენტურია: ორივეს აწარმოებენ, როგორც მონო, ასევე სრულამძრავიანი ვერსიით; ორივე აღჭურვილია 172 ცხ.ძ. სიმძლავრის 2,4 ლ-იანი ბენზინის ძრავათი. ოღონდ, ევროპაში დიზელის აგრეგატით აღჭურვილი Jeep Compass გაიყიდება, რომელსაც 150 ცხ.ძ. სიმძლავრე ექნება.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ახალი ყველგანმავალი ერთდროულად რამდენიმე თავის კონკურენტს ჰგავს, რომელსაც იაპონიასა და კორეაში აწარმოებენ: მაგალითად, უკანა დგარის ფორმით, ის Toyota RAV4-ს მოგაგონებთ, სილუეტით კი — ახალ Hyundai Santa Fe-ს. ამავე დროს, მას შენარჩუნებული აქვს Jeep-ის მარკის საკვანძო ელემენტები; რადიატორის ცხაურის 7 ვერტიკალური სექცია, მომრგვალო ფორმის მაშუქები, „ვაჟკაცური“ წინა ბამპერი. ■

Aston Martin

ბრიტანულმა კომპანიამ დეტროიტში კონცეპტუალური მოდელი — Aston Martin Rapide — წარმოადგინა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს იმ 4-კარიანი მოდელის პროტოტიპია, რომელიც შეიძლება, უახლოეს 2-3 წელიწადში, სერიულ წარმოებაში მოხვდეს.

Rapide-ის საფუძველს წარმოადგენს პლატფორმა, რომელზეც აგებულია მოდელები — DB9 და Vantage. ოღონდ, კონცეპტი მათზე 30 სმ-ით გრძელი და რამდენადმე მაღალიცაა. ამგვარად, მასში მგზავრები უფრო კომფორტულად იგრძნობენ თავს. სტილის სფეროში საინტერესო სიახლეებად სპეციალისტები მიიჩნევენ კარებს, რომლებსაც არა აქვს ფანჯრის ჩარჩოები და გამჭვირვალე სახურავს, რომელიც წინა საქარე მინიდან იწყება და უკანა კარის ჩარჩოსთან მთავრდება. სალონში გამოყენებულია ძვირად ღირებული ტყავი და ხე, ხოლო უკანა სავარძლებზე მოკალათებული მგზავრებისთვის თხევადკრისტალური მონიტორებია განკუთვნილი.

კონცეპტი ძრავას, სერიულ მოდელებს დაესესხა. ეს გახლავთ 12-ცილინდრიანი ფორსირებული აგრეგატი, რომელიც 480 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. ექსპერიმენტულ მანქანაზე კერამიკული სამუხრუჭე დისკებია დაყენებული. არაა გამორიცხული, რომ ეს ოპცია მალე, სერიულ მოდელებზეც გაჩნდეს.

P.S. დეტროიტში წარმოდგენილ საუკეთესო მოდელებს „გზის“ მომდევნო ნომრებში წარმოგიდგენთ. ■



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. კოპენჰაგენი; 2. პიცა; 3. ცეცე; 4. ნეპალი; 5. ზამინდარი; 6. გენეზისი; 7. ნესვი; 8. რეცეპტი; 9. მხეცი; 10. ესე; 11. ავტორი; 12. ნეზვი; 13. როტა; 14; არვე; 15. დოლი; 16. კარატი; 17. სვავი; 18. პრესა; 19. არსი; 20. ბაზიერი; 21. დალასი; 22. სოფია; 23. ბლერი; 24. რადა; 25. პატიო; 26. ფიდე; 27. სამება; 28. მალამო; 29. ლოდი; 30. სენტავო; 31. ჩილე; 32. ფასადი; 33. ირა; 34. ასფალტი.

სურათზე: კურტ რასელი.

59-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა; 4-ბ.

ოლიმპიური სიმშვიდე

ამ გამოთქმას, დინჯი, ზომიერი, მშვიდი, დარბაისელი, ყოველგვარ წუხილს, შეჭირვებას და შიშს მოკლებული სულიერი განწყობილების აღსანიშნავად იყენებენ, უფრო ხშირად — ირონიულად. ძველი ბერძნების წარმოდგენით, ოლიმპის მთა ღმერთების სამყოფელი იყო, სადაც სიწყნარე და მშვიდობა სუფევდა.

პანამა, პანამის სკანდალი

ხატოვნად — ფართო მასშტაბის ბოროტმოქმედებას ნიშნავს. ამ გამოთქმის წარმოშობა დაკავშირებულია პანამის არხის გასათხრელად საფრანგეთში დაარსებულ სააქციო საზოგადოებაში 1889 წელს აღმოჩენილ გრანდიოზულ ბოროტმოქმედებასთან. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბოროტმოქმედებას ხელს უწყობდნენ მოსყიდული მინისტრები, სენატორები, მაღალი რანგი სახელმწიფო მოხელეები, პრესის წარმომადგენლები.

XIX საუკუნეში, საჭირო გახდა, გათხრილიყო არხი წყნარ და ატლანტის ოკეანეებს შორის, რომელიც შეამოკლებდა ამერიკასა და ევროპას შორის დამაკავშირებელ გზას. 1881 წელს, ინჟინერ ფერდინანდ ლესეპსის ინიციატივით, საფრანგეთში ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება, პანამის არხის გასათხრელად. საბრუნავი თანხა 300 მილიონ ფრანკს შეადგენდა. 1889 წელს, ეს თანხა მთლიანად დახარჯული აღმოჩნდა. მუშაობა შეწყვიტეს. 92 აქციონერი პასუხისგებაში მისცეს. მათ შორის, იყო ეიფელის კოშკის მშენებელი, ინჟინერი ალექსანდრ გუსტავ ეიფელიც.

ამ ამბის შემდეგ, „პანამა“ გრანდიოზული ფინანსურ-პოლიტიკური სკანდალის სინონიმად იქცა.

ნიანგის ცრემლები

ფარისევლური, მოგონილი ცრემლები. უძველეს დროში არსებული ლეგენდის თანახმად, ნიანგი, ვიდრე თავის მსხვერპლს შეჭამდა, დასტიროდა მას და ბევრ ცრემლს ღვრიდა.

ქარი ენაში ამ ყველაფერი ეამოთქმები

ანეკდოტები

***

სიძის ჩანაწერებიდან

„ახლა ძალიან მიყვარს ჩემი სიდედრი... დღითი დღე სულ უფრო და უფრო მეტად... მალე ორმოციც გვექნება...“

***

სვანი ქალი ექოსკოპიაზე მივა და ექიმი ეუბნება:

— გილოცავთ, თქვენ ფეხმძიმედ ხართ.

— კი, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ ბავშვი ჩემია?!

***

ქმარი და ცოლი ლოგინში წვანან. ქმარი:

— ჩემო ძვირფასო.

ცოლი:

— ძვირფასი მაშინ ვიქნებოდი, სხვა ქალებთან რომ არ დაძვრებოდე.

ქმარი:

— მაშინ ერთადერთი იქნებოდი. ასთე კი ძვირფასი ხარ.

***

სვანმა ცოლი შეირთო და „რექსონა“ დაარქვა, არ მიღალატებსო.

***

რა საერთო აქვთ ხელმძღვანელობას და მიცვალებულებს?

— ორივეზე ან მარტო კარგს ამბობენ, ან საერთოდ არაფერს.

***

კაცი შედის სასადილოში და პიცა უნდა.

— პი-პი-პი...

— უკან დაიხიე, აქ ვერ მოაბრუნებ.

***

რესტორანში კაცი მაგიდასთან მარტო მჯდარ გურულ ქალთან მივა:

— ქალიშვილო, თქვენ ცეკვავთ?

— ვაი, შენს პატრონს!.. ვერ ხედავ, რო კი არ ვცეკვავ, ვჭამ!

***

მეგრელი საპარიკმახეროში შევიდა:

— როგორ ინებებთ თმის გაკეთებას?

— უფასოდ მირჩევნია, მაგალითად.

***

დასისხლიანებულ მიხოს მეზობლები ეკითხებიან:

— რა მოგივიდა მიხო, ხო არ იჩხუბე?

მიხომ პასუხად ბუმერანგი დაანახვა. ბუმერანგის დანახვაზე მეზობლებმა ერთხმად წამოიძახეს:

— მიხო, ეგა ბუმერანგია, გადააგდე!

— ეეე, ერთი საათია მაგასა ვცდილობ, მაგრამა ვერ გადავაგდე, — ამოიბუტბუტა მიხომ.

***

— ვალოდა რატომ არ ჩანხარ სამსახურში ამდენი ხანია?

— უფროსმა მითხრა, სენი წილიმე, ნაახალწლევს მთვრალი არ მოხვიდეო.

***

— ანზორა რა გადაწყვიტეთ შენ და შენმა ნაზიკიამ ახალი წლის მოსვლასთან დაკავშირებით?

— გადავწყვიტეთ — დაე, მოვიდეს.

***

სახელგანთქმული მსახიობი ქალი:

— კარგით, კმარა მარტო ჩემზე ლაპარაკი. ახლა თქვენს თავზე მიამბეთ რამე, მაგალითად, როგორ მოგეწონეთ ბოლო ფილმში?..

***

რეჟისორი ახალგაზრდა მსახიობ ქალს სცენის შინაარსს უხსნის:

— ოთახში მყუდროდ ზიხართ და ტელევიზორს უყურებთ. ამ დროს შემოვარდება მძარცველი, გაგკოჭავთ და გაგაუპატიურებთ. გასაგებია?

— დიახ, რა თქმა უნდა, მძარცველი სიმპატიურია?

— მაშ როგორ.

— მაშინ, გაკოჭვა რა აუცილებელია?

***

ქართველმა მოსკოვში ტაქსი გააჩერა, რომლის საჭესთანაც ქალი იჯდა და ეუბნება:

— რომელიმე იაფფასიან სასროსკიპოში მიმიყვანეთ.

— უკვე იქ ხართ გენაცვალე.

***

— ექიმო რამდენი ხნის სიცოცხლე დამრჩა?

— ექვსი...

— ექვსი წელი, თვე თუ რა?

— ხუთი, ოთხი, სამი...

***

— მინდა გაკოცო ძვირფასო.

— არ შეიძლება, დედაჩემი კოცნის წინააღმდეგია!

— დედაშენის კოცნას არც ვაპირებ!

***

თბილისის მერიაში

— უკაცრავად, ამდენ დროს რომ გართმევთ ჩემი საქმეებით.

— არა უშავს, მაინც არ გისმენთ.

***

ახალგაზრდა მამაკაცმა სანდომიან ხანში შესულ ქალბატონს გული და ხელი სთხოვა.

— თუ გადასანერგად გინდათ, თანახმა ვარ, — უპასუხა ქალმა.

***

კაკუნი კარზე:

— რაფიკა სახლშია?

ცოლი:

— არა.

კვლავ:

— რაფიკა სახლშია?

ცოლი:

— არა.

კაკუნი მესამეჯერ:

— რაფიკა სახლშია?

— კუბოში მენახოს თქვენი რაფიკა!

გარედან:

— ბიჭებო, შაიტანეთ!

***

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანი შვილიშვილს თავისი გმირობის ამბავს უყვება:

— შეუმჩნევლად მივხოხდი, ბაბუ იქამდე და... გერმანელს ფეხი მოვჭერი.

— კი მარა, თავი რატომ არ მოჭერი?

— თავი, ბაბუ, მოჭრილი ჰქონდა უკვე.

თქვენი სულიერი ასაკი

საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება, რომ ქალი იმ ასაკის არის, რამდენი წლისადაც გამოიყურება, ფსიქოლოგების აზრით, მცდარია. ამ მცდარი შეხედულების გავლენის ქვეშ ძალზე ადვილად ექცევიან ზედაპირული ადამიანები ან ისინი, ვინც ქალისადმი ზერელე დამოკიდებულებით გამოირჩევიან. სინამდვილეში, ქალი იმდენი წლის არის, რა ასაკისადაც თავს გრძნობს.

1. ამჩნევთ თუ არა საინტერესო მამაკაცებს:

ა) ქუჩაში — 3;

ბ) საზეიმო ვახშამზე — 2;

გ) საკუთარ ოთახში — 1.

2. რამდენი დრო დაგჭირდებათ მოსაფიქრებლად, რომ დათანხმდეთ სიმპათიურ მამაკაცს შემოთავაზებაზე — კონგოში მასთან ერთად გამგზავრების თაობაზე?

ა) წლები, რათა სათანადოდ გავიცნო ეს მამაკაცი — 0;

ბ) ორი-სამი კვირა, რათა მოვაწესრიგო საქმეები და გავიახლო გარდერობი — 2;

გ) ორიოდე წამი, რათა ვიჩქმიტო იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს სიზმარი არ არის — 3.

3. ზამთარში, როცა გზად მიმავალი ქუჩაში გაყინულ გუბეს გადაეყრებით, თქვენ:

ა) გვერდს აუვლით მას — 1;

ბ) ვერ შეამჩნევთ, მოსრიალდებით და დაეცემით — 2;

გ) გამოიქცევით, ფეხს დაჰკრავთ და ყინულზე გასრიალდებით — 3.

4. საუკეთესო ღვინით სავსე ბოთლის გატეხისას, თქვენ პირველ რიგში:

ა) მონშენდთ იატაკს და გულდასმით მოაგროვებთ ბოთლის ნამსხვრევებს — 1;

ბ) წუთ-ნახევრის განმავლობაში ხმამაღალი ლანძღვით მოიოხებთ გულს — 2;

გ) იატაკიდან აიღებთ ბოთლის მოზრდილ ნამსხვრევს, დახუჭავთ ცალ თვალს და მეორე თვალით ნამსხვრევის მეშვეობით გარემოს თვალიერებას დაიწყებთ — 3.

5. რომელ უცნობს უფრო მეტი შანსი აქვს თქვენი გულის მოსაგებად:

ა) იმას, ვინც თქვენ წინაშე საკუთარი ლიმუზინის კარს ფართოდ გამოაღებს — 2;

ბ) იმას, ვინც ფილარმონიაში გამართულ კონცერტზე დასასწრებად ზედმეტ ბილეთს შემოგთავაზებთ — 1;

გ) იმას, ვინც ცაში გაშვებული ფრანის დაბურდული ძაფის გახსნაში დახმარებას გთხოვთ — 3.

6. რა უფრო გაღიზიანებთ:

ა) თქვენი სატრფოს მიერ ოთახში მოწყობილი არეულობა — 1;

ბ) თქვენი კატის მიერ ოთახში მოწყობილი არეულობა — 2;

გ) თქვენი კანონიერი მეუღლის მიერ ყოველდღიურად, რვიდან ცხრა საათამდე, ოთახის დალაგების პროცესი — 3.

7. მიგაჩნიათ თუ არა, რომ შვილი არის საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ

ა) განამტკიცოთ ოჯახური ურთიერთობა — 0;

ბ) ყოველდღიურად არ ეთრიოთ სამსახურში — 1;

გ) კვლავ მოგეცეთ საშუალება, აშენოთ ქვიშის გვირაბები, ნაკადულში გაუშვათ ქაღალდის ხომალდები და იქანაოთ საქანელებზე — 3.

8. თუკი ცნობილი პროდიუსერი შემოგთავაზებთ სამამულო „საპნის ოპერის“ სცენარის დაწერას, თქვენ:

ა) უარს იტყვით, რადგან მიგაჩნიათ, რომ ეს თქვენი საქმე არ არის — 1;

ბ) დათანხმდებით, რადგან ეს საკმაოდ დიდ მოგებას გიქადით — 1;

გ) დათანხმდებით, იმიტომ, რომ იღბლისაც გწამთ და ნიჭიერი და აზარტულიც ბრძანდებით — 3.

9. თქვენთვის ძაღლი არის:

ა) მარტოობისათვის თავის დაღწევის საშუალება — 1;

ბ) რეგულარული სიერნობის მიზეზი, რაც სასიკეთოდ მოქმედებს თქვენს ჯანმრთელობასა და სახის ფერზე — 0;

გ) უბრალოდ, კიდევ ერთი საყვარელი არსება — 3.

10. თქვენი საყვარელი მამაკაცი ერთი წლით მივლინებაში მიემგზავრება. თქვენ:

ა) მელანქოლიური განწყობილება დაგეუფლებათ — 0;

ბ) სასწრაფოდ რაიმე ინტრიგას წამოიწყებთ — 1;

გ) ცოტა ხანს მოიწყენთ, მაგრამ მალევე აღიდგენთ სულიერ წონასწორობას, რადგან საკუთარ თავთან ყოფნა, თქვენთვის ყოველთვის საინტერესოა და გარდა ამისა, დარწმუნებული ხართ, რომ ჭეშმარიტ გრძნობას ვერც დრო და ვერც მანძილი ვერაფერს დააკლებს — 3.

ტესტის შედეგები

27 და მეტი ქულა: თქვენი სულიერი ასაკი 17 წელს აღემატება, თუმცა, 30 წლის ასაკამდეც ჯერ კიდევ ბევრი გიკლიათ. თქვენი ნატურიდან გამომდინარე, თქვენი ასაკი წლების გასვლის შემდეგაც დიდად არ მიუახლოვდებით 30-ს. გასაოცარი ნიჭით ხართ დაჯილდოებული — წლების განმავლობაში შეგიძლიათ შეინარჩუნოთ ცხოვრების უშუალო აღქმის უნარი — რაც მხოლოდ ბავშვებსა და მხატვრებს ახასიათებთ. უწინდებურად არ გასვენებთ ცნობისმოყვარეობა და ყველაფერი გაინტერესებთ; ცდილობთ, ყველაფერი საკუთარ თავზე გამოსცადოთ. თქვენ რწმენით, იმედითა და სიყვარულით ხართ აღსავსე, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ აუცილებლად იქნებით ბედნიერი. ამ თვისებების გამო თქვენ საინტერესო და მიმზიდველი ბრძანდებით არა მარტო ახალგაზრდული სულის მქონე ადამიანებისთვის, არამედ „ცხოვრებით დაღალულთათვისაც“.

18-26 ქულა: სულიერი მდგომარეობით ბალზაკის ასაკს უახლოვდებით. მართალია, ამ ცხოვრებაში უკვე ბევრი რამ გინახავთ, მაგრამ მისდამი ინტერესს კვლავაც ინარჩუნებთ. პატარ-პატარა სიამოვნებით თავის განებივრება გიყვართ — სიამოვნებაზე არასოდეს ამბობთ უარს და სწორედ ამაში მდგომარეობს თქვენი ახალგაზდული სულის საიდუმლო. გახსოვდეთ, როცა მეჯლისზე წასვლას იმსახურებთ, შინ დარჩენა ძალზე ცუდად მოქმედებს. თქვენზე.

4-17 ქულა: თქვენ არ ცდილობთ, რომ იმაზე დიდად ან ახალგაზრდულად გამოიყურებოდეთ, ვიდრე სინამდვილეში ხართ. თქვენ მიერ შერჩეულმა დაცვის მეთოდებმა (ფსევდოსერიოზულობამ, ზედმეტმა თავშეკავებულობამ, საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, ყველაფრის წინასწარ გათვლის სურვილმა) შეიძლება ძალზე ცუდი სამსახური გაგიწიოთ: თავდაცვის მიზნით მძიმე რაინდული აღჭურვილობის გამოყენებამ შესაძლოა, მოძრაობა შეგიბოჭოთ და სუნთქვა გაგიძნელოთ.

4 ქულაზე ნაკლები: ნუთუ, მოწყენილობა არ გეუფლებათ? როგორც ჩანს, გარეგნულად ბევრად უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებით, ვიდრე შინაგანად. იქნებ, გეცადათ და თქვენი სულისათვის ისეთი მალამო გამოგენახათ, რაც ცხოვრების ინტერესსა და ხალისს დაგიბრუნებდათ.

ბრილიანტისთვლებიანი ნამცხვარი-საოცრება

ექვსკუთხა, ხილის ნამცხვარი, რომელსაც ჯამურად, 170 კარატის მქონე 223 ბრილიანტის თვალი ამშვენებს — ასეთია იაპონელ ოსტატთა მიერ დამზადებული ქმნილება, რომელიც კულინარიული და საიუველირო ხელოვნების ნაზავს წარმოადგენს და ტოკიოში გამართული, ძვირფასი ქვებით შემკული ნივთების გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. ბუნებრივია, ბრილიანტისთვლებიანმა შედევრმა ყველა სხვა ექსპონატი დაჩრდილა და მნახველთა საერთო აღტაცების საგნად იქცა.

41-მეტრიანი სანთელი

ახალი, 2006 წლის დადგომისას, გერმანიის ერთ-ერთი ქალაქის პეიზაჟი გიგანტურმა სანთელმა შეცვალა. არადა, მის „საბურველში“ 41-მეტრიანი, ძველი კოშკი იმალება, რომელსაც სპეციალური, ე.წ. ფლუორესცენტური ქსოვილი შემოახვიეს და შიგნიდან გაანათეს, ხოლო მინისგან დამზადებული „ალი“ მართლაც რომ, ანთებული სანთლის შთაბეჭდილებას ახდენს...



წინა ნომრის შიფრვორდის პასუხები

ა-4; ბ-21; გ-19; დ-6; ე-26; ვ-12; ზ-18; თ-30; ი-1; კ-33; ლ-24; მ-15; ნ-8; ო-10; პ-2; ჟ-31; რ-16; ს-29; ტ-9; უ-32; ფ-13; ქ-28; ღ-7; ყ-22; შ-14; ჩ-23; ც-11; ძ-20; წ-5; ჭ-25; ხ-17; ჯ-27; ჰ-3.

იაპონური სუდოკუ სენსაცია

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

* მარტივი

7	2	6	1				8	
	1	3	8	4	9		2	
		9	2			3	5	1
9			5	1	4			3
3	6	8		2		1	4	5
1			6	8	3			9
4	8	7			1	5		
	3		4	9	8	7	1	
	9				2	4	3	8

** საშუალო

	3					8	9	7
			1	5	7		6	
7	6	4			9			
2	4	3	5	9				
6		5				9		4
				4	8	6	5	2
			2			3	1	6
	1		4	6	3			
3	5	6					4	

ფოტოკუჩიოზები



„ჭკუა!"

(ალმოაჩინე ამ ჟურნალში)

ლიტერატურული პოლიტრა

პროზა

- ნოდარ ინასარიძე
- თამაზ ფირცხალა
- ზურა სამადაშვილი
- გოგა ალფასაური
- მანანა ნინოშვილი
- ამირან ფიფიანი

ჭკუა

პოეზია

- ნანა ამაღლობელი
- ნინო ნადირაძე
- თამარ ბუნიაური

საბავშვო ლიტერატურა

- გუგული ლოგინიძე

თარგმანი

- ფანიდანიან ფიროუზნამცელი
- ალფრედ ალფრედი

ბაჭირი

№ 1 (16). იანვარი. 2006

ფასი 1.5 ლარი

გამოვიდა იანვრის ნომერი